საქართველო

ურთიერთობები

ენერგეტიკა, ეკონომიკა, უსაფრთხოება,
გეოპოლიტიკა, მიგრაცია, კულტურა



რუსეთი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

რუსეთის საერთაშორისო
საქმეთა საბჭო

საქართველო-რუსეთი

ურთიერთობები: ენერგეტიკა, ეკონომიკა, უსაფრთხოება, გეოპოლიტიკა, მიგრაცია და კულტურა

თბილისი
2018

UDC (უაკ) 339.9 (470:479.22)
P _ 768

საერთო რედაქცია:

ნ. ციხისთავი-ხუციშვილი, დირექტორი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი;

ი. ნ. ტიმოფეევი, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროგრამების დირექტორი, რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭო;

მ. არეშიძე, „საქართველო-რუსეთის დიალოგის ხელშეწყობის“ პროგრამის კოორდინატორი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი;

თ. ა. მახმუტოვი, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროგრამების დირექტორის მოადგილე, რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭო.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრისა და რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოს პუბლიკაცია.

წიგნი გამოქვეყნებულია „საქართველო-რუსეთის დიალოგის ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოსთან თანამშრომლობით, შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერით.

გთხოვთ კომენტარები მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე:
www.iccn.ge; welcome@russiancouncil.ru

პუბლიკაციაში გამოთქმული აზრები ავტორთა პირადი შეხედულებები და კვლევითი პოზიციებია და, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის, რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოსა და შვეიცარიის მთავრობის პოზიციებს.

დიზაინი და დაკაბადონება: ალექსანდრე ჯიქურიძე სტამბა „დამანი“, ტირაჟი 300

Copyright 2018 by ICCN, RIAC ISBN 978-9941-9483-2-9

საავტორო უფლებები დაცულია. ცალკეული სტატიის გამოყენების დროს აუცილებელია წიგნის დასახელებისა და შესაბამისი ავტორის სახელის მითითება.

ეძღვნება მათ, ვისაც სჯერა და მონაწილეობს
საქართველო-რუსეთის დიალოგში.

სარჩევი

შესავალი

ანდრეი კორტუნოვი 7

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი 11

ენერგეტიკა

ელენა კუზმინა
რუსეთ-საქართველოს ენერგოდიალოგი სინამდვილეში 23

დავით მირცხულავა
ზოგიერთი მოსაზრება 2030 წლამდე საქართველოს ენერგეტიკის ინტენსიურ განვითარებასთან დაკავშირებით 39

საერთო რეკომენდაციები 51

ეკონომიკა

საერთო რეკომენდაციები 53

უსაფრთხოება

ახმეტ იარლიკაპოვი
ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში საქართველოსა და რუსეთის ურთიერთქმედების პერსპექტივები 55

ირაკლი მენაღარიშვილი
ზოგიერთი მოსაზრება უსაფრთხოების სფეროში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესაძლო ნაბიჯების თაობაზე 65

საერთო რეკომენდაციები 75

გეოპოლიტიკა

ზაალ ანჯაფარიძე
მსოფლიოში არსებული ცვალებადი გეოპოლიტიკური მდგომარეობის ზემოქმედება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე 77

იულია ნიკიტინა
რუსულ-ქართული ურთიერთობები და ახალი გამოწვევები მსოფლიო პოლიტიკაში 95

საერთო რეკომენდაციები 105

მიგრაცია

ლიუბოვ სოლოვიოვა
შერეული ქორწინებები საქართველოში: ეთნოსთშორისი კონტაქტების ადამიანური განზომილება 109

ნათია ჭელიძე
რუსეთ-საქართველოს შორის მიგრაციული პროცესები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები 119

საერთო რეკომენდაციები 143

კულტურული და ჰუმანიტარული ასპექტები

დავით გოცირიძე
ენა, როგორც ინტერაქციული ასპარეზი კულტურათაშორის ურთიერთობებში (რუსული ენა საქართველოში) 145

ვადიმ მუხანოვი
ჰუმანიტარულ სფეროში რუსეთისა და საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივებზე 157

საერთო რეკომენდაციები 169

ავტორთა და რედაქტორთა შესახებ 171

ანდრეი კორტუნოვი

შესავალი

თანამედროვე რუსულ-ქართული ურთიერთობებისთვის 2017 და 2018 წლები, სრულიად მოულოდნელად, დიდი საიუბილეო თარიღები ხდება. ხუთი წლის წინ, 2012 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დააწესა რუსეთთან ურთიერთობის საკითხების რეგულირების სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა, რომელზეც დაინიშნა ზურაბ აბაშიძე (საქართველოს ელჩი რუსეთში 2000-2004 წწ.). მისი ვიზავი გახდა სახელმწიფო მდივანი – რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი. თითქმის ათი წლის წინ, 2008 წელს, განვითარდა ცნობილი ტრაგიკული მოვლენები საქართველოსა და რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობით, რომელთა შედეგადაც საქართველომ გაწყვიტა რუსეთთან დიპლომატიური კავშირი და ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ხანგრძლივი კრიზისის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

გასული ათწლეული მძიმე გამოცდა აღმოჩნდა როგორც ჩვენი ორი ქვეყნის ხალხების, ასევე, რუსეთისა და საქართველოს დიპლომატიებისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობები სრულფასოვან ფორმატში ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი, გარკვეული პოზიტიური დინამიკა რუსულ-ქართულ კონტაქტებში მაინც შეინიშნება. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება სავაჭრო კავშირებსა და ტურიზმს. 2017 წელს საქონელბრუნვა რუსეთსა და საქართველოს შორის 1 მლრდ დოლარს მიუახლოვდა. ტურისტების რაოდენობამ რუსეთიდან, რომლებმაც საქართველო მოინახულეს, სარეკორდო 1,4 მლნ კაცს მიაღწია. არცთუ უსაფუძვლოდ, მოსალოდნელია დადებითი ძვრა ტვირთების ტრანზიტის პრობლემების გადაწყვეტაში. 2017 წლის 19 დეკემბერს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა ბერნში ხელი მოაწერეს

კონტრაქტს შვეიცარიულ კომპანია SGS-სთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ტვირთების მონიტორინგი „საბაჟო ადმინისტრირებისა და საქონლის მონიტორინგის ძირითადი პრინციპების შესახებ“ შეთანხმების დებულებათა ჩარჩოებში, რომელიც დაიდო რუსეთსა და საქართველოს შორის 2011 წელს. ასეთსავე ნაბიჯებს მოელის უახლოეს მომავალში ქართული მხარე რუსეთისაგან SGS-სთან შეთანხმებაზე ხელის მოწერით.

შეიძლება ჩაითვალოს, რომ დაგროვილი პოზიტიური გამოცდილება უახლოეს მომავალში ინერციით მიიყვანს მხარეებს ადრინდელი, კონფლიქტამდელი ორმხრივი ურთიერთობების დონეზე? სამწუხაროდ, ასეთი პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს. დღეს ნათელია, რომ თანამშრომლობის მრავალი დიდი მიმართულების მაღალხარისხიანმა განვითარებამ თავის უმაღლეს წერტილს უკვე მიაღწია ან უახლოვდება მას. რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთზემოქმედების დონის შემდგომი ამაღლება შეუძლებელია ოფიციალური ურთიერთობების აღდგენის შესახებ მოსკოვსა და თბილისს შორის მთავარი პოლიტიკური საკითხისა და, ასევე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული პრობლემების გაურღვევლად. ამასთან, მხარეთა პოზიციები პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით გასული წლების განმავლობაში არ შეცვლილა. ამგვარ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მრავალმხრივი ფორმატები, რომლებშიც ორივე ქვეყანა მონაწილეობს. ზოგ შემთხვევაში ძალზე ეფექტიანი აღმოჩნდება ხოლმე მესამე ქვეყნების შუამავლობა. მაგალითად, პოზიტიურ როლს ასრულებს შვეიცარიის მონაწილეობა რიგ მიმდინარე საკითხებში რუსეთისა და საქართველოს ინტერესების შვეიცარიის საელჩოებთან ღია სექციების გავლით მოსკოვსა და თბილისში, შესაბამისად. რა თქმა უნდა, ასეთი ფორმატის არსებობა არ შეიძლება, უსასრულოდ გაგრძელდეს. ადრე თუ გვიან გაჩნდება პირდაპირი ურთიერთობის შესაძლებლობები და სტიმულები. სულ ცოტა ხნის წინანდელი ისტორიიდან – ოლიმპიადის ჩატარება სოჭში, როდესაც შესაძლებელი და აუცილებელი აღმოჩნდა რუსეთისა და საქართველოს თანამშრომლობა უსაფრთხოების საკითხებში და მან თავისი პროდუქტიულობის დემონსტრირება მოახდინა.

მომავალში პერსპექტიული ჩანს სხვადასხვა სფეროში რუსულ-ქართული ურთიერთობების განვითარება მრავალმხრივი პროექტების კონტექსტში. როგორც ჩანს, თანამედროვე რუსეთსა და საქართველოს

დასჭირდებათ, ხელახლა დააგროვონ პოლიტიკური ურთიერთნდობის კაპიტალი, რომელიც ყველაზე სწრაფად კონკრეტულ ერთობლივ მუშაობაში გროვდება. გარკვეული პოტენციალი აქვს რუსეთისა და საქართველოს თანამშრომლობას ევრაზიაში ინტეგრაციული პროექტების განვითარებასთან დაკავშირებით. უკვე დღეს საქართველო გვევლინება რუსეთსა და სომხეთს – ევრაზიული ეკონომიკური კავშირის (EAEU) წევრებს შორის - მნიშვნელოვან დამაკავშირებელ რგოლად სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და ეს – მიუხედავად ღია საკითხისა EAEU-სა და EU-ს შორის ურთიერთქმედების შესახებ, რომელთანაც, სხვათა შორის, საქართველოს ხელი აქვს მოწერილი ასოციირების შეთანხმებაზე და შექმნილი აქვს თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ზონა. რუსეთმა და საქართველომ თავიანთი ადგილი უნდა პოვონ პროექტებში, რომლებიც რეალიზდება ჩინეთის მიერ ევრაზიაში „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ ინიციატივასთან დაკავშირებით. გარკვეული, და ძალზე დაუფასებელი პოტენციალი ურთიერთქმედებს შავი ზღვის ეკონომიკური ორგანიზაციების თანამშრომლობის (BSEC) ფორმატში.

რუსეთსა და საქართველოს შორის შემდგომი თანამშრომლობის სტრატეგიების შესამუშავებლად უკიდურესად მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს ექსპერტთა ფართო დიალოგი ამ ორ ქვეყანას შორის. ამ პროცესში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრმა (ICCN, საქართველო) და რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭომ (RIAC). პროექტ „რუსეთ-საქართველოს დიალოგის ხელშეწყობის“ ფარგლებში ორგანიზაციებმა ჩაატარეს ექსპერტთა შეხვედრების, მრგვალი მაგიდებისა და ფოკუს-ჯგუფების სერია, გამოსცეს სტატიების ორი კრებული ორმხრივი ურთიერთობების ყველა სპექტრში: „რუსულ-ქართული ურთიერთობები: განვითარების ახალი გზების ძიებაში“ და „რუსეთი – საქართველო: საკვანძო მიმართულებები ურთიერთობებში“. მასალების განხილვისა და მომზადების პროცესში რუსეთის მხარემ მოიხმო საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი სპეციალისტები რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებიდან (უპირველეს ყოვლისა, ე. მ. პრიმაკოვის სახელობის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის, ეკონომიკის ინსტიტუტის, ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტისა და, ასევე, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, აშშ-სა და კანადის ინსტიტუტისა

და ენერგეტიკული კვლევების ინსტიტუტის), რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის, უმაღლესი სასწავლებლების (საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელწიფო ინსტიტუტის, ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის, რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან არსებული ფინანსური უნივერსიტეტის), კონსალტინგური ორგანიზაციების (ნაციონალური ენერგეტიკული უსაფრთხოების ფონდისა და საერთაშორისო ფონდ „ახალი ენერგიის“).

წინამდებარე კრებულის გამოქვეყნებით ჩვენ ვაჯამებთ ბოლო სამი წლის მანძილზე რუსულ-ქართული ურთიერთქმედების შედეგებს. უსაფრთხოების საკითხებსა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებში ორ ქვეყანას შორის განსხვავებათა დიალოგის სიძნელეებთან ერთად რუსეთისა და საქართველოს ექსპერტები აღნიშნავენ მხარეების კონსტრუქციულობას სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აღდგენაში, სწრაფვას, ეკლესიათა შორის დიალოგში შენარჩუნდეს მაღალი ნდობა, სამეცნიერო წრეებისა და კულტურის წარმომადგენლების დაინტერესებას ორმხრივი კონტაქტების გაფართოებით.

საექსპერტო დისკუსიებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ენერგეტიკის საკითხებმა. უახლოეს ხანების დღის წესრიგში დგას პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან – ჰიდროელექტროსადგურთან, რომელიც აკავშირებს თბილისსა და სოხუმს გენერირებული ელექტროენერგიის განაწილებისა და მისი მოხმარების საფასურის გადახდის საკითხებში. თუ გავითვალისწინებთ სოხუმისა და მოსკოვის განსაკუთრებულ ურთიერთობებს, ეს საკითხი არ შეიძლება დარჩეს რუსეთის მხედველობის მიღმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრებულის თითოეული თემატური განყოფილებისათვის მომზადდა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია რუსეთისა და საქართველოს პროფილური სამინისტროებისა და უწყებებისადმი. ვიმედოვნებთ, რომ ამ რეკომენდაციების ღრმა დამუშავება მიიპყრობს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ყურადღებას და კარგი საყრდენი გახდება ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი ნორმალიზაციის სტრატეგიათა ფორმირებისათვის.

ა.ვ. კორტუნოვი
რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოს
გენერალური დირექტორი

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი

საქართველო და რუსეთი: ურთიერთობები და პერსპექტივები განსხვავებული სისტემების ჭრილში

დიალოგი

დიალოგი კვლავ რჩება კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად, რომელიც კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ მხარეებს საშუალებას აძლევს, თავიანთი პრობლემების, ინტერესებისა და საჭიროებების შესახებ საერთო ხედვა ჩამოაყალიბონ. დიალოგის მონაწილე მხარეებს ეძლევათ ნეიტრალური სივრცე, რომ ჩაერთონ კონფლიქტთან დაკავშირებულ პოლიტიკურად სენსიტიური საკითხების განხილვაში.

ნდობის აღდგენის ღონისძიებები ხელს უწყობს კონფლიქტის შედეგად დაპირისპირებულ მხარეთა შორის დაძაბულობის შემცირებას, ურთიერთგაგების გარემოს შექმნას და შესაძლო თანამშრომლობის გზებისა და საშუალებების გამოვლენას.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, კარგი შესაძლებლობა აქვთ საიმისოდ, რომ ისაუბრონ სხვადასხვა მხარეს მყოფი კონფლიქტით დაზარალებული ადგილობრივი საზოგადოებების ხედვებზე, ინტერესებსა და მოტივაციებზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, როგორც წესი, ნაკლები რადიკალურობით ხასიათდებიან მათ მიერ წარმოდგენილი საზოგადოების ხედვისა და პოზიციის გამოხატვისას და მეტ მოქნილობას იჩენენ დაპირისპირებულ პოზიციათა დაახლოების პროცესში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ოფიციალურ მოლაპარაკებათა მხარდასაჭერად. მეტიც, იმ შემთხვევებში, როდესაც ოფიციალური მოლაპარაკებები ჩიხშია შესული, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შორის არსებული დიალოგი, შესაძლებელია, განვიხილოთ მხარეთა შორის ურთიერთო-

ბათა სრული შეწყვეტის ალტერნატივად. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების როლი ოფიციალური სამშვიდობო შეთანხმებების მიღწევის შემდგომ პერიოდშიც, რადგან სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას დაპირისპირებულ საზოგა დოებათა შერიგებისა და მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად.

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები

პროექტის[1] განმახორციელებელ ორგანიზაციას წარმოადგენს *კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი* – დამოუკიდებელი, მშვიდობის დამყარებაზე ორიენტირებული სასწავლო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც 1994 წელს დაარსდა და თბილისში, საქართველოში ფუნქციონირებს. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი პოსტ-ტოტალიტარულ საზოგადოებაში მშვიდობისა და თანხმობის დამყარების მიზნით დაფუძნდა, ხოლო მისი ინტერესის მთავარ სფეროს საქართველოსა და კავკასიის რეგიონში კონფლიქტის პრევენცია და მოგვარება წარმოადგენდა. თუმცა, მომდევნო წლებში ცხადი გახდა, რომ ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელი იყო სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობათა გაძლიერების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და რიგ დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე. სასურველი შედეგის მისაღწევად, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა თავისი საქმიანობისა და პარტნიორების დივერსიფიცირება მოახდინა ისეთი სამიზნე ჯგუფების მეშვეობით, როგორებიცაა: იძულებით გადაადგილებული პირები და იძულებით გადაადგილებულ პირთა ორგანიზაციები, რეპატრიანტები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, ექსპერტთა გაერთიანებები და ასოციაციები, ახალგაზრდა პოლიტიკური ლიდერები და სამოქალაქო აქტივისტები, ჟურნალისტები, ქალთა ჯგუფები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიზანს წარმოადგენს მშვიდობიანი, ტოლერანტული და მდგრადი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება კარგად განვითა-

[1] პროექტი სათაურით „რუსეთ-საქართველოს დიალოგის ხელშეწყობა“ 2013 წლიდან ხორციელდება, შვეიცარიის კონფედერაციის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით.

რებული სამოქალაქო და სახელმწიფო ინსტიტუტებით. ცენტრის მისიაა, წაახალისოს და განავითაროს კონფლიქტების მოგვარების არაძალადობრივი მეთოდები საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში, ხელი შეუწყოს უმცირესობათა ჯგუფების ინტეგრაციას და მხარი დაუჭიროს დემოკრატიულ პროცესებს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების გზით.

პროექტის პარტნიორია *რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭო*, არაკომერციული, სასწავლო-კვლევითი და დიპლომატიური ცენტრი, რომელიც 2010 წელს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაარსდა.

საბჭოს საქმიანობის მიზანია ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცება, საერთაშორისო კონფლიქტების პრევენცია და კონფლიქტების მოგვარებისა და კრიზისული სიტუაციების რეგულირების ხელშეწყობა. კონფლიქტის მოსაგვარებლად გამოსავლის ძიების პროცესში საბჭო წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების სამეცნიერო წრეებს შორის.

ისეთ ორგანიზაციასთან პარტნიორობამ (2013 წლიდან), როგორიც რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოა[2], რომელიც რუსეთის ფედერაციაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალკვალიფიციური და გავლენიანი ანალიტიკური ცენტრია, რუსეთში პროექტის ეფექტიანად განხორციელება გახადა შესაძლებელი.

საბჭოსთან თანამშრომლობის შედეგია ის, რომ პროექტი შეფასდა და განისაზღვრა, როგორც ორმხრივი დიალოგის პლატფორმა. საბჭოს მაღალმა ავტორიტეტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საყოველთაოდ ცნობილი რუსი ექსპერტების პროგრამაში მონაწილეობის კუთხით. საბჭოს საქმიანობის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები მაღალ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მნიშვნელოვანი რესურსი გახდა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა მოწესრიგების გზაზე.

[2] ორგანიზაცია Global Go-ს მსოფლიოს ანალიტიკური ცენტრების 2013 წლის რეიტნგებისა და პენსილვანიის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული შემოკლებული ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოს ახლად დაარსებულ წამყვან ანალიტიკურ ცენტრებს შორის, რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოს მეორე ადგილი უკავია იხ: http://www.ecologic.eu/sites/files/news/2014/gotoreport2013_final.pdf (გვ 81).

პროექტის მიზანია საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა მოწესრიგება დიალოგის პროცესის ხელშეწყობით ქვეყნების უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მდგრადობის მისაღწევად.

საქართველოსა და რუსეთს შორის შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების (2008 წლის აგვისტოს კრიზისის შემდგომ) მიუხედავად, დამაკავშირებელ ფაქტორად რჩება ყველა სახის მოლაპარაკება: ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები (არაფორმალურად – ჟენევის პროცესი 2008 წელი), აბაშიძე-კარასინის ორმხრივი მოლაპარაკება (2012 წელი), „სტამბოლის პროცესი“[3] (2008 წელი) – დიალოგი, რომელიც მიმდინარეობს შერეული არხის (1.5) ფორმატში სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტთა მონაწილეობით და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ გამართული ცალკეული შეხვედრები.

„სტამბოლის პროცესი“

„სტამბოლის პროცესი“ რუსეთისა და საქართველოს მაღალკვალიფიციურ პოლიტიკურ ექსპერტთა შორის ყველაზე ხანგრძლივად მიმდინარე დიალოგის ფორმატია, რომელიც კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დამფუძნებლისა და დირექტორის – პროფესორ გიორგი ხუციშვილის ინიციატივით 2008 წლის აგვისტოს კრიზისის შემდგომ მალევე დაიწყო. აღნიშნულ პროცესს სახელი მისი სტამბოლში განხორციელების გამო ეწოდა.

ბოლო 9 წლის განმავლობაში დიალოგის ფარგლებში გამართულ ოცდაცხრა შეხვედრაში, საერთო ჯამში, 100-ზე მეტი წამყვანი ექსპერტი და საზოგადო მოღვაწე მონაწილეობდა (მათ შორის, 63 საქართველოდან და 59 – რუსეთიდან); ფოკუს-ჯგუფებსა და დიალოგის მოსამზადებელ დისკუსიებში, ასევე წლიურ კონფერენციებში სამოქალაქო საზოგადოების სამეცნიერო წრეების დაახლოებით 200 წარმომადგენელი მონაწილეობდა თბილისსა და მოსკოვში მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ შეხვედრებში.

2013 წლის შემდეგ პროგრამისა და დიალოგის განხორციელების პროცესში ჩაერთნენ შვეიცარიელი დიპლომატები და ექსპერტები მონაწილეებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

---

[3] “სტამბოლის პროცესის“ ისტორია იხილეთ ბმულზე: www.iccn.ge.
„სტამბოლის პროცესი“ რუსეთ-საქართველოს ექსპერტთა დიალოგის ფარგლებში, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ინიციატივით, 2008 წლის ნოემბერში, შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის გლობალური პარტნიორობის პლატფორმის მიხედვით დაიწყო.

ქართველ და რუს პოლიტიკურ ექსპერტთა ჯგუფების ფორუმის მიზანს წარმოადგენდა უსაფრთხოების, ეკონომიკის, ჰუმანიტარულ, სამხედრო და კონფლიქტის საკითხებზე პოლიტიკის ანალიზისა და კვლევის პროცესში უფრო აქტიური მონაწილეობის მიღება. პოლიტიკური მოვლენების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის გაძლიერებასთან ერთად, ექსპერტთა ჯგუფები იყენებენ ადგილობრივ ინტელექტუალურ პოტენციალს არსებული სიტუაციის უკეთ გასააზრებლად და, აგრეთვე, ხელისუფლებებთან და საერთაშორისო ინსტიტუტებთან დიალოგის განვითარების მიზნით საქართველოსა და რუსეთში.

2015 წლიდან დაიწყო პროგრამის II ფაზის განხორციელება რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოსთან თანამშრომლობით. პროგრამის მთავარ იდეას წარმოადგენდა „მეორე არხის“ დიალოგის (სახალხო დიპლომატია) გადაყვანა შერეულფორმატიან (1,5 არხი) დიალოგში და საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებისთვის პოლიტიკის შემმუშავებელი რეკომენდაციების წარდგენა ეკონომიკის, ენერგეტიკის, უსაფრთხოების, მიგრაციის, კულტურის, გეო-პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ საკითხებთან დაკავშირებით.

პოლიტიკის საკითხებზე ექსპერტთა ანალიტიკური მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მიწოდებით პროგრამამ ხელი შეუწყო სახელმწიფოთაშორისი ფორმატის, კერძოდ კი, აბაშიძე-კარასინის დიალოგის ეფექტიანობის გაზრდას, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და საექსპერტო დიალოგის გამჭვირვალობის კუთხით.

შერეული ფორმატის დიალოგის (1,5 არხი) ფარგლებში შეხვედრების გამართვის პერსპექტივა

პროგრამის II ფაზის განხორციელების ძირითად პრაქტიკულ შედეგს წარმოადგენდა რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოსთან პარტნიორობით, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ უნიკალური პროცესის განსაზღვრა, დაგეგმვა და განხორციელება: კერძოდ, ერთობლივი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და შესაბამისი სამთავრობო ორგანოებისთვის წარდგენა.

პოლიტიკის დოკუმენტში შეტანილი რეკომენდაციების მიზანს წარმოადგენდა კონფლიქტში მონაწილე მხარეთა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებისთვის პრობლემური სფეროების განსაზღვრა და

საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციის შესახებ შესაბამისი ეფექტიანი რეკომენდაციების მიწოდება.

პროგრამის განხორციელებისას პროცესი სამ საფეხურს მოიცავდა. სამივე საფეხურის საქმიანობა დამყარებული იყო პარტნიორთა ურთიერთნდობაზე. შედეგად, ჩვენ შევიმუშავეთ ეფექტიანი მიდგომა, რომელიც ერთობლივი პროდუქტის შექმნას ემსახურებოდა (პოლიტიკის დოკუმენტები შემუშავდა რუსულ ენაზე და ითარგმნა ქართულად შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის წარსადგენად). მიუხედავად ტაბუირებული ან პრობლემური საკითხების განხილვისა, პროცესში მონაწილე ყველა მხარე კმაყოფილი იყო და თავს კომფორტულად გრძნობდა.

საფეხური 1: საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა მოწესრიგების ხელისშემშლელი, ყველაზე უფრო აქტუალური და მედიაში ფართოდ განხილული პრობლემური საკითხის განსაზღვრა, ამ საკითხის გაშუქების შეფასება და ანალიზი, ამ საკითხზე ჩატარებული ფოკუს-ჯგუფისა შედეგების და ექსპერტული შეფასებების ანალიზი. აღნიშნული პროცესი ორივე მხარეს პარალელურ რეჟიმში ხორციელდებოდა.

საფეხური 2: დიალოგის შეხვედრის ორგანიზება დარგის ცნობილი ექსპერტების მონაწილეობით (მოსკოვი, თბილისი, სტამბოლი ან სხვა შეთანხმებული ადგილი) და ექსპერტებისთვის ზემოაღნიშნულ საკითხებზე თავიანთი მიდგომებისა და მოსაზრებების განხილვისა და ანალიზის შესაძლებლობის მიცემა. დიალოგის შეხვედრის მონაწილე ორივე მხარე წარმოადგენდა პოლიტიკის დოკუმენტის პროექტს და შესაბამის რეკომენდაციებს. ორივე პროექტის შეჯერების საფუძველზე, შეხვედრების მონაწილეები პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო გაერთიანებულ ვერსიას შეიმუშავებდნენ.

საფეხური 3: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი არსებული ნდობისა და პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო გაერთიანებული ვერსიის ქართულ ენაზე თარგმნასა და საქართველოს შესაბამისი სამთავრობო სტრუქტრებისთვის მის წარდგენას უზრუნველყოფდა.

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებისთვის წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების პერსპექტივა

ცნობილი ექსპერტების მონაწილეობით დიალოგის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე შემუშავდა პოლიტიკის 6 დოკუმენტი ორივე ქვეყნის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებზე ზემოქმედების მოსახდენად.

პოლიტიკის დოკუმენტები, პროგრამის მოკლე აღწერილობასა და პროცესში მონაწილე ექსპერტების სიასთან ერთად, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის შესაბამის სამთავრობო ორგანოებს წარედგინა. ყველა დოკუმენტი სამთავრობო დაწესებულებათა მისაღებებში ოფიციალურად დარეგისტრირდა და ამ გზით, ისინი წამყვანი თანამდებობის პირებამდე (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები და პარლამენტის წევრები) მივიდა.

პოლიტიკის დოკუმენტები:

დიალოგის ფარგლებში გამართული შეხვედრების შედეგად, მოსამზადებელი სამუშაოების საფუძველზე ჩამოყალიბდა ეფექტიანი რეკომენდაციები, რომელთა მიზანს პრობლემის აღმოსაფხვრელად გამომუშავებული ერთიანი ხედვა წარმოადგენდა. ერთობლივად შემუშავდა შემდეგი პოლიტიკის დოკუმენტები (რუსულ და ქართულ ენებზე).

1. პოლიტიკის დოკუმენტი: „ენერგეტიკის სფეროში რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები“;
2. პოლიტიკის დოკუმენტი: „ეკონომიკის სფეროში რუსეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა: პოტენციალი და პერსპექტივები“;
3. პოლიტიკის დოკუმენტი: „უსაფრთხოების სფეროში რუსეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა“;
4. პოლიტიკის დოკუმენტი: „საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები და ახალი გამოწვევები მსოფლიო პოლიტიკაში“;
5. პოლიტიკის დოკუმენტი: „რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებზე დიასპორისა და მიგრაციის გავლენა“;
6. პოლიტიკის დოკუმენტი: „საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების კულტურული და ჰუმანიტარული ასპექტები“.

კრიზისის დასაძლევად რუსეთსა და საქართველოს შორის დიალოგ-ის განვითარებას ალტერნატივა არ გააჩნია. რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებზე დიალოგი ყოველ-გვარი წინაპირობის გარეშე უნდა გაგრძელდეს.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში უსაფრთხოებ-ის რეგიონული სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს კვლავ განსხვავებული წარმოდგენე-ბი აქვთ. ორივე სახელმწიფოს სურს რეგიონში სტაბილურობა, მაგრამ მიზნის მისაღწევად მათ სხვადასხვა ინსტრუმენტები აქვთ არჩეული. რუსეთის ფედერაცია კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაზეა ორიენტირებული – მთავრობათაშორისი სამხედრო ალიანსი, რომელიც მოქმედებს როგორც ალიანსის ალტერნატივა. რაც შეეხება საქართველოს, ის ნატოში გაწევრიანებას ესწრაფვის.

ორივე სახელმწიფო (საქართველო და რუსეთის ფედერაცია) რამ-დენიმე საერთო გამოწვევისა და საფრთხის წინაშე დგას, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს მათ შორის თანამშრომლობის რე-გულირება. არსებობს ტერორიზმისა და რადიკალური (პოლიტიკური) ისლამის საფრთხე. ამგვარი საფრთხეების აღმოფხვრა და თავიდან აც-ილება მხოლოდ ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზი-თაა შესაძლებელი.

2014 წელს ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომ-ცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით სა-ქართველო (მოლდოვასა და უკრაინასთან ერთად) ევროკავშირს მნიშ-ვნელოვნად დაუახლოვდა. სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ორი ქვეყ-ნიდან არც ერთი არ აპირებს ახლო მომავალში მსგავსი შეთანხმებების გაფორმებას სხვადასხვა მიზეზის გამო. 2015 წლის იანვარში სომხეთი ევრაზიის ეკონომიკურ საბჭოში გაწევრიანდა. რაც შეეხება აზერბაიჯ-ანს, ის ჯერ კიდევ არ ჩართულა ეკონომიკური ინტეგრაციის იურიდი-ულად სავალდებულო რომელიმე პროექტში. ფაქტობრივად, სამხრეთ კავკასია სრულიად განსხვავებული ორი ეკონომიკური კავშირის თან-ხვედრის ადგილად იქცა.

ევროპისა და ევრაზიის სავაჭრო სივრცეებს შორის მოსალოდნელი შეუთავსებლობა, ნაწილობრივ, ოფიციალურ პირთა რიტორიკაზეც აის-ახება, რაც, რეგიონული თანამშრომლობისა და თანხმობის მაგივრად, ალიანსების შექმნაზე ორიენტირებული მიდგომების სტიმულირებას უწყობს ხელს. ამ მდგომარეობის სანაცვლოდ მიზანი ორმხრივი შეთან-

ხმებების ფარგლებში სავაჭრო სტანდარტების ურთიერთთავსებადობის შესაძლებლობათა მოძიება უნდა გახდეს. სამომავლოდ, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ნებისმიერი დარღვევა სამხრეთ კავკასიის რეგიონში დესტაბილიზაციას შეუწყობს ხელს. აღნიშნულმა, შესაძლოა, ასევე იქონიოს გავლენა რეგიონში ნავთობისა და გაზის ტრანზიტზე, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც აზერბაიჯანი გაზისა და ნავთობის მნიშვნელოვანი ექსპორტიორი გახდა ევროპაში, ასევე საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის ამჟამინდელი პოტენციალის გათვალისწინებით.

მეორე მხრივ, მაღალი ინტერესის საგნად იქცა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ეკონომიკური თანამშრომლობა. რუსეთის ფედერაციას სირთულეებს უქმნის ნავთობზე შემცირებული ფასები და დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ დაწესებული სანქციები. საქართველო კი ეროვნული ვალუტის გაუფასურებისა და უმუშევრობის პრობლემის წინაშე დგას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება ორივე ქვეყნის ინტერესია.

ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების ტემპის შენარჩუნებასთან ერთად და იმ ფონზე, რომ დსთ-ს ქვეყნების ბაზრების ევროკავშირის ბაზრით ჩანაცვლების პროცესი თუმცა ნელა, მაგრამ სტაბილურად მიმდინარეობს, სამხრეთ კავკასიის რეგიონში, შესაძლებელია, კონფლიქტის თავიდან აცილებისა და მისი მოგვარების გრძელვადიანი პერსპექტივები და შესაძლებლობები განისაზღვროს. ეკონომიკური თანამშრომლობა და მშვიდობიანი განვითარება კი ამ პერსპექტივათა განხორციელების ძირითადი საფუძველია.

სამხრეთ კავკასიაში ორი ეკონომიკური კავშირის დაპირისპირების ფონზე, სეცესირებული რეგიონები, მათთან ეკონომიკური კავშირის თვალსაზრისით, სრულიად განსაკუთრებულ ხასიათს იძენს. მოცემულ მდგომარეობაში, გაურკვეველია, თუ რა გზით შეუწყობდა ხელს ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის მოგვარების პროცესს კონფლიქტის შემდგომ მხარეთა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება. ეს საკითხი რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რუსეთი, თურქეთი, ასევე, დასავლეთის ქვეყნები, სხვადასხვა სახითა და ხარისხით არიან ჩართულნი სამხრეთ კავკასიაში არსებულ გაყინულ კონფლიქტებში, ძნელი წარმოსადგენია ამ კონფლიქტების მოგვარება მათი მონაწილეობის გარეშე.

შესაბამისად, საქართველოსა და რუსეთს განსაკუთრებული ვალდებულება ეკისრებათ, გამოიყენონ, ერთი მხრივ, ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება და, მეორე მხრივ, ევრაზიის ეკონომიკური/საბაჟო კავშირის ინფრასტრუქტურა იმისათვის, რომ შეიქმნას ეკონომიკური თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციის პირობები კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის „ეკონომიკური კავშირების" უზრუნველსაყოფად.

მშვიდობის განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორი სხვადასხვა ეკონომიკური კავშირის წევრ სახელმწიფოებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ინსტიტუციური თანამშრომლობის განვითარების პროცესი, რომელიც საერთო ინტერესებსა და პრობლემათა ერთობლივი გადაწყვეტის მზაობას უნდა ემყარებოდეს.

მოსაძებნია ინსტიტუციური თანამშრომლობის მექანიზმები, რომელთა შეთავაზებაც, თუნდაც მხოლოდ კონფლიქტების თავიდან არიდების კუთხით, ზემოაღნიშნულ ორ ეკონომიკურ სისტემას შეუძლია. ამ პროცესში თავის დადებით როლს შეასრულებდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მონაწილეობა. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს სამშვიდობო დიალოგით, პიროვნული კავშირებისა და კონტაქტების, მრავალარხიანი დიპლომატიის სხვადასხვა მიმართულებით დაგროვილი გამოცდილების გამდიდრებისა და ეფექტიანად გამოყენების გზით.

ევრაზიის ეკონომიკური/საბაჟო კავშირისა (EAEU) და ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (AA/DCFTA) მშვიდობიანი თანაარსებობა აღნიშნული საკითხის შესახებ საზოგადოების ინფორმირების აუცილებლობას აძლიერებს, განსაკუთრებით, სეცესირებულ რეგიონებში არსებული ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში. ეს საკითხი, როგორც ჩანს, რეგიონულ დონეზე სათანადო ყურადღებას ჯერ კიდევ საჭიროებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი ორგანიზაციის[4] მი-

[4] პირველი დიალოგი რუს და ქართველ ექსპერტებს შორის თემაზე „AA/DCFTA და EAEU ერთმანეთის პირისპირ" გაიმართა 2014 წლის აგვისტოში, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ, რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოსთან პარტნიორობით, საქართველოს მიერ AA/DCFTA-ს ხელმოწერიდან (2014 წლის ივნისი) მოკლე ხანში. დიალოგის მიზანი იყო პოტენციური განვითარების საკითხების განხილვა და სამხრეთ კავკასიის ერთ რეგიონში პოლარიზებულ ეკონომიკურ სისტემებს შორის თავსებადობის შესაძლო გზების გამონახვა. მოგვიანებით, დიალოგის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრის შედეგებმა და ანალიზმა ასახვა ჰპოვა შემდეგ წიგნებში:

ერ შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერით გაწეული ძალისხმევა (2014 წლიდან) უდავოდ მნიშვნელოვანი, შედეგის მომტანია და მეტად საჭიროებს განვითარებას.[5]

სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოლარულად განსხვავებულ ორ ეკონომიკურ კავშირს შორის სათანადო დიალოგის დასაწყებად, შვეიცარიის კონფედერაციის შუამავლობა წარმოადგენს იმ ერთადერთ შესაძლებლობას, რომელიც განვითარებასა და გაძლიერებას საჭიროებს. სწორედ ამიტომ, დიალოგის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე, ორივე მხარის ექსპერტებმა წარმოადგინეს რეკომენდაციები, რომლებიც შვეიცარიის ფასილიტატორის როლის გაძლიერებას და მედიატორის როლის შესრულებას შეეხებოდა. აგრეთვე, მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ ორ სახელმწიფოს (ან ორ ეკონომიკურ კავშირს) შორის ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე დიალოგის პარალელურად, აქტიურად მოხდეს სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატის, როგორებიცაა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, ეუთო, სხვ. გამოყენება.

სეცესირებულ რეგიონებში კონფლიქტების პრევენციისა და ნდობის აღდგენის მიზნით, სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, საქართველომ სამშვიდობო ინსტრუმენტის სახით უნდა გამოიყენოს ევროპასთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (AA/DCFTA). იმავდროულად, საქართველომ თავის მეზობლებთან ეკონომიკური კავშირები უნდა გააძლიეროს, რაც მდგრადი განვითარების პერსპექტივის უზრუნველყოფას ემსახურება.

„რუსეთი-საქართველო: ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები“, ავტორები: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი და რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭო, ISBN 978-99928-937-0-8; 2014.

„რუსეთი-საქართველო: ეკონომიკურ სექტორში არსებული პერსპექტივები და გამოწვევები“, ავტორები: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი და რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭო, ISBN 978-99940-805-8-8; 2014.

[5] 2016 წელს, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა, შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციისთვის გლობალურ პარტნიორობასთან (GPPAC) და სომხეთის არა-სამთავრობო ორგანიზაციასთან – ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის სომხეთის ბიუროსთან პარტნიორობით, განახორციელა პროგრამა, რომლის მიზანი იყო ორი ქვეყნის (სომხეთი და საქართველო) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ ორი სახელმწიფოს ეკონომიკურ ურთიერთობათა განხილვა, რომლებიც AA/DCFTA-სა და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის განსხვავებულ ეკონომიკურ სისტემებს მიეკუთვნება. პროგრამა განხორციელდა GPPAC-თან პარტნიორობით და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

რეგიონში მეზობლებთან შესაძლო ეკონომიკური კავშირების ერთ-ერთ კომპონენტს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ფართო სა-მოქალაქო დიალოგი, საინფორმაციო კამპანია/ინფორმაციის გაცვლა იმ ეკონომიკური სარგებლის შესახებ, რომელსაც გამყოფი ხაზების ან საზღვრების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობა მიიღებს, ერ-თი მხრივ, ევროპასთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (AA/DCFTA) განხორცი-ელების შედეგად, მეორე მხრივ, ევრაზიის ეკონომიკური/საბაჟო კავ-შირიდან (EAEU), მას შემდეგ, რაც განისაზღვრება და ამოქმედდება ამ ორი ეკონომიკური კავშირის თავსებადობის და არა კონფრონტაციის პრინციპები.

მიზანშეწონილია, ჩატარდეს სრულყოფილი კვლევა (თუ შესაძლებე-ლია, სეცესირებული რეგიონების მკვლევრებთან თანამშრომლობით), რომელიც გააანალიზებს სამხრეთ კავკასიაში მეზობელ ქვეყნებსა და სეცესირებულ რეგიონებს შორის ეკონომიკურ კავშირებს, ევროპასთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებისა (AA/DCFTA) და ევრაზიის ეკონომიკური/საბაჟო კავშირის (EAEU) ურთიერთქმედების პირობებს.

ენერგეტიკა

ელენა კუზმინა

რუსეთ-საქართველოს ენერგოდიალოგი სინამდვილეში

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხში შეუთანხმებლობის გამო ჯერ კიდევ საკმაოდ დაძაბულია. ქართულ საზოგადოებაში რუსეთთან ურთიერთობების განმტკიცების პერსპექტივათა მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ჭარბობს. მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობა როგორც მოსკოვისთვის, ისე თბილისისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. მოცემულ სტატიაში ჩვენ ორმხრივ ენერგეტიკულ ურთიერთობებს და მისი გაფართოების პერსპექტივებს განვიხილავთ.

საქართველოს ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორი და ორმხრივი თანამშრომლობა

2012 წლიდან 2016 წლამდე საქართველოში ბუნებრივი აირის მოხმარება თითქმის 38%-ით გაიზარდა და ყოველდღიურად დაახლოებით 11 მლნ კუბ. მ. შეადგინა[1]. დღესდღეობით ქვეყანაში ბუნებრივ აირზე მოთხოვნა წელიწადში დაახლოებით 2,5 მლრდ კუბ. მ.-ს შეადგენს.

2008 წლიდან საქართველოს მთავრობამ ქვეყნის გაზიფიკაციის პროგრამის გატარება დაიწყო, რომელსაც 2007 წელს სპეციალურად შექმნილი კომპანია შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ ახორციელებს[2]. ამ პროგ-

[1] საქართველომ მეტი ბუნებრივი აირის მოხმარება დაიწყო, კალაძე // Business საქართველო. 12.01.2016.URL: http://bizzone.info/energy/2016/1452632797.php

[2] აზერბაიჯანულ სახელმწიფო ნავთობის კომპანიასთან (SOCAR) აფილირებული შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბიუშენთან“ და სს „სოკარგაზთან“ ერთად SOCAR Gas ჯგუფში ერთიანდება, რომელმაც საქართველოშო ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორში თავისი მოღვაწეობა 2006 წელს დაიწყო. SOCAR Gas ჯგუფის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია: ბუნებრივი აირის მიწოდება და გავრცელება; მოსახლეობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა; მშენებლობა, გაზგამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.

რამის ფარგლებში გაზის გამანაწილებელი ქსელის მშენებლობა-რეაბილიტაცია ტარდება, რომელმაც მოსახლეობა ბუნებრივი აირით უნდა მოამარაგოს. ქვეყნის გაზიფიკაციისთვის 2017 წელს 241 მლნ. ლარი (დაახლოებით 90 მლნ დოლ.) გამოიყო. პროგრამის განხორციელებისას 600 დასახლებული პუნქტის გაზიფიცირება და 5364 კმ სიგრძის გაზსადენის მშენებლობა მოხერხდა. 209 ათასმა პოტენციურმა აბონენტმა გაზის ქსელზე მიერთების საშუალება მიიღო. დღესდღეობით კომპანია საქართველოში მცხოვრებ 500 ათასზე მეტ აბონენტს ემსახურება. 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 34 სოფლის გაზიფიკაციისთვის 20 მლნ ლარი (7.4 მლნ დოლარზე მეტი) გამოიყო. ამგვარად, ქვეყნის გაზიფიკაციის ძირითადი ნაწილი დასრულდება და მოსახლეობის 75% ბუნებრივი აირის მოხმარებას შეძლებს[3].

გაზიფიკაციის პროგრამის რეალიზების იმავდროულ თანმდევ ფაქტორად გაზის მოხმარების ზრდა იქცა. ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2017 წლის ბოლოს გაზზე მოთხოვნა დღეში დაახლოებით 1 მლნ $მ^3$-მდე გაიზრდება და 13 მლნ $მ^3$-მდე მიაღწევს. შესაბამისად, საქართველოს დღეში 1-1,5 მლნ $მ^3$ გაზი დასჭირდება[4].

ქვეყანას ბუნებრივი აირის საკუთარი წყაროები არ გააჩნია და ამ საკითხში დეფიციტს განიცდის. დასმული პრობლემის გადასაჭრელად ბუნებრივი აირის შესყიდვა უნდა გაიზარდოს.

საქართველოს დღესდღეობით დღე-ღამეში დაახლოებით 11 მლნ $მ^3$ გაზი მიეწოდება. აზერბაიჯანიდან მილსადენით „ყაზახი“ 6 მლნ $მ^3$, პროექტ „შაჰ დენიზ – 1“ საბადოს დამუშავების პირველი ფაზის ფარგლებში (სამხრეთ-კავკასიური მილსადენით) 3,2 მლნ $მ^3$. რუსეთიდან კი ქვეყანას დანარჩენი 1,5-2 მლნ. $მ^3$ მიეწოდება[5], რომელიც 2017 წლამდე

ჯგუფ SOCAR Gas-ს, გარდა აბონენტების ბუნებრივი აირით უზრუნველყოფისა, ქვეყანაში მომხმარებელთა მომსახურების 45 სერვის-ცენტრი და სატელეფონო მომსახურების თანამედროვე ცენტრი გააჩნია. ჯგუფი SOCAR Gas-ი საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია, კომპანიის თანამშრომელთა რიცხვი 2200 ადამიანს ითვლის.

[3] პრემიერი: საქართველო კიდევ 34 სოფლის გაზიფიკაციას ახდენს // ახალი ამბები-საქართველო. 24.01.2017.

[4] ა. მგდესიანი, თბილის რუსეთის გაზზე უარს ამბობს // Иносми.ру. 17.04.2017. URL: http://inosmi.ru/politic/20170417/239158648.html; პუბლიკაციის დედანი: Թբիլիսինհրաժարվում է ռուսականգազից. Փլուզվո՞ւմ է Իրան-ՀՀ-Վրաստան-ՌԴ գազայինմիջանցքը.

[5] „გაზპრომმა“ სომხეთში გაზის ტრანზიტზე საქართველოს პირობები მიიღო// ახალი ამბები-საქართველო.: http://www.newsgeorgia.ge/gazprom-prinyal-usloviya-gruzii-po-tranzitu-gaza-v-armeniyu/

საქართველოში სომხეთისთვის ტრანზიტის საფასურის სახით ექსპორტირდებოდა. 2015-2016 წწ. გაზის ძირითადი მოცულობის გაზრდის თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა როგორც აზერბაიჯანთან, რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბუნებრივი აირის ძირითად მომწოდებელთან (90%), ისე რუსულ „გაზპრომთანაც", რომლის წილიც 10%-ს შეადგენს. საქართველოში გაზის ექსპორტირებაზე მზადყოფნა გამოთქვა ირანმაც.

2017 წელს რუსეთმა თავის წილად მიწოდებათა 10% შეინარჩუნა. 2017 წლის იანვარში რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, „გაზპრომ ექსპორტი" ქვეყანაში გაზის „მოქნილი პირობებით, 2016 წელთან შედარებით ნაკლებ ფასად – 1000 $მ^3$-ის 30 დოლარად", ანუ 185 დოლარად მიწოდებისა და, ასევე, 2017-2018 წწ. საქართველოს ტერიტორიის გავლით სომხეთში ტრანსპორტირების წელიწადში 2-2,2 მლრდ. $მ^3$-ის მოცულობით გადახდის გარანტიასაც იძლევა. ამასთან, ტრანზიტის ფასს არ ახმაურებენ[6].

ენერგოდიალოგში პარტნიორების შერჩევაზე არა მარტო ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების, არამედ საქართველოს ენერგეტიკული სექტორის გარშემო სიტუაციის შემდგომი განვითარებაც იქნება დამოკიდებული.

პირველ რიგში, მიწოდებათა დივერსიფიკაცია აზერბაიჯანზე ბუნებრივი აირით დამოკიდებულება შეამცირებს. ბაქო მთავარ როლს თამაშობს პროექტ „გაზის სამხრეთ დერეფნის" (გსდ) განხორციელებაში, გულისხმობს გაზის მიწოდებას თურქეთისა და ევროპისათვის საქართველოს ტერიტორიის გავლით. ევროკავშირის გარდა, პროექტით დაინტერესებულია აშშ-ც, რომელიც მას ევროპის „გაზპრომზე" დამოკიდებულების შემცირების ინსტრუმენტად განიხილავს.

მეორე, პოტენციური მიმწოდებლის როლში „გაზპრომს" ქვეყანაში გაზზე ზრდადი მოთხოვნის დაკმაყოფილება და ენერგორესურსებზე რესპუბლიკის ხარჯის შემცირება შეუძლია. თუმცა, ქართველი ჩინოვნიკების სიტყვებით, გაზის დეფიციტი დიდი არ არის და 2,5 მლნ $მ^3$-ს შეადგენს[7]. გარკვეულ პრობლემას აზერბაიჯანული გაზის ფასი წარმოადგენდა, რომელიც 2015 წელს კორპორატიული კლიენტებისთვის და-

---

[6] საქართველო „გაზპრომისგან" გაზს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში შეისყიდის // ნავთობი და კაპიტალი.21.07.2017. URL: https://oilcapital.ru/news/export/21-07-2017/gruziya-budet-pokupat-gaz-u-gazproma-tolko-pri-neobhodimosti

[7] გ. ლომსაძე. ირანი საქართველოს ენერგეტიკული ღვეზლისთვის ბრძოლაში ებმება? // Eurasianet.org. 22.02.2016.URL: http://russian.eurasianet.org/node/62881

ახლოებით 30%-ით (1000 m^3-ში 318 დოლარამდე) გაიზარდა[8]. სირთულე ისაა, რომ აზერბაიჯანიდან მიწოდებული გაზის ფასი პერიოდულად იცვლება. იმდენად, რამდენადაც საქართველო აზერბაიჯანის გაზისთვის სატრანზიტო ქვეყანას წარმოადგენს, მას აზერბაიჯანული გაზის 500 მლნ m^3-ის 60 დოლარად და 250 მლნ m^3-ის 55 დოლარად შესყიდვის უფლება აქვს, დამატებით დაახლოებით 500 მლნ m^3-ს საქართველო 189 დოლარად იღებს, გაზის დანარჩენ ნაწილს კი საბაზრო ფასად შეისყიდის. გაზის სწორედ ამ კატეგორიაზეა ლაპარაკი, რადგან ეს გაზის დამატებითი შესყიდვაა[9]. გარდა ამისა, საქართველოსთვის გაზის შესყიდვების გაზრდა აუცილებელი იყო. აზერბაიჯანს ამის გაკეთება მხოლოდ „შაჰ-დენიზის“ საბადოდან მოპოვებული გაზის გაზრდის შემთხვევაში შეეძლო. აზერბაიჯანი საქართველოში გაზის ტრანსპორტირებისას გაურკვეველ ტექნიკურ სირთულეებზე მიუთითებს. შექმნილი სიტუაცია გაზის მოცულობის შესყიდვის საკითხზე თბილისის „გაზპრომისადმი“ მიმართვის მიზეზად იქცა. 2016 წლის გაზაფხულზე საქართველოში თავისი ბაზრის შემცირების შიშით აზერბაიჯანი დათმობებზე წავიდა. საქართველოს ხელისუფლებისა და სოკარს შორის 2011 წელს გაზის თაობაზე მიღებულ მემორანდუმში რიგი შესწორებები იქნა მიღებული. გარდა ამისა, „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ დირექტორმა – დ. თვალაბეიშვილმა და შპს „SOCAR GasExport-Import“-ის ხელმძღვანელმა ზ. გულიევმა ხელი მოაწერეს „ბუნებრივი აირით მომარაგების“ დოკუმენტს, რომელმაც კორპორაციასა და SOCAR GasExport-Import-ს შორის დადებული ხელშეკრულება შეცვალა. ასევე, ხელი მოეწერა 2012 წლის ივლისში მიღებულ „ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვის შესახებ“ შეთანხმებაში შეტანილ ცვლილებებსაც[10]. ამ დოკუმენტების თანახმად, საქართველოსთვის გაზის მიწოდება წელიწადში 500 მლნ m^3-ით გაიზრდება, ფასები კი დაიწევს და გაზგამშვები სადგურებისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე 1000 m^3-ისთვის 35-40 დოლარით უნდა შემცირდეს[11]. 2017 წლის დასაწყისის მონაცემებით, გაზის დამატებითი

---

[8] გ. ლომსაძე. ირანი საქართველოს ენერგეტიკული ღვეზლისთვის ბრძოლაში ებმება? // Eurasianet.org. 22.02.2016.URL: http://russian.eurasianet.org/node/62881

[9] ო. სამოილოვა, დ. ალექსანდროვი, საქართველოსა და „გაზპრომს“ შორის გარიგება ორივე მხარისთვის მომგებიანია // ვზგლიადი. საქმიანი გაზეთი 12.01.2017. URL:https://vz.ru/economy/2017/1/12/853000.html

[10] აზერბაიჯანის წყალობით საქართველო რფ-დან გაზს აღარ საჭიროებს //Azer.az. 05.04.2016. URL: http://aze.az/news_blagodarya_azerbaydzhanu__129817.html

[11] SOCAR საქართველოში გაზის მიწოდებას გაზრდის და ფასებს // SPUTNIK. 4 მარტი 2016. URL: http://ru.sputnik.az/economy/20160304/404031245.html#ixzz4A702CUBf

შესყიდვებისთვის ფასმა ნამდვილად დაიკლო და 1000 მ3-ისთვის 237 დოლარი შეადგინა[12].

მესამე, „გაზპრომისგან“ შესყიდვების გაზრდის იდეას საქართველოს მოსახლეობის ნაწილი, რომელიც 2008 წლის მოვლენათა გათვალისწინებით ფიქრობს, რომ გარიგებამ შეიძლება გარკვეულწილად ქვეყნის სუვერენიტეტს შეუქმნას საფრთხე, შიშით უყურებს. საქართველოს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი კ. კალაძე ამ შიშს უსაფუძვლოდ მიიჩნევს – „უკეთეს შემთხვევაში[13] (საქართველოში გაზის იმპორტის საერთო მოცულობაში იმპორტის რუსეთისეული წილი) 10%-დან 12%-მდე გაიზრდება“, – განაცხადა მან და დაამატა, რომ რუსეთიდან მოწოდებულ გაზს მხოლოდ კორპორატიულ მომხმარებელთა ვიწრო წრე მიიღებდა[14].

მეოთხე, საერთაშორისო სანქციებისგან ნაწილობრივ გათავისუფლებული თეირანი სომხეთის ტერიტორიის გავლით საქართველოში ყოველდღიურად[15] 14 მლნ მ^3 გაზის მიწოდების წინადადებით გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ „გაზპრომის“ კონტროლის ქვეშ მყოფი ირან-სომხეთის მილსადენის გამტარუნარიანობა წელიწადში დაახლოებით 1,1 მლრდ მ^3 შეადგენს. მილსადენის ახალი შტოს მშენებლობის გარეშე თბილისი თეირანის წინადადებით სარგებლობას ვერ შეძლებს. მეტიც, ირანის ხაზის ტრანსპორტირებისთვის სომხეთის ტერიტორიის გამოყენებამ შესაძლოა აზერბაიჯანთან ურთიერთობის სერიოზული გამწვავება გამოიწვიოს. აზერბაიჯანული მასობრივი საინფორმაციო საშუალებით კი პირდაპირ საპირისპირო ინფორმაცია გაჩნდა ირანიდან საქართველოში გაზის ექსპორტისთვის ოპტიმალური სატრანზიტო ზონის სახით აზერბაიჯანის ტერიტორიის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

მოსკოვსა და თბილისს შორის თანამშრომლობის სხვა მიმართულებად ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა იქცა. ბოლო წლების განმავლობაში რუსეთი საქართველოში დიზელის საწვავის სტაბილურ ექსპორ-

---

[12] ო. სამოილოვა, დ. ალექსანდროვი, საქართველოსა და „გაზპრომს“ შორის გარიგენა ორივე მხარისთვის მომგებიანია // ვზგლიადი. საქმიანი გაზეთი.12.01 2017. URL:https://vz.ru/economy/2017/1/12/853000.html

[13] ვ. დავტიანი – გაზსადენი ირანი-სომხეთი: ევროკავშირში არშემდგარი ტრანზიტი // ИА «REX».01.06.2016. URL: http://www.iarex.ru/articles/52668.html

[14] გ. ლომსაძე. ირანი საქართველოს ენერგეტიკული ღვეზლისთვის ბრძოლაში ებმება? // Eurasianet.org. 22.02.2016.URL:http://russian.eurasianet.org/node/62881

[15] გ. ლომსაძე. ირანი საქართველოს ენერგეტიკული ღვეზლისთვის ბრძოლაში ებმება? // Eurasianet.org. 22.02.2016.URL:http://russian.eurasianet.org/node/62881

ტს ახორციელებს. რუსსტატის მონაცემებით, 2014 წლიდან 2017 წლის პირველ კვარტლამდე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების (გარდა ნედლისა) ექსპორტმა საერთო წონით 690 ათასი ტ. 290 მლნ დოლარი შეადგინა[16].

საქართველოს ჰიდროენერგეტიკული სექტორი და რუსეთთან ორმხრივი თანამშრომლობა

ჰიდროენერგეტიკის სფეროში რუსეთისა და საქართველოს თანამშრომლობა უფრო ფართოდ და ეფექტურად წარმოგვიდგება. საქართველო, რომელსაც საკუთარი თბოენერგეტიკული რესურსები არ გააჩნია, ჰიდრორესურსებით არის მდიდარი, რაც საწვავის უკმარისობის კომპენსაციას ახდენს. ქვეყნის ტერიტორიაზე 26 ათასი მდინარე მიედინება[17], თუმცა მათგან მხოლოდ ნაწილია ათვისებული. საქართველოში მუშაობს 4 მსხვილი ჰიდროელექტროსადგური – თბილისის (1700 მგვტ) და ტყვარჩელის (220 მგვტ), „ენგურის“ (1300 მგვტ), „ვარდნილი“ (220 მგვტ) და რიგი მცირე ჰესებისა.

საქართველო ჰიდროენერგეტიკის განვითარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. „იმისთვის, რომ მსოფლიოს სწრაფი განვითარებისგან განზე არ დავრჩეთ, განვითარებული ინდუსტრია, მატერიალური რესურსები და, შესაბამისად, მეტი ენერგია გვესაჭიროება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ჰიდროელექტროსადგურები აშენდეს, მაგრამ გონივრულად. ჩვენ ყველა პროექტს მაქსიმალურად დაკვირვებით ვსწავლობთ და მხოლოდ ამის შემდეგ ვღებულობთ გადაწყვეტილებებს“, – განაცხადა საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ი. ღარიბაშვილმა[18].

2017 წლის აპრილში დაღესტნის ჰესი ამუშავდა, რომელიც ყაზბეგის რაიონში, დარიალის ხეობაში, მდინარე თერგზე მდებარეობს. ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე 108 მეგავატს, წლიურად გამომუშავებული ელექტროენერგია კი 510 მლნ კვტ/ს-ს შეადგენს[19]. ასევე მდინარე

---

[16] რუსეთიდან საქართველოში ექსპორტი // Ru-stat. URL: http://ru-stat.com/date-Q201401-201701/RU/export/GE/052710

[17] საქართველოს ყველაზე დიდი მდინარეები // სპუტნიკი-საქართველო. 13.03.2015. URL: https://sputnik-georgia.ru/reviews/20170314/235197660/Samye-bolshie-reki-Gruzii.html

[18] საქართველოს ენერგეტიკაში სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 522 მლნ დოლარია ჩადებული // სპუტნიკი-საქართველო. 21.12.2015. URL: https://sputnik-georgia.ru/economy/20151221/229551299.html

[19] საქართველომ რფ-ს საზღვართან ახლოს ჰესი აამუშავა.. 08.04.2017. URL: http://ru.gpb.ge/?page=detail&id=9528

აჭარისწყალზე ორი კაშხალი და ორი წყალსაცავი აშენდა. პროექტის ჯამურმა ღირებულებამ 416 მლნ დოლარი შეადგინა[20]. მეტიც, ჰოლდინგ „ატომენერგომარშ"-ში შემავალი კორპორაციის „როსატომის" უნგრულ საწარმო – Ganz EEM-ში საქართველოსთვის პირველი მინიჰესი დამზადდა. კონტრაქტის პირობების თანახმად, ქართული კომპანია International Energy Corporation LTD მინიმალური სიმძლავრით 06-დან 2 მგვტ საპილოტე სადგურსა და შემდგომ კიდევ რამდენიმე მინიჰესს შეიძენს[21].

2013-2017 წწ. ექსპლუატაციაში 18 ჰიდროელექტროსადგური (ჰესი), ორი თბოელექტროცენტრალი (თეც) და ერთი ქარის ელექტროსადგური ჩაბარდა. ყველა ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრემ 783 მგვტ შეადგინა, მათმა ინვესტიციურმა ღირებულებამ კი – 1,2 მლრდ დოლარი. შემუშავების პროცესშია ასევე 145 პროექტი, მათ შორის ლიცენზიის მიღებისა და მშენებლობის ფაზაში – 43 ელექტროსადგური, რომელთა დადგენილი სიმძლავრეც 1457 მეგავატს, საინვესტაციო ღირებულება კი 2,5 მლრდ დოლარს შეადგენს[22].

ქვეყნის ერთ-ერთი გრძელვადიანი ეკონომიკური ამოცანა საქართველოს ენერგეტიკული კომპლექსის იმპორტ-ექსპორტის ოპერაციებში ჩართვა და ენერგოშემცვლელების ტრანზიტი წარმოადგენს. განსაკუთრებულ აქტუალობას იმ სისტემების განვითარება იძენს, რომლებმაც ელექტროგადადინებები უნდა განახორციელოს. საქართველოს ენერგოსისტემების მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებთან შემაერთებელი ინფრასტრუქტურების რეაბილიტაციამ, ასევე ახალი ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობამ ხელი უნდა შეუწყოს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ნამატი ჰიდროელექტროენერგიის ექსპორტის ზრდას, ასევე რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან ელექტროენერგიის ტრანზიტის გაფართოება და შავი ზღვისპირეთის რეგიონში ელექტროენერგიით ვაჭრობის სტიმულირება მოახდინოს.

---

[20] В Грузии завершилось строительство самой крупной ГЭС // Новости-Грузия. 24.06.2017. URL: https://www.newsgeorgia.ge/v-gruzii-zavershilos-stroitelstvo-krupnejshej-chastnoj-ges/

[21] ნგრეთის ქარხანა „როსატომში" საქართველოსთვის მინიჰესი დამზადდა // SPUTNIK. 23.06.2017. URL:https://sputnik-georgia.ru/economy/20170623/236399154/Mini-GJeS-dlja-Gruzii-izgotovlena--vVengrii-na-zavode-Rosatom.html

[22] საქართველოს ენერგეტიკა: პროგრესი 4,5 წლის განმავლობაში // SPUTNIK. 06.07.2017. URL: https://sputnik-georgia.ru/economy/20170706/236543173/Jenergetika-Gruzii-progress-za-45-goda.html

დღესდღეობით ელექტროენერგიის დეფიციტი მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებიდან გადმოდინების ხარჯზე იფარება. საქართველო მეზობელ ელექტროსისტემებთან მძლავრი ელექტროგადამცემი ხაზებით არის დაკავშირებული: აზერბაიჯანთან – „ქსანი – აზერბაიჯანის სრეს-ი“, „თბილისის სრეს-ი – აღსტაფა“; სომხეთთან – „თბილისის სრეს-ი – ალავერდი“; რუსეთთან – „ენგურის“ ჰესი – „ცენტრალური“, „ბზიფი – ფსოუ“[23]; თურქეთთან – „ბათუმი – ხოფა“.

საკუთარი წარმოება და მეზობელი ელექტროსისტემებიდან გადმოდინება უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურ და შეუფერხებელ ელექტრომომარაგებას.

ელექტროენერგიის გადადინების სფეროში რუსეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას აფხაზეთი წარმოადგენს. მიუხედავად ამ ტერიტორიის სტატუსის საკითხთან დაკავშირებით პოზიციათა სხვადასხვაობისა, თანამშრომლობა 2008 წლის საომარი მოქმედებების დროსაც კი არ შეწყვეტილა. საქართველო აფხაზეთისთვის რუსეთისგან ელექტროენერგიის დამატებით მოცულობას ყიდულობს. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის, მ. ვალიშვილის სიტყვებით, „ენგურის“ ჰესი საქართველოს მხარეს ყოველწლიურად 100 მლნ დოლარი უჯდება[24]. ამ ღირებულებაში შედის არა მარტო საქართველოს მხარის ტერიტორიაზე არსებული კაშხლის შენახვა, არამედ ჰესის გარშემო ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის შენახვისთვის საჭირო ყველა თანმდევი სამუშაო.

2016 წელს სიტუაცია როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე „ენგურჰესის“ წყალსაცავში წყლის რაოდენობის შემცირების გამო გამწვავდა. 1992 წელს ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის „ენგურის“ ჰესის გამომუშავებული ელექტროენერგიის გაყოფის თაობაზე მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ელექტროენერგიის 60%, ხოლო აფხაზეთს კი 40% მიეწოდებოდა[25]. მაგრამ ბოლო წლებში აფხაზეთი ელექტროენერგიის შეთანხმებულ მოხმარებას აჭარბებს, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, როდე-

[23] 2008 წლიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ რუსეთი თვლის, რომ ლაპარაკია რუსეთ-აფხაზეთის ელექტროგადამცემ ხაზზე.

[24] ნ. ჩარკვიანი, საქართველო აფხაზეთს ელექტროენერგიის მიწოდებით დაეხმარება// ამერიკის ხმა.18.02.2016. URL: https://www.golos-ameriki.ru/amp/nc-georgia-abkhazia/3196635.html

[25] ნ. ჩარკვიანი, საქართველო აფხაზეთს ელექტროენერგიის მიწოდებით დაეხმარება// ამერიკის ხმა.18.02.2016. URL: https://www.golos-ameriki.ru/amp/nc-georgia-abkhazia/3196635.html

საც ის „ენგურჰესის“ გამომუშავებული ელექტროენერგიის თითქმის 100%-ს იღებს.

2017 წლის იანვარში საქართველოს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, კ. კალაძისა და რუსეთის კომპანია რუს „ჩერნომორენერგოს“ წარმომადგენლების შეხვედრა ჩატარდა, რომლის მსვლელობისასაც მხარეებმა „ენგურის“ ჰესზე სარემონტო სამუშაოების საკითხები განიხილეს. ვარაუდობდნენ, რომ 2017 წელს სამი-ოთხი კვირით და 2018 წელს სამი-ოთხი თვით სადგური ელექტროენერგიის გამომუშავებას შეწყვეტდა. 2017 წლის თებერვალში ჰიდროელექტროსადგურის დერივაციული გვირაბის მდგომარეობის შესამოწმებლად[26] და 2018 წელზე გათვლილი სარემონტო სამუშაოების შესაბამისი გეგმის მოსამზადებლად „ენგური“ ჰესის მუშაობა გაჩერდა. სადგურის ფუნქციონირების შეწყვეტის დროს ელექტროენერგიის დეფიციტი აფხაზეთში რუსეთისა და საქართველოს ენერგოსისტემების ხარჯზე ივსებოდა, რაც, შესაბამისად, 60% და 40%-ს შეადგენდა[27]. სავარაუდოდ, 2018 წელს ჰესის რემონტის პერიოდში ელექტროენერგიის დეფიციტის შევსება იმავე პრინციპით განხორციელდება.

კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ფასების მნიშვნელოვანი სხვაობა, რომელსაც „ენგურის“ ჰესი აღმოსავლეთ საქართველოში კახეთის რეგიონსა და აფხაზეთს აწვდის. აფხაზეთში აბონენტები კილოვატ ელექტროენერგიაზე მინიმუმ 15-ჯერ ნაკლებს იხდიან, ვიდრე საქართველოში. ამასთან, ელექტროენერგიის საფასურს მოსახლეობის მხოლოდ 30% იხდის. „ენგური“ ჰესის გენერალური დირექტორის, ლ. მებონიას სიტყვებით, თუკი აფხაზეთში უახლოეს პერიოდში მრიცხველების დაყენებითა და ასევე მისი საფასურის აკრეფის გზით ელექტროენერგიის მოხმარების საკითხი არ გადაწყდება, რეგიონი შესაძლოა ელექტროობის გარეშე დარჩეს.

აფხაზეთში ყურადღებას უპირატესად იმაზე ამახვილებენ, რომ რეგიონში ენერგოკრიზისის გადაჭრა რუსეთიდან ელექტროენერგიის მიწოდების საშუალებით შეიძლება[28].

---

[26] ჰეს-ზე წყალსაცავიდან ტურბინებამდე წყლის მისაწოდებლად 15-კილომეტრიანი დერივაციული გვირაბის რემონტია საჭირო. პროექტის ღირებულება 35 მლნ დოლარად ფასდება.

[27] „ენგურის“ ჰესმა მუშაობა შეწყვიტა // SPUTNIK. 21.02.2017. URL: https://sputnik-georgia.ru/economy/20170221/234970971/Inguri-GJeS-prekratila-rabotu.html

[28] ნ. ჩარკვიანი – საქართველო აფხაზეთს ელექტროენერგის მიწოდებით დაეხმარება// ამერიკის ხმა. 18.02.2016. URL: https://www.golos-ameriki.ru/amp/nc-georgia-abkhazia/3196635.html

კომპანია „ჩერნომორენერგომ“ აფხაზეთის ენერგეტიკული სფეროს განვითარების პროგრამა შეიმუშავა, რომლის რეალიზაციაც, სავარაუდოდ, 2018 წელს დაიწყება და 2026 წელს დასრულდება[29].

გამანაწილებელ ქსელებზე კომპანიის დირექტორის მოადგილემ, ვ. პენტიუხოვმა, აღნიშნა, რომ პროგრამის დაფინანსება რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით იგეგმება. „ამორჩეულია რესპუბლიკის ენერგოსისტემების განვითარების სქემა, რომელიც ქსელების „ვარდნილი“ ჰესიდან ქალაქ სოხუმის ტერიტორიაზე მდებარე, ქვესადგურ „სოხუმი-220“-მდე მშენებლობას და ენერგიის „ბზიფი-220“-მდე გადაცემას ითვალისწინებს“[30].

გარდა ამისა, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ (GSE) რუსეთიდან სომხეთში ტრანზიტული დერეფნის ფუნქციის შესრულება დაიწყო. ელექტროენერგიის ტრანზიტის სიმძლავრე დღე-ღამეში 30 მეგავატს შეადგენს.

საქართველოში ჯგუფ „ინტერ რას“-ს მიერ ექსპორტირებული ელექტროენერგიის მოცულობა 2017 წლის პირველი ნახევარი წლის შედეგებით 44,4%-ით – 2016 წლის პირველ კვარტალში მოწოდებული 387 მლნ კვტ/ს-დან 2017 წლის პირველ ნახევარში 215 მლნ კვტ/ს-მდე შემცირდა. შექმნილი სიტუაცია ბაზრის კონიუნქტურით აიხსნება. საქართველოდან რუსეთში ელექტროენერგიის იმპორტი იმავე პერიოდში, პირიქით, 29,1%-ით, შესაბამისად, 144 მლნ კვტ/ს-დან 186 კვტ/ს-მდე გაიზარდა[31].

სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკის სფეროში ურთიერთქმედების მრავალმხრივი ფორმატის ჩარჩოებში საქართველსა და რუსეთის თანამშრომლობა.

ელექტროენერგეტიკის სფეროში მრავალმხრივი თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზეც ვითარდება. 2015 წლის დეკემბერში საქართველოს, ირანისა და სომხეთის ენერგეტიკის მინისტრებმა და

[29] რ. ჯოფუა, აფხაზეთის ენერგეტიკის განვითარების პროგრამის დაწყება 2018 წელს იგეგმება. // SPUTNIK. 08.06.2017. URL: http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20170608/1021222488/programmu-razvitiya-energetiki-abxazii-planiruetsya-nachat-v-2018-godu.html

[30] რ. ჯოფუა, აფხაზეთის ენერგეტიკის განვითარების პროგრამის დაწყება 2018 წელს იგეგმება. // SPUTNIK. 08.06.2017. URL: http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20170608/1021222488/programmu-razvitiya-energetiki-abxazii-planiruetsya-nachat-v-2018-godu.html

[31] „ინტერ რა“-მ 2017 წელს პირველ ნახევარ წელიწადში ელექტროენერგიის ექსპორტი 5%-ით შეამცირა და მისი იმპორტი 3-ჯერ გაზარდა // BigPowerNews. 15.07.2017. URL: http://www.bigpowernews.ru/markets/document78337.phtml

სსს „რუსეთის ქსელების“ გენერალურმა დირექტორმა ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომელიც ვაჭრობის ერთობლივ განვითარებას, ელექტროენერგიის ტრანზიტის უზრუნველყოფასა და სამხრეთ კავკასიაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის აგებას გულისხმობს. მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ შეიქმნებოდა საკოორდინაციო საბჭო და ასევე იმაზე, რომ მუშაობას დაიწყებდნენ რეგიონულ სადისპეტჩერო ცენტრზე. მიღებულმა ზომებმა ხელი უნდა შეუწყოს ელექტროსისტემათა ეფექტურ მუშაობასა და კრიზისულ და საგანგებო მდგომარეობებში სწრაფ რეაგირებას. მემორანდუმი სამუშაო ჯგუფის შექმნას გულისხმობს, რომელმაც 2018 წლამდე პროექტების რეალიზაციისთვის აუცილებელი ტექნიკური და ნორმატიული პირობები უნდა შექმნას[32].

სსს „რუსეთის ქსელების“ ყოფილი ხელმძღვანელის, ო. ბუდარგინის აზრით, „თანამედროვე ტექნოლოგიები და ეკონომიკა საშუალებას გვაძლევს, ენერგეტიკულ სისტემებს შორის თანამშრომლობა გავაღრმაოთ. ჩვენი კომპანიისთვის პროექტი არა მარტო ტექნოლოგიური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც ხელსაყრელია. ენერგეტიკული დერეფანი – რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანი – მონაწილე ქვეყნებს შორის ელექტროენერგიის გადადინების სტრატეგიული მარშრუტი იქნება“[33]. „რუსეთს უკვე აქვს საქართველოსთან ძალიან სერიოზული პროექტები, რომლითაც რუსეთის ფედერაციის ენერგოსისტემა უკვე სინქრონულ და პარალელურ რეჟიმში მუშაობს. ახლა თანამშრომლობის სამხრეთ მეზობლებზე გავრცელებაც შესაძლებელი გახდება“[34].

2016 წლის აპრილში სომხეთის ენერგეტიკის მინისტრმა – ლ. იოლიანმა, ირანის – ხ. ჩიტჩიანმა, რუსეთის – ა. ნოვაკმა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ – ი. ელოშვილმა ურთიერთგაგებისა და „საგზაო რუკის“ შესახებ „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ ენერგეტიკული დერეფნის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომელიც რუსეთის, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა და ირანის ენერგოსისტემების გაერთიანებას ვარაუდობს. „საგზაო რუკით“ მხარეთა ქმედებების გრა-

[32] საქართველომ, რფ-მ, ირანმა და სომხეთმა ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობაზე მოილაპარაკეს. // ახალი ამბები-საქართველო. 24.12.2015. URL: http://www.newsgeorgia.ge/gruziya-rf-iran-i-armeniya-dogovorilis-o-sotrudnichestve-v-energetike/

[33] რფ, საქართველო, ირანი და სომხეთი 1200მეგავატამდე სიმძლავრის გადადენებით ენერგოდერეფნის შექმნით თავიანთი ენერგოსისტემების სინქრონიზებას აპირებენ // BigPowerNews. 11.01.2016. URL: http://www.bigpowernews.ru/markets/document68143.phtml

[34] იქვე.

ფიკი 2019 წლამდეა დადგენილი. დაწყებულია მშენებარე ელექტროგადამცემი ხაზების ექსპლუტაციაში შეყვანის მომენტამდე რეგიონული თანამშრომლობის მარეგულირებელი საბუთების მომზადებაც. პროექტმა ქვეყნებს ინფრასტრუქტურის კომერციული პროექტებისთვის, სეზონური გადადინებისთვისა და გაცვლითი (swap) ვაჭრობისთვის გამოყენების საშუალება უნდა მისცეს. სომხეთის ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილემ ა. გალსტიანმა განმარტა, რომ ქვეყნის ენერგოსიმძლავრეები შიდა მოხმარების მოცულობას აჭარბებს, თუმცა მათი კონკურენტუნარიანობა სეზონურ გარემოებათა მიხედვით იცვლება. ასე, გაზაფხულობით საქართველოს ჰესების გამომუშავებული ელექტროენერგია იაფდება და სომხეთს თავისი თბოელექტროსადგურის გაჩერებისა და ელექტროენერგიის საქართველოსგან ყიდვის საშუალება ეძლევა, ზამთარში კი პირიქით – თბილისისთვის თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდების. ასეთი შესაძლებლობები არსებობს ენერგოდერეფნის მონაწილე სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობაშიც.

2016 წლის სექტემბერში ქალაქ ბათუმში ხელი მოეწერა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (ტედ) პროექტის შემუშავებაზე შეთანხმებასა და მისი განხორციელების ზომებს. რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელის, ა. ნოვაკის, სიტყვებით, „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ ენერგოდერეფნის ტედ-ი, რომელიც ერთმანეთთან რუსეთს, საქართველოს, სომხეთსა და ირანს დააკავშირებს, 2017 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში იქნებოდა მზად[35].

რეგიონის ქვეყნები ახალ ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემ ხაზებს რეგიონში ენერგოდერეფნებთან ყოველგვარი ბმის გარეშეც აშენებენ. პირველმა ელექტროგადამცემმა ხაზმა „სომხეთი-საქართველო“ (400 კვტ), რომლის შესახებ შეთანხმებასაც ხელი 2014 წელს მოეწერა, ქვეყნებს შორის ტრანსსასაზღვრო გადადინება სამჯერ გაზარდა. პროექტი ბანკ KfW-ის მიერ 85 მლნ. ევროს ოდენობით გამოყოფილი კრედიტით განხორციელდა. 2017 წელს სომხეთსა და საქართველოს შორის ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა დაიწყო. სომხეთსა და საქართველოს შორის ელექტროენერგიის გაცვლა პირველ ეტაპზე 350

[35] ნოვაკი: ტედ-ი პროექტისა „ჩრდილოეთ-სამხრეთი“ მზად 2017 წელს იქნება. // Allpetro.ru. URL: https://allpetro.ru/novak-teo-proekta-sever-yug-budet-gotovo-v-2017/

მეგავატს შეადგენს. მომავალში მისი გაზრდა 750 მეგავატამდე იგეგმება[36].

მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ 10 მლნ ევროს ოდენობით დამატებითი თანხის გამოყოფასა და ევროკომისიის მიერ ამავე თანხის გრანტის მიღებაზე. კიდევ ერთი ელექტროგადამცემი ხაზი (500 კვტ) რუსეთის მიმართულებით შენდება[37]. ეს საქართველოს არა მარტო ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების, არამედ თავისი სატრანზიტო შესაძლებლობების გაფართოების საშუალებასაც მისცემს.

ენერგეტიკის საკითხებში ქართველი ექსპერტის, გ. ხუხაშვილის, აზრით, ოთხმხრივი თანამშრომლობის აღმოცენება ირანისთვის სანქციების მოხსნის წყალობით გახდა შესაძლებელი. ერევანში ელექტრომატარებლების ტრანზიტისა და გაცვლის სხვადასხვა ვარიანტები განიხილებოდა, მათ შორის სქემის – „გაზი ელექტრენერგიის სანაცვლოდ“ გაფართოების საკითხიც, რომლის შესაბამისადაც ირანი სომხეთს დამატებით გაზს მიაწვდის[38]. მაგრამ ასეთი სცენარი აზერბაიჯანის მიერ ნეგატიურად აღიქმება. ბაქომ სომხეთის მონაწილეობის გამო და, ასევე, მილსადენების არასაკმარისი სიმძლავრის მიზეზით მოლაპარაკებებზე უარი თქვა. თუმცა 2016 წლის ბოლოს სომხეთსა და ირანს შორის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა დაიწყო, რომელმაც ურთიერთელექტროგადადინება 1200 მეგავატით უნდა გაზარდოს[39].

დასკვნები და წინადადებები რუსეთ-საქართველოს ენერგეტიკული დიალოგის გაფართოების თაობაზე

გადაუწყვეტელი პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის შედეგად გაჩნდა, გაზის სფეროში რუსეთისა და საქართველოს თანამშრომლობას მნიშვნელოვანწილად აფერხებს. ამასთან, ზოგიერთი მესამე ქვეყანა – რეგიონული და გლობალური აქტორი – გაზის სფეროში რუსეთ-საქართველოს შორის არსებული მდგო-

[36] დაანონსებულია ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა სომხეთსა და საქართველოს შორის// კავკასიური კვანძი. 29.12.2016. URL: http://www.kavkaz-uzel.eu/articles/295142/

[37] ლ. ვარგმანიანი, გ. დვალი. ენერგოდერეფნის რუკით// Коммерсант.ru. 14.04.2016. URL: https://www.kommersant.ru/doc/2962982

[38] იქვე.

[39] დაანონსებულია ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა სომხეთსა და საქართველოს შორის// კავკასიური კვანძი. 29.12.2016. URL: http://www.kavkaz-uzel.eu/articles/295142/

მარეობისა და საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე თავისი პოზიციის შენარჩუნებითაა დაინტერესებული. ასეთ პირობებში საქართველოს ბაზარზე „გაზპრომის“ გაფართოების შესაძლებლობები მინიმალურია. თუმცა, საქართველოს ტერიტორიის გავლით სომხეთში გაზის ტრანზიტი, როგორც სამივე ქვეყნისთვის მომგებიანი ეკონომიკური პროექტი, შენარჩუნდება.

უფრო ეფექტურად ვითარდება ჰიდროენერგეტიკაში რუსეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, რუსეთიდან საქართველოში სახელმწიფოთაშორის გადადინებასა და საქართველოს ტერიტორიის გავლით ელექტროენერგიის ტრანზიტით გამოიხატება. ყველაზე რთულ საკითხს აფხაზეთში ელექტროენერგეტიკული სიტუაცია წარმოადგენს. ელექტროენერგიის აღრიცხვისა და საქართველოსა და აფხაზეთს შორის მისი განაწილების საკითხის, ასევე აფხაზური მხარის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის გადახდა რუსეთის ჩართულობის გარეშე შეუძლებელია. მოსკოვი საქართველოს არა მხოლოდ აფხაზეთისთვის მისაწოდებელ ელექტროენერგიას მიჰყიდის, არამედ მოლაპარაკების პროცესში აფხაზურ მხარეზე გავლენის მოხდენაც შეუძლია.

ამ საკითხების გადასაჭრელად მნიშვნელოვანი როლი ენერგეტიკაში რუსეთ-საქართველოს ტექნიკური, საზოგადოებრივი საბჭოს შექმნამ შეიძლება ითამაშოს. საბჭო სპეციალისტებს საშუალებას მისცემს, თავის დარგში ორმხრივი ურთიერთქმედების საკითხები განიხილონ. ასეთი საბჭოსთვის პლატფორმად შესაძლოა რუსეთის ფედერაციის საავჭრო-სამრეწველო პალატა იქცეს.

მიზანშეწონილად წარმოგვიდგება აფხაზეთის მთავრობასთან მოლაპარაკება ქსელური მეურნეობის რეაბილიტაციის საქმეში მისი ჩართვის საკითხთან დაკავშირებით. ასეთი მუშაობის გაწევაში დახმარება შეუძლია რუსეთს. ეს შესაძლებელს გახდის, შეიქმნას ელექტროენერგიის აღრიცხვის მაღალეფექტური სისტემა და, შესაბამისად, შემცირდეს ტექნიკური და კომერციული დანაკარგები, ამაღლდეს როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთის ენერგომომარაგების საიმედოობა. ასევე, შესაძლებელი გახდება, აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის ზედმეტობა, მისი გაყიდვა და სარგებლის მიღება გამოვლინდეს. მოსახლეობაში ელექტროენერგიის აღრიცხვის სრულმასშტაბიანი სისტემის უპირატესობაზე ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება მნიშვნელოვან სარგებელს მოიტანს.

ირანისთვის სანქციების ნაწილობრივ მოხსნასა და „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ დერეფნის შექმნასთან დაკავშირებით რუსეთ-საქართველოს კონსულტაციების დღის წესრიგში აუცილებელია თეირანთან შესაძლო ენერგეტიკული თანამშრომლობის საკითხიც შევიდეს.

დავით მირცხულავა

ზოგიერთი მოსაზრება 2030 წლამდე საქართველოს ენერგეტიკის ინტენსიურ განვითარებასთან დაკავშირებით

ენერგეტიკა ის დარგია, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეს. თანამედროვე სამყაროში ელექტროენერგია განეკუთვნება არა მარტო ყოველდღიური მოხმარების საგანს, არამედ ის მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის ყოფიერებას, იმავდროულად, მისი მიწოდების წყვეტადობა დიდ რისკებს უქმნის ადამიანების ჩამოყალიბებულ ცხოვრების წესს და ხარისხს. არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ის იყოს მიზეზი გარკვეული ტიპის ტექნოგენური კატასტროფებისაც. უნდა ითქვას, რომ ქვეყნების ენერგომოხმარების დონე ობიექტური და ადექკვატური პარამეტრია ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარების დასახასიათებლადაც. ელექტროენერგიის მოხმარების დონე ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორებიცაა ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი, აშშ, ავსტრალია, სამხრეთ კორეა, იაპონია, ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი და ა. შ. მრავალჯერ აღემატება საქართველოში ერთ სულზე ელექტროენერგიის მოხმარებას.არა მარტო ეს ძალიან წარმატებული ქვეყნები, არამედ აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის ელექტროენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე მნიშვნელოვნად აჭარბებს საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს.

ზოგადად, ელექტროენერგიის მოხმარების დონე თითქმის ყოველთვის კორელაციაშია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პარამეტრებთან. საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ჩატარდა საკმაოდ ბევრი კვლევა, სადაც განხილულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროგნოზული მაჩვენებლები და შესაბამისი ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის ტემპები წლების მიხედვით. ცხრილში მოცემულია ამ კვლევათა შედეგების შეჯერებული, გასაშუალოებული ვარიანტი:

საქართველოში ეკონომიკური ზრდისა და ელექტროენერგიის მოხმარების სამი სცენარის შედარება

სცენარი	მშპ-ს მდგრადი ზრდა	მოსახლეობა 2030 წელს	მოთხოვნის ზრდა 2013-2021	მოთხოვნის ზრდა 2021-2030	საქართველოში მოთხოვნის ზრდის სცენარი (მლრდ.კვტ/სთ) 2030 წელს
სწრაფი ზრდა	6.0%	5.23 მლნ	8.7%	3.8%	27
ზომიერი „რეალისტური“ ზრდა	5.0%	5.01 მლნ	5.3%	3.3%.	20
შენელებული ზრდა	4.7%.	4.83 მლნ	3.4%	3.1%	17

მოცემული ცხრილიდანაც აშკარად ჩანს, რომ საქართველომ აუცილებლად უნდა მოახერხოს ახალი გენერაციის ობიექტების მეტად სწრაფი განვითარება, რაც ასევე მნიშვნელოვანია ენერგოდამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, გნებავთ, მისი პარამეტრების საფუძვლიანი გაუმჯობესებისთვის და ასევე იმისთვის, რომ მყარი ინფრასტრუქტურული საფუძველი შეექმნას ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ზრდას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ცხრილში მოცემული სწრაფი ეკონომიკური ზრდის პირობებშიც კი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა 2030 წლისათვის გაუტოლდება მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი წარმატებული ქვეყნის დღევანდელ ეკონომიკურ პარამეტრებს და ასევე მიღწეული იქნება ამ ქვეყნების დღევანდელი მაჩვენებლები ელექტროენერგიის მოხმარებასთან დაკავშირებით ერთ სულ მოსახლეზე. 2030 წლისათვის ეს, ალბათ, არ არის საუკეთესო, უფრო სწორად, ყველაზე საოცნებო მაჩვენებელი ჩვენი ქვეყნისათვის, მისი მოსახლეობისათვის, მაგრამ ასეთია რეალობა.

ელექტროენერგიის გენერაციის ობიექტების ზრდის აუცილებლობა არა მარტო ქვეყნის მომავალი ეკონომიკური ზრდის აუცილებლობითაა ნაკარნახევი, არამედ საქართველოში არსებული გენერაციის „პარკიც“ მისი დღევანდელი მდგომარეობაც მოითხოვს ინტენსიურ „განახლებას“. ჰიდროსადგურების მნიშვნელოვანი ნაწილის „ხანდაზმულობა“ აჭარბებს 60-80 წელს, ხოლო თბოელექტროსადგურების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურადაც და მორალურადაც მოძველებულია, ქვეყანაში მხოლოდ ერთი კომბინირებული ციკლის თბოსადგურია (230 მგვტ), რომელიც ახლახან შევიდა ექსპლუატაციაში. მისი ეფექტურობა 54%-ს

აღწევს და ის მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს მსოფლიოში ამ ტიპის ობიექტებისათვის წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს.

არის ერთი დიდი პრობლემა, რომელიც ქართულ ენერგეტიკაში არსებობს და ის დაკავშირებულია საქართველოში უდიდესი გენერაციის წყაროს, „ენგურჰესის“ (1300 მგვტ) მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი (271,5) თაღოვანი კაშხლის ექსპლუატაციასთან. მიგვაჩნია, რომ ამ ყველაზე დიდ ობიექტზე, რომლის ფუნქცია განსაკუთრებულია ქართულ ენერგეტიკაში და მის წინაშე არსებულ პრობლემებზე, რამდენიმე სიტყვა დამატებით აუცილებლად უნდა ითქვას.

ამ უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის თაღოვანი კაშხალი წყალსაცავით და 14 კმ-იანი დერივაციული გვირაბის 7 კმ–იანი მონაკვეთი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ხოლო ჰესის შენობა და გვირაბის დარჩენილი მონაკვეთი - გალის რაიონის ტერიტორიაზე.

1993 წელს ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის შედგა შეთანხმება „ენგურჰესზე“ გამომუშავებული ენერგიის განაწილების შესახებ შემდეგი პროპორციით: ქართული მხარე - 60%, აფხაზური მხარე - 40%. იმის გამო, რომ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში აფხაზეთში ელექტოენერგიის მოხმარება საგრძნობლად გაიზარდა, აფხაზური მხარე იღებს 40%-ზე გაცილებით მეტ ელექტროენერგიას, მაგალითად, ზამთრის პერიოდში აფხაზური მხარე იღებს „ენგურჰესზე“ გამომუშავებული ენერგიის თითქმის 100%-ს. 2016 წლის ზამთარში აფხაზეთის სრულ ენერგომომარაგებას დიდი პრობლემები შეექმნა და ეს სხვადასხვა ფაქტორით იყო გამოწვეული. 2015 წელს „ენგურჰესის“ წყალსაცავის შევსებას საკმაო სიძნელეები შეუქმნა მცირეწყლიანმა ჰიდროლოგიურმა წელმა. დიდი გვალვის გამო ვერ მოხერხდა ჯვრის წყალსაცავის შევსება და ამან გამოიწვია გამომუშავების შემცირება როგორც „ენგურჰესზე“, ასევე „ვარდნილჰესზე“. აფხაზური მხარის მიერ კრიზისული ენერგომომარაგების დარეგულირებას ხელი ვერ შეუწყო ა. წ. 25 იანვრიდან აფხაზური მხარის მიერ დაწესებულმა ელექტროენერგიის ე. წ. „მარაოსებურმა“ გათიშვებმა. ამ კრიზისულ სიტუაციაში საქართველოს მთავრობამ ოპერატიულად მიიღო გადაწყვეტილება, დაეწყო ელექტროენერგიის დამატებითი მოცულობის იმპორტი რუსეთიდან და სწორედ ამ ღონისძიებით დარეგულირდა აფხაზური მხარის ელექტროენერგიით მომარაგების უმწვავესი საკითხი.

სამწუხაროდ, ეს პრობლემა მხოლოდ წლევანდელი არ არის, ის სისტემურია და მისი გადაჭრა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომებს და მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარებას. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ აფხაზეთის ელექტროენერგიის მოხმარება იზრდება და, შეიძლება ითქვას, კატასტროფული ტემპებით - ეს მთლიანად იქ არსებული ქსელის უმძიმესი მდგომარეობითაა გამოწვეული. ელექტროენერგიის მომხმარებლის (საყოფაცხოვრებო, კომერციული სექტორის) უდიდეს ნაწილს არ გააჩნია ელექტროენერგიის მრიცხველი. ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდის მაჩვენებელი 30%-ზე ნაკლებია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კვტ-სთ ენერგიაში აფხაზეთში 15-ჯერ ნაკლებს იხდიან, ვიდრე დანარჩენ საქართველოს ტერიტორიაზე, გასაკვირი არ უნდა იყოს ქსელის მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი, საჭირო ფინანსების უდიდესი დეფიციტი. ფაქტობრივად, ეს თანხები არ არსებობს. ქსელის ნაწილში ცვეთის მაჩვენებელი 90%-ია. „ენგურჰესი“ არ იღებს და არც არასოდეს მიუღია აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული.ელექტროენერგიის რაიმე საფასური. რეალურად „ენგურჰესის“ კასკადის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ის ენერგია, რომელსაც ეს სადგური ყიდის საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე და სხვა პირდაპირ მომხმარებელზე. ამ კრიტიკულ სიტუაციაში გამოსავალი მხოლოდ ერთია - აფხაზეთის ტერიტორიაზე ქსელის სრული რეაბილიტაცია, აღრიცხვიანობის მოწესრიგება და „გონივრული ტარიფი“.

როგორც აღინიშნა, ელექტროენერგიის გენერაციის ობიექტების რაოდენობის ინტენსიური ზრდა შემდგომ წლებში მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ქვეყანაში შექმნილ საინვესტიციო კლიმატზე. ნებისმიერი ქვეყნისათვის მისი ენერეგობალანსი განისაზღვრება ქვეყანაში სხვადასხვა ენერგეტიკული წყაროს არსებობით, საკუთარი სათბობ-ენერგეტიკული არსებული ან არარსებული რესურსით, ქვეყნის მდებარეობით, მანძილით ნახშირწყალბადების იმპორტიორ ქვეყნებამდე, წარმოების, ტრანსპორტის, ზოგადად ეკონომიკის განვითარებით და მრავალი სხვა ფაქტორით.

საქართველო, როგორც კარგადაა ცნობილი, არ არის ისეთი ქვეყანა, რომელსაც გააჩნია საკუთარი ნახშირწყალბადის საკმარისი რესურსი. ჩვენი ქვეყანა XX საუკუნის მთელი პერიოდის განმავლობაში ახორციელებდა პირველადი სათბობის დაახლოებით 85%-ის იმპორტს, ასევეა

დღესაც - XXI საუკუნეში დამოკიდებულება იმპორტირებულ ენერგოშემცველზე დაახლოებით 70-75%–ია.

ჩვენი ქვეყნის ძალიან დიდი პლუსია მისი გეოგრაფიული მდებარეობა და აქ არსებული ენერგეტიკული დერეფნები (ნავთობისა და გაზის მაგისტრალური მილსადენების სისტემები, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა) ისე, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით, რომელიც უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისათვის, გნებავთ მისი განვითარების პოლიტიკური დასავლური ვექტორისათვის, ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით.

ქვეყანას აქვს ჰიდრორესურსები (ერთ სულზე გაანგარიშებით ამ რესურსის მოცულობით, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზეა), გვაქვს ასევე ნახშირისა და ტორფის საბადოები, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის გარკვეული მარაგები, კარგი პერსპექტივები ქარის, მზის, თერმული წყლების, ბიომასის და წყალბადის ენერგეტიკის განვითარებისათვის. მაგრამ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ სიმდიდრეს წარმოადგენს მისი ჰიდროენერგეტიკული რესურსი. მისი პოტენციალი 40 ტერავატსაათია, საიდანაც მხოლოდ 18%-ია ათვისებული.

საქართველოს მდინარეებს, სპეციფიკიდან გამომდინარე, ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული სეზონურობა, ამ რესურსების გადანაწილება წლიურ ან მრავალწლიან ასპექტში შესაძლებელია მხოლოდ მარეგულირებელი წყალსაცავებიანი ელექტროსადგურების მშენებლობის გზით. თუმცა ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასაბუთებით და ასევე ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით, ასეთი ტიპის მხოლოდ რამდენიმე პროექტი იგეგმება და განხორციელდება საქართველოში, ამიტომ, ზოგადად ჰიდროენერგეტიკის განვითარებისათვის ძირითადი აქცენტი კეთდება მცირე რეზერვუარის მქონე (მაგ., დღეღამური რეგულირების) და ჩამდინარე წყალზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. სწორედ ამ ტიპის ჰესები შეადგენენ ძირითად მოცულობას პერსპექტიული ჰიდროელექტროსადგურების ნუსხაში.

2008 წელს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული იყო სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“ და ამ პროგრამაში გაწერილი იყო ქვეყანაში ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურების სია, ამავე დოკუმენტში გაწერილი იყო წესები და პროცედურები ჰესების მშენებლობისათვის. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წესები რამდენ-

ჯერმე მნიშვნელოვნად შეიცვალა და სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილების შეტანის მთავარი არგუმენტი, ყოველ შემთხვევაში, დეკლარირებული, ყოველთვის იყო პოტენციური ინვესტორებისათვის უფრო გამჭვირვალე და მიმზიდველი გარემოს შექმნა. სწორედ ამ დადგენილების საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოს მთავრობის ინვესტორებთან გაფორმებული ელექტროსადგურების მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმების პრაქტიკა, რომელიც დღეისათვის უამრავ და, უნდა აღინიშნოს, სამართლიან კრიტიკას იმსახურებს. ერთმნიშვნელოვნად, დარგის საკმაოდ ბუნდოვან და ხარვეზიან კანონმდებლობას და მიღებული რეგლამენტების არასრულყოფილებას, ემატება სუბიექტური გადაწყვეტილებების მაღალი რისკის შემცველი, გაუმჭვირვალე მემორანდუმები. ეს მემორანდუმები, ბუნებრივია, უამრავ კითხვას აჩენს და მაღალი ალბათობით შეიცავს დიდი რაოდენობით სხვადასხვა ნეგატიურ რისკებს, რაც ცალკე საუბრის დიდი თემაა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ პრობლემაში ყველაზე მნიშვნელოვანია ის, თუ რა უნდა დაედოს საფუძვლად სახელმწიფოს მხრიდან ენერგეტიკული პროექტების საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასების უნიფიცირებულ, აუცილებლად რეგლამენტირებულ მეთოდოლოგიას, რომელიც შემდგომში ინვესტორთან მემორანდუმის გაფორმების საფუძველი უნდა გახდეს. ასეთი რეგლამენტის არარსებობა მუდმივად არის და იქნება სხვადასხვა არაჯანსაღი საუბრების თემა. როგორც აღვნიშნეთ, ზოგადად, მემორანდუმების ძირითადი მიზანი უნდა ყოფილიყო ქვეყანაში, დარგში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება და ინვესტორებისათვის შესაძლო რისკების მინიმიზაცია. აქედან გამომდინარე, ამ საკითხთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებული პრაქტიკის გამოყენება ნამდვილად არ იქნებოდა საღ აზრს მოკლებული. დასავლეთის ქვეყნებში ათწლეულობით დაგროვილია სახელმწიფოს მხარდაჭერის უდიდესი გამოცდილება განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისებასთან დაკავშირებით. ეს გამოცდილება შესაძლებელია გამოყენებული იქნას პრაქტიკულად მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში (ბუნებრივია, ადგილობრივი ბუნებრივი, ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური პირობების გათვალისწინებით). ამ ქვეყნებში სტიმულირების ძირითადი მექანიზმი დაკავშირებულია ფიქსირებულ ფასებთან და კვოტებთან განახლებად ენერგიაზე კომბინაციაში „მწვანე“ სერტიფიკატების ბაზართან.

ინვესტორთა უდიდესი ნაწილი უპირატესობას ანიჭებს ფიქსირებული ფასების სისტემას, რომელიც ამცირებს საინვესტიციო რისკებს, რადგან ფასი ელექტროენერგიაზე, რომელიც გამომუშავდება ენერგიის წყაროზე, ცნობილია გრძელვადიანი პერსპექტივით. რიგ ქვეყნებში დამატებით ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვება ამ ტიპის გადახდების სისტემით, იხდის ყველა ჯგუფის მომხმარებელი. ასეთი დახმარების სისტემას იყენებენ გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში და დანიაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს ასევე მხარდაჭერის სისტემები, მაგალითად, ფიქსირებული დანამატების სისტემა ელექტროენერგიის ფასზე, ასეთი სისტემები გვხვდება კანადაში, აშშ-ში, დანიაში და ესპანეთში. აშშ-ში ასეთი დახმარება ხორციელდება ქვეყნის ფედერალური დონიდან, საწარმოო საგადასახადო კრედიტის (Production Tax Credit – PTC) საშუალებით. მაგალითად, კანადაში ქარის ენერგეტიკის სტიმულირება ხდება მთავრობის მხრიდან პირდაპირი გადახდების საშუალებით (Wind Power Production Incentive, WPPI) და ასევე კვოტების სისტემა განახლებად ენერგიაზე, როდესაც სახელმწიფო თვითონ აწესებს ფიქსირებულ ქვოტებს განახლებადი ენერგიისათვის. ასეთი ენერგიის ფასი საბაზრო. ეს სისტემა გამოიყენება აშშ-ს ზოგიერთ შტატში და მას უწოდებენ „განახლებადი ენერგიის სტანდარტს“ (Renewable Portfolio Standard). ასეთი სისტემა აგრეთვე გვხვდება ბრიტანეთში, შვედეთში, ბელგიაში და იტალიაში, ევროპულ კონტინენტზე ის ცნობილია „მწვანე“ სერთიფიკატის სახელით.

ევროპული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფიქსირებული ფასების სისტემა გაცილებით ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე კვოტების სისტემა, „მწვანე“ სერტიფიკატები და სხვა მექანიზმები, რადგან სწორედ ფიქსირებულმა ფასებმა უზრუნველყო სიმძლავრეების მაქსიმალური მატება სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია, და, მიგვაჩნია, აუცილებელიცაა, განახლებადი ენერგიის (ჰიდრო, ქარი, მზე) მხარდამჭერი ანალოგიური სისტემის დანერგვა. უნდა აღინიშნოს, ე.წ. მემორანდუმების დღეს არსებული სისტემა (გნებავთ, 8 ან 12-თვიანი ენერგიის შესყიდვის უზრუნველყოფით), ფაქტობრივად, ფიქსირებული ფასების სიტემაა, ბუნებრივია, იმ სამწუხარო რეალობის გათვალისწინებით, რომ დღეისათვის ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებული საინვესტიციო პროექტების ეფექტურობის, ეკონომიკური პარამეტრების შესაფასებელი მეთოდოლოგია. სწორედ ეს წარმოშობს შესაძლო სუბიექტურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირე-

ბულ უამრავ კითხვას და კრიტიკულ შეფასებას გაფორმებულ მემორანდუმებთან დაკავშირებით, რაზეც მოკლედ ზემოთ ვისაუბრეთ.

გაფორმებული მემორანდუმების უდიდესი უმრავლესობა არის ჰიდროელექტროსადგურების პროექტებთან დაკავშირებით ინვესტორებთან დადებული ხელშეკრულებები და ეს ნამდვილად მეტყველებს ინვესტორების სწორედ ჰიდროენერგეტიკით ძალიან დიდ დაინტერესებაზე.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, საქართველოს ენერგეტიკა მთლიანად არის დამოკიდებული ნახშირწყალბადების იმპორტზე, დღეისათვის ქვეყანაში არსებული ყველა თბოელექტროსადგური მუშაობს მხოლოდ ერთადერთ საწვავზე – იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე. ასეთ დროს, ბუნებრივია, აქტუალური ხდება ჰიდროენერგეტიკულ რესურსთან ერთად, ქარის, მზის, გეოთერმული წყლების, ბიოგაზისა და სხვა ენერგიის წყაროების გამოყენება.

საქართველოს გააჩნია ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი, დაახლოებით 4 მლრდ კვტ/სთ-ით გამომუშავებით და დადგმული სიმძლავრე 1500 მგვტ-ით. საქართველოს ტერიტორია დაყოფილია მაღალ, საშუალო და დაბალ სიჩქარიან ზონებად, ქარის სიჩქარე წელიწადში 2,5 მ/წმ-დან 9,0 მ/წმ-მდე მერყეობს, სამუშაო დროის ხანგრძლივობა წელიწადში 4000-5000 საათს შეადგენს.

რაც შეეხება მზის ენერგეტიკას, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მზის ეფექტური გამოსხივება საკმაოდ მაღალია. უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 250-დან 280 დღემდე მერყეობს, რაც წელიწადში დაახლოებით 1900–2200 საათს შეადგენს.

მზის ენერგიის სრული, წლიური პოტენციალი საქართველოში შეფასებულია 34 ათასი ტონა პირობითი სათბობის ეკვივალენტურად.

ბუნებრივია, საქართველომ ჰიდროენერგეტიკასთან ერთად უნდა განავითაროს როგორც ქარის, ისე მზის ენერგიის წყაროების გამოყენება, რაც უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის პარამეტრების გაუმჯობესებისათვის, ასევე ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ გენერაციის წყაროების ინტეგრაცია ქვეყნის ენერგოსიტემაში ასევე მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ამოცანაა. უამრავი კვლევა არსებობს[1], სადაც დამტკიცებულია,

[1] Design and Operation of Power Systems with Large Amounts of Wind Power. VTT Working Papers 82. 2007.

რომ ენერგოსისტემისათვის დამატებითი „რთული პრობლემების“ შექმნის გარეშე შესაძლებელია ქარის და მზის ენერგეტიკულ წყაროებზე დაფუძნებული გენერაციის ობიექტების ინტეგრირება სისტემაში, თუ მათი ჯამური სიმძლავრე არ აჭარბებს ენერგოსისტემის დადგმული სიმძლავრის 5-10%-ს (ევროპა). თუ განახლებადი ენერგიის წყაროების (ქარი, მზე) წილი მთლიან ენერგოსისტემაში აღწევს „კრიტიკულ“ 5-10%-ს, აუცილებელი ხდება ენერგოსისტემაში დამატებითი გენერაციული სიმძლავრეების რეზერვირება (რაც განხორციელდა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ინტენსიურად განავითარეს ეს განახლებადი ენერგიის წყაროები (დანია, გერმანია).

თუ დავეყრდნობით ევროპულ მონაცემებს და კვლევებს[2], საქართველოს ენერგოსისტემაში, რომლის დადგმული სიმძლავრე დღეს 3520 მგვტ-ია, პირველად მიახლოებით შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 176 მგვტ (5%) – 352 მგვტ (10%) ჯამური სიმძლავრის ქარის და მზის გენერაციის ობიექტების ინტეგრირება (ბუნებრივია, ზუსტი პარამეტრების დადგენა ზუსტ და რთულ გათვლებს მოითხოვს). მაგრამ ეს პირველი მიახლოებაა, თუმცა ისიც იძლევა შეფასებისათვის საკმარის მონაცემებს, რათა შესაბამისი დასკვნები გავაკეთოთ, თუ რა სიმძლავრის, მსგავსი ტიპის სადგურების მშენებლობა შეგვიძლია საქართველოში ამ ეტაპზე. საქართველოში უმეტეს შემთხვევებში გადამეტებული მოლოდინებია ამ ტიპის სიმძლავრეების ათვისებასთან დაკავშირებით, მათ ჯამურ პოტენციალთან და ა.შ. ხშირად მოგისმენიათ, ალბათ, ასეთი ხმამაღალი განცხადებები: განვავითაროთ მხოლოდ ქარის, მზის სადგურები და შევწყვიტოთ სხვა ტიპის ელექტროსადგურების მშენებლობაზე ფიქრი. ცალკე, განსაკუთრებით აღსანიშნავია, სისტემაში გენერაციული სიმძლავრეების რეზერვირება, რადგან ქარის და მზის სადგურები, კერძოდ მათი გამომუშავება დიდი ფლუქტუაციით ხასი-

---

Holttinen H. Hourly Wind Power Variations and Their Impact on the Nordic Power System Operation. Licenciate's thesis. Helsinki Universityof Technology. 2003;

Impact of Wind Generation on the Operation and Development of the UK Electricity Systems. Strbac G., Shakoor A., Black M., Pudjianto D., BoppT. Electrical Power Systems Research. 2007. Vol. 77. Issue 9. C 11431238.

[2] Milborrow D. Penalties for Intermittent Sources of Energy. Submission to Energy Policy Review. 2001;

Modeling the Impact of Wind Power Fluctuations on the Load Followingcapability of an Isolated Thermal Power System. Persaud S., Fox B., Flynn D. Wind Engineering 24 (6). 2000. C 399-415.

The Capacity Value of Wind in the United States: Methods and Implementation. Milligan M., Porter K. Electricity Journal. Elsevier, Inc.March 2006. Vol. 19. Issue 2. C 91-99.

ათდება, ამიტომ რეზერვული სიმძლავრეები აუცილებელია სისტემაში მათი ნორმალური ინტეგრირებისათვის, მთელი სისტემის საიმედოობის უზრუნველსაყოფად. დასავლური გამოცდილებით ამისათვის გამოიყენება ისეთი გენერაციული სიმძლავრეები, რომელთაც გააჩნიათ მაღალი მანევრირების ხარისხი. ესაა, პირველ რიგში, წყალსაცავიანი ჰესები, ჰიდროაკუმულაციური ჰესები – რომელიც საქართველოში არ გვაქვს და, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ იგეგმება მათი მშენებლობა და ასევე მაღალი მანევრირების კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურები, რომელიც დღეისათვის მხოლოდ ერთია ჩვენს ენერგოსისტემაში, თუმცა, სამწუხაროდ, ტექნიკური მიზეზების გამო, მისი მანევრულობა თითქმის ნულის ტოლია. მაღალი სიზუსტის გათვლებისათვის, რომელიც ზემოთ დასახელებული ქარის და მზის გენერაციის ობიექტების ენერგოსისტემაში ინტეგრირების შესაძლო ჯამურ რიცხვების რიგს ნამდვილად არ შეცვლის, აუცილებლად გასათვალისწინებელი იქნება ჩვენი სისტემის სპეციფიკა, კერძოდ ჩვენი ძირითადი წყალსაცავიანი ჰესების მუშაობის გარკვეული მახასიათებლები. „ენგურჰესის“ გამოყენება სარეზერვო სიმძლავრით, ზამთრის პერიოდში, (წლევანდელი წლის მაგალითიც ამისი მაჩვენებელია) ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ჰესის, აფხაზეთის ელექტროენერგიით მომარაგების გამო აშკარად შეზღუდულია (ამაზე ზემოთ ვისაუბრეთ) და რისკებიც საკმაოდ მაღალია. წყალსაცავიანი „ჟინვალჰესის“, ასევე სარეზერვო სიმძლავრედ გამოყენება ასევე პრობლემურია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს ობიექტი, პირველ რიგში, თბილისის წყალმომარაგებას ემსახურება და ელექტროენერგიის გენერაციას, მის მოცულობებს, შესაძლებლობებს სწორედ ქალაქის წყალმომარაგება განსაზღვრავს და არა ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგების მოთხოვნები. ამ ეტაპზე სარეზერვო სიმძლავრედ შესაძლებელია „ხრამი-1“, „ხრამი-2“ ჰესების გამოყენება.

აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ პერსპექტივაში გვინდა ქარის და მზის გენერაციის სისტემების განვითარება და ზოგადად განახლებადი ენერგეტიკის, მათი წილის გაზრდა საქართველოს ენერგეტიკული სისტემის ჯამურ დადგმულ სიმძლავრეში, რაც, მიგვაჩნია, ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის, მისი ენერგეტიკისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა, აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ამ სიმძლავრეების ენერგოსისტემაში ინტეგრირების პრობლემებზე და ასევე სარეზერვო სიმძლავრეების გაზრდაზე – ეს ჩვენი ქვეყნისათვის ტექნიკურად და

ეკონომიკურად ნამდვილად არის დაკავშირებული ყველა იმ წყალსაცავიანი ჰესის პროექტის განხორციელებაზე, რომელიც საქართველოში იგეგმება და ეს, პირველ რიგში, ისეთი პროექტებია, როგორებიცაა „ხუდონჰესი“, „ნამახვანჰესი“, „ნენსკრაჰესი“. ასევე დიდი ყურადღება უნდა გამახვილდეს მაღალმანევრული კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურების მშენებლობაზე, რომელიც, როგორც ცნობილია, ნამდვილად იგეგმება უახლოეს მომავალში. ასევე, აუცილებლად, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავიწყოთ ჰიდროაკუმულიაციური ჰესის მშენებლობის პროექტის განხილვა „ენგურჰესის“ თაღოვან კაშხალთან.

საერთო რეკომენდაციები

1) ენერგეტიკის სფეროში უნდა შეიქმნას ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ტექნიკური საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტების მიერ საკითხთა განხილვებს ორმხრივი ურთიერთქმედებით. ასეთი საბჭოს შესაქმნელად შესაძლებელია გამოდგეს ორივე ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

2) რეკომენდაცია რუსეთის მხარისთვის: ჩაატაროს მოლაპარაკებები აფხაზეთთან ქსელის მეურნეობის სრული რეაბილიტაციის გადაწყვეტილების მისაღებად და, ამასთან ერთად, ხელი შეუწყოს აღნიშნული სამუშაოების ჩატარებას შესაძლებლობის ფარგლებში. ეს მოგვცემს საშუალებას, შევქმნათ ელექტროენერგიის აღრიცხვის მაღალეფექტური სისტემა ტექნიკური და კომერციული დანაკარგების რადიკალურად შესამცირებლად და ენერგოუზრუნველყოფის სანდოობის გასაზრდელად. ასეთი რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს აფხაზეთში ელექტროენერგიის მოხმარების საგულისხმო დაბალანსებას, გამომუშავებული ელექტროენერგიის ნამეტის გამოვლენას, მისი გაყიდვის შესაძლებლობისა და მოგების მიღების დადგენას. ელექტროენერგიის აღრიცხვის სრულმასშტაბიანი სისტემის დანერგვის მომგებიანობაზე წარმოადგინოს აფხაზეთის მოსახლეობასთან ჩასატარებელი ახსნა-განმარტებითი სამუშაოების დასაბუთება.

3) 2017 წელს დაგეგმილი „ენგურჰეს“-ის დერივაციული დაწნევითი გვირაბის რეაბილიტაციის ჩატარების პერიოდში აფხაზეთის ენერგობალანსის პროგნოზირებაზე ჩავატაროთ მოლაპარაკებები აფხაზეთის მხარესთან. ეს, ასევე ხელს შეუწყობს აფხაზეთის ენერგოსისტემის გაუმჯობესებას.

4) ქართულ-რუსული კონსულტაციების დღის წესრიგს დაემატოს ირანთან ენერგეტიკის სფეროში შესაძლო მომავალი ურთიერთობების საკითხი. ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის საერთაშორისო სანქციების მოხსნა საშუალებას აძლევს თეირანს, საშუალოვადიან პერსპექტივაში გაცილებით გააფართოოს თავისი მონაწილეობა მსოფლიო და რეგიონულ ენერგეტიკულ ბაზარზე, რაც გარდაუვლად შეცვლის რეგიონის ენერგეტიკულ რუკას.

5) აუცილებელია საქართველოსა და რუსეთს შორის ენერგეტიკის სფეროში არსებული პოზიტიური გამოცდილებისა და ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის მასალების ერთობლივი პუბლიკაცია.

საერთო რეკომენდაციები

1) სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა:

ა) საქართველოსა და რუსეთს შორის ექსპორტისა და იმპორტის პროცედურების გამარტივება;

ბ) საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის კონცეფციის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა (მაგ.: სავაჭრო-სამრეწველო პალატების ბაზაზე).

2) სავიზო საკითხები:

რუსეთის ვიზების გაცემის გამარტივება საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიის წარმომადგენელთათვის (მაგ.: სტუდენტები, მეცნიერ-მუშაკები, ბიზნესმენები და სხვ.).

3) სატრანსპორტო კავშირი:

ა) სასურველია საქართველოსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის გაფართოება ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო მიმოსვლის განვითარების მიზნით. აბაშიძე-კარასინის ორმხრივი მოლაპარაკების ფორმატში შეიძლება შეიქმნას მუდმივი საკომუნიკაციო არხი ორი ქვეყნის სატრანსპორტო უწყებათა წარმომადგენელებს შორის ურთიერთობების ხელშესაწყობად. აღნიშნული მუდმივი საკომუნიკაციო არხით შესაძლებელია, მაგალითად, განხილვის საგანი გახდეს საქართველოს სამხედრო გზის მოდერნიზაცია, აგრეთვე, საბაჟო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის გაზრდა რუსეთის მხრიდან და სხვ.;

ბ) ტექნიკურ-ეკონომიკური საფუძვლების შემუშავება ძველი სატრანსპორტო მარშრუტების რეკონსტრუქციისა და ახლის მშენებლობისათვის რუსეთსა და საქართველოს შორის ინტერმოდალური გადაზიდვების ხელშესაწყობად;

გ) საქართველოსა და სამხრეთ რუსეთს შორის პირდაპირი საჰაერო კავშირის შესაძლებლობის განხილვა, ქვეყნებს შორის ტურისტული ნაკადის გაზრდის მიზნით.

4) ინსტიტუციონალიზაციის საკითხები:

ა) საქართველო-რუსეთის რეგულარული ეკონომიკური ფორუმის ჩატარების მხარდაჭერა სავაჭრო და სამრეწველო წრეების, საშუალო და მცირე ბიზნესის და, ასევე, ორი ქვეყნის შესაბამისი უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ფორუმის თანაორგანიზატორე-

ბი, შესაძლოა, ICCN და RIAC ინსტიტუციები გახდნენ, შესაბამისად, ქართული და რუსული მხრიდან;

ბ) მიზანშეწონილია, საქართველოსა და რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატებმა გახსნან თავიანთი წარმომადგენლობები, მათ შორის, საინვესტიციო თანამშრომლობის განსახილველად;

გ) აუცილებელია, 2011 წელს მსო-ში რუსეთის გაწევრიანების შემდეგ, რუსეთ-საქართველოს შეთანხმების დოკუმენტის თაობაზე დისკუსიის აქტივიზაცია საექსპერტო საზოგადოების პოტენციალის გამოყენებით. სასურველია, საექსპერტო წრეებმა ორი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებისთვის რეკომენდაცია შეიმუშაონ და, შესაბამისი მანდატის არსებობის შემთხვევაში, წარუდგინონ სახელმწიფო სტრუქტურებს;

დ) მნიშვნელოვანია საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობათა ანალიზის ჩატარება, ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის დაახლოების მიზნით.

5) უნდა დაიწყოს დიალოგი კავკასიის მთიანი რეგიონის მდგრადი განვითარების შესახებ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: გარემოს დაცვა; კლიმატის ცვლილება; წყლის რესურსების მართვა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ტრადიციული მეურნეობის წარმოებისა და კეთილგანწყობილი ურთიერთობების განვითარება; თანამშრომლობა სატრანსპორტო სფეროში; თანამშრომლობა სტიქიური უბედურებების პრევენციისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის საქმეში და ა. შ.

6) დიალოგის გაგრძელება:

აუცილებელია მოლაპარაკებათა სამმხრივი ფორმატის განვითარება და კონსულტაციები ევროკავშირთან იმისათვის, რომ თვალი მივადევნოთ ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლას ექსპერტთა და პროფილური სამინისტროების დონეზე.

უსაფრთხოება

ახმეტ იარლიკაპოვი

ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში საქართველოსა და რუსეთის ურთიერთქმედების პერსპექტივები

შესავალი შენიშვნები

რუსეთი და საქართველო კავკასიის რეგიონში სტრატეგიულად მნიშვნელოვან მონაკვეთებზე განლაგებული წამყვანი მოთამაშეები არიან, მიუხედავად საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობებისა და გადაუჭრელი პრობლემებისა, რომელსაც რეგიონში საზღვრების უკონტროლობა და სეპარატიზმისადმი სხვადასხვა მიდგომაც შეგვიძლია მივაკუთვნოთ. რაც შეეხება უსაფრთხოების საკითხებს, რუსეთსა და საქართველოს შეხების წერტილები მრავლად გააჩნიათ: ორივე ქვეყანაში არსებობს ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც კავკასიონის ქედის ორივე მხარეს სახლობს და მუჰამედის მიმდევარია.

დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვრების საკითხს – თემას, რომელიც ისლამური რადიკალიზაციის გამო წარმოქმნილ უშიშროებისა და საფრთხეების საკითხებთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. ორ ქვეყანას ძალიან რთული, რთულად კონტროლირებად მთიან რაიონებზე გამავალი საერთო საზღვარი გააჩნია, რომელიც ისლამის მიმდევარი ექსტრემისტებისა და სეპარატისტების მიერ არაერთხელ გამოყენებულა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია საერთო პრობლემის ფარგლებში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პრობლემათა ზედმიწევნით განხილვა.

სეპარატიზმის პრობლემა უაღრესად რთულია, მის მიმართ უნივერსალური მიდგომა არც რუსეთს გააჩნია და არც საქართველოს. სეპარატიზმის თემა რუსეთში ნაციონალური პოლიტიკის თემას უკავშირდება. სწორედ ამიტომ, მაგალითად, ჩერქეზული გენოციდის იდეით,

ისევე, როგორც საერთოდ მსგავსი იდეებით „თამაში“, ჩიხისკენ მიმავალ გზად გვეჩვენება. უფრო პროდუქტიული გზა იქნებოდა იმ პრობლემებზე მსჯელობა, რომლებიც ექსპერტულ და პოლიტიკურ ასპექტში უკვე დღეს არსებობს: ისლამური რადიკალიზმის პრობლემატიკასა თუ მის წარმონაშობ სეპარატიზმზე და ამ მიმართულებით საერთო მიდგომის შემუშავებაზე.

კავკასიაში უსაფრთხოების თანამედროვე პრობლემები მჭიდროდ არის დაკავშირებული იმასთან, რაც ჭეშმარიტად ფუნდამენტური ცვლილებების პროცესში მყოფი ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე ხდება. სწორედ ამიტომ აუცილებელია, კავკასიურ ისლამს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მომხდარი პროცესების კონტექსტში შევხედოთ. კავკასიის რეგიონის მუსლიმთა შორის მიმდინარე პროცესების ასეთი კუთხით დანახვა და მათი იმ ტენდენციებთან შედარება, რომლებსაც არაბულ სამყაროში ვადევნებთ თვალს, პირველის უკეთ გაგების საშუალებას მოგვცემს. ახლო აღმოსავლეთი მნიშვნელოვანწილად აწყობის პროცესში მყოფი კავკასიის ისლამური სპექტრის – ზოგიერთი თემის რადიკალიზაციისა და პოლიტიზაციის, რეგიონში მაცხოვრებელ თანამედროვე მუსლიმებს შორის გავრცელებულ სულიერი და იდეური ძიებისა და შეცდომების გაგებისკენ მიმართულ გასაღებს იცავს. ტურბულენტობა ახლო აღმოსავლეთში – პოლიტიკური, იდეური და რელიგიური – მათ პირდაპირ შეეხო.

თავისთავად ცხადია, კავკასიის მუსლიმები მსოფლიოს ამ ნაწილში მიმდინარე მოვლენებს ყურაღებით ადევნებენ თვალს. მეორე მხრივ, ისინი ამ პროცესებში აქტიურადაც მონაწილეობენ, ამასთან ხშირად არა მხოლოდ შემოქმედებითი კუთხით (საკმარისია იმ ათასობით ახლაგაზრდის გახსენება, რომლებიც სირიასა და ერაყში ტერორისტულ დაჯგუფებებს შეუერთდნენ). იმავდროულად, რუსეთისა და საქართველოს მუსლიმურმა გაერთიანებებმა მასობრივი რადიკალიზაციისგან თავის არიდებით სიმყარის მაღალი დონე აჩვენა. დღეს ორივე ქვეყანა იმითაა დაინტერესებული, რომ მათ ქვეყანაში მაცხოვრებელმა მუსლიმურმა გაერთიანებებმა თანამედროვე სირთულეების დაძლევა შეძლონ და კონსტრუქციულ და შემოქმედებით გაერთიანებებად დარჩნენ.

ექსტრემისტების მხრიდან უსაფრთხოების საერთო გამოწვევები

ექსტრემისტების მხრიდან ორი ქვეყნისთვის უსაფრთხოების საერთო გამოწვევებზე ლაპარაკისას, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში კავკასიის სახელმწიფოთა ღრმა ჩართვას უნდა მიექცეს ყურადღება. სწორედ ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, ისინი ერთმანეთზე ზეგავლენის კონტექსტში განვიხილოთ. ამ კუთხით ყურადღების იმაზე გამახვილებაა საჭირო, რომ ისლამი დიდ როლს თამაშობს კავკასიის იმ ხალხთა შორის ნაციონალური იდენტურობის ფორმირებაში, რომლებიც ისლამის მიმდევრები არიან. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს რადიკალიზაცია, რომელმაც ახალგაზრდათა დიდი ჯგუფები მოიცვა. ეს რადიკალიზაცია იწვევს იმას, რომ მაჰმადიანი ახალგაზრდობა ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტას „ღვთიური კანონისადმი“ („შარიათი“) მიმართვაში, ასევე, ისეთ ქსელურ ტერორისტულ დაჯგუფებებთან მიერთებაში ეძებს, რომლებიც თითქოს ერთადერთ სწორ გზას მისდევენ.

რუსეთი, საქართველო და აზერბაიჯანი ისლამური სწავლების მიმდევარ ქსელურ ტერორისტულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ 1990-იანი – 2000 წლების დასაწყისში შეეჯახნენ. 2007 წელს „ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის“ ნანგრევებზე ტერორისტებმა „იმარათ კავკაზის“ შექმნის შესახებ გამოაცხადეს, რომელიც სამხრეთ კავკასიაში „ალ-ქაიდასგან“ დაფინანსების მიღებით ამ ორგანიზაციის განაყოფი გახდა.

2011 წელს სირიაში სამოქალაქო ომის დაწყებამ, რომელიც ექსტრემისტული პროპაგანდის მიერ ცალსახად „დესპოტური შიიტური მმართველობის წინააღმდეგ სუნიტების აჯანყებად“ იქნა ინტერპრეტირებული, რადიკალური ისლამისტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აამოძრავა. იმ დროიდან მოყოლებული, იზრდება მოძრაობა სირიაში გადასახლებისა და იქ მიმდინარე სამოქალაქო ომში ჩართვის მიმართულებით, რომელიც საერთაშორისო პრობლემად იქცა. ეს მოძრაობა ისევე, როგორც აზერბაიჯანის მოქალაქეებს, რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეებსაც შეეხო.

სირიაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში ჩართულთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა და 2013 წელს ისეთ დონეს მიაღწია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე მოქმედმა „იმარათ კავკაზმა“ თავისი მეომრების დიდი ნაწილი დაკარგა.

საქართველო ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში თავის მოქალაქეთა მონაწილეობას ქისტებით კომპაქტურად დასახლებული პანკისის ხეობიდან (პანკისი) მოქალაქეთა წასვლით შეეჯახა. სირიაში ქისტებს

შორის ჯიჰადის დიდ პოპულარობას არცთუ იშვიათად იმითაც ხსნიან, რომ ისლამური სახელმწიფოს სამხედრო იერარქიაში მაღალი მდგომარეობა ეჭირა პანკისიდან გადმოსულ – თარხან ბათირაშვილს, ცნობილს, როგორც – „აბუ ომარ ალ-შიშანის“. პრობლემა ფართო საზოგადოების ყურადღების ქვეშ მას შემდეგ მოექცა, რაც 2015 წლის აპრილში სირიაში სკოლის მოწაფეები გაემგზავრნენ, რომელთაგანაც ერთ-ერთი, მუსლიმ კუშტანაშვილი, მხოლოდ 16 წლის იყო. ამ ამბიდან ძალიან მალე საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებებში მონაწილეობისთვის ქვეყნის მოქალაქეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა[1], მაგრამ, მიუხედავად ამისა, პრობლემა ჯერაც გადაუჭრელი რჩება: ისლამური სახელმწიფოს ტერორისტთა რიგებს შეუერთდნენ არა მარტო პანკისელი ჩეჩნები, არამედ ეთნიკური ქართველებიც. ეჭვგარეშეა, რომ ისლამური სახელმწიფოს ტერორისტთა მიმართ სიმპათიით გამსჭვალულთა რიცხვი ათეულობით ახალგაზრდას ითვლის და, ამასთან, კვლავაც არსებობენ გადამბირებლები. შესაბამისად, ის, თუ რამდენად სწრაფად არის შესაძლებელი ამ მოცემულობიდან ტერორისტული ქსელის შექმნა – რიტორიკული კითხვაა.

იმდენად, რამდენადაც საქართველოში საკმაოდ დიდი აზერბაიჯანული თემი არსებობს, აღსანიშნავია ისიც, რომ პრობლემა სერიოზულად შეეხო აზერბაიჯანლებსაც. თუკი 1990-იან წლებში ექსტრემისტულ საქმიანობაში მეტად ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ეთნიკური უმცირესობები იყვნენ შემჩნეულნი, 2011 წელს სირიაში ჯიჰადთან მიერთებულთა რიგებში აზერბაიჯანლები ჭარბობდნენ, რომელთა საერთო რაოდენობაც, არსებული შეფასებით, 400-დან 1000 ადამიანამდე მერყეობს[2]. ისლამურ სახელმწიფოსთან მიერთებული აზერბაიჯანელი ჯიჰადისტები მეტად აქტიურნი აღმოჩდნენ სოციალურ ქსელებში, განსაკუთრებით Twitter-სა და Facebook-ზე. აზერბაიჯანიდან გადინება იმდენად დიდია, რომ ცალკე აზერბაიჯანული ბატალიონიც კი შეიქმნა, რომელსაც 2014 წლის მაისში განადგურებამდე – მუსა ალ-აზირი ხელმძღვანელობდა. აზერბაიჯანელ ახალგაზრდობაში ისლამური სახელმწიფოს

[1] საზღვარგარეთ უკანონო ფორმირებებში მონაწილეობისთვის საქართველოში მიესჯებათ თავისუფლების აღკვეთა // Sputnik. 26.01.2015. URL: https://sputnik-georgia.ru/georgia/20150126/217312367.html

[2] ა.ი. ვავილოვი და სხ. „ისლამური სახელმწიფო“: ფენომენი, ევოლუცია, პერსპექტივები // მიი-ს ანალიტიკური მოხსენება. გამოშვება 1(45). მ. მსუსი.: უნივერსიტეტი, გვ. 31.

პროპაგანდის პოპულარობა მატულობს და ჯერაც გაურკვეველია იმ ადამიანთა საერთო რიცხვი, რომლებიც ამ ტერორისტული ორგანიზაციის მიმართ სიმპათიით არიან გამსჭვალული. ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ორი ომიდან მოყოლებული, აზერბაიჯანი ჩრდილოეთ კავკასიაში „ბოევიკებისთვის“ ფინანსების მიწოდების ერთ-ერთი სატრანზიტო ქვეყნის როლს თამაშობს[3]. ისლამური სახელმწიფო დღესაც ცდილობს ფიცდადებული „ბოევიკების“ დაფინანსების გზების პოვნას. ამ მიზნით შესაძლებელია ქვეყანაში ამ ორგანიზაციის მომხრეები, კერძოდ კი გადამბირებელთა ქსელი გამოიყენონ. აზერბაიჯანის ნაციონალური უსაფრთხოების სამინისტროს ძალები 2014 წლის ბოლოდან რესპუბლიკაში ისლამური სახელმწიფოს მომხრეთა დაპატიმრებების სერიას ატარებენ, თუმცა აშკარაა, რომ დაპატიმრებულთა რაოდენობა პრობლემის გადასაჭრელად საკმარისი არ არის. მთლიანობაში რუსეთისა და საქართველოსთვის, უსაფრთხოების სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის აწყობასთან ერთად, აუცილებელია სხვა რეგიონულ მოთამაშეებთან, პირველ ყოვლისა, აზერბაიჯანთან მჭიდრო ურთიერთქმედებაც.

ამგვარად, ისლამური სახელმწიფოს საკუთარი ტერორისტული ქსელი რუსეთსა და დიდ კავკასიაში ჯერჯერობით ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფება. ფართოდ არის წარმოდგენილი ისლამურ სახელმწიფოსთან მიერთებული „ბოევიკთა“ ნაცნობებისა და ნათესავების ქსელები, რომლებიც, იმდენად, რამდენადაც ისლამური სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადასვლის შემდეგ ნათესავებთან ურთიერთობა არ წყდება, ზეგავლენის მოხდენისა და ჰიჯრასკენ (ისლამური სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადასახლებისკენ) მოწოდებისთვის გამოიყენებიან. „ალ-ქაიდადან“ მემკვიდრეობად დარჩენილი ქსელები, უპირველეს ყოვლისა „იმარატ კავკაზი“, დამატებითი რესურსების ჩადებას მოითხოვს, გადამბირებელთა ქსელი კი – სერიოზულ კოორდინაციასა და გადაფორმატირებას.

ისლამურ სახელმწიფოსთან მიერთებული, ასევე, მის მხარეს მებრძოლთა კავკასიელების წილი, არაპროპორციულად დიდია: სოციალურ ქსელებში სალაფიტების მიერ გავრცელებული ინფორმაციით,

[3] რფ-ის გენპროკურორი: კავკასიაში „ბოევიკები“ საქართველოსა და აზერბაიჯანის გავლით ფინანსდება// კავკასიური კვანძი. 2009 წ. 30 აპრილი. URL: https://www.kavkaz-uzel.eu/articles/153601

2014 წლის ბოლოს ის მებრძოლთა 7%-დან 10%-მდე შეადგენდა[4]. თუკი იმ მომენტისთვის ისლამური სახელმწიფოს „ბოევიკთა“ რაოდენობის შეფასების საშუალო ციფრად დაახლოებით 30 ათასს ავიღებთ, 2014 წლის ბოლოს ამ ორგანიზაციის რიგებში მყოფ კავკასიელთა რიცხვს 2100-დან 3000 კაცამდე უნდა შეედგინა. თანაც ასეთ კავკასიელთა შორის უმეტესობას რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიიდან გადასახლებულები შეადგენენ; საქართველოდან გადასულთა რიცხვი დაახლოებით 200 კაცამდე (ძირითადად პანკისიდან) ფასდება, აზერბაიჯანიდან კი – 400-დან 1000 კაცამდე. სხვადასხვა შეფასებით, ჩრდილოეთ კავკასიიდან 2-დან 7 ათას ადამიანამდე გაემგზავრა. მხოლოდ ჩეჩენთა რიცხვი (2015 წლის 19 თებერვალს მაგომედ დაუდოვის განცხადებით) 3000-ს შეადგენს, ბევრი ევროპის ქვეყნების დიასპორებიდან წავიდა. თავად ჩეჩნეთიდან, რამზან კადიროვის აღიარებით, დაახლოებით 500 კაცია გამგზავრებული, მათგან 200-ზე მეტი დაიღუპა, დაახლოებით 50 კი რუსეთში დაბრუნდა. სირიაში „ბოევიკებთან“ მიერთებულ დაღესტნელთა რიცხვი სხვადასხვა შეფასებით 2-დან 5 ათასამდე ადამიანს შეადგენს, დაახლოებით 2 ათასი თურქეთში გაემგზავრა[5]. მნიშვნელოვანია ასევე გვესმოდეს, რომ ეს რიცხვები იმის აღურიცხავად, კონკრეტულად რომელ დაჯგუფებას შეუერთდნენ წასული ახალგაზრდები, სირიაში გამგზავრებულ ახალგაზრდათა საერთო რაოდენობაა, ანუ მათ შორის არიან ისინიც, ვინც „ალ-ქაიდასთან“ დაკავშირებულ „ჯაბჰატ ან-ნუსრას“ წევრები გახდნენ; ჩვენთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მათი უმრავლესობა ისლამური სახელმწიფოს შეუერთდა.

ზუსტი სტატისტიკის შეუძლებლობა სხვა ყველაფერთან ერთად „ბოევიკების“ შიდა გადაადგილებებითაც არის განპირობებული; მაგალითად, ცნობილია, რომ „ან-ნუსრას“ ფრონტის ნაწილი „ბოევიკები“ და სირიული შეიარაღებული ოპოზიციის ზოგიერთი სუნიტური ქვედანაყოფი ისლამურ სახელმწიფოს შეუერთდა, მაგრამ ადგილი აქვს ისლამური სახელმწიფოდან პირუკუ გადაადგილებასაც.

ახალგაზრდების ახლო აღმოსავლეთში გამგზავრებამ, იმდენად, რამდენადაც გამგზავრების პროცესი მასში იმათ ჩართვასაც მოითხოვს,

---

[4] ა.ი. ვავილოვი და სხ. „ისლამური სახელმწიფო“: ფენომენი, ევოლუცია, პერსპექტივები// მიი -ს ანალიტიკური მოხსენება. გამოშვება 1(45). მ. მსუსი.: უნივერსიტეტი, 2016. გვ. 31.

[5] ა.ი. ვავილოვი და სხ. „ისლამური სახელმწიფო“: ფენომენი, ევოლუცია, პერსპექტივები// მიი -ს ანალიტიკური მოხსენება. გამოშვება 1(45). მ. მსუსი.: უნივერსიტეტი, 2016. გვ. 31.

ვინც რჩება, პრობლემები ადგილზეც შექმნა. დარჩენილები, თუმცა ფარულად, იმათთან არიან დაკავშირებულნი, ვინც გაემგზავრა. სირიის სიტუაციით დაინტერესებული მუსლიმები ხვდებიან, რომ იქ სერიოზული პროცესები მიმდინარეობს და რეგიონის სუნიტებთან ხშირად ერთსულოვანნი ხდებიან. არ შეიძლება ასევე სათანადო შეფასება არ მიეცეს იმათ უშუალო ზემოქმედებასაც, ვინც უკვე გაემგზავრა და ასევე საფრთხეებს, რომლებიც მათ დაბრუნებას უკავშირდება. კიდევ ერთ ყურადსაღებ ფაქტორს აგრეთვე წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში რუსეთისა და საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი ისლამური ემიგრაციის ჩამოყალიბებაც. აღნიშნული ფაქტორების საფუძველზე საგარეო და საშინაო პოლიტიკის სტრუქტურათა ურთიერთქმედების არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუმცა ასეთი ურთიერთქმედება ჯერაც არ არსებობს, რის შედეგადაც ახლო აღმოსავლეთის პრობლემებზე სტრატეგიული ხედვის ფორმირება რთულდება.

ახლო აღმოსავლეთში გამგზავრებული ახალგაზრდობა გამოცდილებას იძენს და ისლამური სახელმწიფოს მიერ აწყობილ მსოფლიო ტერორისტულ ქსელში ეწერება. გასაოცარია, რომ ტერიტორიებისა და, შესაბამისად, შემოსავლების ყველა დანაკარგმა, რომელიც ტერორისტულმა „ხალიფატმა“ აქამდე განიცადა, მისი პოპულარობის დაცემა არ გამოიწვია. სწორედ ახლო აღმოსავლეთის ფარგლებს გარეთ, მათ შორის კავკასიაშიც, აგებული ქსელი წარმოადგენს როგორც რუსეთის, ისე საქართველოსთვის უსაფრთხოების კიდევ ერთ სერიოზულ გამოწვევას.

იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ ჩვენს ქვეყნებთან მიმართებაში ისლამური სახელმწიფოს გრძელვადიანი პოლიტიკის პროგნოზირება შეუძლებელია. რეალური ხელმძღვანელობისა და ბრძოლისუნარიანი ნაწილის კონტროლირებად ტერიტორიებზე შექმნილ სახელმწიფო მანქანასთან მუდმივად შეუზრდელი ისლამური სახელმწიფოს თავად სტრუქტურაა ის, რაც მას წინასწარ გაუთვლელი წარმონაქმნის როლში აყენებს. ამგვარ სუბიექტს კი უნარი აქვს, სრული განადგურების შემდეგაც კი გადარჩეს და იმოქმედოს.

თანამშრომლობის პერსპექტივები

აშკარაა, რომ რუსეთსა და საქართველოს ისლამური ექსტრემიზმისა და მთლიანობაში იმ ტურბულენტური სიტუაციის ხაზით, რომელიც დღეს ახლო აღმოსავლეთში იქმნება, უსაფრთხოების თითქმის

იდენტური გამოწვევები გააჩნიათ. რეგიონის ცვლილებების პროცესი, რომელსაც ქვეყანათა დაშლა და ჩვეული რუკის ცვლილებები სდევს თან, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინა კონტროლის ქვეშ მყოფ სერიოზულ ძალებსა და დაჯგუფებებს გამოათავისუფლებს. თავისთავად ცხადია, კავკასია, როგორც ახლო აღმოსავლეთის მეზობელი რეგიონი, მეტის-მეტად მოწყვლად სიტუაციაში იმყოფება. გეოგრაფიულ სიახლოვეს-თან ერთად ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებისადმი მეტად მგრძნობიარე რადიკალიზებული მაჰმადიანი ახალგაზრდობის არსე-ბობა კავკასიაზე ნეგატიური პროცესების გადმოტანის დაუშვებლობის პრობლემასაც აყენებს. ამ ამოცანის მარტო გადაჭრა პრაქტიკულად შე-უძლებელია – აქ აუცილებელია რეგიონის ქვეყანათა შორის მჭიდრო ურთიერთქმედება და რუსეთისა და საქართველოს თურქეთთან, ირ-ანთან და აზერბაიჯანთან არსებული კავშირების გამოყენება.

მეორე პრობლემას წარმოადგენს იმ ასეულობით და ათასობით „ბო-ევიკის“ გაუვნებელყოფა, რომლებიც სირიასა და ერაყში საომარ მოქ-მედებებში მონაწილეობდნენ, რომლებსაც შეეძლოთ, ტერორისტული ქსელების კავკასიაში გაშლის ინსტრუქცია მიეღოთ და, შესაძლოა, რე-გიონში შემოღწევას ცდილობდნენ. ეს ამოცანა სხვა ამოცანათა შორის ერთ-ერთი ყველაზე რთულია: მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქ-მედებების დროს „ბოევიკების“ დიდი ნაწილი ფიზიკურად განადგურ-და, კავკასიიდან წასულ ახალგაზრდა მუსლიმთა უზარმაზარი ნაწილი ახლო აღმოსავლეთშია კონცენტრირებული, მათ შორის, თურქეთშიც. მათ უმრავლესობას არც „ალ-ქაიდასთან“ აქვს არავითარი კავშირი და არც ისლამური სახელმწიფოსთან , მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებმაც ზემოთ ნახსენებ ერთ-ერთ სტრუქტურაში საბრძოლო გამოცდილება მიიღეს. სიტუაცია იმითაც რთულდება, რომ გუშინდელი „ბოევიკები“ სხვადასხვა გზით ისევ ლეგალიზებას ცდილობენ. პასპორტების მიღე-ბით მათ უკვე რეგიონის ქვეყნებში შემოღწევის საშუალება მიეცემათ. მხოლოდ ერთი ქვეყნის ძალებით მათი გადაადგილების კონტროლი ასევე შეუძლებელია – აუცილებელია რუსეთისა და საქართველოს სხვადასხვა უწყებებს შორის მკვეთრი კოორდინაცია და თანამშრომ-ლობა. გარდაუვლად დგება თურქეთთან მჭიდრო თანამშრომლობის საკითხიც, რომლის ტერიტორიაზეც კავკასიიდან ცოტა ხნის წინანდელ გადასახლებულთა მთელი ეს მასა მნიშვნელოვანწილადაა კონცენტრი-რებული.

საზღვრების კონტროლი სერიოზული და ორმხრივი უნდა იყოს – რუსეთისათვის ეს არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში საზღვრების კონტროლს, არამედ თავისი საზღვრის სხვა მონაკვეთების, მათ შორის უკრაინასთან საერთო საზღვრის კონტროლსაც ნიშნავს, რომლის ტერიტორიაზეც ახლო აღმოსავლეთის გავლით გადასული საკმაოდ ბევრი ჩრდილოეთ კავკასიელი იმყოფება.

აუცილებელია დიდი ყურადღება მიექცეს ორი ქვეყნის შიდა პოლიტიკის სტრუქტურათა საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურებთან თანამშრომლობას. მხოლოდ ასეთ თანამშრომლობასა და კოორდინაციას შესწევს უნარი, ახლო აღმოსავლეთიდან ისლამური რადიკალიზმის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთისა და საქართველოს ძალისხმევა წარმატებული გახადოს. ამასთან, ლაპარაკია აგრეთვე სხვადასხვა ქსელების – ნათესავების, მეგობრებისა და ა.შ. – გამოყენებით ადგილობრივ მუსლიმებზე ნეგატიური ზეგავლენის მოხდენაზეც.

და ბოლოს, ორი ქვეყნის თანამშრომლობისთვის უაღრესად პერსპექტიული მიმართულებაა ახლოაღმოსავლური ტერორისტული სტრუქტურებისა და დაჯგუფებების ქსელთა წინააღმდეგ ბრძოლის უშუალოდ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე წარმოება. უპირველეს ყოვლისა, ეს ისლამურ სახელმწიფოს ეხება, რომელიც ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ერაყისა და სირიის ტერიტორიათა საკმაოდ დიდ ნაწილს აკონტროლებდა, თავისი ქსელების ახლო აღმოსავლეთის ფარგლებს გარეთ ფართოდ გაშლაზე იყო ორიენტირებული. დღესდღეობით, ტერიტორიებისა და რესურსების დაკარგვიდან გამომდინარე, ისლამური სახელმწიფო ქსელურ სტრუქტურად სულ უფრო აქტიურად ტრანსფორმირდება. როგორც „ალ-ქაიდა“, ისე ისლამური სახელმწიფოც კავკასიას ერთიან რეგიონად მიიჩნევენ და მას „ემირატთან“ ან „ვილაიათ კავკასიასთან“ აერთიანებენ. კავკასიის ქედის ორივე მხარეს ბოევიკთა მჭიდრო კავშირების გათვალისწინებით, კავკასიის ტერიტორიაზე ტერორისტული ქსელების ფორმირების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში შესაძლებელია, რომ რუსეთისა და საქართველოსთვის ერთმანეთთან აქტიური თანამშრომლობა ხელსაყრელი იყოს.

ამგვარად, რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, განსაკუთრებით ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განხრით, რუსეთსა და საქართველოს ერთმანეთთან ურთიერთობის დალაგების სერიოზული საფუძველი გააჩნიათ.

ირაკლი მენაღარიშვილი

ზოგიერთი მოსაზრება უსაფრთხოების სფეროში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესაძლო ნაბიჯების თაობაზე

შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს, როგორც ყველა ახლად დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანებიდან ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობის მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის მოწესრიგება, შესაძლო საკამათო საკითხების ირგვლივ მშვიდობიანი, კონსტრუქციული დიალოგის პრაქტიკის დამკვიდრება და ამ გზით ქვეყნის ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფოებრიობისათვის სტაბილური, თანამშრომლობაზე ორიენტირებული სამეზობლო გარემოს შექმნა გახლდათ. შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის პირველი წლების არაერთი მძიმე გამოცდის მიუხედავად, საქართველომ ძირითადად შეძლო ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა ყველა მეზობელთან ურთიერთობაში, გარდა ერთისა. ეს მეზობელი რუსეთი გახლდათ. არადა, რუსეთთან მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს ფორმირება საქართველოსათვის გეოპოლიტიკური იმპერატივია.

უსაფრთხოება, როგორც ქართულ-რუსული ურთიერთობის პრობლემა

ძირითადი სფერო, სადაც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთგაგების მიღწევა დღემდე ვერ ხერხდება, სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროა და ამას თავისი ფუნდამენტური მიზეზები აქვს. უსაფრთხოება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის, ალბათ, ერთი ყველაზე პრობლემური სფეროა, სადაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა ასპექტით მხარეთა მიერ სიტუაციის შეფასება კარდინალურად ურთიერთსაწინააღმდეგო თუ

არა, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია. ამისი მიზეზი ცივი ომის დასრულების შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში მოვლენათა განვითარების განსხვავებული აღქმაა.

რუსეთის პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილისა და საბჭოთა სინამდვილიდან მემკვიდრეობით მიღებული სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ცალკეული სტრუქტურების როლს საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი, დრამატული წლების განმავლობაში გამწვავებულ კონფლიქტებსა და ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ტურბულენტურ მოვლენებში თბილისი სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევად აფასებდა და აფასებს, ხოლო მოსკოვი ყოველივე ამას პოსტსაბჭოთა სივრცეში სტაბილურობის შენარჩუნების, მცირერიცხოვანი ეთნოსებისა და რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებათა დაცვის ყოფილი იმპერიული ცენტრისათვის ჩვეულ ფუნქციად აცხადებდა და აცხადებს.

საქართველოს, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიან წევრს, სამართლიანად აქვს პრეტენზია, დამოუკიდებლად აირჩიოს მოკავშირეები, ცივილიზაციური სფერო, რომელში ინტეგრირებაც მის ინტერესებს პასუხობს და ა. შ.

რუსეთი კი თვლის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის სამომავლო დინამიკა, მისი ურთიერთობა გარესამყაროსთან უპირველესად რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით, რუსეთის მიერ ფორმულირებული პრიორიტეტების შესაბამისად უნდა ვითარდებოდეს. რუსეთს ეს სივრცე თავისი განსაკუთრებული ინტერესების სფეროდ მიაჩნია და საერთაშორისო თანამეგობრობისაგან თავისი ამგვარი, განსაკუთრებული სტატუსის აღიარებასა და პატივისცემას მოითხოვს.

რადიკალურად განსხვავებულია კავკასიის რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის სამომავლო ხედვაც: საქართველო თავისი სტაბილური განვითარების გარანტიებს უსაფრთხოების ევროატლანტიკურ სისტემაში ხედავს, მაშინ, როცა რუსეთის ფედერაციისათვის ეს მიუღებელია. მისი განცხადებით, პოსტსაბჭოთა სივრცის ნებისმიერ სეგმენტში, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის იგი, ევროატლანტიკური სტრუქტურების გავლენის დამკვიდრება აქ სწორედ რუსეთის განსაკუთრებულ ინტერესებს ლახავს და ამიტომაც დაუშვებელია.

გარემომცველი გარემოსა და აქ განვითარებული მოვლენების ამგვარი განსხვავებული აღქმა არაერთხელ გამხდარა ორ მეზობელ

სახელმწიფოს შორის მწვავე დისპუტის, ზოგჯერ კი კონფლიქტის საფუძველიც კი.

2008 წლის სამხედრო კრიზისის და რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობის შემდეგ ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობა სრულ ჩიხში მოექცა. გაწყდა დიპლომატიური ურთიერთობა. თითქმის სრულად შეჩერდა ამ რეგიონებისა და დანარჩენი საქართველოს მოსახლეობას შორის ეკონომიკური, სოციალური კავშირები. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა რუსეთის ფედერაციას, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა გაცვლამ, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების, მათ შორის უსაფრთხოების სფეროში ხელშეკრულებების გაფორმებამ. ყოველივე ამან პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა კონფლიქტების მოწესრიგების მიზნით რაიმე სახის სამშვიდობო მოლაპარაკების წარმართვა. საერთაშორისო მონაწილეობით მხარეთა ჟენევის შეხვედრები პრაქტიკულად ბრალდებათა ურთიერთგაცვლისა და პოლიტიკურ პრეტენზიათა განცხადების არენად იქცა.

ამ პირობებში რუსეთისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზ. აბაშიძისა და რფ-ს საგარეო მინისტრის მოადგილის, გ. კარასინის შეხვედრები ორ ქვეყანას შორის საქმიანი დიალოგისა და ცალკეული პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის ერთადერთ ეფექტიან ფორმატად რჩება. თუმცა ამ შეხვედრების პოტენციალი შეზღუდულია, რადგან მისი დღის წესრიგი არ მოიცავს უსაფრთხოების სფეროს საკითხებს და, რაც მთავარია, ორი ქვეყნის ურთიერთობის კარდინალურ პრობლემას – 2008 წლის კრიზისის შედეგებსა და მათი დაძლევის გზებს.

მაგრამ არსებობს სხვა მოცემულობაც, რასაც ასევე სჭირდება გათვალისწინება. ეს რუსეთისა და საქართველოს მეზობლობაა, რაც, ზოგადი პოლიტიკური კონტექსტის მიუხედავად, წარმოშობს პრობლემებს და მოითხოვს მათ გადაჭრას. როგორც ამბობენ, გეოგრაფია ჯიუტი რამაა.

დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა და კონტაქტების აუცილებლობა

განმდგარი ტერიტორიების პრობლემა თავის თავში შეიცავს ან თვით ქმნის პრობლემურ სიტუაციებს, რომელთაც გადაუდებელი რეაგირება ესაჭიროება. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ხშირად სწორედ

ამგვარ გადაუდებელ საკითხებზე მუშაობისას შეიძლება იმ ე. წ. მცირე ნაბიჯების მოაზრება და დაგეგმვა, რაც კონფლიქტური სიტუაციის საფუძვლიანად მოგვარებამდე ძალისხმევის პრაქტიკულად ერთადერთ ფორმად რჩება. სწორედ ამგვარ პირობებში შეიძინა განსაკუთრებული აქტუალობა საკითხების რიგმა, რომელთა მოგვარებაც ორივე მხარის ინტერესებშია.

უპირველესად, ეს არის კონფლიქტური რეგიონების გარეშე სამყაროსაგან იზოლაცია და ამის შედეგად შექმნილი პრობლემები, ერთი მხრივ, მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და, მეორე მხრივ, მათი საზოგადოებების მიერ გარე სამყაროსა და რეგიონების ირგვლივ განვითარებული მოვლენების აღქმისა. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი იზოლაცია არც ერთი მხარის (არც საქართველოს და არც რუსეთის ფედერაციის) ინტერესებში არაა, რეალური ნაბიჯები ამ მიმართულებით არ ან ვერ იდგმება.

ბუნებრივია, რომ საკითხთა ამ წრეს მარტივი გადაწყვეტა ვერ ექნება. საქართველოსა და რუსეთის ინტერესები, ისევე, როგორც რეგიონების ადგილობრივი მოსახლეობის მისწრაფებები, აქ დაპირისპირებათა რთულ კვანძს ქმნის, რაში გარკვევაც ადვილი როდია. ერთი მხრივ, საქართველო ვერ დაუშვებს თავისი პოზიციის შესუსტებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის არცნობის საკითხში. მეორე მხრივ კი, რეგიონების მოსახლეობის გარე სამყაროსგან იზოლირება და მათ ირგვლივ განვითარებული მოვლენების თაობაზე მათი რუსეთიდან მიღებული ინფორმაციის ამარა დატოვება მათ შემდგომ გაუცხოებასა და შერიგების პროცესისათვის ზიანის მიყენებას ნიშნავს. რუსეთიც, ერთი მხრივ, ცდილობს, ადგილობრივი მოსახლეობა მაქსიმალურად საკუთარი კონტროლის ქვეშ ჰყავდეს. მაგრამ მას არ შეუძლია, ანგარიში არ გაუწიოს ამ ტერიტორიების მცხოვრებთა მოთხოვნას გარე სამყაროსთან ურთიერთობის გაფართოების თაობაზე. რუსეთისათვის მეტისმეტად მძიმე ტვირთად იქცა ამ ტერიტორიების შენახვა. მით უმეტეს, რომ საერთაშორისო იზოლაციის პირობებში ადგილობრივი ეკონომიკების განვითარებაზე საუბარიც კი ზედმეტია. ამგვარი ჩიხის პირობებში სრულიად შესაძლებელია, ექსპერტთა მონაწილეობით ქართულ-რუსული დიალოგის ფარგლებში მოიძებნოს საკითხისადმი ურთიერთკომპრომისული მიდგომის ვარიანტები.

შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო ტერიტორიების გამყოფი ხაზების დემარკაციის, ანუ მათი ე. წ. „საზღვრებად“ გაფორმების მცდელობამ. ამ

პრობლემას, გარდა პოლიტიკურისა, მწვავე ჰუმანიტარული ასპექტიც აქვს: ამ ზონებში რეგულარულად ირღვევა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები. არცთუ იშვიათად საფრთხე ექმნება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. გამყოფმა ხაზმა არაერთი მიმდებარე სოფლის მოსახლეთა სამეურნეო ცხოვრება და ტრადიციული ყოფა პრაქტიკულად მოშალა. ბევრგან ადგილობრივ მცხოვრებთა საძოვრები თუ მიწის ნაკვეთები გამყოფი ხაზის გადაღმა მოექცა. არაერთი ადგილობრივი მცხოვრები არსებული რეჟიმის სადამსჯელო აქციების მსხვერპლი გახდა. „საზღვრის“ ე. წ. დარღვევის ბრალდებით არაერთი მათგანი პატიმრობაში აღმოჩნდა.

ევროპის კავშირის დამკვირვებელთა მისია ამგვარი შემთხვევების თავიდან აცილებას ვერ ახერხებს, რადგან მას მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის ფარგლებში აქვს მოქმედების უფლება. სხვა მექანიზმი ამ ფუნქციით, პრაქტიკულად, არ არსებობს. მსგავსი ფაქტების პრევენციის მიზნით მხარეთა შორის კონსულტაციის საფუძველზე შესაძლებელია სპეციალური საკონტაქტო მექანიზმის შემუშავება. მის საქმიანობაში შესაძლებელი იქნებოდა ორივე მხარის ადამიანის უფლებადამცველთა სამსახურების ჩართვა. ეს უდავოდ გაზრდიდა ამგვარი მექანიზმისადმი საზოგადოების ნდობას.

სახელმწიფო საზღვარი და გამოსავლის ძიების აუცილებლობა

განმდგარი ტერიტორიების პრობლემამ განუსაზღვრელი ვადით გადადო საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დადგენისა და გაფორმების პროცესიც, რაც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში მუდმივი გაუგებრობისა და დაძაბულობის დამატებით წყაროს წარმოადგენდა და წარმოადგენს.

საკუთარი სასაზღვრო ხაზის სათანადოდ განსაზღვრა, გაფორმება და შესაბამისად მოწყობა მეზობელ სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის ერთ-ერთი უპირველესი პირობაა. საქართველოს სახელმწიფომ ეს სამუშაო დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე დღეებიდანვე დაიწყო. სამწუხაროდ, სათანადოდ მოწესრიგებული სახელმწიფოთაშორისი საზღვარი საქართველოს მხოლოდ ერთ მეზობელთან – თურქეთთან აქვს. სასაზღვრო ხაზის შეთანხმების (დელიმიტაციის) პროცესი ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს აზერბაიჯანთან და სომხეთთან. რუსეთის ფედერაციასთან ეს პროცესი, პრაქტიკულად,

ჩიხშია შესული. სიტუაცია, რაც საქართველო-რუსეთის საზღვართან დაკავშირებითაა შექმნილი საერთაშორისო სამართლებრივ ნონსენსს წარმოადგენს. მისი სრულმასშტაბიანი მოგვარება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგაა შესაძლებელი. მაგრამ არსებობს არაერთი მოუგვარებელი საკითხი საზღვრის იმ მონაკვეთებზეც, რაც ოკუპირებული ტერიტორიების მიღმა მდებარეობს. სასაზღვრო ხაზის მოწესრიგება და მისი ნორმალური ფუნქციონირება ორივე მხარის ინტერესებშია.

ამგვარი დაინტერესების ძირითადი მიზეზების შესახებ ქვევით გვექნება საუბარი. აქ კი მხოლოდ ერთი გარემოების აღნიშვნით შემოვიფარგლებით: მწვავე კრიზისულმა სიტუაციამ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებში ცალკეული, მტკივნეული საკითხების მოწესრიგების სრულიად არაორდინარული ფორმები და გადაწყვეტილებები უკარნახა მხარეებს, მათ შორის, მესამე – ნეიტრალური მხარის მონაწილეობით. ვფიქრობ, არსებული გამოცდილების გამოყენებით საქართველო-რუსეთის სასაზღვრო ურთიერთობის ზოგიერთ მოსაწესრიგებელ თემაზე ერთობლივი მუშაობა სრულიად შესაძლებელია.

დღემდე ვერ მოხერხდა „საბაჟო ადმინისტრირებისა და საქონლით ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმის ძირითადი პრინციპების შესახებ“ რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის შეთანხმების ამოქმედება.

აღნიშნული შეთანხმება გაფორმდა რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას საქართველოს თანხმობის სანაცვლოდ. შეთანხმების საგანი კონფლიქტური რეგიონების ტერიტორიაზე სატრანზიტო ტვირთების გადაადგილების, მათი აღრიცხვისა და საბაჟო გაფორმების განსაკუთრებული დროებითი რეჟიმის ამოქმედება იყო. ამ მექანიზმით ხერხდებოდა მოცემულ პირობებში ორ ქვეყანას შორის საქონლის მოძრაობის იმგვარი პირობების ფორმირება, რაც ყველა მხარის ინტერესებსა და პრეტენზიებს პასუხობდა. შეთანხმებით გათვალისწინებულია საბაჟო პროცედურების განხორციელებისათვის უცხოური (შვეიცარული) კომპანიის მოწვევა. სამწუხაროდ, დოკუმენტის გაფორმებიდან 5 წლის გასვლის შემდეგაც მისი განხორციელების პროცესის ბოლომდე მიყვანა ვერ ხერხდება. შედეგად, უმოქმედოდაა ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულების ორი სატრანსპორტო დერეფანი. ეს იმ პირობებში, როცა ამ მიმართულებით სატრანსპორტო სიმძლავრეთა სერიოზული დეფიციტია და ეს, უპირველესად, რუსეთისა

და მისი პარტნიორების ინტერესებს აზარალებს. რა თქმა უნდა, ამ საკითხის ირგვლივ მხარეთა აქტიური კონსულტაციები ორივე სახელმწიფოს ინტერესებს პასუხობს.

ახლო აღმოსავლეთი და კავკასიის უსაფრთხოება

როგორც რუსეთის, ისე საქართველოს უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა საერთოა და იგი თავისი სირთულით უმთავრეს გლობალურ საფრთხეთა რიცხვშია. საქმე ეხება ისლამური ექსტრემიზმის მძლავრ აფეთქებას, რომელმაც პრაქტიკულად ყველა კონტინენტზე შეაღწია და რომლის ცენტრიც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მდებარეობს. ამ მოვლენის ექომ პოსტსაბჭოთა სივრცის არაერთ ნაწილში გაამწვავა იქ უკვე არსებული წინააღმდეგობები და დაძაბულობის ერთ-ერთი ამგვარი ცენტრი კავკასიის რეგიონი გახდა.

თუმცა ეს პრობლემა კავკასიის რეგიონის მრავალ უბანს მოიცავს, ყველაზე მწვავე სახით იგი რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემად იქცა. ეთნიკური სეპარატიზმი, რელიგიური ექსტრემიზმი და აქედან ტერორიზმი ჩრდილოეთ კავკასიისათვის არ ახალია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თითქმის მთელი ჩრდილოეთი კავკასია კონფლიქტების კერად ჩამოყალიბდა. შიდა დაპირისპირებები, დაპირისპირება ფედერალურ ცენტრთან, ტერორისტული აქტები – ყველაფერი ეს ყოველდღიურობის მახასიათებლად გადაიქცა.

ექსპერტთა შეფასებით, ჩრდილოეთ კავკასია ვერ გახდა რუსეთის ბუნებრივი ნაწილი. მას ხშირად „შიდა საზღვარგარეთსაც“ უწოდებენ. რუსეთმა ვერ შეძლო ამ რეგიონის საკუთარ სახელმწიფოებრივ სხეულში ინტეგრირება. ამის მიზეზი რეგიონსა და რუსეთს შორის ცივილიზაციური განსხვავების რეალური არსებობაა, რის გადალახვას ხელს უშლის რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე, მისი ჩამორჩენა ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, რელიგიური ექსტრემიზმის მზარდი ფაქტორი. მენტალური მოდერნიზაციის პრობლემა ასევე მწვავეა რეგიონში. რეგიონის მიმართ ცენტრის არაეფექტური პოლიტიკის ერთ-ერთი მიზეზი ასევე კულტურულ-მენტალურია. ვერც რუსეთისათვის გახდა ჩრდილოეთ კავკასია მისი ორგანული ნაწილი.

ჩრდილოეთ კავკასიისათვის უკანასკნელი დროისათვის დამახასიათებელი ტენდენციებიდან ხაზგასმით გამოიკვეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების კლერიკალიზაციის ტენდენცია. საქმე

იქამდე მივიდა, რომ ეთნიკური სეპარატიზმი ბევრგან რელიგიურმა სეპარატიზმმა ჩაანაცვლა.

კავკასიაში უსაფრთხოების ამგვარ, ისედაც პრობლემურ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები. ამ მრავალეროვან და მრავალკონფესიურ რეგიონში, რომელიც არა ერთი ათწლეულია, მუდმივი კრიზისის პირობებში ცხოვრობს, უკანასკნელ წლებში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა რეგიონის პოლიტიკურ სცენაზე უკიდურესი ისლამისტური ექსტრემისტული მოძრაობის – ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფოს (ის) გამოჩენის შედეგად.

ისლამური სახელმწიფოს აგრესიული ქმედება განსაკუთრებით დესტრუქციული აღმოჩნდა ჯიჰადში მონაწილეობისათვის საერთაშორისო მასშტაბით, პრაქტიკულად, მსოფლიოს ყველა კუთხიდან მუსულმანური თემების წარმომადგენელთა წარმატებული რეკრუტირების გამო. ეს გამოწვევა არც კავკასიის, კერძოდ კი რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანის და საქართველოს მუსლიმთა საზოგადოებას ასცდა.

ამგვარი მოვლენის ძირითადი მიზეზი სრულიად კავკასიის მასშტაბით მუსულმანურ თემებში მიმდინარე რადიკალიზაციის პროცესია. მისი საფუძველი ცალკეულ ქვეყნებში განსხვავებულია, მაგრამ შედეგი საერთო – ისლამური ექსტრემიზმი, რამაც საფუძველი შეუქმნა საშიშ ტენდენციას. ისლამურმა სახელმწიფომ მთელი კავკასია საკუთარ სამიზნე ტერიტორიად გამოაცხადა და დაიწყო აქ მოხალისეთა მობილიზაცია და თავისი იდეების პროპაგანდა.

ამ მოვლენამ კიდევ ერთხელ დააკავშირა პროცესები რუსეთსა და საქართველოში. ის-ის მოწოდებებმა გამოხმაურება საქართველოს მუსლიმთა შორისაც ჰპოვა. და მიუხედავად იმისა, რომ, ექსპერტთა მონაცემებით, ისლამის მებრძოლთა რიცხვი რუსეთიდან და საქართველოდან ერთმანეთთან შეუდარებელია, ეს პრობლემის ერთ, მეტად მნიშვნელოვან ასპექტს არ ხსნის. ორივე ქვეყნისათვის სამომავლო პრობლემა – ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედების დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ჯიჰადისტების ბედი და სამომავლო მოქმედება სერიოზულ გამოწვევაა.

ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ორი მეზობელი სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესები, მიუხედავად მათ შორის არსებული სერიოზული წინააღმდეგობისა, მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. მეტიც, ახლო აღმოსავლეთის დრამატული მოვლენების შედეგად წარმოშობი-

ლი საფრთხეები პირდაპირ და უშუალოდ ემუქრება აზერბაიჯანსა და რეგიონთან ახლო მდებარე სხვა მეზობელ სახელმწიფოებსაც. აქ უკვე შესაძლებელია, ძნელი გასარჩევი აღმოჩნდეს, თუ სად იღებდა სათავეს ამა თუ იმ ექსტრემისტული დაჯგუფების ფორმირება და აქტივობა. სამწუხაროდ, ტერორიზმი და ექსტრემიზმი სახელმწიფო საზღვრებსა და მათი ფუნქციონირების წესებს არ ცნობს.

საქართველოსათვის ამ უკანასკნელ საკითხს კიდევ ერთი, შესაძლოა, მეტად მტკივნეული ასპექტიც ჰქონდეს. რუსეთის მხარეს, შესაძლოა, ეჭვები გაუჩნდეს საქართველოს მიდგომების თაობაზე ამ საკითხისადმი, რამაც შეიძლება რეგიონში სიტუაცია გაართულოს. ამგვარი დაპირისპირების სამწუხარო მაგალითები უცხო როდია მეზობელი სახელმწიფოების უახლესი ისტორიისათვის. საკმარისია გავიხსენოთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მეორე ჩეჩნური კამპანიის პერიოდის ე. წ. „პანკისის ეპოპეა“, რასაც შედეგად საქართველოს ტერიტორიის დაბომბვა და მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლიც მოჰყვა.

ყოველივე ზემოთქმული ერთმნიშვნელოვნად გვკარნახობს ახლო აღმოსავლეთის ტრაგიკულ მოვლენათა ფონზე და მათ შედეგად კავკასიის რეგიონში რელიგიური ექსტრემიზმის შესაძლო გამოვლინებების აღკვეთის მიზნით ერთობლივი მოქმედებების გააზრებას, დაგეგმვასა და განხორციელებას. ამასთან, ვფიქრობთ, აუცილებელი იქნება რამდენიმე პირობის აუცილებლად გათვალისწინება.

პირველი პირობა ერთობლივი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება გახლავთ კავკასიის მთელ ტერიტორიაზე, რეგიონის ყველა სახელმწიფოს ჩართვით და საქმიანობის მჭიდრო კოორდინაციით.

საქართველოსა და რუსეთს ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ ერთობლივი მუშაობის პოზიტიური გამოცდილება გააჩნიათ სოჭის ოლიმპიადის ჩატარებისას. მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ერთობლივი აქციის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული. ეს ეხება ერთ, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვან მომენტსაც, რამაც დიდწილად განაპირობა ოლიმპიადასთან დაკავშირებული ღონისძიებების წარმატება. საუბარია აღნიშნულ საქმიანობაში სხვა, მეგობარი ქვეყნის წარმომადგენელთა აქტიურ ჩართვაზე. ვფიქრობთ, ამგვარი მრავალმხრივი კოოპერაცია წარმატების აუცილებელი პირობა უნდა გახდეს.

რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ გადაუდებელი აქციებით. მოვლენათა განვი-

თარება ნათლად გვკარნახობს პრობლემის უფრო სიღრმისეული და ფართო კვლევის საჭიროებას. ამ მიზნით აუცილებელია იმ პროცესებზე რეგულარული და სისტემური დაკვირვების ორგანიზება, რაც კავკასიისა და მისი სამეზობლოს მუსულმანურ თემებში ვითარდება. საკითხის გამწვავებისას სიტუაციის შეფასებამ გვიჩვენა, თუ რაოდენ არასაკმარისი აღმოჩნდა ის ყურადღება, რასაც თანამედროვე საექსპერტო საზოგადოება, სახელმწიფო აპარატი და სათანადო დაწესებულებები იჩენდნენ რეგიონის მასშტაბით მოსახლეობის ამ სეგმენტში მდგომარეობისადმი. ვფიქრობთ, ამ და სხვა დაკავშირებული საკითხების ირგვლივ ერთობლივი მონიტორინგისა და ანალიზის მუდმივმოქმედი მექანიზმის ორგანიზება კიდევ ერთი ურთიერთსასარგებლო საქმე შეიძლება გახდეს კავკასიური სახელმწიფოების დაინტერესებული ექსპერტული ჯგუფებისათვის.

საერთო რეკომენდაციები

1) მოვუწოდებთ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ორგანოებს, გამართონ კონსულტაციები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის[1] ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლებისა და საგარეო კონტაქტების განვითარების ხელშეწყობისათვის:
   ა) საქართველოს ხელისუფლებას – გამართოს კონსულტაციები დაინტერესებულ საერთაშორისო პარტნიორებთან აღნიშნულ საკითხებზე და ასევე მიდგომებზე, რომელიც მოცემულია პროექტში „ჩართულობა აღიარების გარეშე";
   ბ) რუსეთის ხელისუფლებას – გამართოს კონსულტაციები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასთან საკითხებზე, რომელიც ეხება ადგილობრივ მკვიდრთა დაუბრკოლებლად გადაადგილებას (შემოსვლა/გასვლა) საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

2) მოვუწოდებთ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის შესაბამის სახელმწიფო ადამიანის უფლებადამცველ სტრუქტურებს, დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან ერთად, შეიმუშაონ რეგულარული საკონსულტაციო მექანიზმი გამყოფი ხაზების[2] მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ ადგილობრივ მკვიდრთა უფლებების დაცვის თაობაზე.

3) გასააქტიურებელია ორმხრივი და მრავალმხრივი დიალოგი სასაზღვრო ვაჭრობის გაადვილებისა და რეგიონის მიერ სატრანზიტო პოტენციალის ეფექტური გამოყენების მიზნით, საქართველოს და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის არსებული „საბაჟო ადმინისტრირებისა და საქონლით ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმის ძირითადი პრინციპების შესახებ" შეთანხმების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

---

[1] აქ და შემდეგ ქართველი ექსპერტები სახელწოდებებში „აფხაზეთი" და „სამხრეთ ოსეთი" გულისხმობენ საქართველოს ტერიტორიებს. რუსი ექსპერტები კი სახელწოდებებში „აფხაზეთი" და „სამხრეთ ოსეთი" გულისხმობენ რუსეთის ფედერაციის მიერ აღიარებულ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს.

[2] აქ და შემდეგ ქართველი ექსპერტები ტერმინში „გამყოფი ხაზები" გულისხმობენ ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო-სა და აფხაზეთის ასსრ-ს ადმინისტრაციულ საზღვრებს. რუსი ექსპერტები კი ტერმინში „გამყოფი ხაზები" გულისხმობენ საქართველო-აფხაზეთისა და საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვრებს.

4) ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტური ზონებიდან მომდინარე საფრთხეების და ექსტრემისტული ელემენტების აქტივობის აღსაკვეთად, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის (დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით) უნდა მოხდეს ინფორმაციის გაცვლის ორგანიზება.
   ა) საქართველოს, რუსეთსა და რეგიონის სხვა ქვეყნებს შორის ექსტრემისტული იდეოლოგიების საპირისპიროდ, რელიგიური თანამშრომლობის ხელშეწყობა;
   ბ) საექსპერტო დიალოგის ორგანიზება/წარმოების ხელშეწყობა, ექსტრემისტული იდეოლოგიის გავრცელების აღკვეთისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

5) უნდა დაიწყოს მხარეების ექსპერტთა შეხვედრების ორგანიზება რეგიონული უსაფრთხოების თემატიკაზე, ევროპული უსაფრთხოების კონტექსტში, რაც ორივე ქვეყნის ინტერესს წარმოადგენს.

გეოპოლიტიკა

ზაალ ანჯაფარიძე

მსოფლიოში არსებული ცვალებადი გეოპოლიტიკური მდგომარეობის ზემოქმედება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე

არამდგრადი წონასწორობის მდგომარეობა

რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებზე საერთაშორისო არენაზე უკვე მომხდარი და მომავალი გეოპოლიტიკური ცვლილებების შესაძლო ზემოქმედების საკითხი (Brexit, ევროკავშირში კრიზისის ნიშნები, აშშ-სა და ევროკავშირში ევროსკეპტიკური და იზოლაციონისტური პოლიტიკური ძალების გაძლიერება, „ისლამურ სახელმწიფოსთან" ბრძოლა) ქვეყნის საექსპერტო გაერთიანებაში აქტიურად განიხილება.[1]

ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარება ძალათა საკმაოდ მყიფე ბალანსის პირობებსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილი რეალობის გათვალისწინებით უხდება. უპირველეს ყოვლისა, ეს ამ სივრცისადმი რეგიონის ფარგლებს გარეთ არსებულ მოთამაშეთა (ევროკავშირი, აშშ და, გარკვეულწილად, ჩინეთი) ინტერესების ზრდაა.

რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობების თავისებურებათა გათვალისწინებით ლოგიკური იქნებოდა დავინტერესებულიყავით, თუ რა გზას აირჩევენ ამ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში მხარეები – სადაც, შესაძლებელია, თანამშრომლობისკენ მიმართული გზების მოძებნას შეეცდებიან თუ პოლიტიკური კონიუნქტურისა და გეოპოლიტიკური ამბიციების მძევლები გახდებიან. თავისთავად ცხადია აქ მხარეთა, როგორც საერთაშორისო მოთამაშეთა სამხედრო-პოლიტიკური სტატუსის თანაზომიერებაც გასათვალისწინებელია და

[1] http://caucasianhouse.ge/en/news/videoconference-on-georgian-russian-relations
https://eadaily.com/ru/news/2017/04/26/nikolay-silaev-rossiya-gruziya-stanet-lidezorientaciya-produktivnoy

საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მათი სტრატეგიული მიზნებიც. რუსეთი კონსოლიდაციისა და მინიმუმ პოსტსაბჭოთა სივრცეზე მაინც საკუთარი გავლენის გამყარების გზით რეგიონული ლიდერის როლში თავის დამკვიდრებისკენ აქტიურად მიისწრაფვის.

იმავდროულად ამ სივრცეზე თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებას აშშ და ევროპაც აქტიურად ცდილობენ. ამისი ერთ-ერთ შედეგია პოსტსაბჭოთა სივრცეში კონკურენტული ინტეგრაციული პროექტების აღმოცენებაა. საქართველოსთან დაკავშირებით კი, ყოველწლიურად გაღრმავებული სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური თანამშრომლობა.

ჯერჯერობით არ გამართლებულა პროგნოზები იმის შესახებ, რომ აშშ-ს პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევა და ხელისუფლების სათავეში „ევროსკეპტიკოსების“ მოსვლის პერსპექტივა პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ დასავლეთის ინტერესთა შესუსტებასა და საქართველოში მისი აქტივობის შემცირებას გამოიწვევდა. არც ის ვარაუდები დასტურდება, რომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში მოსალოდნელი აქტივობის შემცირება საქართველოს ხარჯზე მოხდება და დასავლეთი და რუსეთი „RealPolitik“-ის ფარგლებში რუსეთთან სხვა საკითხებზე მოლაპარაკების სანაცვლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის თანდათანობით შემცირებაზე მოილაპარაკებდნენ.[2]

თებერვალში, ტრამპის ინაუგურაციიდან 20 დღის შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის – მიხეილ ჯანელიძისა და აშშ-ს ახალი სახელმწიფო მდივნის – რექს ტილერსონის შეხვედრამ, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მაღალჩინოსანი ოფიციალური წარმომადგენლების აშშ-ში ვიზიტებმა და აშშ-ს ადმინისტრაციის შემდგომმა ნაბიჯებმა ცხადი გახადა და, უმთავრესად რუსეთისთვის, რომ ქართული ოპოზიციისა და რუს ანალიტიკოსთა ნაწილის წინასწარმეტყველების საწინააღმდეგოდ საქართველო აშშ-ს „პოლიტიკური რადარებიდან“ სულაც არ გამქრალა. მხარეებმა სტრატეგიული პარტნიორობა და აშშ-ს მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა დაადასტურეს. ვაშინგტონში ხაზგასმით აღინიშნა, რომ „საქართველო სტაბილურობის ერთადერთ კუნძულს და რეგიონ-

[2] https://www.washingtonpost.com/opinions/the-trump-dossier-is-silly--except-for-one-thing/2017/01/11/f04fc1ba-d828-11e6-b8b2-cb5164beba6b_story.html?utm_term=.ecfce821105b

ში ერთადერთ წარმატებულ პროექტს წარმოადგენს[3]. თუმცა, იმავდროულად, გაურკვეველი დარჩა, განიხილეს თუ არა მხარეებმა თბილისისთვის ყველაზე საჭირბოროტო საკითხი – ბრიუსელში ნატოს მომავალი სამიტი და ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის პერსპექტივები.

მიუხედავად საგარეო პოლიტიკაში ამ ტაქტიკური წარმატებებისა, იმდენად, რამდენადაც საქართველო რომელიმე სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრი არ არის, უსაფრთხოების მხრივ ის ჯერაც მოწყვლადი რჩება. ამ მხრივ ის მთლიანად აშშ-სთან ორმხრივ სტრატეგიულ პარტნიორობაზეა დამოკიდებული და, შესაბამისად, აშშ-ს პოლიტიკაში ნებისმიერი მოსალოდნელი და/ან სავარაუდო ძვრები საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვან და მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე საქართველოსთვის, რომელსაც მოსკოვის ცხადი უკმაყოფილების მიუხედავად, ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსი მყარად უჭირავს[4], სერიოზული გამოწვევები ჩნდება. მაგრამ, იმავდროულად, ჩნდება ამ გამოწვევების შერბილების საშუალებებიც, რომელთა გამოყენებაც მართებული იქნებოდა.

რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების ამჟამინდელი კონტექსტისა და, ასევე, ახალ მოთამაშეთა ჩართვის (მაგალითად, ჩინეთის) შესაძლებლობით პოსტსაბჭოთა სივრცეში მათ შორის მიმდინარე კონკურენციის გათვალისწინებით, საქართველოსადმი დასავლეთის უკვე არსებული ძირითადი მიდგომის ცვლილება ძნელად წარმოსადგენია. მეტიც, რეგიონის დღევანდელი პოლიტიკური კონიუნქტურის პირობებში აშშ-სა და ევროპისთვის საქართველოს პოლიტიკური წონა და მასზე დადებული ფსონი შეიძლება გაიზარდოს კიდეც.

იმავდროულად, ჩვენ თვალს ვადევნებთ რუსეთის მცდელობას, რომ ახალი ბიძგი მისცეს „ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს“ (EACU) გამომდინარე იქიდან, რომ ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროპის კავშირთან საქართველოს ურთიერთობები იზრდება, და ეს, თავის მხრივ, რეგიონში EACU-თან გარკვეულ კონკურენციას ქმნის, შეუძლებელია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე არ აისახოს.

---

[3] http://www.civil.ge/eng/article.php?id=29851

[4] T. Japaridze. Georgia Has a Key Role to Play in Europe's Future. „National Interest“. December 8, 2016. URL: http://nationalinterest.org/feature/georgia-has-key-role-play-europes-future-18661.

როგორც ცნობილია, საქართველომ ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი[5] და, შესაბამისად, მას ხელშეკრულების მოთხოვნათა შესრულებასთან ერთად რეგიონში ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ფაქტორის გათვალისწინებაც უხდება. ამ ორი ინტეგრაციული პროექტის კონკურენციამ, სავაჭრო-ეკონომიკურ და, არცთუ უმნიშვნელოდ, პოლიტიკურ ურთიერთობებზე მათი გავლენის თანდათანობით ზრდასთან ერთად, შეუძლებელია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე თავისი კვალი არ დატოვოს.

ევროპის კავშირთან საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებაზე (AA) ხელმოწერის შემდეგ, რომელიც თავის თავში ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასაც შეიცავს, თანდათან თავს იჩენს კონკურენტული რეგიონული ინტეგრაციული პროექტების AA/DCFTA-სა და EACU-ის შეთავსების პრობლემა, თუმცა არც იმდენად, რომ კონკურენტი ალიანსების მონაწილეებს მნიშვნელოვანი დისკომფორტი შეექმნათ. ეს საკითხი ხუთი წლის შემდეგ DCFTA-ში საქართველოს ინტეგრაციის დასრულებისა და ბოლომდე მის სტანდარტებზე გადასვლის პარალელურად სულ უფრო და უფრო აქტუალური გახდება. გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე საქართველოს რეგიონში EACU-ის არსებობისთვის ანგარიშის გაწევა უხდება. საქართველო რუსეთთან, სომხეთთან და EACU-ის წევრ სხვა ქვეყნებთან ჯერ ისევ ტრადიციულ სტრუქტურასა და ვაჭრობის წესებს (საქონლისა და მომსახურების ნომენკლატურას) ინარჩუნებს. მაგრამ AA/DCFTA-ს რეალიზებასთან ერთად ეს მდგომარეობა თანდათან შეიცვლება. ორი ინტეგრაციული ეკონომიკური პროექტის თანაარსებობის პრობლემა მომავალში აუცილებლად წამოიჭრება და ძირითადი მოთამაშეები ამას ცხადად აცნობიერებენ. იმდენად, რამდენადაც ეკონომიკურ ბრძოლაში ჩაბმა, რომელიც შესაძლოა პოლიტიკურ კონფლიქტშიც გადაიზარდოს საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება, ის სხვადასხვა რეგიონული პროექტების შეთავსებადობის განხილვით არის დაინტერესებული.

როგორც ჩანს, სცენარის ასეთი განვითარება განჭვრიტეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა და წინა პლანზე წამოსწიეს ისეთი პროექტები, რომელთა მიზანიც განსხვავებულ რეგიონულ პროექტებს – AA/DCFTA-სა და EACU-ს – შორის პოტენციური კონფლიქტის შერბილებაა.

[5] https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage_en/9740/EU/Georgia%20Association%20Agreement

ეუთო economic connectivity (ეკონომიკური ურთიერთკავშირის) კონ-ცეფციას ახორციელებს[6]. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ კავკასია ჩინეთის მიერ განვითარებული მეგაპროექტის – აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის ზონაში აღმოჩნდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთისა და ევ-როპის კავშირის ინტეგრაციულ პროექტებს შორის კონკურენცია უკ-ვე დიდი ხანია მთელი თავისი პოტენციური რისკებით, მაგრამ, იმ-ავდროულად, შესაძლებლობებითაც გეოპოლიტიკური პროექტების კონკურენციაში გადაიზარდა[7]. გრძელდება და კიდეც გაგრძელდება რუსეთის მცდელობა, რომ EACU-ის ფარგლებში ინტეგრაციულ პრო-ცესებს ახალი ბიძგი მისცეს. ეს კი, შესაძლოა, გარკვეულწილად რუ-სეთ-საქართველოს ურთიერთობებზე აისახოს, რადგან რუსეთი AA/DCFTA-ს საქართველოსთვის არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლი-ტიკურ გამოწვევადაც განიხილავს. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ევროკავ-შირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (AA/DCFTA) შესახებ მოლაპარაკების წყალობით საქართველო თანდათან ევროპული ბაზრის მონაწილე ხდება, რაც ცოტა ხნის წინ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღე-ბასთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ მის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგ-რაციას უწყობს ხელს.

ნიშანდობლივია, რომ ჯერჯერობით არც ერთი მხარე არ გამოთქვამს პოლიტიკურ ნებას, რომ AA/DCFTA-სა და EACU-ის ქვეყნებს შორის ვაჭრობის ტექნიკური შესაძლებლობები ოფიციალურად განიხილოს და ვაჭრობაში პროლემების თავიდან ასარიდებლად შესაძლო ადაპ-ტაციისა და სატარიფო და არასატარიფო ბარიერების ურთიერთშემავ-სებლობის გზათა ძიება დაიწყოს. საქართველო EACU-ში ინტეგრაცი-ისადმი ინტერესს არ ამჟღავნებს და როგორც ჩანს უახლოეს პერსპექ-ტივაში არც რუსეთი აპირებს ამ მიმართულებით მის შეგულიანებას, რადგან მის დღის წესრიგში ბევრად უფრო პრიორიტეტული, ახლო საზღვარგარეთთან დაკავშირებული პრობლემები – უკრაინის პრობ-ლემა და EACU-ის წევრებთან არცთუ მარტივი ურთიერთობების მოგ-ვარება დგას.

[6] http://www.osce.org/magazine/271931

[7] http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2015/549026/EXPO_STUD(2015)549026_EN.pdf

ეკონომიკის განვითარების თავისი გეგმის შესასრულებლად საქართველოსთვის ამ ეტაპზე ქვეყანასა და რეგიონში სტაბილურობა აუცილებელი ფაქტორია. იმ რისკების გათვალისწინებით, რომლებიც მისი უსაფრთხოების დარღვევას ემუქრება, საქართველოს, თავისთავად ცხადია, რუსეთთან მიღწეული მყიფე ბალანსის დარღვევა არ უნდა. შესაბამისად, რუსეთთან ურთიერთობაში დაძაბულობის შემცირება ქვეყნის პრიორიტეტების რიცხვში შედის. ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება კი, თუნდაც იმ დონეზე, რის საშუალებებსაც ამჟამინდელი ურთიერთობები იძლევა, ამის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტჯიან ინსტრუმენტს წარმოადგენს. 2012 წლამდე უაღრესად დაძაბული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების, თუმცა კი შეზღუდული, მაგრამ მაინც მთავრობებს შორის დიალოგის ფორმატში გადაყვანა 2012 წელს მთავრობაში მოსული პარტიის – „ქართული ოცნების“ – უპირობო მიღწევად იქცა.

რუსეთთან ერთად შექმნილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის – ზ. აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის – გ. კარასინის მოლაპარაკებათა ფორმატის მნიშვნელობა, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში „აბაშიძე-კარასინის ფორმატის“ სახელითაა ცნობილი, ჯერაც შესაფასებელია. მაგრამ, უკვე დღეს, კონკრეტული და გაზომვადი ინდიკატორების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული მხარის მიერ შეთავაზებულმა ამ ინსტრუმენტმა თავისი დანიშნულება გაამართლა. მიუხედავად ჯერაც მოუგვარებელი პოლიტიკური პრობლემებისა, ორმხრივ ურთიერთობებში ომის გაჩაღების ზღვარზე ბალანსირება არ შეიმჩნევა. პოზიტიური წინსვლა იქნა მიღწეული ეკონომიკის, ვაჭრობისა და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში. 2016 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემთა მიხედვით რუსეთი საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორთა შორის პირველ სამეულშია. საქართველოში ჩამოსულ რუს ტურისტთა ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო გაზრდილ ნაკადთან ერთად რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეებს შორის ურთიერთკავშირების გაღრმავება კონფლიქტის გაღვივების შესაძლებლობას შედარებით ამცირებს. ამ ურთიერთკავშირებისგან შექმნილი პოზიტიური მარაგი დიდი ალბათობით ნაყოფს მომავალშიც გამოიღებს.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ „აბაშიძე-კარასინის ფორმატზე“ თავდასხმებს ადგილი აქვს როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მხრი-

დანაც. ოპოზიცია, რომელიც მმართველ პარტია – „ქართულ ოცნებას“ არათანმიმდევრულ პროდასავლურ კურსსა და პოლიტიკურ ორპირობაში ადანაშაულებს, „აბაშიძე-კარასინის ფორმატს“ სახიფათოდ მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ მთავრობა ამ ფორმატით რუსეთთან პრობლემების მოგვარების პოლიტიკურ ილუზიას ქმნის, რამაც, შესაძლოა, საქართველოს პრობლემებისადმი დასავლეთის გულის აცრუება გამოიწვიოს. რუსეთში კი გავრცელდა აზრი, რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების თბილისისეული მცდელობა და ანტირუსული რიტორიკის შემცირება მხოლოდ „უტილიტარული მიდგომა“[8] და ქართული პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან აშშ-სა და ნატოსთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაზრდითა და ამით ზურგის გამაგრების მიზნით, მოსკოვის შეცდომაში შეყვანის განზრახვაა.

ხისტი პოლიტიკის მიმდევრები ამაში თბილისის ხრიკებს ხედავენ და მოსკოვს მოუწოდებენ მათ არ აჰყვნენ. რუს ექსპერტთა ნაწილი „სტრატეგიული მოთმინების“ იმ პოლიტიკასაც ეჭვის თვალით უყურებს, რომელსაც საქართველო რუსეთისა და სეპარატისტული რეგიონების მიმართ ატარებს. თუკი ორმხრივ ურთიერთობებში ასეთი განწყობები გაიმარჯვებს, უკანასკნელი წლების განმავლობაში მიღწეული მცირე, მაგრამ პოზიტიური პოტენციალი, შესაძლოა, წყალშიც ჩაიყაროს. უსამართლობა იქნებოდა ჩაგვეთვალა, რომ ორმხრივ ურთიერთობებში დაძაბულობის შემცირებით მხოლოდ საქართველომ მოიგო. ყოველ შემთხვევაში, საგარეო პოლიტიკურ ასპექტში მაინც და იმით, რომ თავისი მისამართით საქართველოს მიმართ ქმედებების გამო საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკა შეამცირა, მოიგო რუსეთმაც. მიუხედავად ოპონენტთა კრიტიკისა, 2012 წლიდან საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულმა საგარეო პოლიტიკამ კონკრეტული, გაზომვადი შედეგების გათვალისწინებით, ერთი მხრივ, რუსეთთან ურთიერთობების გარკვეულწილად ნორმალიზება და, იმავდროულად, აშშ-სთან და ნატო-სთან პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელოვნად გამყარება და ახალ დონეზე გადაყვანა გახადა შესაძლებელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბაშიძე-კარასინის დიალოგის ფორმატმა, რომელიც შექმნის მომენტიდან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ საკითხთა განხილვის ფარგლებს არ გასცილებია, როგორც ჩანს, ზღვარს მიაღწია. ამ ეტაპზე უკვე ისმის კითხვა:

[8] https://rueconomics.ru/241379-utilitarnyi-podhod-gruziya-vystraivaet-otnosheniya-s-nato-na-obvineniyah-rossii

რა მიმართულება უნდა აიღოს ამ დიალოგმა და რა საკითხებს უნდა შეეხოს იმისთვის, რომ უკუგება მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს? როგორც ცნობილია, ამ ფორმატში ერთ-ერთ ყველაზე განხილვად საკითხად მტკივნეული თემა – რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის აღდგენა იქცა.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ორჯერ განაცხადა, რომ იმდენად, რამდენადაც მოსკოვი „საქართველოს მმართველი სტრუქტურების მხრიდან გარკვეულ სიგნალებს“ ხედავს, საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის აღდგენას არ გამორიცხავს. მაგრამ აცხადებს რა, რომ რუსეთი საქართველოსთან ვიზების გაუქმების საკითხზე მუშაობისთვის მზად არის, მოსკოვი იმავდროულად „დაკავშირების პოლიტიკის“ [9] მიყოლას ცდილობს. პრეზიდენტმა პუტინმა და რუსეთის ფედერაციის სხვა მაღალი თანამდებობის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს ცხადად აგრძნობინეს, რომ მოსკოვი სავიზო რეჟიმის გაუქმებას დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენასა და სპეცსამსახურების ხაზით უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობასთან აკავშირებს.

რუსეთის განზრახვა გასაგებია. სახელმწიფოებს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, ფაქტობრივად, იმის ნიშანი იქნებოდა, რისკენაც საქართველოს რუსეთი მოუწოდებს, რომ თბილისი ომისშემდგომ რეალიებს შეეგუა. სავარაუდოდ, ზემოხსენებულ დათმობებთან სავიზო რეჟიმის გაუქმების რუსეთისეული „დაკავშირების“ პოლიტიკა უახლოეს მომავალში თბილისის მხრიდან სასურველ შედეგს არ გამოიღებს. დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ამჟამინდელი სტატუს-კვოს პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია, ისევე, როგორც უსაფრთხოების სფეროში მოსკოვის მიერ შემოთავაზებული თანამშრომლობის მასშტაბი.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველომ რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი ცალმხრივი წესით უკვე დიდი ხანია გააუქმა და რუსეთის მოქალაქეებს ქვეყანაში ყოფნა ერთი წლის განმავლობაში შეუძლიათ. საქართველოს შსს-ს მონაცემებით[10], 2017 წლის იანვარში ქვეყანას რუსეთის 62,1 ათასი მოქალაქე ესტუმრა, რაც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში რეკორდული მაჩვენებელია. უწყების მონაცე-

[9] http://eurasia.expert/evropa-darit-gruzii-bezvizovyy-rezhim-chto-otvetit-rossiya/
[10] http://police.ge/ge/useful-information/statistics/sazghvris-kvetis-statistika

მებით, ამ წლის პირველ თვეში ქვეყანაში ჩამოსული რუსეთის მოქალაქეების რიცხვი 2016 წლის იანვართან შედარებით 40,3% გაიზარდა. 2016 წელს საქართველოს 1 მლნ 37 ათასზე მეტი რუსეთის მოქალაქე ესტუმრა (წლის განმავლობაში 12%-იანი ზრდა). საქართველოში ჩამოსულ მოქალაქეთა რაოდენობით რუსეთი აზერბაიჯანის, თურქეთისა და სომხეთის შემდეგ მეოთხე ადგილს იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლიდან ორმხრივი ურთიერთობების დათბობასთან ერთად რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზის მიღების პირობები მნიშვნელოვნად გაამარტივა, სავიზო რეჟიმის შენარჩუნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მაინც მტკივნეულ საკითხად რჩება და ამ ურთიერთობათა შემდგომ ნორმალიზებას უშლის ხელს. ნამდვილად არ არის მართებული შეხედულება, რომ რუსეთის ვიზების გაუქმება საქართველოს მოქალაქეებისთვის ნაკლებმნიშვნელოვანია. სხვადასხვა შეფასებით, რუსეთში საქართველოში ნათესაური კავშირების მქონე 700 ათასამდე ქართველი ცხოვრობს.

როგორც ცნობილია, საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით რუსეთის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ძალაში 2000 წელს შევიდა. სხვა ფაქტორებთან ერთად ამ გადაწყვეტილების მოტივად საქართველოს ტერიტორიიდან ჩეჩენი მებრძოლების მიერ რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთისა და რუსეთში შეღწევის საკითხთან დაკავშირებით თბილისთან ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის არარსებობა იქცა[11]. მაგრამ მას შემდეგ, უსაფრთხოების თვალსაზრისით, სიტუაცია ამ მხრივ საგრძნობლად გამოსწორდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მისამართით პერიოდულად კვლავაც ისმის ბრალდება, რომ ის მებრძოლებს აქეზებს, რუსეთის მხარეს ამისი უტყუარი დამამტკიცებელი საბუთები საჯაროდ ჯერაც არ წარმოუდგენია. რაც შეეხება აკრძალული დაჯგუფების – „ის“-ს[12] მებრძოლთა დაბრუნების საკითხს იმ მასშტაბით, რის საშუალებასაც ორმხრივ ურთერთობებში არსებული რეალიები იძლევა, საქართველო რუსეთთან თანამშრომლობაზე უარს არასდროს ამბობდა. როგორც ჩანს ვიზების თემა საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის განზრახვათა განსასაზღვრად ერთგვარ „ლაკმუსის ქაღალდად“ იქცა.

რაც შეეხება ქართულ-რუსული დიალოგის თავისებურებებს, მისი უმთავრესი უნიკალურობა ისაა, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და

[11] http://old.memo.ru/hr/hotpoints/N-Caucas/ch99/001202/kz1202b.htm
[12] Организация, запрещенная на территории России.

სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისა და ამ ტერიტორიებზე თავისი ჯარების განთავსების პირობებში დიალოგი მიმდინარეობს როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო საზოგადოების დონეზე. მეორე თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი ჩარჩოების მიმართ „სტრატეგიულ მოთმინებას“ ამჟღავნებს, წინასწარ შეთანხმებულ ფორმატში მთავრობათა სპეციალური წარმომადგენლების რუსეთთან პირდაპირი დიალოგის აუცილებლობას აღიარებს და ორი მხარის სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისა და ექსპერტთა დიალოგს ხელს არ უშლის. ასეთი მიდგომა თავისი გაერთიანებისადმი გერმანიის მიერ გამოვლენილ „სტრატეგიული მოთმინების“ მსგავსია, რომელიც სასიკეთო პოლიტიკური და საერთაშორისო კონიუნქტურის მოლოდინში 45 წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

ამასთან, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ რუსეთის ისეთი ქმედებები, როგორებიცაა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეიარაღების გაზრდა და მათი ძალოვანი სტრუქტურების რუსულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, არასტაბილურობის შეგრძნებას ზრდის და ნდობას ამცირებს.

როგორც ცნობილია, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ რუსეთმა მზადყოფნა განაცხადა, 2011 წელს ხელმოწერილი – საქართველო-რუსეთის საზღვარზე საბაჟო ადმინისტრირებისა და საქონელბრუნვის მონიტორინგის შესახებ შეთანხმება შეესრულებინა, რომელიც შვეიცარიული კომპანიის დახმარებით მონიტორინგის თანამედროვე კომპლექსური სისტემის შექმნასა და სეცესირებული ტერიტორიებიდან ტვირთის გადაადგილების აღრიცხვას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ჯერ ისევ დამუშავების სტადიაშია, რადგან მიღწეული შეთანხმება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთიდან შემავალი ტრანსპორტისა და ტვირთის სრულმასშტაბიანი შემოწმების საშუალებას არ იძლევა. მიუხედავად ამისა საქართველოში უკვე შეთანხმების სათანადო შესრულებასთან დაკავშირებულ რისკებს ხედავენ. ამასთან, ის მხოლოდ საავტომობილო ტრანსპორტით გადატანილი ტვირთების შემოწმებით შემოიფარგლება. თუმცა, საპირისპირო მოსაზრებაც არსებობს, რომლის მიხედვითაც ამ შეთანხმების რეალიზება საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებისთვის დამატებითი სტიმული იქნება და ასევე, ნაწილობრივ ინტენსიფიკაციის როლსაც

შეასრულებს სამხრეთ ოსეთს, აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის.

ამავე კონტექსტშია განსახილველი პერიოდულად წამოჭრილი საკითხიც, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიის გავლით სომხეთთან სარკინიგზო მიმოსვლის გზით ტრანზიტის შესაძლო აღდგენას ეხება საქართველოსა და მისგან სეცესირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელთა დასაახლოებლად და, ასევე, აფხაზების დეიზოლაციისთვის ხელის შესაწყობად, კარგი იქნებოდა კეთილი ნების სახით საქართველო ამ ტრანზიტის გახსნას დათანხმებოდა. პროცესში ჩართული სტრუქტურების ხაზით კომუნიკაციის დამატებითი არხების შექმნა და სხვა ბერკეტების გამოყენება კონფლიქტოგენური გართულებების ალბათობას შეამცირებდა და მხარეებს ინციდენტების თავიდან არიდების საშუალებას მისცემდა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზურ და ოსურ პრობლემატიკაზე მომუშავე მოლაპარაკებათა არსებული საერთაშორისო ფორმატები საზღვრისპირა ტერიტორიების მაცხოვრებელთა ჰუმანიტარული პრობლემების, ახალი საზღვრების გადაკვეთის პირობებისა და საზღვრისპირა ვაჭრობის საკითხთა გადაჭრისთვის თავიანთ პოტენციალს არასრულად იყენებენ. გაკვირვებას იწვევს ფაქტი, რომ რუსეთის ცალკეული გამოჩენილი ექსპერტები საქართველოს მხარეს სამხედრო-პოლიტიკური გაცვლის ისეთ ცხადად არათანაზომიერ სცენარს სთავაზობენ, როგორიცაა, მაგალითად, აშშ-სა და ნატო-სთან საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის მასშტაბების შემცირების სანაცვლოდ მხოლოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული რუსეთის სამხედრო ძალის შემცირება.[13]

რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული გადაუჭრელი ტერიტორიული პრობლემებით გაჯერებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები პოსტსაბჭოთა სივრცის საერთო ტურბულენტობაში ეწერება. სტატიის დაწერის დროისთვის ეს ტურბულენტობა ლატენტურ ფაზაშია. თუმცა რიგ გავლენიან მოთამაშეთა შორის პოსტსაბჭოთა სივრცის ღია კონკურენციის რეგიონად ზრდადმა გარდაქმნამ თავისუფლად შეიძლება ტურბულენტობა რემისიის მდგომარეობიდან გამოიყვანოს. ასეთი სცენარის თავიდან ასარიდებელ ერთ-ერთ ინსტრუმენტად არა ურთიერთქმედების უკვე არსებულ ფორმატთა დისკრედიტაციის

[13] http://georgiamonitor.org/news/253/1499/

მცდელობა, არამედ მათი ახალი შინაარსით შევსება, მხარდაჭერა და კონსოლიდაცია უნდა იქცეს.

მოლოდინი და პერსპექტივები

რუსეთისა და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში წინსვლის მიუხედავად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემებთან დაკავშირებით, ჯერ ისევ გადაულახავი უთანხმოებების პირობებში უახლოეს პერსპექტივაში დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე იმედის დამყარება საფუძველს მოკლებულია. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობაც ვაჭრობით შემოიფარგლება და საქართველოში რუსული ინვესტიციებიც ერთობ შეზღუდულია.

რუსულ-ქართულ ურთიერთობებში პაუზა გაჩნდა და მათი გაუმჯობესების ან გაუარესებისკენ ცვლილების ალბათობა დაკავშირებულია როგორც ორმხრივად რუსულ-ქართული ურთიერთობების დინამიკასთან, ისე გარე ფაქტორების ზემოქმედების ხარისხთან. ერთ-ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რამდენად წარმატებული იქნება რუსეთის მცდელობა, დასავლეთთან დაპირისპირება თავისი საზღვრებიდან მოშორებით გადაიტანოს.[14] ამისი შესაძლებლობა კი არსებობს, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის გავლენა გაძლიერდება და გაფართოვდება.

შესაბამისად, ეს ფაქტორი არცთუ შორეულ მომავალში რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე პირდაპირ გავლენას მოახდენს. უახლოეს პერსპექტივაში თბილისი რუსეთთან ურთიერთობის აწყობას იმ მიმართულებით გააგრძელებს, რომელიც 2012 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა. რუსეთთან მიღწეული ბალანსის შენარჩუნებით თბილისის მიზანი იქნება, ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მხოლოდ იმ საფუძველზე დაყრდნობით შეიტანოს, რომელიც დასავლეთთან მის ურთიერთობებს არ ავნებს. რეალობა, რომლის წინაშეც საქართველო დგას, ისაა, რომ ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცესა და თავისთან მიმართებაში დასავლეთის საგარეო პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებების ფორმირებას მოთმინებით უნდა დაელოდოს.

ამ დროებითი გაურკვევლობის მიუხედავად, საქართველო, მისი სეცესირებული ტერიტორიების არცნობის პოლიტიკის ეროზია რომ

[14] № 66 Валдайские Записки, Апрель 2017, Союзники России и геополитический фронтир в Евразии. Николай Силаев, Андрей Сушенцов

არ დაუშვას, საგარეო პოლიტიკურ არენაზე ძალისხმევას გააგრძელებს. სავარაუდოდ არც რუსეთი გადაუხვევს საქართველოსთან მიმართებაში უკვე გამოცხადებული მიდგომის გზიდან, თუკი ამისკენ საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურის მკვეთრი ძვრები და დასავლეთის ქმედებები არ უბიძგებს. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, რუსულ-ქართულ ურთიერთობებში ხარისხობრივი ცვლილებების ან წინსვლის მოლოდინი არ ღირს.

შექმნილ ვითარებაში რუსეთმა და საქართველომ, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებულ ალიანსებსა და ინტეგრაციულ პროექტებს მიეკუთვნებიან, კონსტრუქციული მიდგომა უნდა გამოავლინონ და აქცენტი შესაძლო თანამშრომლობის გზების ძიებაზე გადაიტანონ. მთავარია, რომ რუსეთი და საქართველო ერთმანეთის მიმართ კონფრონტაციულ აზროვნებას მოერიდონ. საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღების საკითხში რუსეთის მხრიდან „დაკავშირების პოლიტიკაზე“ უარის თქმა ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი ნორმალიზებისკენ მნიშვნელოვანი ბიძგის როლს ითამაშებდა. გარდა ამისა, საქართველოსთან ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ მიმართული მოსკოვის თუნდაც მცირე დამატებითი ნაბიჯებიც კი სასიკეთოდ იმოქმედებდა ამჟამინდელ ფრიად დაძაბულ ურთიერთობებზე რუსეთსა და დასავლეთს შორის, რომელიც საქართველოსთან მიმართებაში გატარებული პოლიტიკის გამო რუსეთს სულ უფრო და უფრო ინტენსიურად აკრიტიკებს.

ორი ინტეგრაციული ეკონომიკური პროექტის – DCFTA-სა და EACU-ის კომპონენტთა ჰარმონიზაციისა და ურთიერთშემავსებლობისკენ მიმართული მოლაპარაკებების დაწყება, შესაძლოა, ევროკავშირისა და ეუთოს ჩართვით, როგორც ორ, ისე მრავალმხრივ ურთიერთობებში მხარეებს მრავალ მოსალოდნელ პრობლემას თავიდან აარიდებდა (მაგ., სატარიფო და არასატარიფო ბარიერები, საექსპორტო და საიმპორტო პროდუქტებზე ხარისხის სხვადასხვა სტანდარტი). მხარეები კონსესუსამდე რომ მისულიყვნენ, საქართველოს ტერიტორიაზე ერთობლივი წარმოების შესაქმნელად რუსული ბიზნესის მოზიდვის საკითხის განხილვაც შესაძლებელი გახდებოდა. რუსული მხარისთვის კი აქედან სარგებელი მისი წარმოებული საქონლის (DCFTA-ს პირობებით) საქართველოს გავლით ევროკავშირის ბაზარზე გამარტივებული მიწოდების შესაძლებლობებში აისახებოდა.

რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთქმედების მრავალდონიან პროცესებსა და სხვადასხვა რეგიონულ პროექტში თანამშრომლობა ორივე მხარისთვის სარგებლის მომტანი იქნებოდა. ერთ-ერთ მიმართულებად მრავალმხრივ ფორმატში პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოგვიდგება, რომელშიც რუსეთი იქნება ჩართული და შეიქმნება პლატფორმა აზრთა გაცვლისა და საჭირბოროტო პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხებისთვის. ასეთ ხელსაყრელ პლატფორმად შეიძლება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია იქცეს, რომელშიც რუსეთიც შედის და საქართველოც.

შესაძლოა, საერთო ინტერესების არსებობა სხვა რეგიონულ პროექტშიც განვიხილოთ, უპირველეს ყოვლისა სატრანსპორტო და ტრანზიტული დერეფნების განვითარებაში. მაგალითად, „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“. ამ პროექტში სხვადასხვაწილად ჩართულია საქართველოც და რუსეთიც, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მისი განხორციელება შეუძლებელია, თუკი იმ რეგიონებში, რომელთაც პროექტი მოიცავს, უსაფრთხოება და სტაბილურობა არ იქნება დაცული. სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ და სატრანსპორტო პროექტის თავსებადობის განხილვა საშუალებას მოგვცემს, შევიმუშაოთ რეკომენდაციები საქართველოს, როგორც სატრანსპორტო კვანძის, მიმზიდველობის ასამაღლებლად. ამ მიზნით საქართველოს შეუძლია, სხვა ვარიანტებთან ერთად, შეისწავლოს 2017 წლის 20 იანვარს ძალაში შესული საავტომობილო გადაზიდვების გამარტივების შესახებ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის შეთანხმებასთან მიერთების პლუსები და მინუსები. ამ შეთანხმების მიხედვით გადაზიდვათა გამარტივებული მექანიზმები უკვე გათვალისწინებულია (გადაზიდვებზე რიგი გადასახადებისა და მოსაკრებლებისგან გათავისუფლებული ნებართვის ერთიანი ნიმუში).

პოლიტიკური და კეთილი ნების არსებობა უკვე წმინდად რუსულ-ქართული ურთიერთობების ჩარჩოებში ახალი შესაძლებლობების გახსნისთვის საფუძვლის როლს შეასრულებდა. სავარაუდოდ, აქ რუსეთსა და საქართველოს შორის უკვე დაგროვილი, რუსეთიდან საქართველოში ტურისტების გაზრდილი ნაკადისთვის ახალ სტიმულად ქცეული ადამიანური კონტაქტების დადებითი პოტენციალის აქტიურად გამოყენებაა საჭირო. კარგი იქნებოდა, რუსეთსა და საქართველოს ძალისხმევა არ დაეშურებინათ ტურიზმის შემდგომი განვითარებისა და დივერსიფიკაციისთვის (მაგ., ეთნიკურისა და ეთნოგრაფიულისთვის).

ამას ხელს შეუწყობდა მომავალში გაუქმების პერსპექტივით სავიზო რეჟიმის შემდგომი გამარტივება და ასევე სტუდენტური და საბავშვო ტურისტული ჯგუფებისთვის სატრანსპორტო შეღავათები.

ნდობის აღდგენისკენ მიმართულ წინაპირობათა ნაბიჯ-ნაბიჯ შექმნისა და იმ მტკივნეულ და მწვავე საკითხთა შესახებ მსჯელობის დასაწყებად, რომლებიც ამჟამად დიალოგის ჩარჩოებს სცდება, ასევე არცთუ მცირე პოტენციალს შეიცავს სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს შორის, იქ, სადაც ინტერესთა გადაკვეთა ან თანხვედრა შეინიშნება, ნელ-ნელა, მაგრამ თვალნათლივ აწყობილი კონტაქტებიც (მაგ., სამეცნიერო და საქმიანი წრეებისა და ენერგოსექტორის წარმომადგენელთა შორის კონტაქტები).

ამ თვალსაზრისით მხარეთა საექსპერტო და სამეცნიერო პოტენციალის ჩართვით დიალოგის მუდმივი პლატფორმის შექმნაზეც შეიძლება დაფიქრება. დიალოგის სივრცის ეს ბაზა შესაძლებელს გახდიდა, შექმნილიყო ექსპერტთა კომუნიკაციის მუდმივი ორმხრივი არხი, რომელიც რუსეთისა და საქართველოს შესაბამისი ოფიციალური სტრუქტურებისა და ყველა დაინტერესებული პირისთვის შემუშავებული რეკომენდაციების, ანალიტიკური ჩანაწერებისა და გამოკვლევების მიწოდებას შეძლებდა.

ასეთი აპოლიტიკური და არაანგაჟირებული რესურსცენტრი ნდობის აღდგენისთვის საჭირო გარემოს როლს შეასრულებდა და მხარეებს ორმხრივი ურთიერთობების აწმყოსა და მომავლის თაობაზე კონსტრუქციული მსჯელობის საშუალებას მისცემდა. გარდა ამისა, ინფორმაციული კონფლიქტებისა და მათი ნეგატიური შედეგების თავიდან არიდებასა და ორმხრივი ურთიერთობების ყველაზე საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრაში დაეხმარებოდა, მათ შორის „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ერთობლივ ბრძოლაში, „აბაშიძე-კარასინის ფორმატის“ ეფექტიანობის გაზრდაში, არსებული და ახალი სავაჭრო-სატრანსპორტო დერეფნების უსაფრთხო და ეფექტიანი ფუნქციონირების ამაღლებაში და ა.შ. ახალი ინიციატივების გამომუშავების ადგილად იქცეოდა. ექსპერტთა რეკომენდაციები ხელს შეუწყობდა სხვადასხვა ეკონომიკური კავშირის წარმომადგენელ საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში შესაძლო რისკების შემცირებას.

სამწუხაროდ, არსებული პოლიტიკური კონიუნქტურა რომ არა, რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური კავშირი არა მარტო ეკონომიკურ სარგებელს მოიტანდა. იმ პროდუქტების, რომლებიც რუსულ ბაზარზე

ადრე ევროკავშირიდან შედიოდა, საქართველოში წარმოებული პროდუქტით ნაწილობრივ ჩანაცვლების მიზნით, სპეციალისტები საქართველოს სოფლის მეურნეობაში რუსული ინვესტიციების შესაძლო მოზიდვაზე საუბრობენ. ამ განხრით შესაძლებელი იქნებოდა ორი ქვეყნის საშუალო და მცირე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის პირდაპირი ეკონომიკური კონტაქტებისა და საქართველოსა და რუსეთის მოქალაქე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ინდივიდუალურ მწარმოებელთა შეხვედრებისა და ფორუმების ორგანიზება, რაც ეკონომიკურ ეფექტთან ერთად ხელს ადამიანური კონტაქტების გაუმჯობესებასაც შეუწყობდა. ეს კი რუსულ-ქართულ ამჟამინდელ ურთიერთობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შესაძლებლობათა გზებზე ლაპარაკისას არ შეიძლება სადავო ტერიტორიაზე არსებული ენგურჰესის ნაგებობათა უსაფრთხოების პრობლემის თაობაზე თანამშრომლობასაც არ შევეხოთ. ვგულისხმობთ ექსპლუატაციის უსაფრთხოების ამაღლებისა და მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის აკრეფის თაობაზე სამართლებრივი და ეკონომიკური რეკომენდაციების შემუშავებას და 2018 წელს „ენგურჰესის“ გაჩერების შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემის განხილვას.

სასურველია, რომ რუსეთმა და საქართველომ თავი შეიკავონ ქმედებებისგან, რომლებიც მხარეების მიერ შეიძლება უსაფრთხოების, სტაბილურობისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევად იქნეს აღქმული, რაც ორმხრივ ურთიერთობებზე ნეგატიურად იმოქმედებს. აქ საფრთხის ხარისხის წინასწარგანზრახული გაზვიადებისგან თავის არიდებაა საჭირო. ცხადად გაზვიადებული სახე აქვს საქართველოში ნატო-სა და აშშ-ს სწავლებათა მასშტაბებისა და სწავლებების დასრულების შემდეგ მათი სამხედრო ტექნიკის საქართველოს ტერიტორიაზე დატოვების ვადების თაობაზე რუსეთის მხარის პრეტენზიებს: ყოველ ასეთ სწავლებაზე ჩამოტანილი ნატო-ს სამხედრო ტექნიკა საქართველოში მოლაპარაკებულ და ფრიად შეზღუდულ ვადებზე დიდხანს არ დარჩენილა.

ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოს მოუწევს, დასავლეთის მხრიდან ბერკეტების მოშვების ჩათვლით, პოსტსაბჭოთა სივრცეში სიტუაციის განვითარების ყველა შესაძლო სცენარს აუწყოს ფეხი. დასავლეთის მხრიდან სიტუაციის ასეთი განვითარების შემთხვევაში რუსეთთან მიმართებაში გააზრებული პოლიტიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას

იძენს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძალიან სუსტია იმედი იმისა, რომ რუსეთში მათი მოსაზრება გაიმარჯვებს, ვინც თვლის, რომ ქვეყანამ ამჟამინდელ ხისტ პოლიტიკაზე უნდა თქვას უარი და რეგიონში თავისი უშუალო მეზობლებისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს. პოსტსაბჭოთა სივრცეში დასავლეთისა და რუსეთის მეტოქეობა მოსკოვს ასეთ აზრთა გადახედვისკენ უბიძგებს.

საერთაშორისო და რეგიონულ დონეებზე გეოპოლიტიკური რეალიები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ცვლილებების მოლოდინის საფუძველს არ იძლევა. არც საქართველოს ოფიციალურად დეკლარირებული საგარეო პოლიტიკური ვექტორისა და რუსეთის უკვე გამოცხადებული მიდგომების ცვლა გველის. უახლოეს მომავალში რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობები 2012 წლის შემდეგ ფორმირებულ ჩარჩოებში დარჩება. შესაძლოა, ხელისშემშლელი პოლიტიკური კონიუნქტურის გამო დროდადრო ამ ურთიერთობებში მკვეთრი ძვრებიც მოხდეს და მხარეთა ამოცანაა, უთანხმოება საშიშ „წითელ ხაზამდე“ არ მიიყვანონ.

იულია ნიკიტინა

რუსულ-ქართული ურთიერთობები და ახალი გამოწვევები მსოფლიო პოლიტიკაში

რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობები, როგორც წესი, ორმხრივ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების კონტექსტში, ანდა „რუსეთ-დასავლეთის" (აშშ, ევროკავშირი, ნატო) ფორმატში, ანუ გლობალურ დონეზე განიხილება. თუმცა, რეგიონული განზომილება – პოსტსაბჭოთა სივრცე ან, როგორც ხშირად უწოდებენ ხოლმე ამ რეგიონს, ევრაზია – გვერდით რჩება. რეგიონულ დონეზე მეტად აქტუალურად წარმოგვიდგება ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა ჩინური პროექტის „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის" (აგეს) რეალიზაცია, მისი ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან (EAEU) დაკავშირების პერსპექტივები და, ასევე, უკრაინის კრიზისის ფონზე ევრაზიის ეკონომიკურ კავშირსა და ევროკავშირს შორის მეტოქეობისა და თანამშრომლობის პერსპექტივები. აშშ-ს ხელისუფლების სათავეში ახალი ადმინისტრაციის მოსვლასთან დაკავშირებით ცვლილებები ხდება გლობალურ დონეზეც. სხვადასხვა რეგიონულ პროექტში, მათ შორის ეკონომიკურშიც, გადაიხედება ამერიკის მონაწილეობის როლი და ხარისხი. როგორ აისახება ცვალებადი კონტექსტი რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებზე?

აშშ-სთან ურთიერთობები

2017 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში დ. ტრამპის გამარჯვებამ საერთაშორისო დღის წესრიგში სერიოზული ცვლილებები შეიტანა. რუსეთის როგორც ექსპერტთა თანამეგობრობაში, ისე პოლიტიკურ წრეებში ორმხრივი ურთიერთობების მომავალ განვითარებასთან დაკავშირებით პოზიტიურმა მოლოდინებმა იმატა. ვარაუდობდნენ, რომ ბ. ობამასგან განსხვავებით, დ. ტრამპი აშშ-ს საგარეო პოლიტიკას არა

ფასეულობებზე დაყრდნობით, არამედ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე წარმართავდა. რუსეთისთვის პრაგმატული ურთიერთობების მიმდევარ რესპუბლიკელებთან მოლაპარაკება ყოველთვის უფრო მარტივი იყო. თუმცა, დ. ტრამპის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ მოლოდინები ვერ გაამართლა და რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე ნეგატიურად აისახა. ამის მაგალითად 2017 წლის 7 აპრილის ღამეს სარაკეტო დარტყმის მოტანა შეიძლება. 2017 წლის ზაფხულიდან, ჯერ კიდევ ბ. ობამას საპრეზიდენტო უფლებამოსილებების დასრულებამდე დაწყებული, აშშ-დან და რუსეთიდან დიპლომატების სამშობლოში ურთიერთგაგზავნის ახალი ტალღა აგორდა. სიტუაცია ურთიერთშეპასუხებების გამძვინვარების პარალელურად ჯერ ისევ ვითარდება. ასევე, იზრდება აშშ-ს მხრიდან სანქციებით ზეწოლაც.

როგორ აისახება შექმნილი ვითარება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე? საქართველოს შეუძლია რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის დროებითი გაუარესება თავისი მიზნების რეალიზაციისთვის – ნატო-ში შესვლისთვის გამოიყენოს. 2017 წლის აგვისტოს დასაწყისში საქართველოში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის, მაიკლ პენსის ვიზიტმა დაადასტურა, რომ ახალი ადმინისტრაცია მზად არის, თბილისთან ითანამშრომლოს. „საქართველოს ჩვენ საკვანძო სტრატეგიულ პარტნიორად აღვიქვამთ, მხარს ვუჭერთ თქვენს ტერიტორიულ მთლიანობას და თქვენს სწრაფვას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობისკენ“, – თქვა მ. პენსმა. „შეერთებული შტატები საქართველოსთან თანამშრომლობას გააგრძელებს, რათა მისი დაუცველობა შეამციროს და წინ აღუდგეს რუსეთის აგრესიას“[1]. მ. პენსის ვიზიტი შედგა ერთობლივი ამერიკულ-ქართული სამხედრო წვრთნების – „ღირსეული პარტნიორი-2017“ - ფონზე.

ამასთან ერთად, მ. პენსმა განაცხადა, რომ მომავალში ვაშინგტონს მოსკოვთან ურთიერთობების გაუმჯობესების სურვილი აქვს. ამიტომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია დიდ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური უთანხმოებების მძევალი არ აღმოჩნდეს. ევრაზიის რეგიონში აშშ გარე მოთამაშეა, მაშინ, როდესაც რუსეთს რეგიონში მეტად გრძელვადიანი ინტერესები აქვს. საქართველოსთვის აუცილებელია, ოპტიმალური პოზიცია დაიჭიროს და აშშ-სთან თანამშრომლობა არა

[1] პენსი: აშშ საქართველოსთან თანამშრომლობას აგრძელებს და წინააღმდეგობას უწევს რუსეთის აგრესიას//ამერიკის ხმა. 1 აგვისტო 2017 წ. URL: https://www.golos-ameriki.ru/a/pence-us-georgia/3967350.html

რუსეთთან დაპირისპირების საფუძველზე, არამედ უმთავრესად ისეთ „ნეიტრალურ“ სფეროებში საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ააგოს, როგორიც დემოკრატიული ინსტიტუციების მშენებლობა და კორუფციასთან ბრძოლაა. საქართველოს ხელმძღვანელობა ამ აუცილებლობას სრულად აცნობიერებს. მთავარია, რომ პოპულისტურმა მოსაზრებებმა ძალთა რეგიონული ბალანსის რაციონალურ დაწყობაზე არ იმძლავროს. ამასთან დაკავშირებით საქართველოსთვის მიზანშეწონილი იქნებოდა, ევრაზიულ ტრანსრეგიონულ გაერთიანებებთან მიერთების შესაძლებლობაზე გაემახვილებინა ყურადღება, რაც სხვადასხვა ინტეგრაციული და ინფრასტრუქტურული პროექტის დაკავშირებას გულისხმობს, რუსეთმა კი მრავალმხრივ საფუძველზე ურთიერთქმედებისთვის უნდა იზრუნოს იმ მეზობელი ქვეყნების აქტიურად მოზიდვაზე, რომლებიც ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში ან შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში (შთო) არ შედიან.

ტრანსრეგიონული სატრანსპორტო პროექტები

საქართველო ჩინეთთან კავშირებს ავითარებს. 2016 წელს მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ, რომელიც ძალაში უახლოეს მომავალში შევა. 2015 წელს საქართველო „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ პროექტს შეუერთდა. ფორუმზე „ერთი სარტყელი – ერთი გზა“, რომელიც პეკინში 2017 წლის მაისში შედგა, საქართველომ აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის განვითარების დეკლარაციის პროექტს მოაწერა ხელი. ნავარაუდევია, რომ აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის ინფრასტრუქტურის ნაწილი გახდება: ავტომაგისტრალი „აღმოსავლეთ-დასავლეთი“, სარკინიგზო ხაზი ბაქო-თბილისი-ყარსი და ანაკლიაში პროექტირებადი პორტი.

ჩინეთთან პირდაპირი ორმხრივი კონტაქტების ფარგლებში საქართველოს თავის პარტნიორზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ამიტომ თბილისისთვის მნიშვნელოვანია, პეკინთან თანამშრომლობის შესაძლებლობა განიხილოს კონკურსის პრინციპთა შესაბამისად ფუნქციონირებადი რეგიონული სტრუქტურების დონეზე, რაც პატარა ქვეყნების ინტერესთა გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, ლაპარაკია შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაზე. ასეთივე პრინციპი მოქმედებს საქართველოსა და რუსეთთან დაკავშირებითაც. რუსეთისგან დათმობების მიღება ორმხრივ დონეზე, ხშირად, ბევრად უფრო

რთულია, ვიდრე შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მოლაპარაკებების ფარგლებში, რომლის დროსაც ჩინეთს შეუძლია, მომგებიან პირობებს არა მარტო თავისთვის გაუწიოს ლობირება, არამედ „მცირე" ქვეყანათა რიცხვიდან თავისი პარტნიორებისთვისაც.

საქართველოს შეუძლია შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების შეთანხმებას შეუერთდეს, რომელსაც ხელი 2014 წელს მოეწერა და ძალაში 2017 წლის იანვარში შევიდა. გარდა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნებისა, დიალოგის დამკვირვებლად და პარტნიორად შეთანხმებას შეიძლება ნებისმიერი სახელმწიფოც შეუერთდეს.

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალური მდივნის – რაშიდ ალიმოვის სიტყვებით, შეთანხმების უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს საავტომობილო გადაზიდვების განხორციელებაზე ერთიანი ნებართვის ნიმუში, რომელიც შეთანხმებასთან შემოერთებული ყველა ქვეყნის ტერიტორიაზე იმოქმედებს. გადამზიდავები თავისუფლდებიან სატრანსპორტო საშუალების მფლობელობასთან ანდა მოხმარებასთან, ასევე, მეორე მხარის სახელმწიფოში საავტომობილო გზების გამოყენებასთან ან შენახვასთან დაკავშირებული ყოველგვარი მოსაკრებლისა და გადასახადისგან[2].

შეთანხმების შემუშავების პროცესს რვა წელიწადი დასჭირდა, ამიტომ მასთან მიერთებისგან სწრაფი შედეგების მოლოდინი, შესაძლოა, არ ღირდეს. თუმცა ამ დროის განმავლობაში შეჯერდა სხვადასხვა მხარის ინტერესებიც, რამაც შეთანხმების განხორციელებისას პრობლემათა რაოდენობის შემცირება გახადა შესაძლებელი. შეთანხმების შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა გაერო-ს აზიისა და წყნარი ოკეანისთვის ეკონომიკური და სოციალური კომისია (ESCAP), რომლის მონაწილეც სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად საქართველოც არის. საქართველოს შეთანხმებასთან მიერთების მიზანშეწონილობის გამოსავლენად შესაძლებელია ESCAP-ის ექსპერტებთან გაიმერთოს კონსულტაციები. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში დიალოგის პარტნიორები ასევე არიან სომხეთი და აზერბაიჯანი. ამჟამად შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის შეთანხმებაში შესული სატრანსპორტო მარშრუტები შედგენილია წევრ-სახელმწიფოთა

[2] რაშიდ ალიმოვი: ჩინეთიდან აღმოსავლეთ ევროპამდე საავტომობილო გადაზიდვებს შთო მწვანე შუქს უნთებს // ТАСС. 20 იანვარი 2017.URL: http://tass.ru/opinions/interviews/3957913

ინტერესების შესაბამისად. დამატებითი მონაწილეების მიერთებისა და ახალი მარშრუტების შექმნის საჭიროებამ, შესაძლოა, დღის წესრიგში მოლაპარაკებების განახლების საჭიროებაც დააყენოს. კავკასიის რეგიონზე პოტენციური მარშრუტების განსახილველად შეთანხმებასთან მიერთება მომგებიანი იქნება სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნისთვის.

შეთანხმებასთან სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მიერთება რეგიონში საავტომობილო გადაზიდვების პირობათა გაუმჯობესებას გამოიწვევს. გრძელვადიან პერსპექტივაში ინფრასტრუქტურული რეგიონული პროექტები სამხრეთ კავკასიის კონფლიქტურ ზონებში ეკონომიკური ურთიერთობების ნორმალიზაციას შეუწყობს ხელს. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიების გავლით საქართველოდან რუსეთში საავტომობილო გადაზიდვები ამ რესპუბლიკებს ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს. რუსეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებში ამ სიტუაციის დარეგულირება პოლიტიზებული იქნება, თუმცა აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის ან შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ტიპის სატრანსპორტო პროექტების დონეზე, შესაძლოა, მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევაც მოხერხდეს.

ევროკავშირისა და ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ურთიერთობა, როგორც რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის რეგიონული კონტექსტი

თუკი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლი, ევრაზიის ეკონომიკური კავშირი და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია მთლიანობაში თანაარსებობისა და რეგიონული თანამშრომლობისა და კავშირებისთვის არიან მზად, ევროკავშირსა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს შორის კონკურენცია ორ ინტეგრაციულ პროექტს შორის მდებარე ქვეყნებს იძულებითი არჩევანის წინაშე აყენებს. ევროკავშირსა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს შორის ფორმალური ან არაფორმალური ურთიერთობის არსებობა, ასევე, თანამშრომლობის აწყობა რუსეთს „ინტეგრაციის დილემისგან“ თავის დაღწევის საშუალებას მისცემს[3].

2016 წელს ევროპელ ექსპერტებთან ერთად ჩატარებული ორწლიანი ერთობლივი პროექტის შედეგად, ევრაზიის განვითარების ბანკის

[3] მ. ტროიცკი, ს. ჩარაპი. პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციის დილემა//რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში. 7 ნოემბერი 2013. URL: http://www.globalaffairs.ru/number/Dilemma-integratcii-na-postsovetskom-prostranstve-16177

ინტეგრაციული კვლევების ცენტრმა გამოაქვეყნა მოხსენება „ევროკავშირი და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი: გრძელვადიანი დიალოგი და შეთანხმების პერსპექტივები“[4]. მოხსენებაში შეთავაზებულია პრაქტიკული მიმართულებები, რომლის მიხედვითაც გაერთიანებები თანამშრომლობას შეძლებდნენ. საექსპერტო დონეზე მიცემულია რეკომენდაცია, რომელსაც პოტენციურად შეუძლია, ევრაზიაში ევროკავშირისა და ევრაზიის ეკონომიკური კავშირის კონკურენციის პრობლემა გადაჭრას – ევროკავშირსა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ შეთანხმება. თუმცა რუსეთსა და ევროკავშირს შორის არსებული პოლიტიკური უთანხმოების გარდა ასეთი სცენარის განხორციელების დამაბრკოლებელი ფაქტორის როლს ისიც თამაშობს, რომ ბელოარუსი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წევრი არ არის[5].

2006 წელს დაარსებული ევრაზიის განვითარების ბანკი შეიძლება საქართველოს სათანადოდ ვერშეფასებულ პარტნიორად ჩაითვალოს. ბანკი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის აღმოცენებამდე შეიქმნა, და ამ ორგანიზაციების შემადგენლობა ერთმანეთთან სრულ თანხვედრაში არ მოდის. მდგრადი განვითარების მხარდაჭერის გარდა ბანკი წევრ-სახელმწიფოებს მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგთა დაძლევაშიც ეხმარება. ბანკის საწესდებო კაპიტალი 7 მლრდ დოლარს შეადგენს. პრიორიტეტული ამოცანების სახით ევრაზიის განვითარების ბანკი გამოყოფს:

- ახალი წევრი-სახელმწიფოების მოზიდვას;
- ინტეგრაციული ეფექტის მქონე ინვესტიციური პროექტების დაფინანსებას;
- ინტეგრაციული ეფექტის მქონე პროექტების განხორციელებისას ტექნიკური დახმარების გაწევას;
- ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხების კვლევას;
- წევრი-სახელმწიფოების რეგიონებში ინვესტიციური პორტფელის ბალანსირებული დივერსიფიკაციის უზრუნველყოფას[6].

---

[4] ევროპული კავშირი და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი: გრძელვადიანი დიალოგი და შეთანხმების პერსპექტივები. ევრაზიის განვითარების ბანკი. 2016. URL: https://eabr.org/upload/iblock/f28/edb_centre_2016_report_38_eu_eaeu_rus.pdf

[5] მსო-ს წევრ-სახელმწიფოებს თავისუფალი სავაჭრო ზონების შესახებ შეთანხმებების დადება მხოლოდ მსო-ს სხვა წევრებთან შეუძლიათ. EAEU-ში შემავალი ქვეყნებიდან ბელარუსი ერთადერთია, რომელიც მსო-ში არ შედის.

[6] ეაგბ-ის ოფიციალური საიტი. URL: https://eabr.org/about/

ევრაზიის განვითარების ბანკი პროექტების ორ ტიპს აფინანსებს: პროექტებს, რომლებიც ინტეგრაციულ ეფექტთან და ნაციონალურ განვითარებასთან დაკავშირებულია. საკვანძო პროექტები მიმართულია მშენებლობისა და ჰიდროელექტროსადგურებისა და საავტომობილო გზების მოდერნიზაციისკენ. საქართველოსთვის ორივე მიმართულება აქტუალურად გვესახება.

ენგურის ჰეს-ის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია – პოტენციური ერთობლივი პროექტია, რომელიც, ბანკთან საქართველოს მიერთების შემთხვევაში, შესაძლოა ფინანსირება ევრაზიული განვითარების ბანკმა დააფინანსოს. ამ დრომდე სახსრებს ჰეს-ის რეაბილიტაციისთვის საქართველო უცხოელი დონორებისგან იღებდა. ჰეს-ის გარშემო სიტუაცია იმის გამო რთულდება, რომ კაშხალი და გვირაბის ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს, მაშინ, როდესაც თავად სადგურის შენობა, სადაც მართვის პულტია განთავსებული და ოთხი ვარდნილჰესი – აფხაზეთის ტერიტორიაზეა. 2018 წ. სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად ჰესი-ის მუშაობის გაჩერება რამდენიმე თვით იგეგმება. ამ დროის განმავლობაში აუცილებელია ელექტროენერგიის მიწოდება განხორციელდეს ორი წყაროდან, კმათ შორის რუსეთიდან. საქართველოს მოსაზრებით, მთავარი პრობლემა ის არის, რომ აფხაზეთის მხარე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს არ იხდის, და ამ პრობლემას აფხაზეთის ხელმძღვანელობაც აღიარებს[7]. პრაქტიკაში საქართველოსა და აფხაზეთის ხელისუფლებებს შორის ადგილი აქვს ურთიერთქმედებას „ენგურის“ ჰეს-ის ექსპლუატაციის საკითხთან დაკავშირებით. შექმნილი ვითარება სადავო ტერიტორიებზე არსებული კრიტიკული ინფრასტრუქტურის გამოყენების საკმაოდ უნიკალური ურთიერთქმედების გამოცდილებას წარმოადგენს, რომელსაც გააზრება და გაფართოება სჭირდება. ამ გამოცდილების შესწავლითა და მსოფლიოს სხვა კონფლიქტურ რეგიონებში მისი გამოყენებით შესაძლოა უცხოელი დონორები და საერთაშორისო ორგანიზაციებიც დაინტერესდნენ. შეთავაზებულია, რომ რუსეთში, საქართველოსა და აფხაზეთში ენგურჰესის ნაგებობების უსაფრთხოების პრობლემის განსახილველად, ექსპლუატაციის უსაფრთხოების ამაღლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და ეკონომიკური რეკომენდაციების შესამუშავებლად

[7] ენგურჰესის აღდგენამდე აფხაზეთს რუსეთის დახმარების იმედი აქვს. // Neftegaz.ru. 28 დეკემბერი, 2016. URL: http://neftegaz.ru/news/view/157060-Na-vremya-vosstanovleniya-Inguri-GES-Abhaziya-rasschityvaet-na-pomosch-ot-Rossii

და მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის ასაკრეფად შეიქმნას სამმხრივი ურთიერთქმედების ფორმატი. ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია 2018 წელს სარემონტო სამუშაოებისთვის ენგურჰესის გაჩერების შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემის განხილვა.

„ინტეგრაციათა ინტეგრაცია“

2015 წლის სექტემბერში გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიაზე რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, წარმოადგინა პროექტი – „ინტეგრაციის ინტეგრაცია“[8], რომელიც შეიძლება განხილული იქნას, როგორც „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის“ კონცეფციის თავისებური გაფართოება. ინიციატივა კავშირების დამყარებასა და ევრაზიაში სხვადასხვა რეგიონული, როგორც ინტეგრაციული, ისე ინფრასტრუქტურული პროექტის ერთმანეთთან დაკავშირებას გულისხმობდა. ვლადიმერ პუტინის წინადადება შეიძლება აგრეთვე განვიხილოთ, როგორც ევროპული უსაფრთხოების თაობაზე შეთანხმების შემუშავების შეთავაზებული ინიციატივის გაგრძელება, რომელიც 2008 წელს პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმაც წამოაყენა განსახილველად. თუმცა იდეა არ მოიწონეს დასავლელმა კოლეგებმა, რომლებიც თვლიან, რომ ეუთო – საკმარისად ეფექტური მექანიზმია და დამატებით შეთანხმებებს არ საჭიროებს. ინიციატივის მთავარი ამოცანა განუყოფელი უსაფრთხოების სივრცის შექმნაში მდგომარეობდა. 2013 წელს და, ასევე, უკრაინის კრიზისის დაწყების შემდეგ ცხადი გახდა, რომ „განუყოფლობის“ მიღწევა ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროშიც კი რთული იქნებოდა. ევროკავშირმა და ევრაზიის ეკონომიკურმა კავშირმა მათ შორის განლაგებული ქვეყნებისთვის კონკურენცია დაიწყეს.

რუსეთის მიერ შეთავაზებული პროექტის – „ინტეგრაციათა ინტეგრაცია“ შექმნა 2016 წელს ევროპული კავშირის, ჩინეთის რეგიონული პროექტებისა და ასევე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციეაციის (ACEAH) ჩათვლით, რეგიონის ყველა რეგიონული ბლოკისათვის გახსნილი „დიდი ევრაზიის“ პროექტის იდეად გარდაიქმნა[9]. „დიდმა ევრაზიამ“ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების შესაბამისად სხვადასხვა პროექტის დასაკავში-

[8] გაერო-ს გენერალური ასამბლეის 70-ე სესია. 28 სექტემბერი 2015.URL: http://kremlin.ru/events/president/news/50385

[9] გამარჯვებულთა კომპასი//Российская газета. 19 ივნისი 2016. URL: https://rg.ru/2016/06/19/reg-szfo/vladimir-putin-proekt-bolshoj-evrazii-otkryt-i-dlia-evropy.html

რებლად პრაქტიკული საფუძვლები უნდა შექმნას, რაც შესაძლებელს გახდის რეგიონულ გაერთიანებებს შორის კონფლიქტებისგან თავის არიდებას. იდეა 2016 წლის მაისში, ქ. სოჭში რუსეთ-ACEAH-ის სამიტზე განიხილებოდა და ACEAH-ის ქვეყანათა წინასწარი მოწონება დაიმსახურა. პროექტის განხილვისადმი ინტერესი გამოთქვა ჩინეთმაც.

მთლიანობაში პროექტი „დიდი ევრაზია“ კონცეპტუალური შემუშავებისა და წინასწარი პოლიტიკური მსჯელობის სტადიაშია. თუმცა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებსა თუ აზიის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების დონეზე თანამშრომლობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მრავალწლიანი აუჩქარებელი შეთანხმებების წარმოებამ შედეგად შეიძლება მოქმედი თანხმობა გამოიღოს. საქართველოსთვის აქტუალური იქნებოდა, ამ კონცეპტუალურ პროექტზე, მისი შემუშავების სტადიაში გაემახვილებინა ყურადღება, რუსეთი კი უნდა ეცადოს, „დიდი ევრაზიის“ პროექტი არა მარტო საერთაშორისო ორგანიზაციებით დაკომპლექტებულ მსხვილ დიალოგურ სივრცეში გასწიოს წინ, არამედ ორმხრივი კონტაქტების დონეზე იმ მცირე ქვეყნებთანაც, რომლებსაც პროექტმა უდიდესი სარგებლობა შეიძლება მოუტანოს და ერთმანეთის კონკურენტ სხვადასხვა გაერთიანებათა ლოიალობის პრობლემა გადაჭრას.

რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში ანალიზისას აუცილებელია სხვადასხვა პროექტის ერთმანეთთან დაკავშირების შესაბამისად ამ მიმდინარე პროცესთა გრძელვადიანი ხასიათიც აღინიშნოს. სწორედ გრძელვადიანი ხასიათი იძლევა საშუალებას, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისთვის მომგებიანი თანამშრომლობის მიმართულებები ფორმირებად და ჯერაც განხილვის სტადიაში მყოფ პროექტებში შევიდეს. ასეთი შესაძლებლობის უგულებელყოფა არ ღირს არც რუსეთისთვის და არც საქართველოსთვის. დსთ-დან გასვლის შემდეგ საქართველომ ყურადღება ევრაზიაში ორმხრივი კავშირების განვითარებაზე გაამახვილა, რომლებსაც ქვეყნისთვის მრავალმხრივი სარბიელის სრულად შეცვლა არ შეუძლია. პროექტ „დიდი ევრაზიის“ ფარგლებში ნაკლებად სავალდებულო და არაინსტიტუციონალიზებული ურთიერთობების ფორმას, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ცალკეულ შეთანხმებებთან მიერთებას ანდა ევრაზიული განვითარების ბანკში მონაწილეობას შეუძლია იმ მრავალმხრივი რეგიონული პლატფორმის შექმნა, რომელიც საქართველოსთვის ოპტიმალური აღმოჩნდება, რუსეთს კი საშუალებას მისცემს, რეგიონულ დონეზე საქართველო, როგორც პარტნიორი, არ დაკარგოს.

საერთო რეკომენდაციები

1) სასურველია, რუსეთმა და საქართველომ თავი შეიკავონ იმგვარი ქმედებებისგან, რომლებიც მხარეების მიერ საფრთხედ აღიქმება, საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების, სტაბილურობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის, რაც ნეგატიურად აისახება ორმხრივ ურთიერთობებზე. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავს ინტეგრაციული პროცესების კონკურენციას სამხრეთ კავკასიაში, მდგომარეობას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და რეგიონის ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაურევლობას.

2) ახალი ინიციატივების პაკეტის შემუშავება მოემსახურება ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებას რეგიონული უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის სფეროში. ამ მიმართულებით მნიშნელოვანია მხარეთა საექსპერტო და სამეცნიერო პოტენციალის უფრო ინტენსიური გამოყენება. **მუდმივმოქმედი დიალოგის პლატფორმა** საექსპერტო მოსაზრებებისა და წინადადებების გასაზიარებლად და ახალი ინიციატივების შემუშავება აამაღლებს „აბაშიძე–კარასინის ფორმატის“ დიალოგის ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს ორმხრივი ურთიერთობების მოწესრიგებას, რაც დადებითად აისახება რეგიონზე.

3) უპრიანია **საექსპერტო კომუნიკაციის სპეციალური** საზოგადოებრივი **არხის** შექმნა არსებული და ახალი სავაჭრო–სატრანსპორტო დერეფნების უსაფრთხო და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის რეკომენდაციების შესამუშავებლად. ეს არხი ხელს შეუწყობს ორმხრივი კონსულტაციების ეფექტიანობას საქართველო–რუსეთს შორის 2011 წლის ხელშეკრულების შესრულებისას კონფლიქტის ზონაში შესაძლო ინციდენტებისა და გართულებების თავიდან აცილების მიმართულებით. საექსპერტო რეკომენდაციები, აგრეთვე, ხელს შეუწყობს საქართველოსა და რუსეთის, როგორც ორი სხვადასხვა ეკონომიკური სისტემის წევრი ქვეყნის, სავაჭრო–ეკონომიკურ ურთიერთობებში შესაძლო რისკების შემცირებას, განსაკუთრებით კი საქართველოს ევროპასთან ასოცირების შეთანხმებისა (AA) და „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის“ (DCFTA) ხელშეკრულების ძალაში სრულად შესვლის შემდეგ (საქართველოს კანონმდებლობის, სტანდარტების ჰარმონიზაცია ევროპულთან და სხვ.). რეკომენდებული საექსპერტო არხის საშუალებით, შესაძლე-

ბელია, უფრო დეტალურად მოხდეს შემდეგი საკითხების განხილვა:

ა. ენგურჰესის კონსტრუქციათა უსაფრთხოების პრობლემების განხილვა, ენგურჰესის ექსპლუატაციის უსფრთხოების გაზრდასა და მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის შეგროვებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და ეკონომიკური რეკომენდაციების შემუშავება; 2018 წელს დაგეგმილი ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოების განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე მისაწოდებელი ელექტროენერგიის პრობლემური საკითხის განხილვა. აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით, სასურველია, მოლაპარაკებებში შვეიცარიის, როგორც მედიატორის, ჩართვა, ასევე, საკითხის განხილვა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) ხელშეწყობით.

ბ. რეკომენდაციების შემუშავება რუსული ბიზნესის საქართველოს ტერიტორიაზე მოსაზიდად, ერთობლივი საწარმოების შექმნის მიზნით. რუსული მხარისთვის ასეთი საწარმოების შექმნა მომგებიანი იქნებოდა, რადგან საქართველოს მონაწილეობა ევროპასთან ასოცირების შეთანხმებასა (AA) და „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეში“ (DCFTA), გაამარტივებს დამზადებული საქონლის ევროპის ბაზარზე მიწოდებას. თანამშრომლობის ეს ფორმა კი საქართველოს საკუთარ ტერიტორიაზე წარმოების შექმნის დამატებით საშუალებას მისცემს. ცალკეული პროექტის დასაფინანსებლად, შესაძლებელია, განვითარების ევრაზიული ბანკის პოტენციალის განხილვა.

4) რეგიონში არსებული ორი ინტეგრაციული ეკონომიკური პროექტის (DCFTA და EAEU) კონკურენციის შესაძლო ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად, სასურველია, საქართველომ განიხილოს სერბეთისა და ვიეტნამის თავისუფალი ვაჭრობის ზონების გამოცდილება ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან (EAEU) მიმართებით. სხვადასხვა სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პროექტების თავსებადობის განხილვა ხელს შეუწყობს რეკომენდაციების ჩამოყალიბებას იმისთვის, რომ საქართველო, როგორც სატრანსპორტო კვანძი, უფრო მიმზიდველი გახდეს.

5) რეკომენდაციების შემუშავება ზემო ლარსი-ყაზბეგის სასაზღვრო პუნქტზე ტრანსპორტის გამარტივებული გადაადგილებისა და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველსაყოფად. 2017 წელს 20 იანვარს ძალაში შევიდა „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ შეთანხმება, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების გაადვილებას. რეკომენდებულია, საქართველომ ექსპერტთა ფორმატში განიხილოს ამ შეთანხმებასთან მიერთების მიზანშეწონილობა.

6) ახალ სფეროებში თანამშრომლობის კონკრეტული დადებითი შედეგები ხელს შეუწყობდა ნდობის აღდგენას ორმხრივ ურთიერთობებში. პერსპექტიულად შეიძლება მიჩნეული იქნას თანამშრომლობა ეკოლოგიის მიმართულებით, მაგალითად: ნაკრძალების შექმნა და განვითარება, ეკოლოგიური და ეთნოგრაფიული ტურიზმისა და მუნიციპალური დიპლომატიის განვითარება. ტურიზმის განვითარებას ხელს შეუწყობდა რუსეთთან სავიზო რეჟიმის გამარტივება, მისი შემდგომი გაუქმებით, ასევე, სტუდენტთა და ბავშვთა ტურისტული ჯგუფებისთვის სატრანსპორტო შეღავათების დაწესება.

7) საქართველოსა და რუსეთს შორის ოფიციალური მოლაპარაკებების დღის წესრიგში იმ საკითხის ჩართვაა საჭირო, რომელიც უკავშირდება ისლამური სახელმწიფოს (რუსეთის ტერიტორიაზე და რიგ ქვეყნებში აკრძალული ექსტრემისტული ორგანიზაცია) ყოფილი მებრძოლების მიერ შინ დაბრუნებისა ან გადაადგილებისთვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენების საფრთხეს. ეს, თავის მხრივ, დესტაბილიზაციის ფაქტორია მთელ რეგიონში. ოფიციალური მოლაპარაკებების ეფექტიანობის გასაზრდელად, მიზანშეწონილია, ორივე მხარის უშიშროებისა და ტერორიზმთან ბრძოლის სფეროს ექსპერტებმა შეიმუშაონ და საქართველოსა და რუსეთის შესაბამის სტრუქტურებს მიაწოდონ სარეკომენდაციო დოკუმენტი.

8) დიალოგის ორივე მხარე აღიარებს შვეიცარიის კონფედერაციის, როგორც მესამე ნეიტრალური მხარის, მნიშვნელოვან წვლილს დიალოგის ხელშეწყობის პროცესში და მიზანშეწონილად მიიჩნევს შვეიცარიის კონფედერაციის, როგორც მედიატორის, შემდგომ გააქტიურებას.

მიგრაცია

ლიუბოვ სოლოვიოვა

შერეული ქორწინებები საქართველოში: ეთნოსთშორისი კონტაქტების ადამიანური განზომილება

შერეული ქორწინებები ეთნოსთშორისი ურთიერთობების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი და, ასევე, ამ საკითხის შესასწავლად შეუცვლელი წყაროა[1]. შერეული ოჯახები სხვადასხვა კულტურის ერთმანეთში განსაკუთრებით მჭიდრო შეღწევით ხასიათდება. ასეთი ოჯახები კულტურათაშორისი ურთიერთობების პერსპექტივას ქმნის და მკვლევართა დიდ ყურადღებას იქცევს.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დაფიქსირებულ, ამ სახელმწიფოში დამკვიდრებულ პოლიეთნიკურ მოსახლეობას შორის შერეული ქორწინებები მთელი მისი ისტორიის განმავლობაში ფართოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა. თანაც ასეთი ქორწინებები არა მარტო მაღალი წოდების წარმომადგენელთა ოჯახებისთვის (ეს ისტორიული წყაროებითაც დასტურდება), არამედ მოსახლეობის ფართო მასისთვისაც იყო დამახასიათებელი. რაც შეეხება მეფის რუსეთს, აქ დაქორწინების არჩევანი, არცთუ იშვიათად, არა იმდენად ნაციონალური, რამდენადაც კონფესიური და წოდებრივი ჩარჩოებით იზღუდებოდა. მართლმადიდებელი ეკლესია ქორწინების ნებართვას მხოლოდ მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევარ პირებთან იძლეოდა. სხვა სარწმუნოების მიმდევრებთან ქორწინება კი დაშვებული იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უცხო სარწმუნოების მიმდევარი მართლმადიდებლობას მიიღებდა, ეს წესი ვრცელდებოდა მართლმადიდებლებისა და სხვა ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარ – სომხებსა და კათოლიკეებს შორის ქორწინებებზე. რევოლუციამდელ საქართველოში კავკასიური წარმოშობის ხალხთა წარმომადგენლებს შორის ქორწინება განსაკუთრებით ტრადიციულ და საკმაოდ ხშირ

[1] ა. სუსოკოლოვი. ნაციონალურ-შერეული ქორწინებები და ოჯახები სსრკ-ში. მ., 1990.

მოვლენას წარმოადგენდა, ლაპარაკია: ქართულ-სომხური, ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური (ძირითადად, მეგრულ-აფხაზური) ოჯახების შექმნაზე. ნაკლებად გავრცელებული იყო ქორწინებები მეზობელი, მუსულმანური სარწმუნოების მქონე ხალხებთან. მაგალითად, სვანეთში ქართველ მამაკაცებს ნებართვა ეძლეოდათ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლებზე დაქორწინებულიყვნენ, თუმცა ხანდახან ასეთ შემთხვევაში მომავალი ქმარი მუსულმანურ სარწმუნოებას იღებდა[2].

საბჭოთა პერიოდში, არც ნაციონალურ და არც კონფესიურ ქორწინებებზე სახელმწიფოს მხრიდან უკვე აღარანაირი წინააღმდეგობა აღარ არსებობდა, ამდენად, ასეთი ქორწინებების რიცხვი თანდათან გაიზარდა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა XX ს-ის პირველ მესამედში განხორციელებული ურბანიზაციის პროცესებს და იმ გარემოებასაც, რომ სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების შედეგად დაქორწინების საკითხთან დაკავშირებული არჩევანის გაკეთებისას ახალგაზრდობის მხრიდან დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებები გაიზარდა (არა მარტო ახალგაზრდა მამაკაცებში, არამედ გარკვეულწილად ქალებშიც). თუკი ომამდელ პერიოდში, განსაკუთრებით სოფლებში, ახალგაზრდების მხოლოდ მშობლების სურვილით შეუღლების შემთხვევები გვხვდებოდა, 1940-1950 წლებში ასეთი მოვლენა პრაქტიკულად აღარ არსებობდა. თუმცა შეუღლების საკითხთან დაკავშირებით მშობლებისა და სხვა ნათესავების აზრის მიმართ უკვე ტრადიციად ქცეული ყურადღებით მოპყრობა, განსაკუთრებით სოფლად, კიდევ დიდხანს და, გარკვეულწილად, ამ დრომდეც შენარჩუნდა.

1936 წლის მონაცემებით, საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის ქორწინებები 17,6%-ს შეადგენდა, ამასთან, ქალაქის მაცხოვრებლებს შორის ასეთი ქორწინების წილი ორჯერ მეტი იყო, ვიდრე სოფლის მოსახლეობაში – 23,8% და 11,1% შეფარდებით, რაც ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატებოდა. ამასთან, აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ ქართული წარმოშობის მქონე მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის შერეული ქორწინებების წილი ნაკლები იყო, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკაში:

[2] იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. მართლმადიდებლობა კავკასიაში: სვანური მრევლის მიმოხილვა. 1867. №1. გვ. 47.

ქალაქში, მამაკაცები -13%, სოფლად კი -3,4%; ქალების შემთხვევაში ქალაქში – 21% და სოფლად – 7,4%[3].

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა დროს, ყოველ შემთხვევაში, XX ს-ის მეორე ნახევარში, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა შერეული ქორწინებებისადმი დადებით დამოკიდებულებას ავლენდა. ეს დამახასიათებელი იყო როგორც ქალაქის, ისე სოფლის მაცხოვრებლებისთვის. ასე, 1970-იანი წლების მონაცემებით, თბილისში ინტელიგენციის წრიდან გამოკითხულ რესპონდენტთა 78,5%-მა მათი უახლოესი ნათესავის სხვა ეროვნების წარმომადგენელს შორის შესაძლო დაქორწინების შესახებ დასმულ კითხვას დადებითად უპასუხა[4].

საქართველოს მმაჩ-ის ბიუროს სახელმწიფო არქივის მონაცემები იმაზე მოწმობს, რომ შერეული ქორწინებების წილი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში მნიშვნელოვანი სახეცვალებადობით ხასიათდებოდა. ამ მაჩვენებელზე გავლენას ახდენდა ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ამა თუ იმ რაიონის მოსახლეობაში ნაციონალური შემადგენლობა, ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტთან ისეთი ქალაქის ახლო თუ შორი მდებარეობა, სადაც მოსახლეობაში მსგავსი ქორწინებები მეტად ხშირ მოვლენას წარმოადგენდა და სხვ. თუმცა ქვეყნის ყველა რაიონში ეს სიდიდე უმნიშვნელოდ, მაგრამ ყოველწლიურად იცვლებოდა. ასე, 1950-1979 წლებში საქართველოს ცალკეულ რაიონებში შერეული ქორწინებების რაოდენობა შეადგენდა: ლენინგორის რაიონში – 17-20%-ს; ახალციხის რაიონში – 11-13%-ს; დუშეთის რაიონში – 5-9%-ს; ბოლნისისა და ჯვრის რაიონებში – 7-8%-ს და ყაზბეგის რაიონში – 5-7%-ს. ასეთი ქორწინებების წილი მნიშვნელოვნად დიდი იყო ნაციონალურად არაერთგვაროვანი წარმოშობის მქონე მოსახლეობით დასახლებულ სამრეწველო რაიონებში. ასე, 1970-იანი წლების ბოლოს ტყიბულში ასეთი ქორწინებები 20%-ს შეადგენდა. ნაციონალურად ერთგვაროვანი წარმოშობის მქონე მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში, იგულისხმება დასავლეთ საქართველოს უმეტესი რაიონები, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირე იყო: ჭიათურის რაიონში – 2-4%, საჩხერის რაიონში – 1-2%. შორეულ, მთიან რაიონებში კი, მაგალითად, ზემო აჭარასა და სვანეთში, ასეთი ქორწინებები კიდევ უფრო იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა.

---

[3] ნ. ბორზიხი. 1930-იანი წლების შუა პერიოდში სხვადასხვა ეროვნების მქონე პირთა ქორწინებები სსრკ-ში //საბჭოთა ეთნოგრაფია. 1984. № 3. გვ. 104.

[4] რ. ციკვაძე. ქართული ნაციონალური ტრადიციების ზოგიერთი საკითხი//სოციოლოგიური გამოკვლევა. თბილისი, 1976. 2 გამოშ. 2. გვ. 102 (ქართულ ენაზე).

ეროვნებათაშორისი ქორწინებების ანალიზი იმ ავტორთა დასკვნების სამართლიანობის დემონსტრირებას ახდენს, რომლებიც თვლიან, რომ მათი რიცხვი ამა თუ იმ რაიონსა თუ ქალაქში დიდწილად რუსი მოსახლეობის არსებობა-არარსებობაზე და ასევე, მის რიცხობრიობაზეა დამოკიდებული. ასეთი ქორწინებები განსაკუთრებით დამახასიათებელია რუსებისთვის. მმაჩ-ის ბიუროს საარქივო მონაცემების მოწმობით, მთლიანად საქართველოს მასშტაბით შერეულ ქორწინებებებს შორის ქართველ მამაკეაცებში რუს ქალებთან ქორწინებებები ჭარბობდა, რუს ქალებს სომეხი წარმოშობის ქალები მოსდევდნენ, შემდეგ კი – ოსი, აფხაზი და უკრაინელი. ქართველი ქალების შემთხვევაში ასეთ ქორწინებებს შორის მნიშვნელოვნად ჭარბობდა სომეხი წარმოშობის მამაკაცებთან შეუღლებით შექმნილი ოჯახები, შემდეგ – რუსებთან, ოსებთან და აფხაზებთან. ასე, თბილისში 1970 წელს ეროვნებათაშორისი ქორწინებები ქართველთა ქორწინებების 16%-ს წარმოადგენდა. აქედან 330 ოჯახი ქართველი მამაკაცის რუსი წარმოშობის ქალთან შეუღლებით იყო შექმნილი, 213 – სომეხთან, 45 – ქურთთან, 40 კი – უკრაინელთან. თბილისში მაცხოვრებელი ქალების შემთხვევაში ეროვნებათაშორისი ქორწინებების წილი 1970 წელს 10%-ს შეადგენდა, აქედან – 214 ოჯახი ქართველი ქალის სომეხი წარმოშობის მამაკაცთან შეუღლებით იყო შექმნილი, 86 – რუსთან, 40 – ქურთთან, 30 კი – აფხაზთან. ბათუმში (აჭარა) მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების გამოკვლევამ ასევე აჩვენა, რომ შერეული ოჯახების უმეტესობა იქმნებოდა ქართველებს, სომხებსა და რუსებს შორის[5]. აფხაზების შემთხვევაში ჭარბობდა ქართველებთან, რუსებთან და ოსებთან შეუღლებით შექმნილი ოჯახები, ოსების შემთხვევაში კი – ქართველებთან, რუსებთან და აფხაზებთან შეუღლებით შექმნილი ოჯახები.

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს (ცსს) მონაცემებით 1970-1979 წლებში ქართველ მოსახლეობას შორის ეროვნებათაშორისი ქორწინებების წილმა მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია განიცადა. თუ 1879 წელს ასეთი ქორწინებები მამაკაცებში საშუალოდ 8,5%-ს შეადგენდა (13,2%-ს ქალაქში და 4,7%-ს სოფლად), ქალებში კი – 5,2%-ს (8,5%-ს ქალაქში და 2,6%-ს სოფლად), 1979 წელს მათი რიცხვი თითქმის ორჯერ შემცირდა – 4,1% მამაკაცებში და 3%

[5] მ. ბექაია. ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები. თბილისი, 1980. გვ. 122; მ. თავაძე. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შერეული ქორწინებები// სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრება და კულტურა. თბილისი, 1980. გვ. 5–6.

ქალებში. ამასთან ერთად, შემცირდა მამაკაცებსა და ქალებს შორის ამ მაჩვენებლების სხვაობაც. თუკი 1970 წელს ქალაქში მაცხოვრებელი მამაკაცები შერეულ ოჯახებს 1,5-ჯერ, ხოლო სოფლად კი 1,8-ჯერ უფრო ხშირად ქმნიდნენ, ვიდრე ქალები, 1979 წელს ქალაქში ასეთი ოჯახები უკვე მხოლოდ 1,3-ჯერ, სოფლად კი – 1,4-ჯერ უფრო ხშირად იქმნებოდა, ვიდრე ქართველი წარმოშობის ქალებში[6]. აუცილებელია აღინიშნოს, რომ შერეულ ქორწინებათა კლება ამ ათწლეულში სსრკ-ს ბევრი რეგიონისთვის გახდა დამახასიათებელი.

1980-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (ახალციხის, ბოლნისის, ჯვრის, დმანისის, დუშეთის, ქარელის, კასპის, ქობულეთის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, ხელვაჩაურის, ხულოს, წალენჯიხის და შუახევის რაიონები) ჩატარებული ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალები მოწმობს, რომ შერეული ოჯახები არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლადაც იქმნებოდა. როგორც წესი, ეს იყო ქართველი მამაკაცების „რუსულენოვან“ ქალებთან, ანუ რუსებთან, ბელარუსებთან და უკრაინელებთან შექმნილი ოჯახები[7], აღმოსავლეთ საქართველოს აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობით დასახლებულ სოფლებშიც შერეული ოჯახები ასევე ძირითადად რუს და უკრაინელ ქალებთან შეუღლებით იქმნებოდა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ ქალების მნიშვნელოვანი წილი საქართველოში დაბადებული არ იყო. უფროსი თაობის წარმომადგენელთა შორის არცთუ იშვიათად გვხვდებოდნენ ქალები, რომლებიც ქართველებმა, ასევე – სომხებმა, აზერბაიჯანელებმა და ოსებმა სამამულო ომის დროს გაიცნეს. უფრო ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები თავიანთ მომავალ ქმრებს უმეტეს შემთხვევაში საბჭოთა ჯარში მათი მსახურების დროს ეცნობოდნენ. ახალგაზრდებს შორის ნაცნობობა მყარდებოდა მაშინაც, როცა მამაკაცები ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში – მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში და სხვ. საშოვარზე მიემგზავრებოდნენ (ეს უმეტესწილად სომეხი მოსახლეობისთვის იყო დამახასიათებელი), ასევე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დროს. როგორც წესი, შერეულ ოჯახებს დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნდა: ჩვეულებრივ, „რუსი“ ცოლები საქართველოში გატარებული რამდენიმე წელის შემდეგ უკვე

[6] ლ. ტ. სოლოვიოვა. საქართველოს ხალხები//სსრკ-ს ხალხთა ოჯახური ყოფა-ცხოვრება. მ. „ნაუკა“ მეცნიერება, 1990.

[7] აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში პრაქტიკულად ყველა არაკავკასიელ ქალს „რუსად“ აღიქვამდნენ, ხანდახან ასეთი რამ შეიძლებოდა მოლდოველ ქალთან დაკავშირებითაც მომხდარიყო.

სალაპარაკო ქართული ენის (სომხურის, აზერბაიჯანულის) უნარებს იძენდნენ. ასეთ შერეულ ოჯახებში შიდა ოჯახური ურთიერთობების ტრადიციულ ნორმებს, როგორც წესი, ნაკლებად მკაცრად იცავდნენ, ბავშვები კი, ჩვეულებრივ, როგორც რუსულ, ისე ადგილობრივი მოსახლეობის ენასაც სრულყოფილად ფლობდნენ. არ წყდებოდა არც ცოლის ნათესაობასთან ურთიერთობა, რომლებიც სხვადასხვა ოჯახური თავყრილობების დროს სტუმრად ჩამოდიოდნენ.

ერთი და იმავე ნაციონალობის მქონე ოჯახთან შედარებით შერეულ ქორწინებათა სიმყარის პრობლემა ბევრ სამეცნიერო ნაშრომში განიხილებოდა, მაგრამ ერთგვაროვანი გადაწყვეტილება ვერ გამოინახა. მიუხედავად ამისა, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ შერეული ქორწინებები, მაგალითად, სომხურ-ქართული და ქართულ-სომხური ოჯახები, რიგ შემთხვევებში უფრო მყარი აღმოჩენილა, ვიდრე ერთი ნაციონალობის მქონე ოჯახები[8]. იმავდროულად აღსანიშნავია, რომ რუსულ-სომხური და რუსულ-ქართული ქორწინებები ნაკლები სიმყარით გამოირჩეოდა[9]. საქართველოს ქალაქებში 1970-იან წლებში ოჯახურ ურთიერთობებს დადებითად ეროვნებათაშორის ქორწინებაში მყოფი რუსი ქალების 90% აფასებდა, ერთი და იმავე ნაციონალობის ქორწინებაში მყოფი ქალების 65% კი – უარყოფითად. ანალოგიურ სიტუაციას ვადევნებთ თვალს, როცა ვაანალიზებთ პასუხს კითხვაზე, რა სირთულეებს აწყდებიან ოჯახური ცხოვრების განმავლობაში მეუღლეები: საქართველოს ქალაქებში შერეულ ქორწინებაში მყოფი რუსი ქალების 41%-ისა და ერთი და იმავე ნაციონალობის ქორწინებაში მყოფი ქალების 31%-ის გაცემული პასუხის თანახმად: ისინი სირთულეებს არ აწყდებოდნენ. ამგვარად, ეროვნებათაშორის ქორწინებებში ფსიქოლოგიური კლიმატი შეიძლებოდა უფრო სასიკეთოც კი ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაციონალობის მქონე რუსულ ოჯახებზე უარესი ის ნამდვილად არ იყო[10].

1959 და 1979 წლებში ჩატარებული სსრკ-ის მოსახლეობის საკავშირო აღრიცხვის მონაცემთა თანახმად, საქართველოში 1000 ოჯახიდან 90 (1959 წ.) და 104 (1979 წ.) შერეული იყო. ამასთან, ქალაქში ასეთ ოჯახთა რიცხვი 164-ს და 155-ს შეადგენდა, სოფლად კი, შესაბამისად – 37-ს

---

8 1970-იან წლებში ქ. თბილისის მონაცემები.

9 ა. ა. სუსოკოლოვი. ეროვნებათაშორისი ქორწინებები// ასი ერი და ხალხი: სსრკ-ის ეთნოდემოგრაფიული განვითარება. მ.: „მისლ“ 1985. გვ. 90.

10 ა. ა. სუსოკოლოვი. ეროვნებათაშორისი ქორწინებები/ /ასი ერი და ხალხი: სსრკ-ის ეთნოდემოგრაფიული განვითარება. მ.: „მისლ“, 1985. გვ. 90.

და 48-ს. ეს მონაცემები უმნიშვნელოდ უსწრებდა აზერბაიჯანის სსრ-ში დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებლებს და ძალიან მნიშვნელოვნად (ორჯერ-სამჯერ) – სომხეთის სსრ-ში დაფიქსირებულ მაჩვენებლებს. როგორც ჩანს, მისი მოსახლეობის მრავალეთნიკურობით აიხსნებოდა. ამ მაჩვენებლების მიხედვით სსრკ-ის მასშტაბით ლიდერები გახდნენ: ლატვია (158 და 242 შერეული ოჯახი), უკრაინა (150 და 219 შერეული ოჯახი) და მოლდოვა (135 და 210 შერეული ოჯახი)[11].

ეროვნებათაშორისი ქორწინებების დინამიკაზე ზემოქმედ ფაქტორებს შორის მკვლევრები გამოყოფენ შემდეგს: მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობა, შიდაოჯახურ ურთიერთობაში ეთნიკური ნორმების „შეთავსებადობა“, ამა თუ იმ რეგიონში ორენოვნების გავრცელების ხარისხი, ნაციონალობების სოციალურ-პროფესიული და დარგობრივი შემადგენლობის მსგავსება და მიგრაციული პროცესები[12]. ესპერტების აზრით, შერეულ ქორწინებათა რაოდენობის ცვლილებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას აგრეთვე ეთნიკური მოზაიკურობა და ამა თუ იმ რეგიონში რუსი მოსახლეობის წილიც ახდენს. იმდენად, რამდენადაც შერეულ ოჯახებს განსაკუთრებით აქტიურად მოსახლეობის რუსული წარმოშობის წარმომადგენლები ქმნიდნენ, რუსების წილის გაზრდა ან შემცირება შერეულ ოჯახთა რაოდენობის ცვლილებას ყოველთვის საკმარისად ზუსტად შეესაბამებოდა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ რუსების ამიერკავკასიის რეგიონისკენ გადინების მაჩვენებელმა, მათ შორის საქართველოსკენაც, შემცირება უკვე 1960-იანი წლების ბოლოს დაიწყო.

მოსახლეობის მიგრაცია ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ და ეთნიკურ პროცესებში არაერთგვაროვანი ცვლილებების გამომწვევი, მრავალგანზომილებიანი სტრუქტურის მქონე რთული სოციალური მოვლენაა. მიგრაციას ცვლილება შეაქვს ეთნიკური ჯგუფების თანაფარდობაში, ეთნოსთა შორის კონტაქტებში, მოქმედებს ეროვნული (ეთნოსური) შერეული ქორწინებების დინამიკაზე, რაც, თავის მხრივ, ზემოქმედებას ახდენს ეთნიკურ ტრანსფორმაციებზე. მკვლევრები აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირის დროს მოსახლეობის მიგრაციული მოძრაობის ზრდა როგორც შიდა, ისე რესპუბლიკათაშორის დონეებზე სსრკ-ის ყველა ხალხის წარმომადგენელთათვის დამახასიათებელი

[11] სტატისტიკა მოწმობს// /ასი ერი და ხალხი: სსრკ-ის ეთნოდემოგრაფიული განვითარება. მ.: „მისლ“, 1985. გვ. 102.

[12] სტატისტიკა მოწმობს// /ასი ერი და ხალხი: სსრკ-ის ეთნოდემოგრაფიული განვითარება. „მისლ“, 1985. გვ. 82.

იყო. ამასთან, 1960-1980-იან წლებში მიგრაციული გადაადგილებების მიმართულებები მნიშვნელოვნად იცვლებოდა. კერძოდ, საქართველოში ამ წლების განმავლობაში მოსახლეობის გადინების მნიშვნელოვანი მიგრაციული ტენდენცია შენარჩუნებული იყო. ასე, 1975 წლისთვის რესპუბლიკის მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის ერთ მესამედზე მეტი სსრკ-ის სხვა რეგიონებში მიგრაციით „იყლაპებოდა“[13]. ამასთან, საქართველო იმ რესპუბლიკათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებშიც მიგრაციული პროცესების შედეგად ძირეული (სატიტულო) ეროვნების წარმომადგენელთა კუთრი წონა იზრდებოდა და, იმავდროულად, რუსების წილი მცირდებოდა. ამ ტენდენციას ასევე შეეფარდებოდა ბუნებრივი მატების მაჩვენებლებიც, რაც მრავალეთნიკური მოსახლეობის ზრდას უწყობდა ხელს[14].

შემდგომ წლებშიც ანალოგიური ტენდენცია შეინიშნებოდა. ამასთან, 1992 წლიდან 2004 წლამდე საქართველოს მოსახლეობა 5 467 400-დან 4 315 200 ადამიანამდე მუდმივად მცირდებოდა. 1989 წლიდან 2002 წლის ჩათვლით საქართველოს მოსახლეობა 20%-ით შემცირდა[15]. 2002 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემთა თანახმად საქართველოს მოსახლეობა 4 371 534 ადამიანს შეადგენდა, 2014 წლის აღწერის მონაცემთა თანახმად კი – 3 713 804 ადამიანს. ამ წლებში საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართველთა მიგრაციამ მეტად მნიშვნელოვანი ციფრი შეადგინა – თუკი 1989 წელს ქართველთა რაოდენობა 3 787 393 ადამიანს შეადგენდა, 2002 წელს მათი რიცხვი – 3 661 173-მდე შემცირდა, 2014 წელს კი – 3 224 564 ადამიანამდე. თუმცა ბევრად მასშტაბურ სახეს საქართველოს ფარგლებს გარეთ მისი არატიტულური (არაქართული) ეროვნების წარმომადგენელთა მიგრაცია ატარებდა, რის შედეგადაც მოსახლეობის მონოეთნიკურობა გაიზარდა: ქართველთა წილმა (1989 წლის მონაცემებით) 70,13%-იდან (2014 წლის მონაცემებით) 86,83%-მდე იმატა. 1989 წლიდან 2014 წლამდე, შესაბამისად, შემცირდა ყველა სხვა ნაციონალობის წარმომადგენელთა წილიც: სომხების – 8,10%-დან 4,53%-მდე; რუსების – 6,32%-დან 0,71%-მდე; ოსების – 3,04%-იდან 0,39%-მდე; ბერძნების – 1,86%-დან 0,15%-მდე. შედარები-

[13] ი. სუბოტინა. მიგრაცია და ნაციონალური შემადგენლობის ცვლილება მოკავშირე რესპუბლიკებში//რასები და ხალხები: თანამედროვე ეთნიკური და რასობრივი პრობლემები. „ნაუკა“ 1986. გამოშვ. 15. გვ. 120, 123–124.

[14] იქვე. გვ. 128, 132.

[15] მ. გაჩეჩილაძე. ქართველთა დიასპორა რუსეთში და ქართულ-რუსული ურთიერთობები: კვლევითი ანგარიში. თბილისი: კავკასიური სახლი, 2016. გვ. 10.

თი ზრდა განიცადა მხოლოდ საქართველოში მაცხოვრებელმა აზერბაიჯანლების წილმა (5,69%-დან 6,27%-მდე), თუმცა მათი რაოდენობაც ასევე შემცირდა (307 556-დან 233 024-მდე ადამიანი).

საქართველოს მონოეთნიკური მოსახლეობის გაზრდამ, როგორც ჩანს, ეროვნებათაშორისი ქორწინებები უნდა შეამციროს. იმავდროულად, 1990-იანი წლებისა და შემდგომი ათწლეულის აქტიური მიგრაციული პროცესი – ძირითადად მუშა-მოსამსახურეთა მიგრაცია – ასეთი ოჯახების შექმნის შესაძლებლობას პოტენციურად ზრდიდა. საქართველოდან ძირითადი მიგრაციული დინებები მიმართული იყო რუსეთის, საბერძნეთის, იტალიის, აშშ-სა და სხვა ქვეყნებისკენ. ასე, 1989 წელს ჩატარებული საყოველთაო აღრიცხვის მონაცემთა მიხედვით რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობდა -130 688 ქართველი, 2002 წლის მონაცემთა მიხედვით – 197 934, ხოლო 2010 წლის მონაცემთა მიხედვით, კი – 157 803. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლებში არ შედიან საქართველოდან მიგრირებული სხვა ნაციონალობის წარმომადგენლები, – აზერბაიჯანლები, სომხები, ოსები, რუსები და სხვ. ითვლება, რომ 2002 და 2010 წლებში ჩატარებული საყოველთაო აღრიცხვის მონაცემები ძალიან შემცირებულია. არაოფიციალური შეფასებებით, რომლებიც ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება, საქართველოდან რუსეთში ჩამოსული მიგრანტების რაოდენობა 1 მლნ ადამიანამდე აღწევს, ამასთან, მხოლოდ მოსკოვში დაახლოებით 400 ათასი ადამიანი ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ მუშა-მოსამსახურეთა ასეთი მასშტაბური მიგრაცია საქართველოს დემოგრაფიული განვითარებისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.

მუშა-მოსამსახურე მიგრანტთა რაოდენობისა და მიგრაციულ დინებათა მიმართულებების თვალის მიდევნება შესაძლებელია განისაზღვროს ისეთი მაჩვენებლითაც, როგორიცაა სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოს მიმართულებით განხორციელებული ფულადი გადარიცხვები. 2013 წლის მონაცემებით, ქვეყანაში გადაირიცხა 1,4 მლრდ დოლარი, არაპირდაპირი მონაცემებით, ამ თანხის დიდი ნაწილი კერძო პირთა არაკომერციულ გადარიცხვებს შეადგენს, რაც ქართულ ოჯახთა დიდი ნაწილის შემოსავლის ძირითადი წყაროა. ქართულ ეკონომიკაში ამ ფულადი გზავნილების მნიშვნელობა საკმაოდ დიდია. ძირითადი ფულადი გზავნილები ქართულ ოჯახებს რუსეთიდან მიეწოდება – 2006 წელს გადაირიცხა 368,7 მლნ დოლარი, 2013 წელს –

801,4 მლნ დოლარი, საბერძნეთიდან – 2006 წელს – 16,9 მლნ დოლარი, 2013 წელს – 198 მლნ დოლარი, ასევე იტალიიდან და აშშ-დან.

მიუხედავად ქართველ მიგრანტთა რიცხვის შესახებ არაოფიციალური შეფასებების საეჭვოობისა, ფულადი გზავნილების სტატისტიკის მონაცემები იმას მოწმობს, რომ ქართველთა სათვისტომო რუსეთში 2006-2013 წწ. ზრდას აგრძელებდა, ხოლო ქართველ მუშა-მოსამსახურე მიგრანტთა ძირითადი შემოსავლის წყაროდ რუსეთის ეკონომიკა რჩებოდა[16].

დღეს რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებში უკვე არსებული ქართული დიასპორების გარდა, ახალი ქართული დიასპორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშიც ყალიბდება, შესაბამისად, ეროვნებათაშორისი ოჯახების შესაქმნელად აუცილებელი პირობები ისევ არსებობს. იმდენად, რამდენადაც ეთნოსთშორისი ურთიერთობების წრე საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით მნიშვნელოვნად შეიცვალა და გაფართოვდა, ასეთი ოჯახების შემადგენლობაც, როგორც ჩანს, უკვე გარკვეულწილად სხვანაირი იქნება. თუკი ეროვნებათაშორისი ქორწინებების ეთნიკურ შედეგზე ვილაპარაკებთ, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კავშირები გარკვეულ როლს ეთნიკური კულტურების ურთიერთქმედებაში და პიროვნებათაშორისი, ნაციონალური ურთიერთობების ფორმირებაშიც თამაშობს, მაგრამ ეს როლი გადამწყვეტი მაინც არ არის. შერეული ქორწინებები დიდწილად თავადაც ეთნოკულტურული პროცესებისა და ეთნოსთშორისი ურთიერთობების ზეგავლენას განიცდის. შერეულ ქორწინებებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სხვა ეთნიკურ გარემოცვაში მოხვედრილ ნაციონალურ ჯგუფთა ადაპტაციის პროცესის გაადვილებისთვის და მრავალეროვნულ საზოგადოებაში ეთნოკულტურული პროცესების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად გამოდის.

[16] ნ. მენდკოვიჩი. სამუშაო მიგრაცია საქართველოში და ფულადი გზავნილების სტატისტიკა//კავკასიათმცოდნეთა სამეცნიერო საზოგადოება. URL: http://www.kavkazoved.info

ნათია ქელიძე

რუსეთ-საქართველოს შორის მიგრაციული პროცესები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

რუსი მოსახლეობა საქართველოში (1989-2014 წ.)

ინტენსიური მიგრაცია დიდ ზეგავლენას ახდენს მიმღები და გამგზავნი ქვეყნების მოსახლეობის რიცხოვნობასა და დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. ეს ზეგავლენა განსაკუთრებით გამოვლინდა პოსტსაბჭოთა საქართველოში, სადაც 1989-2014 აღწერათაშორის პერიოდში მოსახლეობა 5,5 მლნ-დან 3,7 მლნ-მდე შემცირდა. ემიგრაციის გავლენით მკვეთრად მოიკლო რუსი ეროვნების მოსახლეობამ. იგი 1989 წელს იყო 341 ათასი კაცი, 2014 წლისთვის კი სეცესირებული ტერიტორიების ჩათვლით 45 ათასამდე შემცირდა[1]. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგების მიხედვით, საქართველოში იმყოფება 26453 რუსი ეროვნების მოსახლე[2]. მათ შორის – 7114 კაცი და 19339 ქალი. ისინი ძირითადად განსახლებულნი არიან თბილისში (13350), აჭარაში (3679), ქვემო ქართლსა (2631) და კახეთში (1921).

გაზრდილი ინტენსივობის ემიგრაციამ არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივადაც გააუარესა დარჩენილი რუსი მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა. ატროფირებულია სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. ქალთა რიცხოვნობა 2,7-ჯერ აღემატება რუსი მამაკაცების რიცხოვნებას.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ რუსი ქალების სხვა ეროვნების მამაკაცებთან ქორწინების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო ათეული

[1] ტუხაშვილი მ. პოსტსაბჭოთა საქართველოდან რუსი მოსახლეობის ინტენსიური ემიგრაციის დემოგრაფიული შედეგი. საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული. ვენა, ავსტრია, 2017.

[2] აღწერა ვერ ჩატარდა სეცესირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ: აფხაზეთის ა/რ-ში და ცხინვალის რეგიონში. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

წლების განმავლობაში. საქართველოში რუსი ქალების ქორწინება ქართველებთან უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე თავისივე ეროვნების წარმომადგენლებთან.

2002 წლის აღწერის შედეგად გამოვლინდა, რომ 15-49 წლის ასაკის ყოველი 1000 რუსი ქალის მიერ გაჩენილია 1779 ბავშვი. ეს ყველაზე მცირე მაჩვენებელია საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა შორის, აშკარადაა გამოხატული შეკვეცილი კვლავწარმოების რეჟიმი, რეგრესული დემოგრაფიული ვითარება[3]. იმავე აღწერის დროს გამოიკითხა სხვადასხვა ეროვნების ფერტილური ასაკის (15-49 წელი) გათხოვილ ქალთა აზრი მოსალოდნელ ბავშვთა რიცხვის შესახებ. აქაც ყველაზე მცირე შვილიანობის განზრახვა რუს ქალებს აღმოაჩნდათ[4]. იგი ვერ უზრუნველყოფს შთამომავლობით მათი რიცხვის ჩანაცვლებას. რუსი ქალების თვით სურვილშიც კი გამოხატულია რუსული დიასპორის დემოგრაფიული დეპრესია.

ამრიგად, მიგრაციული და ბუნებრივი მოძრაობის ყველა შესწავლილი ტენდენცია მიანიშნებს საქართველოში რუსი მოსახლეობის რიცხოვნობის გარდაუვალ კლებაზე.

იმიგრანტები რუსეთის ფედერაციიდან

2010-2014 წლებში უცხო ქვეყნის 35769 მოქალაქეს მიენიჭა ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობა. უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა საქართველოს ყოფილი მოქალაქეა, რომლებმაც გააუქმეს საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო. მინიჭებული 35769 მოქალაქეობიდან დიდი ნაწილი 25992 (73%) მიიღეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა.

საქართველოს ყოფილი მოქალაქეებისთვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემისა (2010-2014 წწ. 4791) და ორმაგი მოქალაქეობის (2010-2014 წწ. 25992) მინიჭების სტატისტიკის გარდა, საქართველოში დიასპორისა და ემიგრანტთა ჯგუფების ჩართულობის კიდევ ერთი ინდიკატორია თანამემამულის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის სტატისტიკა, რომელიც, როგორც წესი, ძირითადად საქართველოს ყოფილ მოქალაქეებზე გაიცემა. 2012-2014 წლებში თანამემამულის სტა-

[3] ტუხაშვილი მ. რუსების ჩამოსახლება და ემიგრაცია საქართველოდან. ჟურნალი „მიგრაცია 3“. ლტოლვილთა დანიის საბჭო, თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი. თბილისი, უნივერსალი, 2009.

[4] ტუხაშვილი მ. მიგრაციული ექსპანსიის დასასრული და რუსეთის „ახალი მიგრაციული პოლიტიკა“. თბილისი, „უნივერსალი“. 2009.

ტუსი 595 პირს მიენიჭა, მათ შორის, აზერბაიჯანის 277, ირანის 117 და რუსეთის 109 მოქალაქესა და სხვ[5].

იმიგრანტების შედარებით ახალ ჯგუფს წარმოადგენენ განათლების მისაღებად ჩამოსული უცხოელები, რომლებიც საქართველოში ძირითადად უმაღლეს განათლებას იღებენ. ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს უნივერსიტეტებში ყოველწლიურად ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა სტაბილურად იზრდება. 2004-2014 წლებში საქართველოს უმაღლე სსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული ყველაზე მეტი უცხოელი სტუდენტი აზერბაიჯანიდან (3164), ინდოეთიდან (1376), თურქეთიდან (1310), ნიგერიიდან (883), რუსეთის ფედერაციიდან (777) და ერაყიდან (575) ჩამოვიდა. რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსული სტუდენტების ერთი ნაწილი, სავარაუდოდ, შედგება „თანამემამულის სტატუსის მქონე“ ეთნიკური ქართველებისგან, ხოლო მეორე – ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების (რუსეთის ფედერაცია) მაცხოვრებლებისაგან, რომლებიც სპეციალურად მოიზიდა რამდენიმე ქართულმა უმაღლესმა სასწავლებელმა განათლების მიღების მიზნით.

2010 წლამდე საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი საკმაოდ დაბალი იყო: 2005 წლიდან 2010 წლამდე განმცხადებელთა საერთო რაოდენობა არ აღემატებოდა 300 ადამიანს[6]; მათ უმრავლესობას რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები შეადგენდნენ. 2010 წლიდან საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი იწყებს ზრდას. მთლიანობაში, 2010-2014 წლებში საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი 30-ჯერ გაიზარდა. 2010-2014 წლებში გაკეთდა თავშესაფრის მაძიებელთა 3244 განაცხადი, მათგან მხოლოდ 159 განაცხადი იყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქის. 2012-2014 წლებში რუსეთის ფედერაციიდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა დროებითი განთავსების ცენტრში 14 ადამიანით შემოიფარგლებოდა[7].

საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა ბოლო 6 წლის განმავლობაში მერყეობს; მას შემდეგ, რაც 2013 წლიდან საქართველომ ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება დაიწყო, ჰუ-

[5] საქართველოს მოსახლეობის 2015 წლის მიგრაციის პროფილი. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. 2015.

[6] საქართველოს მოსახლეობის 2015 წლის მიგრაციის პროფილი. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. 2015.

[7] წყარო: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. 2015.

მანიტარული სტატუსის მქონეპირთა რაოდენობა იზრდება. ლტოლ-ვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის კლება შესაძლებელია ნაწილობრივ აიხსნას იმ ლტოლვილთა რაოდენობის ზრდით, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა. მათგან უმრავლესობას წარმოად-გენენ რუსეთის მოქალაქე ჩეჩენი ლტოლვილები, რომლებიც ცხოვრო-ბენ ახმეტის მუნიციპალიტეტის პანკისის ხეობაში[8]. ამჟამად პანკისის ხეობაში 300-მდე ნატურალიზებული ჩეჩენი ლტოლვილია[9].

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების თანახ-მად, 2010-2014 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნის 13572 შემთხვევა გამოვლინდა. ამ ჯგუფში უცხოელთა უმრავლესობას წარმოადგენენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები 8272 (საერთო რაოდენობის 60%-ზე ოდნავ მეტი)[10].

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ რუსეთის მოქალაქე სრულწლოვან მსჯავრდებულთა რიცხოვნობა 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით შეადგენს 65-ს, ეს რიცხვი მოიცავს ორმაგი მო-ქალაქეობის მქონეებსაც (ცხრილი 1).

ცხრილი 1. რუსეთის მოქალაქე სრულწლოვან მსჯავრდებულთა რიცხოვნობა საქართველოში[11]

წლები	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**
მსჯავრდებული რუსეთის მო-ქალაქეები საქართველოში	84	98	90	77	81	87	86	65

[8] წყარო: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. 2015.

[9] წყარო: საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. 2017.

[10] საქართველოს მოსახლეობის 2015 წლის მიგრაციის პროფილი. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. 2015.

[11] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, 2017.

ქართველები რუსეთის ფედერაციაში

საინტერესოა ქართველი მოსახლეობის რიცხოვნობის შეფასება რუსეთის ფედერაციაში. საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მიგრანტების მიმოხილვა ეფუძნება მიგრანტთა ჯგუფების მონაცემთა მრავალფეროვან წყაროებსა და შეფასებებს. ცხრილში წარმოდგენილი წყაროების მიხედვით, ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტი რუსეთის ფედერაციაშია საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობის კატეგორიის მიხედვით (ცხრილი 2).

ამავე დროს, რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის ბოლო საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, რუსეთში 158917 ეთნიკური ქართველი ცხოვრობს.[12] ბუნებრივია, აღწერის შედეგებში არ იგულისხმება მოქალაქეობის, რეგისტრაციისა და ჩაწერის არმქონე, რუსეთში არალეგალურად მყოფი ქართველები, რომლებიც რაოდენობით, სავარაუდოდ, არ ჩამოუვარდებიან, თუ არ აღემატებიან ლეგალურად მცხოვრები ქართველების რიცხვს, ამასთან, აღრიცხვაში არ შედიან საქართველოდან წასული ეთნიკურად არაქართველებიც, რაც თავისთავად ამცირებს რაოდენობას.

რუსეთის ფედერაციის მიგრაციის ფედერალური სამსახურის მონაცემებით, 2015 წლის 10 ნოემბრისთვის რუსეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების რიცხვი 43762-ს შეადგენდა, მათ შორის, 26371 მამაკაცი და 17391 ქალი იყო.[13] ქართველი ემიგრანტების უმრავლესობა შრომისუნარიან იასაკისაა – 18-დან 49 წლამდე. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მონაცემებით, 1997-2015 წლებში რუსეთში ჩავიდა საქართველოს 194558 მოქალაქე მაშინ, როდესაც იმავე პერიოდის მანძილზე რუსეთი დატოვა საქართველოს 28161 მოქალაქემ[14]. თუ შევუსაბამებთ ამ მონაცემებს რუსეთში ქართველ ემიგრანტთა რაოდენობის არსებულ შეფასებებს (ცხრილი 2), ეს მიუთითებს ნატურალიზაციის მაღალ მაჩვენებელზე[15].

---

[12] Российская перепись населения 2010, Национальный Состав Населения Российской Федерации;http://www.gks.ru/free_doc/new_site/perepis2010/croc/perepis_itogi1612.htm

[13] http://www.fms.gov.ru/about/statistics/data/details/54891/

[14] http://www.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_main/rosstat/ru/statistics/population/demography/#

[15] საქართველოს მოსახლეობის 2015 წლის მიგრაციის პროფილი. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. 2015.

ცხრილი 1: ქართველი ემიგრანტები რუსეთის ფედერაციაში, როგორც ძირითადი ბინადრობის ქვეყანაში, 1990-2013 წწ.

ძირითადი ბინადრობის ქვეყანა		UN DESA[1]		UN DESA[1]		UN DESA[1]		UN DESA[1]		WB[2]		MPC[3]
	მონაცემთა ტიპი	1990წ	მონაცემთა ტიპი	2000წ	მონაცემთა ტიპი	2010წ	მონაცემთა ტიპი	2013წ	მონაცემთა ტიპი	2010 წ	მონაცემთა ტიპი	2012 წ
რუსეთის ფედერაცია	**B**	656888	**B**	625298	**B**	441793	**B**	436005	**B**	644390	**B**	628973

მონაცემთა ტიპი B. საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობა.

1) გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი, 2013 წ; აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეცესირებული ტერიტორიების ჩათვლით. საანგარიშო წლის, კერძოდ 1990, 2000, 2010 და 2013 წლების 1 ივლისის მონაცემები;

2) მსოფლიო ბანკი, 2010 წ. მონაცემები დაფუძნებულია 2008 წელს გადათვლილ გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის მონაცემებზე, რომლებიც ეხება საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობას და აგრეთვე რათჰასა და შოუს კვლევაზე (Ratha and Shaw 2007). ბოლო მონაცემები მოცემულია 2010 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. არ არის მითითებული, გათვალისწინებულია თუ არა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეცესირებული ტერიტორიების მონაცემები;

3) მიგრაციის პოლიტიკის ცენტრი, 2013 წ., ეროვნულ მონაცემებზე დაყრდნობით. არ არის მითითებული, გათვალისწინებულია თუ არა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეცესირებული ტერიტორიების მონაცემები.

2000 წლამდე, სანამ რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს შემოიღებდა, რუსეთში ქართველ მიგრანტთა რაოდენობა საკმაოდ სტაბილური იყო და წელიწადში 20000-დან 25000 ადამიანამდე მერყეობდა (დიაგრამა 1). თუმცა 2001 წლიდან ემიგრანტთა რიცხვი ორჯერ შემცირდა და 2004 წელს ყველაზე დაბალ მაჩვენებელს მიაღწია (4886). ემიგრანტთა რაოდენობამ ისევ დაიწყო ზრდა 2007-2008 წლებში და 2014 წლისთვის დაახლოებით 10000 ემიგრანტს შეადგენს წლიურად.

დიაგრამა 1. საქართველოდან რუსეთში და რუსეთიდან საქართველოში მიგრაციის დინამიკა (1997-2015 წწ.)[16]



გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მონაცემების თანახმად, თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი მნიშვნელოვნად მერყეობს ყოველწლიურად. თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების ყველაზე მცირე რაოდენობა 2006 წელს დაფიქსირდა (5382), ხოლო ყველაზე მაღალი – 2009 წელს (15735), ანუ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან ერთი წლის შემდეგ. საქართველოს მოქალაქეების მიერ თავშესაფრის მაძიებელთა ყველაზე მეტი განაცხადი ევროკავშირის ქვეყნებში იქნა შეტანილი, თუმცა საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთათვის ყველაზე პოპულარული დანიშნულების ქვეყნების ათეულში რუსეთის ფედერაციაც ხვდება: 2004 წლიდან 2014 წლის ჩათვლით რუსეთის ფედერაციაში საქართველოს მოქალაქეების მხრიდან 10014 განაცხადია გაკეთებული, მათი 62% – 2008-2009 წლებში.

ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა მაჩვენებელი საქართველოს მოქალაქეებისთვის 2010 წელს შემცირდა 30%-ით და ეს ტენდენცია მომდევნო წლებშიც გრძელდება. ძირითადად, რუსეთში, გერმანიასა და აშშ-ში ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა შემცირებიდანგამომდინარეა. თუმცა გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მოსახლეობის სტატისტიკის მონაცემთა ბაზის თანახმად, 2004-2014 წლებში რუსეთის ფედერაციაში 10762 ქართველი ლტოლვილების

[16] საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_2017_a4_new_1_1.pdf

სტატუსის მქონე (ქართველ ლტოლვილთა სტატუსის მქონეთა ჯამური მაჩვენებლის 10,4%). რუსეთში საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, სავარაუდოდ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეცესირებული ტერიტორიებიდან 2008-2009 წლებში მოსახლეობის გადინებას უნდა დავუკავშიროთ (საანგარიშო პერიოდში (2004-2014) რუსეთის ფედერაციაში ქართველებისთვის ლტოლვილის სტატუსის 75% 2009-2012 წლებში იქნა მინიჭებული).

რუსული ინვესტიციები საქართველოში

2008 წლის ქართულ-რუსული კონფლიქტის შედეგად რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს ეკონომიკაში პირდაპირი ინვესტიციების წილი კლებულობს (ცხრილი 3).

რუსეთიდან განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი არაა კერძო ბიზნესის კაპიტალი, ის წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოების დაბანდებებს, ანუ რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს ატარებს. რუსულ-ქართულ ურთიერთობებში განსაკუთრებული კონსტრუქციული თანამშრომლობით გამოირჩევა ენერგეტიკის სექტორი. ურთიერთობის ყველაზე დაძაბულ პერიოდშიც კი საქართველო, თავის მხრივ, ასრულებდა სახელშეკრულებო ვალდებულებებს, როგორც სატრანზიტო ქვეყანა – რუსული ბუნებრივი აირის სომხეთისთვის მისაწოდებლად, ასევე, სახელშეკრულებო ვალდებულებას რუსეთისათვის ელექტროენერგიის მიწოდების კუთხით.

2003 წელს რუსეთის კომპანია „ინტერ–რაომ“ (ИНТЕР РАО ЕЭС) შეისყიდა თბილისის ელექტრომომარაგების მონოპოლისტი, ამჟამინდელი სს „თელასი“. რუსეთის სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანია „ინტერ-რაო“ ასევე ფლობს ისეთ უმნიშვნელოვანეს საგენერაციო ობიექტებს, როგორებიცაა სააქციო საზოგადოებები „ხრამი ჰეს 1“, „ხრამი ჰეს 2“ და, ასევე, შპს „მტკვარი ენერგეტიკა“. 2004 წელს რუსულმა სახელმწიფო ბანკმა „ვნეშტორგბანკმა“ შეიძინა სომხური „არმსბერბანკი“, ხოლო შემდეგ, 2005 წელს მათვე შეიძინეს მაშინ საქართველოს სიდიდით მესამე კომერციული ბანკი „გაერთიანებული ქართული ბანკი“ – ახლა უკვე „ვი თი ბი ბანკი“. საქართველოს უმსხვილესი ოქროსა და

სპილენძის მომპოვებელი და გადამამუშავებელი კონცერნის აქციათა პაკეტი შეიძინა რუსულმა ჯგუფმა „სამრეწველო ინვესტორები“[17].

რუსეთის ბიზნესმენების კუთვნილი კომპანიები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველოს ისეთი დიდი წყლის მეურნეობათა და ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზაციის პროცესშიც, როგორებიცაა თბილისის წყალსადენი და 130 მგვტ-იანი „ჟინვალ ჰესი“.

სრული სიის ჩამოთვლა შეუძლებელია, რადგან რიგ შემთხვევებში ინვესტორი კომპანიები ოფშორულ ზონებში არიან დარეგისტრირებული და მათი რეალური დამფუძნებლების დადგენა მეტად რთულია.

ცხრილი 3. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები რუსეთიდან ეკონომიკის დარგების მიხედვით[18](ათასი აშშ დოლარი)

სექტორი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
სულ	**47881.0**	**55435.2**	**20486.1**	**2,047.3**	**82242.0**	**46328.8**	**22499.3**
მათ შორის:							
სოფლის მეურნეობა,თევზჭერა	**192.6**	**269.8**	**-358.2**	**-260.2**	**-462.1**	**732.6**	**133.8**
სამთომოპოვებითი მრეწველობა	**-**	**-**	**106.4**	**14.7**	**59.2**	**279.4**	**-123.5**
დამამუშავებელი მრეწველობა	**-866.3**	**195.0**	**107.1**	**-8134.6**	**42245.2**	**4,742.8**	**-1680.1**
ენერგეტიკა	**1186.3**	**1856.6**	**-3085.0**	**-570.8**	**5585.8**	**1105.6**	**-250.6**
მშენებლობა	**284.6**	**-1051.1**	**2649.6**	**3109.9**	**1638.1**	**3640.2**	**-1327.4**
სასტუმროები და რესტორნები	**-163.4**	**-277.4**	**401.8**	**-189.9**	**5990.3**	**-868.6**	**3548.8**
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	**27656.7**	**38223.8**	**12190.4**	**-6808.5**	**7836.1**	**21672.3**	**586.0**
მათ შორის:							
ტრანსპორტი	**...**	**...**	**...**	**...**	**...**	**853.9**	**474.9**
კავშირგაბმულობა	**...**	**...**	**...**	**...**	**...**	**20818.4**	**111.1**
უძრავი ქონება[1]	**127.4**	**-78.0**	**72.2**	**359.0**	**4691.8**	**1656.3**	**13606.2**
ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება	**82.2**	**4981.8**	**5107.4**	**71.9**	**-4688.0**	**338.1**	**84.8**
საფინანსო სექტორი[2]	**16693.4**	**5928.6**	**-2512.0**	**10575.0**	**17805.6**	**13237.9**	**5647.4**
დანარჩენი სექტორები[3]	**2687.6**	**5386.1**	**5806.3**	**3880.8**	**1540.0**	**-207.8**	**2274.0**

[1] ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა;

[17] მურცხვალაძე ი. ქართულ-რუსული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. რუსეთ-საქართველო: ძირითადი მიმართულებები. ICCN, 2014.

[18] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (www.geostat.ge) 2017 წ. ოფიციალურ მონაცემთა კომპილაცია ეკონომიკის დარგების მიხედვით. ავტორი.

[2] საფინანსო სექტორის მონაცემები 2009 წლიდან მოიცავს საბანკო, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებში განხორციელებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებსაც;

[3] ვაჭრობა; განათლება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება.

რუსეთის მოქალაქეების კერძო მეწარმეობის გამოცდილება საქართველოში

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების რიცხოვნობა, ვინც საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა უძრავი ქონება (2010-2014 წწ.)

საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, 2010-2014 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ან ბინის/სახლის საკუთრებაში რეგისტრაციის 23398 შემთხვევა დარეგისტრირდა. საქართველოში უძრავ ქონებაში ინვესტიციებს ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოქალაქეები ახორციელებენ (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთის ფედერაცია და უკრაინა). შესაძლოა, მათ შორის იყვნენ საქართველოს ყოფილი მოქალაქეები, რომლებმაც თავის დროზე დატოვეს საქართველო სხვა ქვეყნებში გადავიდნენ საცხოვრებლად და სურვილი აქვთ, უძრავ ქონებაში ინვესტირების მეშვეობით შეინარჩუნონ კავშირები საქართველოსთან. იგივე შეიძლება ითქვას საბერძნეთისა და ისრაელის მოქალაქეთა ნაწილის შესახებ. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მიერ 2010-2014 წლებში საკუთრების უფლება დარეგისტრირდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (4004), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასა (2365) და ბინა/სახლზე (6373).

ქართული დიასპორები რუსეთის ფედერაციაში

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2014 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართული დიასპორის[19] 300-ზე მეტი ორგანიზაცია არსებობს. რუსეთში, სადაც ყველაზე დიდია საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მხოლოდ 42 ორგანიზაცია აგამოვლენილი.

[19] დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამოყენებული ტერმინი „დიასპორა“ აერთიანებს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მიგრანტთა ყველა თემს, მათ შორის, ისტორიული დიასპორის წევრებს, დროებით მოკლევადიან ემიგრანტებს, გრძელვადიან ემიგრანტებს, ექსპატრიანტებსა და იმ ქართველებს, რომლებიც უკვე გახდნენ ემიგრაციის ქვეყნის მოქალაქეები.

წარმომავლობის კუთხით რუსეთში მცხოვრებ დღევანდელ ქართველობას წარმოადგენს ძირითადად სამი სეგმენტისაგან შემდგარი დიასპორა:

1. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში სხვადასხვა მიზეზით საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე გადასული ქართველები, რომლებიც, ბუნებრივია, იმ დროისათვის არ ითვლებოდნენ ემიგრანტებად;

2. 90-იანიწლების ორი კონფლიქტის შედეგად დევნილებად ქცეული ქართველები;

3. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ დღემდე რუსეთში წასული შრომითი მიგრანტები.

დღეს საქართველოდან ემიგრირებულ თანამემამულეებს შევხვდებით რუსეთის ფედერაციის თითქმის ყველა რეგიონში, მათი სიმრავლე განსაკუთრებით შესამჩნევია მოსკოვში, პეტერბურგში, კრასნოდარის მხარეში, სტავროპოლსა თუ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში[20].

ქართული დიასპორული ორგანიზაციების უმეტესობა თანამედროვე პერიოდში არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული აქტივობით. რუსეთში დიასპორის გააქტიურება, უმეტეს შემთხვევაში, ხდებოდა როგორც საქართველოში, ისე რუსეთის ფედერაციაში სხვადასხვა დროს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გავლენით. ორგანიზაციათა უმრავლესობა საკუთარ საქმიანობას ძირითადად მიმართავს კულტურისა და ენის გავრცელება-შენარჩუნებაზე, რასაც სისტემური ხასიათი ნაკლებად აქვს. ქართულ დიასპორაში ორგანიზაციათა შორის თანამშრომლობის პრაქტიკაც, სამწუხროდ, ნაკლებად შეინიშნება, რასაც საფუძვლად უდევს დიასპორის წევრებსა და ლიდერებს შორის განსხვავებული პოლიტიკური პრეფერენციები.

ორგანიზაციების საქმიანობა მოკლებულია ერთგვარ იდეურ საფუძველს, რომლის განსაზღვრის საჭიროებაც საქართველოზე მოდის. სამწუხაროდ, როგორც ორგანიზაციებთან, ისე დიასპორის წევრებთან საქართველოს ხელისუფლებას არანაირი სახის კომუნიკაცია არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ საკუთარ თავზე აიღო ინიციატივა, პოზიტიურად შეეცვალა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობებში არსებული ვითარება, ამ გადაწყვეტილებაში დიასპორის საკითხი ყურადღების მიღმა დარჩა.

[20] გაჩეჩილაძე მ. რუსეთის ქართული დიასპორა და ქართულ-რუსული ურთიერთობები. კვლევის ანგარიში. კავკასიური სახლი. 2016.

კვლევების თანახმად, რუსეთის ფედერაციაში ქართული დიასპორის უმთავრეს გამაერთიანებელ უცვლელ და ნდობით მოსარგებლე ინსტიტუტს წარმოადგენს მართლმადიდებლობა და ეკლესია.

კავკასიური სახლის მიერ განხორციელებულ კვლევის შედეგად,გამოიკვეთა ის ძირითადი ფაქტორები, რაც განაპირობებს რუსეთის ქართული დიასპორის სისუსტეს:

1. ფინანსური რესურსების უქონლობა;
2. დიასპორული ორგანიზაციების გათიშულობა;
3. დიასპორის წევრთა ერთმანეთის მიმართ უნდობლობა.

მართალია, ორ ქვეყანას შორის გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობა ართულებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაციის პოლიტიკის წარმოებას, მაგრამ არსებობს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუციური სტრუქტურა, სამართლებრივი ბაზა და საერთაშორისო შეთანხმებები, რომ დიასპორასთან ურთიერთობა საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი იყოს. 2008 წელს საქართველოში შეიქმნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომელიც 2016 წლის ნოემბერში გაუქმდა და დეპარტამენტის სახით გადავიდა საგარეო საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში. 2008 წელსვე საქართველოს პარლამენტში უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საკითხებზე მუშაობს დიასპორის და კავკასიის საკითხთა კომიტეტი. ამ ორი უწყების ერთობლივი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაბიჯია 2011 წელს „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება (N5301-IIს, 24.11.2011.). უცხოეთში ქართველ სათვისტომოებთან თანამშრომლობის გაძლიერება გვხვდება საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის, მიგრაციის ეროვნული სტრატეგიის (საქართველოს მთავრობის დადგენილება, N59, 15.03.2013.), საქართველოს პარლამენტის დადგენილების „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“[21], საქართველოს მთავრობის პროგრამის „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (2014-2017 წწ.) დოკუმენტი“ და ევროკავშირთან თანამშრომლობის სამართლებრივი შეთანხმებების („აღმოსავლეთ პარ-

[21] საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ (23.12.2011. N5589-რს). http://mfa.gov.ge/?sec_id=12&lang_id=GEO

ტნიორობა“, „პარტნიორობა მობილურობისთვის“, „ასოცირების შეთანხმება“) ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად.

რუსული დიასპორები საქართველოში

თუკი ქართულ დიასპორასთან ურთიერთობა მიგრაციის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, მრავალეროვნულ და მრავალკონფესიურ საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთან ურთიერთობის განყენებულად განხილვა მიგრაციული პროცესების მართვისსისტემისგან არაეფექტურია. „დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულებაში“[22] აწ უკვე საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულებაშიან მათ აქტივობებს შორის არსად ჩანს საქართველოში არსებული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. თუმცა სამართლებრივი კუთხით ადგილობრივი კანონმდებლობა და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციები უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის, მათ შორის ეროვნული უმცირესობების და მათი დიასპორების, უფლებების დაცვას, სამოქალაქო ინტეგრაციასა და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარ ჩართულობას. ეს პოლიტიკა ასახულია „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში[23]“, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტსა[24] და „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“[25].

სახალხო დამცველის აპარატის მონაცემებით, 2016 წლისთვის საქართველოში რეგისტრირებულია რამდენიმე რუსული დიასპორული ორგანიზაცია: რუსულენოვან ჟურნალისტთა კავშირი (მიხეილ აიდინ-

---

[22] „დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება, N18, 08.02.2008.

[23] http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1317206664Tolerance Centre under the Auspices of the Public Defender.„შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა“. საქართველოს მთავრობის განკარგულება N348. 08.05.2009.

[24] http://www.mof.gov.ge/images/File/BDD/BDD-gadamushavebuli.pdf საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს მთავრობის პროგრამა „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2017-2020 წლებისათვის“.

[25] http://www.nsc.gov.ge/geo/PolicyDocuments.php National Security Council of Georgia. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ (23.12.2011. N5589-რს).

ოვი); საქართველოს საერთაშორისო ახალგაზრდობის ასოციაცია (ალექსანდრ ბეჟენცევი); საქართველოს რუს ქალთა ასოციაცია "იაროსლავნა" (ალა ბეჟენცევა); "რუსულიკლუბი" (ნიკოლაი სვინტიცკი); საქართველოს სლავური ხალხის ეროვნული კონგრესი (ანჟელიკა ზახაროვა); ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის კავშირი (სენაკი) (ლარისა აგაბალაევა); "Fides et Spes" (მარინე ბაბუნაშვილი). სამწუხაროდ, მათი საქმიანობა დიდი აქტიურობით არ გამოირჩევა და შესაბამისად, მათი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოპოვება გართულდა.

დიასპორა, როგორც ინტელექტუალური რესურსი და საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების დარეგულირების პროცესში პოზიტიური ინსტრუმენტი

ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი მეცნიერების მოზიდვისა და მათი ინტელექტუალური რესურსის უგულებელყოფა სახელმწიფოს მხრიდან ხელიდან გაშვებული შესაძლებლობაა[26]. ამისთვის საჭიროა, რომ სახელმწიფომ მოახდინოს ადგილობრივი თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფ მეცნიერებს შორის სამეცნიერო, ჰუმანიტარული და კულტურული თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზება. აღსანიშნავია, რომ დღეს ქართველ მეცნიერთა უმეტესი ნაწილი აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მოღვაწეობს და ამას აქვს შესაბამისი მიზეზები, როგორებიცაა: ამ მიმართულებით სამეცნიერო გრანტების სიუხვე და ყველა დარგის მეცნიერისთვის დასავლური სამეცნიერო-აკადემიური სივრცის მიმზიდველობა. თანამედროვე პერიოდში რუსეთის ფედერაციის ფარგლებში ძირითადად გვხვდებიან ქართული წარმოშობის ის მეცნიერები, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოღვაწეობდნენ რუსეთში და დღემდე წარმოადგენენ რუსეთის სამეცნიერო სივრცის თუ წამყვანი დარგების გამოჩენილ სპეციალისტებს. მათ აქვთ ფართო აღიარება და გარკვეული სახის გავლენა რუსულ საზოგადოებაში, ეს დიდი პოტენციალია, რაზე დაყრდნობითაც შესაძლოა, მოხდეს ქართული დიასპორის გაძლიერება.

[26] გაჩეჩილაძე მ. რუსეთის ქართული დიასპორა და ქართულ-რუსული ურთიერთობები. კვლევის ანგარიში. კავკასიური სახლი. 2016.

რუსეთის ფედერაციაში ქართველთა შრომითი მიგრაციის ეკონომიკური პოტენციალი

მიუხედავად რუსეთის ფედერაციასთან უკიდურესად პოლიტიკური დაძაბულობისა (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული კონფლიქტები, საქართველოს სეცესირებული ტერიტორიები, სავაჭრო ემბარგო, დიპლომატიური იზოლაცია, რუსეთში არსებული მიგრანტოფობიის პრობლემა) გეოგრაფიული სიახლოვის, ენობრივი ბარიერის ფაქტობრივი არარსებობისა და მოსახლეობის ინტენსიური კავშირების გამო მაინც არ წყდება საქართველოდან შრომით მიგრანტთა ნაკადები.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2016 წლის მონაცემებით, ელექტრონული ფულადი გზავნილების მოცულობა შეადგენს 1151237 აშშ დოლარს. ექსპერტები მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით მიუთითებენ, რომ ელექტრონული ფულადი გზავნილების სიდიდე საქართველოში ემიგრაციიდან ყველა საშუალებით შემოსული თანხის არანაკლებ 60%-70%-ია. ამიტომ საქართველოში ფულადი გზავნილების აგრეგირებული მაჩვენებელი შეგვიძლია 1,6 მლრდ აშშ დოლარამდეც[27] კი ვივარაუდოთ. ეს თანხა 2016 წელს მშპ-ს 11,5%-ს შეადგენს (მშპ – 14333 მლნ აშშ დოლარი), უტოლდება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (1 645 მლნ აშშ დოლარი) და ექსპორტის მაჩვენებლის 78%-ია (2 113 მლნ აშშ დოლარი).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსეთის როლი საქართველოდან გასული შრომით მიგრანტების რიცხოვნობისა და საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების კუთხით. საქართველოდან შრომითი მიგრაციის მთავარი ტალღა ორი ათეული წლის მანძილზე რუსეთზე მოდიოდა. 1990-იანი წლების შუა ხანებიდან ვიდრე 2000-იანი წლების შუა ხანებამდე რუსეთზე მოდიოდა შრომითი მიგრანტების დაახლოებით 70%. მათ მიერ ფულადი გზავნილების ასეთივე მაღალი დონე შენარჩუნდა კიდევ უფრო დიდხანს – 2010-ანი წლების დასაწყისამდე, ანუ საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების მთავარი დონორი ამ წლების მანძილზე იყო (და რჩება) რუსეთი – მისმა ჯამურმა სიდიდემ ამ საუკუნეში 6,8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა – უცხოეთიდან საქართველოში განხორციელებული ტრანზაქციების 51,4%[28]. ცალკეულ პერიოდებში (2008-2010 წწ.)

[27] http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/TOPICS/0,,contentMDK:21924020~pagePK:5105988~piPK:360975~theSitePK:214971,00.html

[28] არჩვაძე ი. შრომითი მიგრანტების მიერ თანხების რეპატრიაციის ბუნებისა და მასშტაბების შესახებ (საქართველოსა და მისი სახმელეთო მეზობლების მაგალითზე). ჟურ-

რუსეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები საგრძნობლად აღემატებოდა საქართველოში მთელი მსოფლიოდან (მათ შორის, რუსეთის ჩათვლით) განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობასაც.

ამასთან ერთად, ბოლო წლებში იკვეთება რუსეთის როლის მკვეთრი შემცირება უცხოეთიდან საქართველოსკენ წამოსულ რემიტანსებში. 2016 წლის მონაცემებით, რუსეთიდან რემიტანსის მოცულობა ათი წლის წინანდელზე თითქმის 2-ჯერ ნაკლებია, რასაც მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის ცვლილება და რუსული რუბლის აშშ დოლართან დევალვაციაც განაპირობებს. 2016 წელს, 2010 წელთან შედარებით, რუსეთიდან საქართველოში განხორციელებული რემიტანსების აბსოლუტური მოცულობა შემცირდა 1,4-ჯერ, ხოლო სალდო რუსეთიდან საქართველოში გადმოგზავნილ და საქართველოდან რუსეთში განხორციელებულ რემიტანსებს შორის – 1,7-ჯერ. დაწყებული 2015 წლიდან, რუსეთის წილი საქართველოდან უცხოეთში განხორციელებულ ფულად გზავნილებში გაცილებით მაღალია, ვიდრე უცხოეთიდან საქართველოში განხორციელებულ ფულად გზავნილებში (2016 წელს, შესაბამისად, 45% და 34.3%). აღნიშნულს არა აქვს მხოლოდ წმინდა სტატისტიკური ან შემეცნებითი დატვირთვა: 2016 წელს რომ ფულადი გზავნილები რუსეთიდან საქართველოში 3 წლის წინანდელ დონეზე მაინც ყოფილიყო, ლარი/დოლარის ოფიციალური კურსის გათვალისწინებით, ეს საქართველოს მაცხოვრებლებს დაახლოებით ერთი მილიარდი ლარით (ერთ სულ მოსახლეზე – დაახლოებით 270 ლარით) მეტ განკარგვად შემოსავალს მოუტანდა[29]. საქართველოს ეროვნული ბანკის 2016 წლის მონაცემებით, საქართველოდან რუსეთში გადარიცხულია 87299 ათასი აშშ დოლარი, ე.ი. რუსეთიდან საქართველოში გადმორიცხულ ყოველ 100 დოლარზე მოდის საქართველოდან რუსეთში გადარიცხული 22 დოლარი.

ამრიგად, ფულადი გზავნილების ზრდის დინამიზმი და მასშტაბი მათ სულ უფრო მეტად აქცევს მიგრანტთა წარმომშობი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ ფაქტორად.

ნალი „მიგრაცია 8“. თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2017.

[29] არჩვაძე ი. შრომითი მიგრანტების მიერ თანხების რეპატრიაციის ბუნებისა და მასშტაბების შესახებ (საქართველოსა და მისი სახმელეთო მეზობლების მაგალითზე). ჟურნალი „მიგრაცია 8“. თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2017.

შრომით მიგრანტთა დემოგრაფიული სტრუქტურა, განათლება

გამოკვლევებიდან ნათლად ჩანს, რომ შრომით-მიგრაციული ნაკადები 1990-2006 წლებში, ძირითადად, 4 ქვეყნისაკენ იყო მიმართული – რუსეთშია გასული მთლიანი ნაკადის 2/3. ეს განაპირობა ისტორიულად ფორმირებულმა ხალხთაშორისმა კავშირმა, რუსული ენის შედარებით უკეთესმა ცოდნამ, ნათესავების სიმრავლემ, ინფორმაციული თვალსაზრისითაც უფრო ხელმისაწვდომობამ და ტერიტორიულმა სიახლოვემ. სწორედ ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო საქართველოს „პროვინციული“ რეგიონებიდან უმთავრესად რუსეთში გადაადგილდებიან. სამცხე-ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის შრომით მიგრაციულ კავშირებს რუსეთთან ხანგრძლივი ისტორია აქვს, რაც, თავისთავად, განსაზღვრავს სომეხი მოსახლეობის მიგრაციის ვექტორს. ენის უკეთესმა ცოდნამ და ნათესაურმა კავშირმა განაპირობა, აგრეთვე, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) მასობრივი გადასვლა რუსეთის სხვადასხვა ოლქებში.

სავიზო რეჟიმის შემოღების შემდეგ კი, ვისაც შესაძლებლობა აღმოაჩნდა, დაბრუნდა რუსეთიდან და დასავლეთისკენ გაემართა. განვლილ პერიოდში ჩატარებული კვლევების თანახმად, დაბრუნებულ მიგრანტთა შორის 15%-20%-ია რუსეთიდან დაბრუნებული, რაც უკავშირდება როგორც სავიზო რეჟიმის შემოღებას, ისე რუსეთთან მიგრაციული პროცესების შედარებით ცირკულარულ ხასიათს და, აგრეთვე, ევროპული ფასეულობებისკენ სწრაფვას. აქვე აღსანიშნავია, რომ თბილისის მოსახლეობის მიგრაციული ვექტორი უფრო მალე შეიცვალა და მიმართულების ქვეყნებს შორის რუსეთი ევროპისა და აშშ-ს მომდევნო ადგილზე გადავიდა 90-იანი წლების დამლევს. 2003-2012 წლების პერიოდში მნიშვნელოვნად გააქტიურდა შრომითი მიგრაცია ჯერ საბერძნეთის, შემდეგ კი იტალიის მიმართულებით.

რუსეთში შრომით მიგრანტთა უმრავლესობა დაოჯახებულია. საქართველოდან შრომით ემიგრანტთა კონტინგენტი გამოირჩევა განათლების მაღალი დონითა და კვალიფიკაციით. თუმცა რუსეთის ფედერაციისკენ (ისევე, როგორც თურქეთისკენ) მიმართულ ნაკადში უმაღლესი განათლება ნაკლებად აქვთ, ვიდრე მიგრანტთა სხვა მიმღებ ქვეყნებში მიგრირებულთ. პროფესია არ აქვს რუსეთში მიგრირებულთა მეხუთედს.

შრომით მიგრანტთა დასაქმების სფეროები

რუსეთში ემიგრირებულთა დაახლოებით 1/3-ზე მეტი დამხმარე მუშად მუშაობს (მშენებლობა, ტრანსპორტი, ავტოსერვისი, ვაჭრობა), მაგრამ იქ საკმაოდ მაღალია იმათი წილიც, ვინც საკუთარი ბიზნესის წამოწყება შეძლო – 1/5. საერთოდ, რუსეთში უფრო მეტად ხდება პიროვნული შრომითი პოტენციალის რეალიზაცია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რაც გასათვალისწინებელია საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის პროგნოზირებისას დარეგულირებისას. იქ თავისი პროფესიით მუშაობს 10%-ზე მეტი. შრომითი ანაზღაურებაც ადგილობრივების ანალოგიური აქვთ რუსეთში, განსხვავებითჩვენი მიგრანტებისთვის ევროპისა და აშშ-ის ანაზღაურებისგან.

კვლევები იმასაც აჩვენებს, რომ ქართველი მიგრანტების სამუშაო დღე რუსეთში შეადგენს საშუალოდ 56 საათს კვირაში, რაც შრომით ნორმებს ბევრად აჭარბებს. განსაკუთრებულ დატვირთვას განიცდიან საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაკები[30]. ასეთი სიტუაცია, პირველ რიგში, აიხსნება საქართველოდან ჩასულთა არალეგალური სტატუსით, რადგან ისინი იძულებული არიან, დათანხმდნენ ნებისმიერ პირობებზე, ოღონდ მიიღონ სამუშაო: გამოკითხულთა მესამედი აღნიშნავდა, რომ მოსკოვში ყოფნისას მათ არ ჰქონდათ ოფიციალური ცხოვრების უფლება (ბინადრობის მოწმობა).

საქართველოს სამხრეთ რეგიონებში კომპაქტურად მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანლები უფრო მეტად არიან ჩართულნი შრომით მიგრაციულ პროცესებში. სეზონური სამუშაო რუსეთში მათთვის იქცა ეკონომიკური სიძნელეების გადალახვის ძირითად სტრატეგიად საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ რეალობასთან მოსარგებად. ახალგაზრდა მამაკაცთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ყოველ გაზაფხულს მიემგზავრება სამუშაოდ რუსეთში, სადაც ისინი დაკავებული არიან, ძირითადად, ვაჭრობითა და მშენებლობით, ზამთრობით კი სახლებში ბრუნდებიან. ეს ნაკადები არ შემწყდარა საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობების მკვეთრი გაუარესების შემდეგაც, რადგან სეზონური მიგრანტები, განსაკუთრებით, სომხეთთან მოსაზღვრე რეგიონებში მცხოვრებნი, ფლობენ რუსულ და სომხურ პასპორტებს.

[30] ბადურაშვილი. ი. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოდან რუსეთში: საემიგრაციო პროცესების მართვის გაუმჯობესება, როგორც ფასეული სტრატეგია ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისა რეგიონის ძირითად მიმღებ ქვეყანასთან. რუსეთ-საქართველო: ძირითადი მიმართულებები. ICCN, 2014.

შრომით მიგრანტთა დაბრუნებაზე გადაწყვეტილება

რუსეთი არის ქვეყანა, სადაც ემიგრანტები უფრო ნათესაურ გარემოცვაში იმყოფებიან. მათ მეტი შესაძლებლობა აქვთ, წაიყვანონ ოჯახის წევრი არა მარტო სამუშაოდ და შრომის ანაზღაურების მისაღებად (38,7%), არამედ ოჯახის გაერთიანების პრინციპითაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის ფედერაციაში, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, მიგრაციული პერიოდი ხანგრძლივია (7-10 წელი), ამის გამო უფროსი ასაკის მიგრანტებმა რუსულ გარემოსთან ადაპტაცია და პროფესიის შესაბამისი დასაქმებაც უფრო მოახერხეს, ამიტომ ისინი საქართველოში დაბრუნებასა და შრომითი ცხოვრების ახლიდან დაწყებაზე თავს მეტად იკავებენ (30%)[31]. ისინი აღნიშნავენ, რომ რუსეთში არალეგალურ პირობებშიც კი შესაძლებელია ოჯახის წევრებისათვის საავადმყოფოს, სკოლის, სასწავლო წრეების და ა.შ. მომსახურებით სარგებლობა, თუკი სამართალდამცავ ორგანოებთან მიაღწევენ გარიგებას, რაც ასე თუ ისე ხერხდება.

საქართველოს შრომის ბაზარზე დაბრუნებულთა დასაქმების შესაძლებლობები და რუსეთის ფედერაციიდან დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია

საქართველოს მოქალაქეების რუსეთიდან დაბრუნების ძირითად მიზეზებად ემოციური ფაქტორები სახელდება, რაც უკავშირდება ოჯახის წევრების მონატრებას, სამშობლოზე ნოსტალგიას.

დაბრუნებული მიგრანტების ადაპტაცია საქართველოს შრომის ბაზარზე რთულდება. თუმცა მიგრაციული გამოცდილება დაბრუნებულ მიგრანტებს ეხმარებათ დასაქმებაში. ზოგადად, საქართველოში გამოკითხული დამსაქმებლების უმრავლესობა, სხვა თანაბარ პირობებში, სამუშაოზე მიღებისას უპირატესობას ანიჭებს იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს მსგავს პოზიციაზე საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება, რაც დაბრუნებული მიგრანტების საზღვარგარეთ შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების მნიშვნელობის აღიარებაა. მიგრანტებს სამშობლოში გამოცდილებასთან ერთად ფულადი დანაზოგიც ჩამოაქვთ და მათი მცირე ნაწილი საკუთარ ბიზნესსაც ჰკიდებს ხელს.

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს თანამემამულეთა დაბრუნების პროცესის ხელშეწყობისა და რეინტეგრაციის მიზნით სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და მათ განხორციელებას.

[31] ჭელიძე ნ. შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოდან. თბილისი, 2006.

საქართველოში რამდენიმე წელია, ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამები.

ქართული დიასპორის პოტენციალის გამოყენების მექანიზმი ქვეყნის განვითარების პროცესში

ქართული დიასპორის პოტენციალის ჩართვა ქვეყნის განვითარების პროცესში საქართველოს პოლიტიკისთვის ახალი კონცეფციაა, ამ პოლიტიკის გატარების ხელშეწყობის მიზნით მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა მიმდინარეობს სახელმწიფო სტრუქტურებს, დიასპორულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. დიასპორების ფინანსური შესაძლებლობების მობილიზების მიზნით, გამოიყენება ხუთი პრაქტიკული მექანიზმი კაპიტალის ბაზრების მეშვეობით. მათგან გამოვყოფთ დიასპორულ ობლიგაციების შეთავაზებას სახელმწიფოს მხრიდან (კერძო კომპანიების ობლიგაციებს კიდევ უფრო არ აქვს ნდობა) და დიასპორული ფონდების შექმნას. საჭიროა დიასპორის წევრებთან მოლაპარაკებების წარმოება დიასპორული ფონდების განვითარებაში მონაწილეობაზე, მათ აქტიურ ჩართულობაზე, რაშიც დიდი როლის შესრულება ე.წ. „საზოგადოებრივ ელჩებს“ ან ბიზნეს სავაჭრო პალატებს შეუძლიათ. დიასპორული ინვესტირება არის გრძნობებისა და პირადი შეხედულებების ერთობლიობა, რომელიც ამოძრავებს დიასპორის წევრებს, შექმნან სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიები. მოგების მაქსიმიზაცია არ წარმოადგენს დიასპორელი ინვესტორების ერთადერთ საზრუნავს. თუმცა აქაც მთავარ პრობლემად ჩნდება დიასპორული ქსელების სისუსტე, ქვეყნებს შორის მიმოსვლის რთული შესაძლებლობები, სანდო ინფორმაციის ნაკლებობა და სახელმწიფოსგან დაუცველობის განცდა. მოლაპარაკებების წარმართვისა და უცხოეთში ქართველი მეწარმეების ინფორმირების მხრივ საქართველოში აქტიურობა სუსტია, ჯერჯერობით დიასპორული ინვესტიციების მოზიდვით დაინტერესებულია რამდენიმე წლის წინ შექმნილი „დიასპორული ინვესტიციების მხარდამჭერი ასოციაცია“, რომელმაც ხელი შეუწყო ევროკავშირში მყოფი მიგრანტების მიერ რამდენიმე საწარმოს გახსნას საქართველოში, ასევე ახორციელებს ქართული პროდუქციის ევროკავშირისა და რუსეთის ბაზრებზე ექსპორტის ხელშეწყობას, რა თქმა უნდა, ქართული დიასპორული ქსელის დახმარებით.

დაბრუნებულ შრომით მიგრანტთა რეემიგრაციული განწყობა

სამწუხაროდ, დაბრუნებულ მიგრანტთა მნიშვნელოვან ნაწილს კვლავაც შეექმნა დასაქმების, ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფის და სოციალური გარემოს არასტაბილურობის პრობლემები, რომლის გადაწყვეტასაც ისინი ფიქრობენ საზღვარგარეთ ხელახლა გამგზავრებით. თავისებური „მოდერნიზაცია“ განიცადა პირველი წასვლისას გამოხატულმა მიზეზმა – „მინდოდა უცხო ქვეყნის გარემოში დროებით ცხოვრება და შემოსავლის მიღება“; მეორედ წასვლის მსურველებში იგი ფორმულირდა ასე: „უკვე კარგად შევეგუე სხვა ქვეყანაში ცხოვრებას“. რეემიგრაციის ვექტორი ძირითადად მიმართულია იმ ქვეყნებისკენ, საიდანაც ჩამოსულია მიგრანტი სამშობლოში.

დასკვნა

რუსეთის ფედერაციასთან უკიდურესი პოლიტიკური დაძაბულობის პირობებში, გეოგრაფიული სიახლოვის, ენობრივი ბარიერის ფაქტობრივი არარსებობისა და მოსახლეობის ინტენსიური კავშირების გამო მაინც არ წყდება საქართველოდან შრომით მიგრანტთა ნაკადები რუსეთის ფედერაციაში და, უკვე მესამე ათეული წელია, რუსეთი ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას საქართველოში შემოსული ელექტრონული ფულადი გზავნილების მოცულობაში, რაც საქართველოს მხრიდან ანგარიშსგასაწევი ფაქტორია. რემიტანსის მიმღებ ქვეყანას ფულადი გზავნილი არა მარტო ეკონომიკურად დამოკიდებულს ხდის, არამედ მშვიდობიანი ფორმით პოლიტიკური ზეგავლენის საშუალებასაც წარმოადგენს. დამოკიდებულის მდგომარეობაში ხშირია მიგრანტთა უფლებების დარღვევის შემთხვევები, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს რუსეთის ფედერაციაში შრომით მიგრანტთა უმრავლესობის უკანონო ყოფნა და არალეგალობა. ასევე, სავიზო რეჟიმის შემოღების შედეგია საქართველოდან შრომითი მიგრაციის ვექტორის დასავლეთისკენ მიმართვა რუსეთის ნაცვლად. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ შრომით მიგრანტთა ყველაზე მეტი რაოდენობა კვლავ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე რჩება. თავის მხრივ, სავიზო რეჟიმის გამკაცრებამ შეასუსტა 1990-იან წლებში წასული მიგრანტების კავშირები საქართველოში დარჩენილ ოჯახებთან და ნათესავებთან. აქ თავს იჩენს მიგრანტთა მეორე და მესამე თაობის განწყობის პრობლემები. მათთან ინტერაქციის გაძლიერება სხვადასხვა ფორმატის მეშვეობით, იქნება ეს სასწავლო ვიზიტები თუ საქართველოში ორგანიზებულ კულტურულ ღონისძიებ-

ებში მონაწილეობა, ხელს შეუწყობს ქართულ საზოგადოებასთან კავშირების გაძლიერებას, დაბრუნების სურვილს. ეს გასათვალისწინებელია არა მარტო ეროვნული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით, არამედ ფულადი გზავნილების ნაკადების შემოდინების სტაბილურობის კუთხითაც. კვლევებით დადასტურებულია, რომ მიგრანტთა მეორე, მესამე თაობების მიერ გამოგზავნილი რემიტანსების მოცულობა თანდათან იკლებს.

ისედაც საქართველოს მოსახლეობის მარტივი აღწარმოების პირობებში, ქვეყნიდან რეპროდუქციულ ასაკში შრომითი რესურსების გასვლა და საზღვარგარეთ ემიგრაციაში დარჩენა კიდევ უფრო აუარესებს ქვეყნის შრომითი პოტენციალის მაჩვენებლებს, დემოგრაფიულ ვითარებასა და საზოგადოებაში სოციალურ ფონს. ამიტომ სახელმწიფო მიგრაციულ პოლიტიკაში მთავარ მიმართულებად უნდა შენარჩუნდეს ემიგრანტთა ლეგალიზაციის დაჩქარება და ცირკულარული მიგრაციის განვითარება. მეტად დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს თანამემამულეთა დაბრუნების პროცესის ხელშეწყობისა და რეინტეგრაციის მიზნით სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და მათ განხორციელებას.

რეკომენდაციები:

მიგრანტებთან თანამშრომლობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით ყოველმხრივ შეეწყოს ხელი დიასპორული ქსელის შექმნას: დიასპორული ორგანიზაციების გაძლიერებას და მათ შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას. აქტივობები,პირველჯერზე, უნდა ეფუძნებოდეს ქართულ დიასპორაში ახალი გაერთიანებების ინიციატივის წახალისებას, აქცენტი კი უფრო მეტად ახალგაზრდებზე უნდა კეთდებოდეს, რომლებიც ნაკლებად მოტივირებულნი არიან პოლიტიკური მოსაზრებებით და ამიტომ მეტი შესაძლებლობა აქვთ ერთმანეთთან თანამშრომლობის. ასევე მნიშვნელოვანი იქნება, თუ საქართველოს ხელშეწყობით ახალი ორგანიზაციები ჩამოყალიბდება არა ოდიოზური ბიზნესმენების ირგვლივ, არამედ წარმატებული და პატივსაცემი ინტელექტუალთა კლასის (ინტელიგენციის) წარმომადგენლების გარშემო. ასეთები, შეიძლება იყვნენ ის ქართველი მეცნიერები, რეჟისორები თუ ექიმები, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი სოციალური კაპიტალი როგორც რუსულ, ისე ქართულ საჯარო სივრცეში; მათთან ინტერაქციის გაძლიერება სხვადასხვა ფორმატების მეშვეობით, იქნება ეს დიასპორული ფორუმები, სამეცნიერო კონფერენციები, პროფესიული შეხვედრე-

ბი, ასოციაციათა დაარსების ხელშეწყობა, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება თუ სხვა, საქართველოს ხელისუფლებისთვის წარმოადგენს რუსეთის ქართულ საზოგადოებასთან დაახლოების, კომუნიკაციის გაძლიერებისა და თანამშრომლობის ერთგვარ არხს, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა, გარდაიქმნას პოზიტიურ ინსტრუმენტად საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების დარეგულირების პროცესში.

საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდისმიზნით გონივრულია, შეიქმნას „საზოგადოებრივი ელჩის“ ინსტიტუტი. საზოგადოებრივი ელჩები შეირჩეს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპენტენტური ადამიანებისაგან (მიგრანტებისაგან), რომლებიც ადგილობრივებთან ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობენ. სწორად წარმართული საინფორმაციო კამპანია ხელს შეუწყობს საზოგადოებაში არსებული უარყოფითი სტერეოტიპების ნგრევასა და ურთიერთობების დათბობას.

რუსეთში მცხოვრებ მიგრანტებთან კონტაქტების დამყარების გასაუმჯობესებლად შეიქმნას მონაცემთა ბაზა: მოხდეს მათი იდენტიფიკაცია; დადგინდეს მათი კავშირები საქართველოსთან და, ასევე, ვის რა შესაძლებლობები და პოტენციალი გააჩნია. მონაცემთა ბაზის შექმნისას გათვალისწინებული იქნას რუსეთის სხვადასხვა რეგიონსა თუ ქალაქში მცხოვრები როგორც ქართველი, ისე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოქალაქეები.

მიგრანტებთან დაკავშირებით არსებული სხვადასხვა სახის საკითხებისა და პრობლემების მოსაგვარებლად გონივრულია ეკლესიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, როგორც დიდი ავტორიტეტის, პოტენციალის და ნდობის მქონე ინსტიტუციასთან.

სკოლების ოპტიმიზაციის პროცესში, არაქართულენოვანი სკოლების გაუქმება-არგაუქმების საკითხი გადაწყდეს ადგილებზე საჭიროების მიხედვით და გათვალისწინებული იქნას როგორც გეოგრაფიული, ისე პოლიტიკური ფაქტორი; ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის ქართულად განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ამოქმედდეს ქართული ენის შემსწავლელი პროგრამები. კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში გაძლიერდეს ქართული ენის სწავლება სკოლებში; თუმცა სამხრეთ კავკასიაში საკომუნიკაციო ენის – რუსული ენის სწავლების შეკვეცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაციის გზაზე დიალოგის მიზნებს აცდენილია.

დიასპორების ფინანსური შესაძლებლობების მობილიზების მიზნით, ხელი შეეწყოს დიასპორული ფონდების შექმნას, სახელმწიფომ შესთავაზოს მიგრანტებსა და დიასპორის წევრებს სახელმწიფო ობლიგაციები ან უზრუნველყოს მიგრანტთა მიერ ანაბრების გახსნის შესაძლებლობები, მათ შორის, დისტანციურად.

რუსეთში მცხოვრები მიგრანტებისათვის საქართველოში შეიქმნას რეინტეგრაციის პროგრამა, რომელიც სხვადასხვა სახის პრეფერენციებს შესთავაზებს მათ და სტიმულს მისცემს საქართველოში დასაბრუნებლად.

ცალკე ყურადღება მიექცეს მესამე თაობის მიგრანტებს (სტუდენტობას). კონტაქტების აღდგენისა და დამყარების მიზნით განხორციელდეს მათი სასწავლო ვიზიტებით ჩამოყვანა ისტორიულ სამშობლოში.

გაიზარდოს ხელისუფლების ინტერესი რუსეთში მცხოვრები მიგრანტების მიმართ. ხელი შეეწყოს მიგრანტების ჩართულობას ქვეყნის ცხოვრებაში და სათანადოდ იქნას გამოყენებული მათი პოტენციალი ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვა სფეროში.

აქტიური სახე მიეცეს სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხზე მოლაპარაკებების გამართვას.

დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის გამო, სამწუხაროდ, რეალობისგან კიდევ შორსაა, მაგრამ ეკონომიკური დამოკიდებულება დღის წესრიგში კვლავ აყენებს რუსეთში საქართველოდან ლეგალური შრომითი მიგრაციის ხელშეწყობის საკითხს, რაც ითვალისწინებს ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების დადებას შრომის სფეროში.

საერთო რეკომენდაციები

1) მნიშნელოვანია, დაფინანსდეს რუსეთში ქართული დიასპორის, საქართველოში კი რუსული დიასპორის გამოკვლევა და კვლევის შედეგები გაეგზავნოს რუსეთისა და საქართველოს მთავრობებს, ასევე, პოტენციურ საერთაშორისო დონორებს. მნიშვნელოვნად გვესახება რუსეთისა და საქართველოს ეროვნულ სტატისტიკურ სამსახურებს შორის სამუშაო დიალოგის გამართვა. შედეგი რეკომენდაციის სახით, შეიძლება, გამოყენებული იქნას სრულიად რუსეთის მოსახლეობის მორიგი აღწერის (2020 წელი) მოსამზადებლად და რუსეთში საქართველოდან გადასახლებულთა რაოდენობის უფრო ზუსტი შეფასებისა და დახასიათების გამოსავლენად. ანალოგიური სამუშაო, შეიძლება, ჩატარდეს საქართველოში მოსახლეობის მორიგი აღწერის მომზადებისას. ასევე, რეკომენდაციას ვიძლევით, მიგრაციულ დინებებთან დაკავშირებით ორი ქვეყნის უფლებამოსილ უწყებებს შორის დარეგულირდეს ინფორმაციის გაცვლა.

2) რეკომენდებულია, ყოველმხრივ შეეწყოს ხელი დიასპორების მხარდაჭერის პროგრამებს, რომლებიც ტარდება საქართველოში და რუსეთში, ეფექტიანობის გაუმჯობესებას მონიტორინგის და შეფასების საშუალებებით.

3) საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდისა და ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, შეიქმნას „საზოგადოებრივი ელჩის“ ინსტიტუტი. საზოგადოებრივი ელჩები შეირჩეს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპეტენტური ადამიანებისაგან, რომლებიც ადგილობრივ საზოგადოებაში ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობენ.

4) რეპატრიაციის ყველა მსურველისთვის ცალკე შეიქმნას რეინტეგრაციის პროგრამა, რომელიც სხვადასხვა სახის პრეფერენციებს შესთავაზებს მათ და სტიმულს მისცემს წარმოშობის ქვეყანაში დასაბრუნებლად.

5) ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის სახელწიფო ენაზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად გაძლიერდეს შესაბამისი სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამები; განხორციელდეს ისეთი ტიპის საინფორმაციო კამპანიები, რომელიც გაზრდის ეთნიკური უმცირესობების (მიგრანტების) მოტივა-

ციას სახელმწიფო ენის შესწავლის თვალსაზრისით. ხელი შეეწყოს რუსული ენის, როგორც კავკასიის ერთაშორისი ურთიერთობის ენის, სწავლების პროგრამების შენარჩუნებასა და განვითარებას.

6) ხელისუფლებების წინაშე დაისვას საკითხი დიასპორული ფონდის შექმნის პრიორიტეტულობის შესახებ.

7) ცალკე ყურადღება მიექცეს მეორე-მესამე თაობის ახალგაზრდა მიგრანტებს წინაპრების წარმოშობის ქვეყანაში კონტაქტების აღდგენისა და განახლების მიზნით. სასურველია ისტორიულ სამშობლოში მათი დაპატიჟება საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობისთვის.

8) მიგრანტებთან დაკავშირებით არსებული სხვადასხვა სახის საკითხისა და პრობლემის გადასაჭრელად შეიძლება მოწვეულნი იქნენ რელიგიური ინსტიტუციების წარმომადგენლები, რომლებიც განსაკუთრებული ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობენ.

9) შეიქმნას სახელმწიფო პროგრამა და პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს მიგრანტების ჩართულობას ქვეყნის ცხოვრებაში, რათა სათანადოდ იქნას გამოყენებული მათი პოტენციალი ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვა სფეროში, რაც, ასევე მოემსახურება ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაჯანსაღებას.

კულტურული და ჰუმანიტარული ასპექტები

დავით გოცირიძე

ენა, როგორც ინტერაქციული ასპარეზი კულტურათაშორის ურთიერთობებში (რუსული ენა საქართველოში)

„ურთიერთგაგების პრობლემა დღეს განსაკუთრებულ და უფრო და უფრო მზარდ აქტუალობას იძენს, რაც გეოპოლიტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებასთან და ჩვენი ეპოქის გამჭოლი წინააღმდეგობების გაძლიერებასთან არის თვალნათლად დაკავშირებული. ეს პრობლემა ყოველ ჯერზე მაშინ წამოიჭრება ხოლმე, როცა მარცხს განიცდის რეგიონებს, ეროვნებებს, ბლოკებსა და თაობებს შორის ერთმანეთის გაგების მცდელობები, როცა ცხადი ხდება საერთო ენის უქონლობა და ჩვევაში გადასული საკვანძო ცნებები ისე იწყებს მოქმედებას, როგორც წინააღმდეგობათა და დაძაბულობათა მხოლოდ განმამტკიცებელი და გამაძლიერებელი გამაღიზიანებელი, რომლის გადალახვაზეც საერთო ძალისხმევა იყო მიმართული“[1].

თანამედროვე სამყაროს გლობალურ გადაწყობასთან დაკავშირებული პროცესების გამოკვლევისას ნ.ვ. უფიმცევა წერს: „ჩვენ არეულ დროს“ ვცხოვრობთ, ჩვენივე საზოგადოების ერთად შემკვრელი სოციალური იდეების მსხვრევის დროს, როდესაც სოციალურ გამოურკვევლობაზე რეაქციის სახით, როგორც სამყაროს ინფორმაციული სტრუქტურების ყველაზე უფრო ძველი და მყარი ფორმა, ეთნიკურობის როლი მატულობს“[2]. დღევანდელ დღეს პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებისა და ეთნოსოციალური ურთიერთობების ჰუმანიზაციის მისაღწევად ტექნიკური ხასიათის მუშაობის განზოგადებაა აუცილებელი. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ეთნონაციონალური პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად არსებული ენობრივი პოლიტიკა რუ-

---

[1] ჰ.გ. გადამერი, მშვენიერის აქტუალობა. ხელოვნება, *1991*. -გვ.*43*-59.

[2] ვ.ნ. უფიმცევა, რუსები: კიდევ ერთი თვითშეგნების გამოცდილება//ენობრივი შეგნების ეთნოკულტურული სპეციფიკა: რედ. ნ.ვ. უფინცევა. 1996. გვ. 144–162.

სეთისა და საქართველოს მეცნიერთა კვლევის ინტერესის ფოკუსშია. თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების პირობებში ენობრივი დაგეგმარება სხვადასხვა, ხანდახან კი სრულიად წინააღმდეგობრივი მეთოდოლოგიური და იდეოლოგიური კონცეფციებიდან გამომდინარე, ყოფილი სსრკ-ის სხვადასხვა რეგიონებში ხორციელდება, ამიტომ ენობრივი პოლიტიკა მთელი თავისი დიდმნიშვნელოვნებით ცალსახა გადაწყვეტილებებისთვის უბრალოდ მიუწვდომელია. საჭიროა აღინიშნოს, რომ პოლიეთნიკური გაერთიანებების მართვის ინტეგრაციული მოდელები, თუმცა კი ენობრივი პოლიტიკის ლინგვოსოციოლოგიური მოდელების ტიპიზაციისთვის და ენობრივი გეგმარებისთვის საკმარის, მაგრამ იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო განათლების შეზღუდული რაოდენობის კვანძოვანი პრობლემების წრეს ასახავს, გახსნილ სისტემას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით პოსტსაბჭოთა სივრცეში, კერძოდ კი, საქართველოსა და რუსეთში ენობრივი გეგმარების გამოცდილება დიდი ინტერესის საგანია, და ეს ინტერესი დიპლომატიური ურთიერთობების უქონლობის ფონზე მნიშვნელოვანწილად იზრდება. კონფლიქტური სიტუაციების გადალახვის გზათა ძიება ისეთ კომპრომისულ გადაწყვეტილებებს მოითხოვს, რომელთა შემუშავებაშიც მნიშვნელოვანი როლი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს შეუძლიათ ითამაშონ, თავის მხრივ, მათი ქმედებების ეფექტიანობა კი კოლეგებთან კონტაქტის ქონის შესაძლებლობებზეა უშუალოდ დამოკიდებული. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი, უპირველეს ყოვლისა იმ საკვანძო მენტალური კატეგორიების გააზრებას გულისხმობს, რომელთა გათვალისწინების გარეშეც ურთიერთმიმნდობი და ერთმანეთის გამგები ატმოსფეროს შექმნა უბრალოდ შეუძლებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტერაქტიური ასპარეზის შექმნა არა მარტო ურთიერთობების აწყობის ხელისშემშლელი მტკივნეული წერტილების გამოვლენის, არამედ მათი გადალახვისთვის აუცილებელი, შესაძლო პერსპექტივების განსაზღვრის საშუალებასაც ქმნის. ასეთი მენტალური კატეგორიების რიცხვს ენობრივი კატეგორიაც უნდა მივაკუთვნოთ, რომლის მიმართაც დამოკიდებულება თანამედროვე სამყაროში დიდი ხანია ფილოლოგიური პრობლემატიკის საზღვრებს გასცდა. ყოველი ქვეყანა მზრუნველობით ეკიდება საკუთარ ენას, რომლის მიმართაც დამოკიდებულება სხვა კულტურათა მხრიდან სიმპათია/ანტიპათიის გამოვლინებად აღიქმება. მეტიც, ლინგვოპოლიტოლოგიურ სფეროში ტერმინიც კი გაჩნდა – „რუსულე-

ნოვანი მოსახლეობის დაცვა“, რომელიც თანამედროვე პოსტსაბჭოთა სინამდვილის რეალიებისადმი განსაკუთრებულ მიდგომას ასახავს და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სისტემაში ენობრივი ფაქტორის როლზე მიუთითებს. ამის გათვალისწინებით რუსულ ენასთან მიმართებაში საქართველოს ენობრივ პოლიტიკას სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ასაწყობად პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია.

როგორც ცნობილია, ენობრივი პოლიტიკა თავისი ბუნებითა და გამოყენების წესებით ინდივიდუალურია. ნებისმიერ პოლიეთნიკურ და პოლიკულტურულ კონტექსტში, რომელშიც ერთმანეთთან კონტაქტში რამდენიმე ენა შედის, აუცილებელია ენობრივი პოლიტიკის მოცემულ სოციოლინგვისტურ სიტუაციასთან ან სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველმყოფელ იმ ენასთან/ენებთან მიმართებაში შეფარდებითი ადაპტაცია, რომელთან დაკავშირებითაც ენობრივი პოლიტიკა ტარდება ანდა, პირიქით, ფუნქციურობასა და მინორიტალური ენების შემდგომ განვითარებაზე ენობრივ უმცირესობათა უფლებების უარმყოფელთან.

თანამედროვე საქართველოში რუსულ ენაზე ლაპარაკისას საჭიროა, მის სტატუსზე სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენა აღინიშნოს: მსოფლიოს გეოპოლიტიკური რუკისა და ენათა ფუნქციური დატვირთულობის სპექტრის ცვლილება, ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებში კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ამოცანებით გაერთიანებული ახალი ზენაციონალური ინსტიტუციური სტრუქტურების აღმოცენება, სუბიექტურ-ცივილიზაციური მიზეზები, რომლებიც ახალ ლინგვოფუნქციურ სტატუსში ყოფილი მაჟორიტარული რუსული ენის ფუნქციონირების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების გადახედვაში გამოიხატება. გასაგები მიზეზებით ენობრივი პოლიტიკის პრინციპების გამოცხადება საზოგადოებაში გარკვეული იდეოლოგიის გავრცელებასთან არის დაკავშირებული.

XX ს-ის 80-იანი-90-იანი წლების გასაყარი საქართველოსთვის (ისევე, როგორც რუსეთის ჩათვლით ყოფილი სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებისთვისაც) საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, განათლების სისტემაში ძირეული ცვლილებების ეტაპად იქცა. ახალმა ისტორიულმა რეალიებმა ენობრივ სიტუაციაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობები მოიყოლა თან და დღის წესრიგში ახალი საგანმანათლებლო სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა დააყენა. ყველგან თვალნათლად მოჩანს ტენდენცია იმისა, რომ ინგლისური ენა აუცილებელ პრაქტიკულ ჩვევად, განათლების მიღებისა და მაღა-

ლანაზღაურებად თანამდებობებზე სამუშაოს მიღების ძირითად საშუალებად ჩაითვალოს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც სოციალური და ეკონომიკური წესრიგის შექმნასა და დაცვას უწყობს ხელს. თავისთავად ცხადია, ამ გარემოებამ ენობრივი პრიორიტეტების აქამდე შექმნილი სისტემა დაარღვია. ენობრივი მშენებლობის პრიორიტეტების ინგლისურ ენასთან მიბმით ქვეყანა იმ ახალი ენობრივი სივრცის შექმნის აუცილებლობის წინაშე დადგა, რომლის ფორმირებაც, ცნობილი გარემოებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. სხვადასხვა ქვეყნის მიერ უკვე გავლილი ენობრივი მშენებლობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენით ენობრივი პოლიტიკის დარგში ხელისუფლებები ხშირად ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს იღებენ. ასე მაგალითად, დეკოლონიზაციის პროცესის შემდეგ სირიამ ფრანგულ ენაზე მთლიანად უარი თქვა და ამით საერთაშორისო ურთიერთობის ენა პრაქტიკულად დაკარგა. განსხვავებული გზა აირჩიეს ინდუსებმა. მეტროპოლიის ენით აქტიურად სარგებლობდა ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტის ის ნაწილიც კი, რომელთა მიზანიც ბრიტანული მბრძანებლობისგან სამშობლოს გათავისუფლება იყო. სხვათა შორის, დამოუკიდებელი ინდოეთის მომავალი ლიდერი კოლონიალური ციხიდან ქალიშვილს იუმორნარევი კონტექსტით წერდა: „ინდოეთში დღეს ყველაფერი თავდაყირა დგას და ჩვენ ინგლისურ ენას ერთმანეთთან ურთიერთობაშიც კი მნიშვნელოვანწილად და ფართოდ ვიყენებთ. განა სრული უაზრობა არ არის, რომ მე შენ წერილს ინგლისურად გწერ – მაგრამ მე ამას ვაკეთებ! იმედი მაქვს ამ ჩვევისგან მალე გავთავისუფლდებით“[3].

მიუხედავად ბრიტანეთის მიმართ მთელი თავისი ნეგატიური დამოკიდებულებისა, მათ ინგლისურ ენაზე უარი არ თქვეს და საერთაშორისო ურთიერთობების ენად შეინარჩუნეს. პოსტსაბჭოთა საქართველოში პირველ ეტაპზე ენობრივი მშენებლობის სპეციფიკა სირიულ მოდელს ჰგავს. საგანმანათლებლო სისტემაში რუსულ ენაზე პრინციპული უარის თქმით ინგლისური ენით მისი სწრაფად ჩანაცვლების მცდელობა განხორციელდა. ამ პროცესს ჩვენ „ფორსირებულ ბილინგვიზმს“ ვუწოდებთ, რაშიც საერთაშორისო ურთიერთობების ახალი ენის საფუძველთა სტატუსური ფორმირების დაჩქარების მიზნით სახელმწიფო

[3] Nehru J. A Bunch of old letters. Bombay, 1960.

ხელისუფლების მიერ სანქცირებულ ორენოვნობას მოვიაზრებთ (როგორადაც საქართველოში დღესდღეობით ინგლისური ენა გამოდის).

გარკვეული ლინგვოპროტექციონიზმით თანმდევმა ახალი ენობრივი პოლიტიკის განხორციელებამ ენების სწავლების ინტენსიური სტრატეგიების აქტივიზაცია გამოიწვია, თუმცა, ამასთან ერთად ახალ პრობლემათა წყება, სოციალურ და სახელმწიფო შეკვეთებს შორის თავისებური დისბალანსი წარმოქმნა. ადამიანური საქმიანობის ნებისმიერ სფეროში რევოლუციური ცვლილებები სისტემურ ძვრებს იწვევს, რომელსაც უახლესი ამოცანების გადაჭრის შემძლე კვალიფიციური კადრების არარსებობა სდევს თან. ინგლისური ენის სპეციალისტთა აუცილებელი რაოდენობის მომზადების პროცესი ხანგრძლივ დროსა და მსხვილ დაბანდებებს მოითხოვს. გარდა ამისა, ზოგიერთი რეგიონის სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, მაღალ ხელფასზეც კი თითქმის შეუძლებელია, რომ ახალგაზრდა სპეციალისტებს იმ რეგიონებში სამუშაოდ წასვლა აიძულო. საინტერესოა, რომ საბჭოთა დროს უმაღლესი სასწავლებლის ბევრ კურსდამთავრებულს დიპლომს მხოლოდ მას შემდეგ აძლევდნენ, რაც ისინი ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიაზე სოფლის რაიონებში იმუშავებდნენ.

საქართველოში გამოყენებული იქნა „ლინგვოვოლონტიორთა“ მოზიდვის საერთაშორისო გამოცდილება, რომელთა მუშაობის ეფექტურობაც სრულყოფილი სწავლებისგან საკმაოდ შორს იდგა და რეფორმის წინასწარ გაუთვლელობისა და მოუმზადებლობის გამო ქვეყნის კატასტროფულ შედეგებამდე მიყვანა შეეძლო. ეჭვი გამოიწვია, როგორც „ბორდოელი ფრანგის“ დონის შესაბამისი განათლების მქონე „ლინგვოვოლონტიორების“ პროფესიული მომზადების დონემ, ისე სხვადასხვა, ხანდახან კრეოლიზებულ ვარიანტებში მათ მიერ მოწაფეთათვის მიწოდებული ინგლისური ენის ხარისხმა და აუთენტურობამაც.

იმდენად, რამდენადაც საქართველო არაერთგვაროვანი ეთნიკური წარმომავლობის მქონე მოქალაქეებით დასახლებული ქვეყანაა, გლობალურ ინფორმაციულ სივრცეში ქვეყნის ჩართვის შემძლე მსოფლიო ენის არჩევის აუცილებლობის გარდა ის შესაბამისი ეთნოსების ენათა და კულტურათა, საგანმანათლებლო სივრცის მთლიანობისა და ერთიანობის განვითარების აუცილებლობის წინაშეც დადგა. ამ ფონზე ზოგიერთ რეგიონში და, ასევე, გარკვეულ წრეებში რუსული საგანმანათლებლო სივრცისკენ მიმართული ტენდენციები მძლავრობდა, რაც ენობრივი პოლიტიკის სფეროში სახელმწიფოებრივ შეკვეთას უმეტ-

ესწილად არ შეესაბამებოდა. საქართველოში რუსული ენის სტატუსის ცვლილება და უცხო ენების კატეგორიაში მისი გადატანა სკოლებისა და რუსულ ენაზე სწავლების სექტორთა რაოდენობის შემცირების ხარჯზე მიმდინარეობდა. ბევრ „რუსულ“ კლასში სულ რამდენიმე მოწაფე სწავლობს. ქართულ სკოლებში კი რუსული ენის სწავლება, როგორც წესი, დაბალია. ჩვენ ქართული სკოლებისთვის რუსულ ენაში სასწავლო ლიტერატურის ხარისხობრივი დონის მონიტორინგს მუდმივად ვატარებთ. დაკვირვებების შედეგები კი რიგ პუბლიკაციებში იქნა მოთხრობილი[4].

შეგვიძლია იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ სახელმძღვანელოების კომუნიკაციურ მიმართულებაზე მითითება რეალობაში მათი უკიდურესად პრიმიტივიზაციით შემობრუნდა. სახელმძღვანელოთა დიდი უმრავლესობა კომუნიკაციური უნარების განვითარებას ვერ ემსახურება. შედეგად, სკოლადამთავრებულებს რუსულ ენაზე მეტყველებისა და ურთიერთობის უმარტივესი უნარიც კი არ გააჩნიათ, ელემენტარულ ტექსტებს გაჭირვებით კითხულობენ, იგებენ, როგორც წესი, მერე წაკითხულის გადმოცემის უნარი არ აქვთ და ა.შ.

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებშიც. რუსულის რამდენიმეწლიანი შესწავლის შემდეგ სტუდენტების უმრავლესობას შესასწავლ სპეციალობაში ამ ენაზე გამოცემული ლიტერატურის ეფექტიანად გამოყენება არ შეუძლია. რუსული ენის გამოყენება სასწავლო პროგრამებში ნელ-ნელა მცირდება. სიტუაციას რუსულთან, როგორც უცხო ენასთან დაკავშირებით ერთიანი საგანმანათლებლო სტანდარტის უქონლობაც ამწვავებს. სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისთვის სახელმძღვანელოთა და მეთოდიკათა ახალი ოპტიმალური მოდელების ძიებამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქმე ფაქტობრივად დაუშვებელ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ გადახრებამდე მიიყვანა: ე.წ. აკადემიური ფუნდამენტალურობის ტრადიციული სახელმძღვანელოები ტურისტული სასაუბროების დონის შესაბამისი, გამარტივებული ვარიანტებით იცვლება.

სიტუაციას არეულ-დარეულობა საგანმანათლებლო სფეროში პერმანენტულმა რეფორმებმაც შემატა, რამაც ორგანიზაციული უწესრიგობა, ადმინისტრაციული უპასუხისმგებლობა და რომელიმე პერსპექტიულ დაგეგმარებაში აზრის დაკარგვა გამოიწვია. განათლების სისტემის

[4] „როდესაც გამარჯვებულებს სჯიან“ გაზეთში „არგუმენტები და ფაქტები“, „რუსული ენა საქართველოში“ პრობლემურ-ანალიტიკური მიმოხილვაში და სხვ.

რეფორმის თავისებურად გაგებული ლიბერალიზაციის საფუძველზე განხორციელებამ სახელმძღვანელოების შექმნისკენ გაუხსნა გზა დილეტანტებს, ცრუ-ნოვატორებსა და საქმოსნებს. საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც დღესდღეობით მეცნიერ-მასწავლებელთა კადრების მეთოდოლოგიური გაურკვევლობა, ინერცია და პასიურობა დომინირებს, რუსული ენის სწავლების მდგომარეობას ჩამოთვლილი ფაქტორები განსაზღვრავეს.

საქართველოს მრავალგზის გამოუცხადებია ბოლონიის პროცესისადმი ერთგულება და მასში აქტიური მონაწილეობა, რომლის უმნიშვნელოვანეს შემადგენელსაც მუშაკის მუდმივი სწავლება და გადამზადება წარმოადგენს. არსებულ სტრატეგიაში განსაკუთრებულ როლს ე.წ. „არაფორმალური განათლება“ თამაშობს: კურსები, გადამზადების სისტემები და ტრენინგები. კურსები, როგორც ორგანიზაციული და სასწავლო-მეთოდური სწავლების ფორმა, გახსნილ და მოქნილ სტრუქტურას წარმოადგენს, რომელსაც წარმოქმნილი პირობებიდან და მოთხოვნილებებიდან გამომდინარე დროულად აწყობისა და გადაწყობის უნარი გააჩნია. ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით, დღესდღეობით კურსები საქართველოში რუსული ენის განმტკიცებისა და წინ წამოწევის ყველაზე კარგ ფორმას წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, ეს კულტურულ-საგანმანათლებლო ზეგავლენის პოლიტკორექტული და სრულიად ნეიტრალური ფორმაა, რომელიც გაღიზიანებასა და „სუვერენული საგანმანათლებლო სივრცის“ ხელყოფის ეჭვს არ იწვევს; საქართველოში რუსულენოვანი სწავლების საგანმანათლებლო ბაზარზე კურსები სხვა სასწავლო დაწესებულებებს ოფიციალურ კონკურენციას არ უწევს; ამასთან, კურსების სტატუსი განათლების სამინისტროს ჩინოვნიკთა მხრიდან მეტისმეტი მეურვეობის თავიდან აცილებისა და სწავლების რუსეთში მიღებულ სტანდარტებზე ორიენტირების საშუალებას იძლევა; თავისი უნივერსალური და მოქნილი ფორმიდან გამომდინარე, კურსები შეიძლება ბევრი პერსპექტიული მიმართულებითაც განვითარდეს.

მიუხედავად სერიოზული მცდელობებისა, რომ რუსული ენის ფუნქციონირება შეიზღუდოს, ის საქართველოში, როგორც ეროვნებათაშორისი და ლინგვოსახელმწიფოებრივი ურთიერთობის ენა, თავის სტაბილურ პოზიციებს მაინც ინარჩუნებს. ჩამოყალიბდა აზრი, რომ საქმიანობის (თანამდებობის) გარკვეული მასშტაბი და კარიერული და პროფესიული ზრდა რუსული ენის ღრმა ცოდნას არა მხოლოდ

ვარაუდობს, არამედ მოითხოვს კიდეც. რუსული ენის ცოდნა თანამედროვე გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში უკვე მხოლოდ ყოველდღიური ურთიერთობის ენის თავდაჯერებულ ფლობას აღარ გულისხმობს. სატრანზიტო მარშრუტებისა და ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის სფეროებში ეკონომიკური კავშირების განვითარებამ სახელმწიფო მოხელეებისგან, ბიზნესმენებისა და სხვადასხვა დონისა და დარგის მენეჯერებისგან რუსული ენის ცოდნა არა მხოლოდ საბაზო, არამედ სპეციალიზებულ დონეზეც მოითხოვა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა თაობაში უკვე გაცნობიერებულად მატულობს იმ ფაქტის აღქმა, რომ წარმატებული ადმინისტრაციული და პროფესიული ზრდა და მაღალი ხელფასი რუსული ენის ცოდნის გარეშე პრობლემური იქნება.

ახალი მოტივაციის მითითებული ფაქტორები რუსული ენის სწავლების ისეთი ფორმებისა და სტრუქტურების შექმნას მოითხოვს, რომლებიც მუშაკის კონკურენტუნარიანობას რეალურად გაზრდიდა. ასეთ სტრუქტურაზე სტაბილური მოთხოვნა სრულყოფილი (რუსულენოვანი) წრისა და რეგულარული პროფესიონალური ურთიერთობის არარსებობითაც სტიმულირდება, რაც რუსული ენის სწავლების აუცილებლობას პრაქტიკულად მუდმივს ხდის.

თბილისში მოქმედი რუსული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზატორებსა და ხელმძღვანელებს ესმით, რომ შეთავაზებული სწავლება აუდიტორიის მოთხოვნას ჩამორჩება, აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ ტრადიციული ფორმები და მეთოდები სასწრაფო მოდერნიზაციას მოითხოვს. თუმცა არსებობს ობიექტური ხასიათის სირთულეები და წინააღმდეგობებიც. მათგან უმთავრესი რუსული ენის ინტენსიური სწავლებისთვის ენის სპეციალური მეთოდების მცოდნე მასწავლებლებელთა კვალიფიციური კადრების არარსებობაა. გარდა ამისა, ორგანიზაციების უმეტესობა, რომლებიც მსურველებს რუსული ენის სწავლებას სთავაზობს, სპეციალიზებული არ არის. რუსული ენის კურსები – მათი მუშაობის მხოლოდ ერთი და, ხშირად, არაძირითადი მიმართულებაა. დაბალი ანაზღაურება და მასწავლებელთა შემადგენლობის გადინება მეთოდურ სიჭრელეს იწვევს და სწავლების პროცესის მემკვიდრეობითი მონაცვლეობის, გეგმაზომიერებისა და სისტემურობის პრინციპებს არღვევს.

შექმნილ სიტუაციაში მეტაორგანიზების ფუნქციის შესრულება „რუსული ენის კურსების“ ახალ მოდელს შეუძლია, რომლის მიზანსაც

საქართველოს ინტელექტუალურ შეთავაზებათა ბაზარზე თანამედროვე სასწავლო-მეთოდური პროგრამებისა და სპეციალიზებული ენების განვითარებული გამისგან (ნაკრებისგან) შედგენილი მაღალი ხარისხის უნივერსალური საგანმანათლებლო პროდუქტის გატანა წარმოადგენს. ასეთი მიდგომა კურსის მსმენელებს საშუალებას მისცემს, არა მარტო შესასწავლი საგანი აირჩიოს, არამედ ინტელექტუალური პროდუქტის მიმწოდებელს რიგ ძირითად პარამეტრებში, უპირველეს ყოვლისა, დინამიური და მკაფიოდ აქცენტირებული პროგრამული მიმართულების მქონე, სწავლების პროცესიცა და შემცველობაც შეუკვეთოს. კურსების ეფექტურობის პრინციპულ პირობად სწავლების ყველა ეტაპსა და დონეზე მკაფიოდ აღნიშნული მიზნებისა და შედეგების არსებობა მიგვაჩნია. მიზნის ფორმულირება და სასურველი შედეგის მიღწევა არა მარტო მსმენელის შეკვეთის შესრულებას ნიშნავს, არამედ ენის შესწავლის შემდგომი გაღრმავებისთვის ძლიერი სტიმულის შექმნასაც.

სწავლების პროცესში ორგანიზაციის სიხისტისა და მოქნილობის ოპტიმალური შეხამების შემუშავება დასახული მიზნის მიღწევის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. მხარეთა მოვალეობები წინასწარ უნდა დაფიქსირდეს. კურსის ორგანიზატორებმა მკაფიოდ და დეტალურად უნდა აღნიშნონ თავიანთი ინტელექტუალური პროდუქტის მსმენელისთვის მიწოდების პარამეტრები და ვადები, თავის მხრივ, მსმენელი ვალდებულია, თავისი დაინტერესება დაადასტუროს სწორედ მოცემული პროდუქტის ნაირსახეობასა და ხარისხში და საკუთარ თავზე სასწავლო პროცესის განმავლობაში მასწავლებელთან აქტიურად თანამშრომლობის ვალდებულება აიღოს. არ შეიძლება დაიშვას, რომ საქმიანი შეთანხმების გაფორმების პროცედურა ფორმალურ რიტუალად იქცეს.

კურსების პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მეცადინეობები. ჩვენ მიერ სწავლების პროცესზე დაკვირვება და გატარებული გამოკითხვები მოწმობს, რომ პრობლემები, რომლებიც სასწავლო პროცესის ხარისხს ამცირებს, ჯგუფებში ხშირად არა იმდენად მსმენელებს შორის რუსული ენის საბაზო საფუძვლების სხვადასხვა დონის ფლობის მიზეზით ვლინდება, რამდენადაც ლექციურ-პრაქტიკულ მეცადინეობებში ზოგიერთი მსმენელის არასაკმარისად აქტიური ჩართულობისა და დავალებების არადამაკმაყოფილებლად შესრულების გამო. ასეთი მსმენელები არა მარტო ცალკეული მეცადინეობების მიმდინარეობას აფერხებენ და არ-

ღვევენ, არამედ მთლიანობაში სწავლების სრულ პროცესსაც. შედეგად, მცირდება კურსების საერთო შედეგები და პრესტიჟი. ამასთან დაკავშირებით ჯგუფური განაცხადების არსებობის შემთხვევაში მსმენელებთან ხელშეკრულებები მხოლოდ ინდივიდუალური წესით უნდა დაიდოს. კურსებმა დაუდევარი მსმენელების გარიცხვის უფლება უნდა დაიტოვოს ანდა ასეთებს განსაკუთრებული შეფასებით თანდართული მეცადინეობათა ინდივიდუალური ფორმა უნდა შესთავაზოს. „სიმკაცრის“ ასეთი რეგლამენტირება კურსების კეთილსინდისიერებასა და საკუთარი საქმიანი რეპუტაციის დაცვაზე მათ ზრუნვას გაუსვამს ხაზს.

პროექტის შემოთავაზებული ფორმატი – კურსები - როგორც ზევით აღინიშნა, საქართველოში რუსულენოვანი სივრცის გაფართოების ყველაზე ოპტიმალური მეთოდია, რომელიც, იმავდროულად, კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს ადგილობრივი ხელმძღვანელობისგან დისტანცირებისა და ოფიციალური საგანმანათლებლო სტრუქტურების მიერ გარდაუვალად პროდუცირებული რუტინისა თუ ხელახალი დაზღვევისგან თავის არიდების საშუალებას იძლევა.

თუმცა კონიუნქტურის სასიკეთოდ ცვლილების შემთხვევაში კურსები სრულფასოვან ინფორმაციულ-კულტურულ ცენტრად ორგანულად ტრანსფორმირებასაც შეძლებს. საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის კულტურული ცენტრები მხოლოდ ენის შემსწავლელ კურსებს წარმოადგენს. მაღალტექნოლოგიური და საათის მექანიზმივით სრულფასოვნად აწყობილი, ეს მაინც და, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ და მხოლოდ ენის შემსწავლელი კურსებია. სიტყვამ მოიტანა და ფრანგული კულტურული ცენტრის სტრუქტურაში რუსული და ქართული ენების კურსები ფუნქციონირებს, ეს კი რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელი კოლეგებისთვის მრავლისმეტყველი სიგნალია.

პროექტის შედეგები

უნივერსალური კურსების ორგანიზების რეალიზაციის პროექტი საქართველოში რუსული ენისა და კულტურის სივრცეს გაამყარებს და გააფართოვებს.

კურსების ფუნქციონირება პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის სწავლების საერთო დონეზე.

კურსები საშუალებას მოგვცემს, მხარი დავუჭიროთ რუსული ენის მასწავლებლებს, რუსული ენის პროფესიონალური ნაირსახეობების მატარებლებს, მთარგმნელებსა და პედაგოგ-ნოვატორებს.

შემოთავაზებული ფორმატის კურსები იმ საგანმანათლებლო ნიშას დაიკავებს, რომელშიც მდგრადი მოთხოვნის ფონზე ხარისხიანი ინტელექტუალური პროდუქტი და კონკურენცია პრაქტიკულად არ არსებობს.

კურსების განვითარების პოტენციალი შემდგომი მასშტაბური პროექტებისთვის აუცილებელ საფუძვლად მათი განხილვის საშუალებას იძლევა.

შემოთავაზებული პროექტის სრულყოფილი განშლა რუსულ ენას უმოკლესი დროის განმავლობაში საშუალებას მისცემს, ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე წინ წამოწეულ უმსხვილეს მსოფლიო ენებთან კონკურენციაში სათანადო და ღირსეული ადგილი დაიკავოს.

ვადიმ მუხანოვი

ჰუმანიტარულ სფეროში რუსეთისა და საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივებზე

2012 წელს ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლასთან ერთად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში 2008 წლის შემდეგ დაწყებული რთული პერიოდი დასრულდა. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის გათვალისწინებით მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ნაადრევია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარკვეულ ნორმალიზაციას ხაზი აუცილებლად უნდა გაესვას.

ჟენევის კონსულტაციების გარდა, რუსეთისა და საქართველოს ურთიერთქმედება „კარასინ-აბაშიძის“ დიალოგის ფარგლებში რეგულარულ საფუძველზე ხორციელდება. შეხვედრათა ფორმატი არ ითვალისწინებს პოლიტიკურ საკითხთა განხილვას, მოლაპარაკებების მსვლელობისას წყდება ეკონომიკური, სავაჭრო, სატრანსპორტო მიმოსვლის, კულტურულ-ჰუმანიტარული თანამშრომლობის საკითხები და ა.შ. მხოლოდ 2012 წლის დეკემბრიდან 2013 წლის დეკემბრამდე ხუთი შეხვედრა ჩატარდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა – ზურაბ აბაშიძემ ერთ-ერთ ინტერვიუში ოპტიმიზმითა და ერთგვარი კმაყოფილებით განაცხადა: „ჩვენ ძალიან პრაგმატული დღის წესრიგი გვაქვს: სავაჭრო კავშირების აღდგენა, ეკონომიკური პრობლემები, სატრანსპორტო კომუნიკაციები, ჰუმანიტარული საკითხები და ა.შ. ორი წლის განმავლობაში ჩვენ აღვადგინეთ ვაჭრობა: გასულ წელს სავაჭრო ბრუნვამ 850 მილიონი დოლარი შეადგინა, რუსეთში ჩვენ მიერ ექსპორტირებულმა საქონელმა კი – 400 მილიონი დოლარი. სხვადასხვა სახის გადაზიდვებში ორასი ქართული კომპანია მონაწილეობს, ჩვენ აღვადგინეთ რეგულარული საჰაერო მიმოსვლა, საქართველოში რუსეთიდან ჩამოსული ტურისტების რიცხვი

მატულობს და ა.შ.“[1]. სახელწიფო მდივანმა – რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ – გრიგორი კარასინმა, თავის მხრივ, დიპლომატიური ურთიერთოებებისა და ქვეყნების ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებს შორის აწყობილი კონტაქტების უქონლობასთან დაკავშირებით დიალოგის მნიშვნელოვან საკომპენსაციო ფუნქციას გაუსვა ხაზი: „ამჟამად ჩვენი შეხვედრების დღის წესრიგში თანამშრომლობის უკვე თითქმის თხუთმეტი კონკრეტული სფერო და მიმართულება შედის, რომლებშიც პროგრესი თვალნათელია. ჩვენ დარგობრივი სამინისტროების ერთგვარი კოორდინატორები ვხდებით, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობაში ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებას ჩვენი დახმარებით ცდილობენ“.[2]

ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირები უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე პოლიტიკური. 2012 წლის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურმა ურთიერთობამ ინტენსიური განვითარება დაიწყო. სწორედ ამ დროიდანვე დაიწყო განუხრელი აღმავლობა რუსეთის წილმაც საქართველოს საერთო საქონელბრუნვაში.

რუსეთი კვლავ გახდა ქართული ღვინის მთავარი მომხმარებელი. რუსეთში ყველაზე პოპულარული ქართული საქონლის ჩამონათვალში მეორე ადგილი მინერალურ წყლებს უჭირავს. ამგვარად, სწორედ ღვინო და მინერალური წყლები საზღვრავს რუსეთში საქართველოს ექსპორტს და მოკლევადიან პერსპექტივაში, მიუხედავად თბილისის მცდელობისა, რომ მისაწოდებელი საქონლის ასორტიმენტი შეცვალოს და რუსეთის ბაზარზე ხილის, ბოსტნეულისა და ნიგვზის მიწოდების მოცულობა გაზარდოს, ასეთი ტენდენცია შენარჩუნდება. თავის მხრივ, რუსეთის წილი საქართველოს საერთო იმპორტში არცთუ დიდია, მიუხედავად ამისა, რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს მოიცავს: რუსეთზე მოდის ხორბლის იმპორტის პრაქტიკულად მთელი მოცულობა, ნავთობპროდუქტების მთელი იმპორტის თითქმის მეოთხედი და 80%-დან 90%-მდე ბუნებრივი აირის იმპორტი.

საქართველოდან მიწოდებული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზრის გახსნის გარდა, მოსკოვმა კიდევ რამდენიმე პოზიტიური ნაბიჯიც

[1] ზურაბ აბაშიძე: „წასული მატარებლები უკან დაბრუნდება“ // რადიო თავისუფლება. 29 ივლისი, 2015. URL: http://www.svoboda.org/a/27159488.html (მიმართვის თარიღი – 02.11.2016).

[2] კარასინი: რფ-საქართველოს მოლაპარაკებები უკვე თხუთმეტამდე მიმართულებას ეხება.//რია ნოვოსტი. 15 ივლისი, 2015 წ. URL: https://ria.ru/economy/20150715/1130915594.html

გადადგა. მაგალითად, აღდგა მოსკოვსა და თბილისს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლა, აღდგა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ავტომობილების მიმოსვლა, საქართველოს მოქალაქეებისთვის გამარტივდა რუსეთის ვიზის მიღების პროცედურა.

2012 წელს თბილისმა რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა[3], რამაც უკიდურესად არასახარბიელო მსოფლიო კონიუნქტურისა და რუსეთის მოქალაქეებისთვის დასვენების ტრადიციული მიმართულებების დახურვის ფონზე საქართველოს მიმართ ტურისტული ინტერესის მნიშვნელოვან ზრდას შეუწყო ხელი. რუსეთიდან საქართველოში ჩასული ტურისტების მკვეთრად გაზრდილმა ნაკადმა სახელმწიფო ხაზინაში შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. მხოლოდ 2014 წელს საქართველოს 800 ათასზე მეტი რუსი ტურისტი ესტუმრა[4], 2015 წელს ეს მაჩვენებელი 14%-ზე მეტით გაიზარდა და 925 ათასი ადამიანი შეადგინა[5], 2016 წელს კი ტურისტების რაოდენობამ 1-მილიონიანი ზღვარი გადალახა[6].

მოსკოვისა და თბილისის არასაკმარისად მჭიდრო პოლიტიკური კონტაქტების ფონზე მაღალ დონეზეა რუსეთ-საქართველოს საეკლესიო დიალოგი. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისა (რმე) და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის (ქმე) ურთიერთობა ნდობით აღსავსე და მეგობრულ ხასიათს ატარებს. ქართველი პოლიტოლოგი – ივლიანე ხაინდრავა აღნიშნავს, რომ „სახელმწიფოთა შორის ნებისმიერი საზომით ცუდი ურთიერთობების ფონზე რუსული და ქართული მართმადიდებელი ეკლესიები მშვიდ და ხაზგასმულად ურთიერთპატივისცემით აღსავსე ურთიერთობას ინარჩუნებენ“[7].

---

[3] საქართველომ რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა//LENTA.RU. 1 მარტი, 2012.URL: https://lenta.ru/news/2012/02/29/novisas/

[4] გ. მირზოიანი. შუშის ჭერი. ნორმალიზდება თუ არა ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის? // LENTA.RU. 7 ივნისი, 2015.URL: https://lenta.ru/articles/2015/06/07/gruzia/

[5] საქართველოში რუსეთიდან ჩასულ ტურისტთა ნაკადის სარეკორდო მაჩვენებელი დაფიქსირდა// Газета.ru. 1 თებერვალი, 2016. URL: https://www.gazeta.ru/lifestyle/news/2016/02/01/n_8195207.shtml

[6] 2016 წელს საქართველოს რუსეთის 1 მილიონზე მეტი მოქალაქე ესტუმრა. // ТАСС. 4 იანვარი, 2017.URL: http://tass.ru/obschestvo/3922811

[7] ი. ხაინდრავა. ასიმეტრია (ქართულ-რუსული ურთიერთქმედების საკითხთან დაკავშირებით)// რუსულ-ქართული ურთიერთობები: განვითარების ახალი გზების ძებნაში. სამუშაო რვეული/საერთაშორისო ურთიერთობების რუსეთის საბჭო, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. – 2014. გვ. 20.

მოსკოვის საპატრიარქო ცდილობს, ისეთი ნაბიჯები არ გადადგას, რომლებიც ქმე-სთან ურთიერთობების გამწვავებისკენ იქნებოდა მიმართული (ნათელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საეკლესიო საკითხთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაცია)[8].

ორი ადგილობრივი ეკლესიის კონტაქტები რეგულარულ ხასიათს ატარებს, მოსკოვსა და თბილისში ხორციელდება უმაღლეს სასულიერო პირთა ვიზიტები, რომელთა მიზანიც სხვადასხვა საკითხთა განხილვაა. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ინიციატივით აქტიურად განიხილება ქართველ მეფეთა – ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის ნეშტთა საქართველოში გადმოსვენების საკითხი[9].

ქართველი პოლიტოლოგი თენგიზ ფხალაძე შენიშნავს: „თავად ის ფაქტი, რომ საქართველომაც და რუსეთმაც დიალოგის აუცილებლობა გააცნობიერეს, უაღრესად იმედისმომცემი ფაქტორია და ამ ფორმატის შესანარჩუნებლად და მისი ეფექტიანობის გასაზრდელად მხარეებმა თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა გააკეთონ. ორმხრივი ფორმატისთვის თემატიკის გაფართოებაზე დღეს ლაპარაკი, ალბათ, ნაადრევია, მაგრამ შესაძლებელია არსებული დღის წესრიგის გაზრდა და იმ კონკრეტული საკითხებით შევსება, რომლებიც ურთიერთქმედებისა და ორმხრივი კონსტრუქციულობის ზრდას შეუწყობს ხელს. იმ შემთხვევაში, თუ სფეროებში, რომლებიც მხარეების მიერ „წითელ ხაზებად“ არის აღნიშნული, მდგომარეობა არ გაღრმავდება და გამწვავდება, ასეთად შეიძლება იქცეს მედიცინის, ეკოლოგიის, ტრანსპორტისა და ა.შ. მსგავს სფეროებში თანამშრომლობის განვითარების შესახებ კონკრეტული წინადადებები“. გარდა ამისა, პოლიტოლოგი სამართლიანად გამოყოფს მოსკოვისა და თბილისის ურთიერთქმედებისთვის სხვა მიმართულებებსაც: „ორ ქვეყანას შორის კულტურულ და მეცნიერულ კონტაქტებს შესაძლებლობა აქვს, კარგი პლატფორმის როლი ითამაშოს

---

[8] დაწვრილებით იხ. ვ. მუხანოვი. საეკლესიო განხეთქილების მიმდინარე მდგომარეობა აფხაზეთში// Ежегодник ИМИ. 2016. №1. С. 129–137.

[9] ამ საკითხთან დაკავშირებით შეიქმნა რუსულ-ქართული ერთობლივი კომისია, სადაც ორი ეკლესიის წარმომადგენელთა გარდა ჩაერთვნენ ორივე ქვეყნის ექსპერტები. უკვე გაიმართა სხდომებიც, ასტრახანში ჩატარდა აგრეთვე სპეციალური კონფერენციაც, თუმცა ამ საკმაოდ რთულ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიღებულა.
დაწვრილებით იხ.: მ. ვოლხონსკი, ვ. მუხანოვი. ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის გადასვენების საკითხთან დაკავშირებით რუსულ-ქართული დიალოგის პერსპექტივების შესახებ.//საერთაშორისო ანალიტიკა. 2016. გამოშვება 2(16). C. 113–125.

სადავო ისტორიული საკითხების გადაწყვეტაშიც, მათ შორის აფხაზური და ოსური საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობითაც. მაგალითად, რუსეთისა და საქართველოს არქივებში უახლესი ისტორიის შესასწავლად საკვანძო მნიშვნელობის მქონე უამრავი დოკუმენტი ინახება. მათი ერთობლივად გამოკვლევა ხელს შეუწყობს როგორც ისტორიული პროცესებისა და ცალკეული ფაქტების დადგენასა და შეფასებას, ისე ზოგიერთი სადავო საკითხის დეპოლიტიზაციასაც"[10].

ქვეყნებს შორის კულტურული და ჰუმანიტარული კავშირების აღდგენა თანდათან სულ უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდება. ქართული კინოხელოვნების მოღვაწენი რუსეთის ტერიტორიაზე ჩატარებულ კინოფესტივალებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ, აღდგა ქართული თეატრისა და ცეკვის კოლექტივთა რუსეტთში გასტროლები. მხოლოდ 2013-2014 წწ. ჩატარდა კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის რამდენიმე ათეული ღონისძიება[11].

---

[10] თ. ფხალაძე. საქართველო და რუსეთი – ახალი დღის წესრიგის ძებნაში//რუსულ-ქართულ ურთიერთობებში ნორმალიზაციისკენ მიმართული გზების ძებნაში. თბილისი, 2014. C. 35.

[11] გამოვყოთ მათგან ყველაზე მსხვილი და საინტერესო ღონისძიებები: რუსეთის კულტურის სამინისტროს მონაწილეობით ორგანიზებული რუსული კინოს მე-4 ფესტივალი (მისი პრეზიდენტი გახდა კინორეჟისორი – ელდარ რიაზანოვი); მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი – „საჩუქარი" (ფესტივალის საბჭოში შედიან: ოლეგ ტაბაკოვი, ანატოლი ვასილიევი, ვანესა რედგრეივი და სხვა გამოჩენილი თეატრალური მოღვაწენი; ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო რუსული დადგმებიც (თეატრი „დრამატული ხელოვნების სკოლა", მეიერჰოლდის ცენტრი და სტას ნამინის დრამისა და მუსიკის თეატრი); ლიტერატურული დღეები, მაიაკოვსკის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი – „მაიაკოვსკი და საქართველო" (პროექტის ინიციატორად და ორგანიზატორად მთავარი რედაქტორის – ალექსანდრე ეგანოიძის ხელმძღვანელობით ლიტერატურული ჟურნალი „დრუჟბა ნაროდოვ" („ხალხთა მეგობრობა") წარდგა; მხარი დაუჭირა „რუსკი მირმა" („რუსული სამყარო")). ამ დღეების ფარგლებში რუსული დელეგაცია ეწვია თბილისს, მოინახულა რუსული დრამატული თატრი, ქუთაისის (№1 გიმნაზიის შენობა, სადაც მაიაკოვსკი სწავლობდა), მოინახულა პოეტის სახლ-მუზეუმი სოფელ ბაღდათში და ესტუმრა ბათუმს. სპეციალური ორგანიზება გაუკეთდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან – გურამ ოდიშარიასთან შეხვედრას. ამ უკანასკნელის სიტყვებით, „საქართველო მზად არის ორივე ქვეყნის კულტურის კეთილდღეობისკენ მიმართული შემოქმედებითი თანამშრომლობის აღდგენისთვის, და ამ კეთილშობილურ საქმეში ჟურნალის – „დრუჟბა ნაროდოვ" და ფონდ „რუსკი მირის" წვლილს უაღრესად აფასებს (კულტურული დიპლომატია საქმეში//კავკასიური თანამშრომლობა. 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერი. URL: http://georgiamonitor.org/news/257/1319/ (მიმართვის თარიღი – 02.11.2016). გარდა ამისა, აუცილებელია ვახსენოთ თბილისში რუსეთის სახალხო არტისტის – სერგეი ბეზრუკოვის გასტროლებიც (თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში წარმოადგინა სერგეი ესენინის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი

რუსეთის „გოსფილმოფონდმა“ 2017 წელს საქართველოსთვის საბჭოთა დროს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გადაღებული ფილმების ორიგინალთა გადმოცემის პროცესი დაიწყო[12]. კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროში თანამშრომლობის გასაღრმავებლად აუცილებელია საგამომცემლო პროექტებისა და ისეთი თარგმანების რეგულარული მხარდაჭერა, რომლებიც ორი ქვეყნის საზოგადოებას რუსული და ქართული ლიტერატურის გაცნობაში დაეხმარებოდა – ეს არსებული კულტურული გაცვლის მნიშვნელოვანი დანამატი იქნებოდა.

კულტურული კავშირებისგან განსხვავებით, სამეცნიერო კონტაქტები მხოლოდ „კერძო“ დონეზე შენარჩუნდა და იმდენად, რამდენადაც სამეცნიერო კავშირების მიზანმიმართული მხარდაჭერის სისტემა არ

მიძღვნილი სპექტაკლი „ხულიგანი. აღსარება“; აგრეთვე აღსანიშნავია გამოჩენილი ქართველი პოეტის, ტიციან ტაბიძის შვილის – ლიტერატორ ნიტა ტაბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო (ინიციატორები იყვნენ რუსი პიანისტი – ირინა კანდინსკაია და გამოჩენილი მთარგმნელი – ნატალია სოკოლოვსკაია).
ამავე პერიოდში ანალოგიური ღონისძიებები ტარდებოდა მოსკოვშიც. 2013 წელს დეკემბერში მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის თეატრში ჩატარდა „თეატრალის ვარსკვლავის“ პრემიით დაჯილდოების მე-4 ცერმონია. ნომინაციაში – „საუკეთესო რუსული თეატრი საზღვარგარეთ“ გაიმარჯვა ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიურმა რუსულმა დრამატულმა თეატრმა. იმავე დეკემბრის დღეებში რუსეთის დედაქალაქში თბილისის თეატრმა ა. ნ. ოსტროვსკის სახელობის მოსკოვის საგუბერნიო თეატრის სცენაზე წარმოადგინა ლ. ნ. ტოლსტოის მოთხრობის მოტივებზე დადგმული სპექტაკლი – „ხოლსტომერი. ცხენის ისტორია“. გარდა ამისა, მთელი დეკემბრის განმავლობაში მოსკოვში თავის სპექტაკლებს რეზო გაბრიაძის თბილისის მარიონეტების თეატრიც მართავს. ყველა დეკორაცია და თოჯინა თავად თეატრის დამაარსებლის შექმნილია, სამაგიეროდ მათ ახმოვანებდნენ რუსი მსახიობები – ჩულპან ხამატოვა, სერგეი გარმაში, რომან კარცევი და სხვანი. (რუსულ-ქართული კულტურათა დიალოგი//კავკასიური თანამშრომლობა. 2013 წელი ნოემბერ-დეკემბერი. URL: http://georgiamonitor.org/news/257/1329/ (მიმართვის თარიღი – 02.11.2016)). 2014 წლის იანვრის შუა რიცხვებში მოსკოვის საერთაშორისო მუსიკის სახლში სასულიერო მუსიკის საშობაო ფესტივალის დღეებში ჩატარდა საქართველოს საპატრიარქო გუნდის გამოსვლა. 2014 წელს თებერვალში გაიმართა ნანი ბრეგვაძის კონცერტი, რომელსაც „სამი გრაცია“ ეწოდებოდა (მომღერალი მსმენელის წინაშე შვილთან – ეკა მამალაძესთან და შვილიშვილთან – ნატალია ქუთათელაძესთან ერთად წარდგა). მოსკოვის თეატრალურ გალერეაში „მალაია ორდინკაზე“ გაიმართა ცნობილი ქართველი მხატვრისა და დრამატურგის – ლალი როსებას ნამუშევართა გამოფენა სახელწოდებით „არც ერთი დღის დაკარგვა არ მინდა...“ (რუსულ-ქართულ კულტურათა დიალოგი//კავკასიური თანამშრომლობა. 2014 წელი, იანვარ-თებერვალი. URL: http://georgiamonitor.org/news/257/1343/ (მიმართვის თარიღი – 02.11.2016)).

[12] სახელმწიფო მდივნის – რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გ. ბ. კარასინის საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელთან – ზ. აბაშიძესთან შეხვედრის შესახებ. 2016 წლის 19 ოქტომბერი//რუსეთის სსს.URL: http://www.mid.ru/foreign_policy/news/-/asset_publisher/cKNonkJE02Bw/content/id/2502667

არსებობს, ეს კონტაქტები სულ უფრო და უფრო კლებულობს. თენგიზ ფხალაძის აზრით, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დიალოგის გამართვას შეუწყობს ხელს და ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესში სასიკეთო ფონს შექმნის. ემთხვევა ქვეყნების რეგიონული ინტერესები და თანამშრომლობით ორივე ქვეყანაა დაინტერესებული.

სამეცნიერო-შემეცნებითი და საგანმანათლებლო საქმიანობის მხარდასაჭერად სახელმწიფო დონეზე სერიოზული მუშაობის ჩატარებაა საჭირო. მნიშვნელოვნად გვესახება რუსულ-ქართული თემატიკის, მაგალითად, ისტორიის, კულტურის, კონფესიური საკითხებისადმი მიძღვნილი ბროშურებისა და წიგნების მატერიალური მხარდაჭერა. ასეთი მხარდაჭერის უქონლობა მეტად იგრძნობა რუსეთსა და საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის გაცნობისას. მოთხოვნადია კულტურული ვიზიტები, რომელთა განხორციელებაც სხვადასხვა დისციპლინისა და თემისადმი მიძღვნილი ღია ლექციების ჩასატარებლად შემუშავებული სპეციალური პროგრამების ფარგლებში შეიძლება. ამასთან დაკავშირებით უაღრესად პერსპექტიულად წარმოგვიდგება კულტურული პროგრამების აღდგენა, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელი გახდებოდა სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ვიზიტები, ასევე წაიკითხავდნენ საავტორო ლექციებსაც. ჯერ კიდევ დავიწყებულია თანამშრომლობის ისეთი ფორმატი, როგორიცაა საუნივერსიტეტო გაცვლები. ასეთი ფორმატი ორი ქვეყნის ახალგაზრდობას ერთმანეთის უკეთ გაცნობის საშუალებას მისცემდა.

დღესდღეობით კონტაქტები საგანმანათლებლო სფეროში პრაქტიკულად გაყინულია. არ ხორციელდება სტუდენტური გაცვლითი პროგრამები, არ არსებობს სტუდენტებისთვის და მოსწავლე ახალგაზრდობის სხვა ჯგუფთათვის ერთობლივი პროგრამები. ასეთი კონტაქტების აღდგენისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი, ეჭვგარეშეა, ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის არქონაა.

სამეცნიერო თანამშრომლობის სფეროში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნამუშევრის პუბლიკაციისთვის მზადებისას და არცთუ იშვიათად რუსეთის, საქართველოსა და რიგი მეზობელი ქვეყნების ბიბლიოთეკებსა და არქივებში რუდუნებით მუშაობასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევისას რუსი და ქართველი მკვლევრების პირდაპირი საგრანტო მხარდაჭერა, ასევე, ვიზით მხარდაჭერა, განსაკუთრებით ქართველი მეცნიერებისთვის. თანამშრომლობის კონკრეტულ მიმარ-

თულებათა მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ მოთხოვნად თემაზე ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის რეალიზაცია. გრანტის მიღებისთვის აუცილებელია ისეთ მსხვილ გრანტის გამცემთა ყურადღების მიქცევა, როგორიცაა რუსეთის ფუნდამენტური კვლევების ფონდი (რფკფ), რუსეთის სამეცნიერო ფონდი (რსფ) და ა.შ. მეცნიერება – რუსეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის პოზიტიური მიმართულებაა, რომელიც შორს დგას ე.წ. „წითელი ხაზებისგან".

ორი ქვეყნის ისტორიული წარსული – რუსეთისა და საქართველოს თანამედროვე ურთიერთობისთვის უაღრესად თვალსაჩინო და მგრძნიობიარე ფონია. რუსულ-ქართული ურთიერთობის ისტორია არაერთ საუკუნეს ითვლის. ვლინდება როგორც საბჭოთა ისტორიული მეცნიერებისა და სხვა ჰუმანიტარული მიმართულებების სპეციფიკა, ისევე პოსტსაბჭოთა სივრცეში აბობოქრებული „ისტორიული მეხსიერების ომები". აუცილებელია აღინიშნოს, რომ ისტორიული წარსული, უპირველეს ყოვლისა, ურთიერთობათა ნორმალიზაციის პროცესში პრაქტიკულად გამოუყენებელი სერიოზული და უზარმაზარი რესურსია. სწორედ ურთიერთობათა ისტორიიდან შეიძლება იმ დადებითი ინფორმაციის ამოღება, რომელიც მეზობლისთვის სხვა თვალით შეხედვის საშუალებას იძლევა. მეორეც, ამ ცოდნის გამოყენება და, შესაბამისად, ჰუმანიტარული დისკუსიის აქტივიზაცია შესაძლო გამწვავების საშიშროებას არ ქმნის, პირიქით, ორმხრივ ურთიერთობებში მწვავე საკითხების შერბილების უნარით ხასიათდება[13].

აუცილებელია რუსულ და ქართულ საზოგადოებებს შორის ურთიერთობის აღდგენა. მაგრამ ერთმანეთის მიმართ მტრული რიტორიკის შემცირებისა და კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის გარეშე ამისი მიღწევა შეუძლებელი იქნება. არსებობს საკმაოდ ბევრი ისეთი თემა და მიმართულება, რომელიც პოტენციურად ორი ქვეყნის დაახლოვებას შეუწყობდა ხელს, მაგალითად, ერთმორწმუნეობა, კულტურათა ურთიერთგამსჭვალულობა, ერთობლივი წარსული. მრავალი ისტორიული პიროვნება, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში დღემდე დიდი პატივისცემით სარგებლობს და დისკუსიას იმის თაობაზე, რომელ ქვეყანას მიეკუთვნებიან ისინი, არავინ იწყებს. თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია ვახტანგ მეფე ან გენერალი პეტრე ბაგრატი-

[13] დაწვრილებით იხ.: ვ. მუხანოვი. თანამედროვე პოლიტიკურ კონტექსტში რუსეთ-საქართველოს ერთობლივი ისტორიის საკამათო თემები და საკითხები// რუსულ-ქართულ ურთიერთობებში ნორმალიზაციისკენ მიმართული გზების ძებნაში. თბილისი, 2014. C. 89–93.

ონი გავიხსენოთ, ასევე გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში რუსეთ-საქართველოს დაახლოებისა და სამხედრო-პოლიტიკური ალიანსისთვის იღვწოდნენ[14].

დიდი ხნის განმავლობაში მოსახლეობაში აქტიურად იქმნება მეორე ქვეყნის მტრის ხატი, თავისებური ინტერპრეტაცია ეძლევა წარსულს, რაც ორ ქვეყანასა და მის მოსახლეობაში უფსკრულს მხოლოდ აღრმავებს. ამ პრობლემაზე მსჯელობენ როგორც რუსი, ისე ქართველი ექსპერტებიც. მაგალითად, გულბაათ რცხილაძე და გიორგი ვეკუა ჯერ კიდევ 2010 წელს აღნიშნავდნენ: „პრობლემის არსი ის არის, რომ მტრის ხატი რუსეთის სახით – საქართველოში უკვე 20 წელია ინერგება და მიზანმიმართულად კულტივირდება“[15].

სამასწლიანი აქტიური ურთიერთქმედების პრაქტიკულად ყოველი პერიოდი დღეს განუწყვეტელ დისკუსიას იწვევს და ხშირად დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეფასებებსა და ინტერპრეტაციებს ბადებს. აკადემიურ ცოდნასთან სრულიად დაუკავშირებელი და მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებებზე დამყარებული ასეთი განშლადობა არათუ ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციას არ უწყობს ხელს, არამედ პირიქით, რუსულ-ქართულ ურთიერთობებში ისედაც მძლავრ კონფლიქტურ პოტენციალს ასაზრდოებს. გარკვეული ისტორიული სიუჟეტები და მთელი სიუჟეტური ხაზები მყარად არის ჩაქსოვილი თანამედროვე ურთიერთობებში. მხარეთა დაახლოებისთვის უაღრესად სასარგებლოდ მიგვაჩნია ამ თემების საჯაროდ და ერთობლივად განხილვა, თემებისა, რომლებიც მხარეებს საერთო წარსულის უფრო ობიექტურად და მშვიდი თვალით შეხედვის საშუალებას მისცემს.

სიტუაციის არაპროგნოზირებადი განვითარება შეიძლება ასეთი საკამათო თემების გარჩევამაც გამოიწვიოს და საზოგადოებაში დიდი რეზონანსი იქონიოს. სამეცნიერო დიალოგისა და, შესაბამისად, ორმხრივი ურთიერთობების ისტორიის შესწავლაში აკადემიურ ნამუშევართა შედეგების უქონლობა თანამედროვე სიტუაციის განვითარებაზე ნეგატიურად მოქმედებს. პოზიციათა დაახლოებისთვის, ანუ პროფესიულ განხილვაზე გადასვლისთვის და რადიკალური შეფასებებისა და პროპაგანდისტული კლიშეებისგან უაღრესად სასურველ დაშორებას-

[14] დაწვრილებით იხ.: ო.რ. აირაპეტოვი, მ.ა. ვოლხონსკი, ვ.მ. მუხანოვი. გზა გიულისტნასკენ... XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ის პირველ მეოთხედში კავკასიაში რუსული პოლიტიკის ისტორიიდან. M., 2014.

[15] გ. რცხილაძე, გ. ვეკუა. რუსეთ-საქართველო: რა ხდება? თბ., 2010. გვ. 2.

თან თანადროულად, ემოციური ფონის შემცირებისთვის უბრალო და მიმზიდველი სადისკუსიო სივრცის შექმნაა აუცილებელი.

რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელი პროფესიონალი ისტორიკოსების მონაწილეობით ასეთ ფორმატში ჩატარებული დისკუსია პრობლემურ და მწვავე საკითხთა განხილვას გახდის შესაძლებელს. განხილვათა შედეგები, ასევე ერთობლივი ნაშრომები, რომელთა უქონლობაც დღეს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა, ორ ან მეტ ენაზე უნდა გამოქვეყნდეს. საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად საჭიროა, პუბლიკაციები ორივე ქვეყნის მოსახლეობაში ვრცელდებოდეს. უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დოკუმენტური კრებულებისა და როგორც მონოგრაფიული, ისე სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის მქონე თანამედროვე ნამუშევრების გამოცემაც[16]. მსგავსი საქმიანობა ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის საზოგადოებაში არსებული ნეგატიური აზრის შეცვლას.

უკანასკნელ წლებში ექსპერტთა დიალოგის ფარგლებში აქტიური საქმიანობა მიმდინარეობს, რასაც რუსული ფონდებიც და ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციებიც შეუერთდნენ. ჯერ კიდევ 2008 წლიდან ყველაზე აქტიურ ფორმატს წარმოადგენს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) ხელმძღვანელის, ცნობილი ქართველი კონფლიქტოლოგის, გიორგი ხუციშვილის მიერ ორგანიზაცია „გლობალური პარტნიორობა შეიარაღებული კონფლიქტის პრევენციისთვის“ (GPPAC) ხელშეწყობით ამუშავებული „სტამბოლის პროცესი“. 2008 წლის ბოლოდან მოყოლებული, რეგულარული გახდა ორი ქვეყნის პოლიტიკურ ექსპერტთა შეხვედრები. 2013 წელს კი ორმხრივი დიალოგის ფორმატს რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოც (RIAC) შეუერთდა. ამჟამად შეხვედრები ტარდება პროექტის ფარგლებში „რუსეთ-საქართველოს დიალოგის ხელშეწყობა“ და შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერით[17].

ექსპერტთა შეხვედრებს, მათ შორის ორმხრივ ფორმატში, ამჟამად საჯარო დიპლომატიის ისეთი ორგანიზაციები ატარებენ, როგორებიცაა ა. მ. გორჩაკოვის სახელობის საჯარო დიპლომატიის მხარდაჭერის

[16] უკანასკნელ წლებში გამოშვებული დოკუმენტური კრებულის პოზიტიურ მაგალითად მხოლოდ ერთის მოტანა შეიძლება: რუსულ-ქართული ურთიერთობების ისტორიიდან: გეორგიევსკის ტრაქტატის 230-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. დოკუმენტების კრებული/ პას. რედ. ა.ნ. არტიზოვი. M., 2014.

[17] RIAC და ICCN აგრძელებენ მუშაობას ერთობლივ პროექტზე „რუსეთ-საქართველოს დიალოგის ხელშეწყობა“ //РСМД. URL: http://russiancouncil.ru/inner/?id_4=7865#top-content

ფონდი, არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური თანამშრომლობა“ და სხვ. თუმცა ზემოჩამოთვლილმა ვერც ერთმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვან პოზიტიურ შედეგებს ვერ მიაღწია. როგორც ნიკოლაი სილაევმა აღნიშნა, „საკუთარი გზავნილების ადრესატამდე მიწოდებაში ინვესტირებით რუსეთი პრაქტიკულად არ ზრუნავს ამ გზავნილების შინაარსზე. როგორც ჩანს, თვლის, რომ ამ გზავნილების „ხორცშესხმა“ ისედაც მოხდება“. მაგალითად, საჯარო დიპლომატიის პროექტებზე მნიშვნელოვნად მეტი სახსრები გაიცემა, ვიდრე საერთაშორისო ურთიერთობებისა და ისტორიის დარგების კვლევებზე. „გასართობ თავყრილობათა სიმრავლე მოკლებულია ღრმა აზრონებას“[18]. აქედან გამომდინარე, საჭიროა უსარგებლო ღონისძიებების შემცირება და კონკრეტულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო და უბრალოდ შემეცნებით საქმიანობაზე გადასვლა. აუცილებელია, შემუშავდეს ამ მიმართულებით დასახული, ნაბიჯ-ნაბიჯ გათვლილი და გრძელვადიანი მუშაობის პროგრამა.

[18] ნ. სილაევი. როგორ უნდა გაიყიდოს „რუსეთი“? რატომ არ მუშაობს „რბილი ძალა“?// რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში. 2014. №1. გვ. 183.

საერთო რეკომენდაციები

1) რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ცალმხრივი სავიზო რეჟიმის გამო საქართველოს მოქალაქეთათვის გართულებულია სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული კონტაქტები. აუცილებელია შესაბამისი პირობების შექმნა სამეცნიერო და კულტურული წრეების წარმომადგენელთა შეუფერხებელი თანამშრომლობისათვის (განსაკუთრებით, პირდაპირი კონტაქტების არსებობისა და სამეცნიერო საქმიანობისთვის მოწვევის შემთხვევაში).

2) აუცილებელია ორივე ქვეყნის მეცნიერთათვის სამეცნიერო ცენტრებში და არქივებში დაცულ ისტორიულ და კულტურულ საგანძურებთან წვდომის გამარტივება კანონით გათვალისწინებული ნორმების დაცვით.

3) „ისტორიული მეხსიერების ომების“ ნეგატიური გავლენის შესამცირებლად და საქართველოსა და რუსეთის სამეცნიერო საზოგადოებების ინტერესის გასაზრდელად საჭიროა სპეციალური, რეგულარულად შევსებადი, ღია, ელექტრონული რესურსის შექმნა. ასეთი რესურსი ხელმისაწვდომს გახდიდა ყველა გამოქვეყნებულ დოკუმენტსა და მასალას, რომელიც შეეხება რუსეთ-საქართველოს ერთობლივ ისტორიას.

4) საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკებს შორის აღსადგენია ბეჭდვითი გამოცემების გაცვლის პრაქტიკა.

5) ორმხრივ ურთიერთობებში დაძაბულობის შესამცირებლად, აუცილებელია სამეცნიერო და საგანმანათლებლო კონტაქტების გააქტიურება, შესაბამისი პირობების შექმნა რუსულ-ქართული მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების, საგრანტო და სასტიპენდიო მხარდაჭერისათვის. ეს პროექტები უნდა დაფინანსდეს საქართველოსა და რუსეთის ფონდების მიერ (მაგ.: რუსეთის სამეცნიერო ფონდი, რუსეთის ფუნდამენტური კვლევების ფონდი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და სხვ.).

6) აუცილებელია, ახალგაზრდებისთვის ერთობლივი საზაფხულო სკოლების ორგანიზებისა და, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციების, კონფერენციების, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ტუ-

რების, სტუდენტური გაცვლების და სხვა ამ ტიპის ღონისძიებათა ხელშეწყობა.

7) საჭიროა სახელმწიფო დონეზე საქართველოში რუსული ენის სწავლებისა და რუსეთში ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა, ქართული და რუსული ენებისა და ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელოების შექმნა. ამ მიმართულებით რუსი და ქართველი მეცნიერებისა და პედაგოგების აქტიური თანამშრომლობის ხელშეწყობა.

8) სამეცნიერო, ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურის ქართული ენიდან რუსულ ენაზე და პირიქით თარგმნისათვის აუცილებელია მიზნობრივი პროგრამების შექმნა და მხარდაჭერა.

9) უნდა შეიქმნას ექსპერტთა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაცია-პასპორტიზაციისა და დაცულობის მონიტორინგისთვის. ეს ეხება იმ ძეგლებს, რომლებიც განლაგებულია საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიებზე და ორივე ქვეყნისთვის წარმოადგენენ კულტურულ ფასეულობას.

10) უნდა შეიქმნას მუდმივმოქმედი ქართულ-რუსული საზოგადოებრივი დიალოგის ჯგუფი ორ ქვეყანას შორის არსებული ჰუმანიტარული პრობლემების ობიექტური განხილვის და გაშუქების, რეკომენდაციების შემუშავებისა და ხელისუფლებისათვის მიწოდების მიზნით.

11) საქართველოსა და რუსეთის საზღვრისპირა რეგიონის მაცხოვრებელთა შორის უნდა მოხდეს ჰუმანიტარული კონტაქტების ხელშეწყობა.

ავტორთა და რედაქტორთა შესახებ

ზაალ ანჯაფარიძე

2017 წლიდან მუშაობს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრში (ICCN), GPPAC-ის პროექტის „სამხრეთ კავკასიის რეგიონის ეკონომიკური განზომილების ახალი დაყოფა და დივერსიფიკაცია“ კოორდინატორის პოზიციაზე. 2004 წელს მას მიენიჭა მაგისტრის ხარისხი მედიასა და მასობრივ კომუნიკაციებში პოლიტიკური პიარის სპეციალობით. მან დაამთავრა კემბრიჯის საერთაშორისო კოლეჯი (2006-2010 წწ.) და მიიღო თანამედროვე მენეჯმენტისა და ადმინისტრირების დიპლომი.

2005-2016 წლებში მუშაობდა ევროპის ფონდში (ყოფილი ევრაზიის ფონდი), სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამების უფროსი მენეჯერის პოზიციაზე. 1998-2005 წლებში, ზ. ანჯაფარიძე მუშაობდა USAID-ის საერთაშორისო პროექტებზე, რომლებიც ეხებოდა დემოკრატიულ რეფორმებს საქართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობის, მოქალაქეების ინფორმირებისა და მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით. ის იყო ინგლისურენოვანი ყოველკვირეული ჟურნალის - „Georgia Today” მთავარი რედაქტორი და მანამდე ხელმძღვანელობდა კავკასიის ინსტიტუტის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების საინფორმაციო განყოფილებას. ზ. ანჯაფარიძე იყო საქართველოს საკითხების ანალიტიკოსი ჯეიმსთაუნის ფონდისთვის (აშშ) და ექსპერტი ევრაზიის სახლის საინფორმაციო და ანალიტიკური პორტალისთვის. მას აქვს პუბლიკაციები ისეთ გამოცემებში, როგორებიცაა: International Herald Tribune, Transitions Online, EurActiv, The Moscow Times, GHN, REGNUM და EaDaily.

მამუკა არეშიძე

2014 წლიდან გახლავთ პროექტის ხელმძღვანელი კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრში – საქართველო რუსეთის საექსპერტო დიალოგი „სტამბოლის პროცესი“. რეგიონული

კვლევების ცენტრის დირექტორი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ჟურნალისტი, პოლიტოლოგი, დამოუკიდებელი ექსპერტების კლუბის დამფუძნებელი. გადაცემა „კავკასიური პალიტრის“ ავტორი და წამყვანი „პალიტრა TV-ზე“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი.

1995-1999 წწ. იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, კავკასიის ერთა შორის ურთიერთობების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. 1995 წლიდან იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც კითხულობს ლექციებს პოლიტიკურ კავკასიისმცოდნეობაში, რეგიონულ უსაფრთხოებაში, კონფლიქტოლოგიაში, ექსტრემალურ ჟურნალისტიკაში, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების პოლიტიკის საკითხებში.

მ. არეშიძე გახლავთ გაერო-სა და ევროკავშირის პროექტებისა და პროგრამების კონსულტანტი, მათ შორის გაერო-სა და ევროკავშირის განვითარების ერთობლივი პროგრამის „სამოქალაქო ღირსებისთვის“ (2013 წელი), NDI–ს პროექტის „საკანონდებლო ბაზის შექმნა მთის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისთვის“ (2011 წელი), გაერო–ს პროექტი „სამოქალაქო ფორუმი – მშვიდობა და განვითარება, რეგიონული კონტექსტი, გამოწვევები და პერსპექტივები“ (2011 წ.). ბევრი პუბლიცისტური ნაშრომისა და დოკუმენტური ფილმის ავტორია. მ. არეშიძე არის სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიების და ჯილდოების ლაურეატი.

დავით გოცირიძე

2009 წლიდან არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი. იგი გახლავთ სანკტ–პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და საქართველოს რუსისტთა ასოციაციის გენერალური მდივანი. ასევე გახლავთ გამოყენებითი ფსიქოლინგვისტიკის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი, ცოცხალი ენების მასწავლებელთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის წევრი და საქართველოს მულტილინგვისტური ასოციაციის წევრი. 2001 წლიდან გახდა თსუ-ს სადისერტაციო საბჭოს წევრი. დ. გოცირიძე არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, საქართველოს მულტილინგვისტური

ასოციაციის ჟურნალის “Homo Loguenes” რედაქტორი და რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. იგი გახლავთ ფლორენციის, ზაარბრიუკენის, გოთლანდის, სანკტ–პეტერბურგის, ამსტერდამის, ვარშავის, იენისა და ბაქოს სლავური უნივერსიტეტების მოწვეული პროფესორი. დ. გოცირიძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, პუშკინის საერთაშორისო მედლით, ლენინგრადის უნივერსიტეტის პრემიით და თსუ–ს ახალგაზრდა მეცნიერთა პრემიით.

ახმეტ იარლიკაპოვი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, 2014 წლიდან მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის კავკასიის პრობლემების და რეგიონული უსაფრთხოების შესწავლის ცენტრის უფროსი მკვლევარი. 1995 წელს დაამთავრა როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი. ისტორიის და პოლიტოლოგიის პროფესორი. 1998 წელს დაამთავრა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ასპირანტურა, 1999 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1999 წლიდან არის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი. 1999-2000 წწ. მუშაობდა აღმასრულებელ მდივნად სასულიერო-საგანმანათლებლო ჟურნალში „მუსლიმები“ (მოსკოვი). 2001-2012 წწ. იყო პროფესორი რუსეთის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის რელიგიური კვლევების ცენტრში. 2009-2012 წწ. იკავებდა რუსეთის ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას. ა. იარლიკაპოვი არის 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ანდრეი კორტუნოვი

2011 წლიდან რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოს გენერალური დირექტორია. დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი (1979 წელი) და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აშშ-სა და კანადის ინსტიტუტის ასპირანტურა (1982 წელი), მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. სტაჟირება გაიარა სსრკ საელჩოებში ლონდონსა და ვაშინგტონში, ასევე, გაერო-ს წარმომადგენლობაში.

1982–1995 წწ. მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის აშშ-სა და კანადის ინსტიტუტში, მათ შორის, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ.

პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა უცხოეთის უნივერსიტეტებში, მათ შორის, ბერკლის (კალიფორნია) უნივერსიტეტში. უმაღლესი განათლების, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და სოციალური განვითარების სფეროებში სხვადასვა დროს ხელმძღვანელობდა ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორებიცაა: მოსკოვის საზოგადოებრივი სამეცნიერო ფონდი (RSCI) (1993-2001 წწ.), ინფორმაციის, მეცნიერებისა და განათლების ცენტრი (ISE Center) (2002-2017 წწ.), ფონდი „ახალი ევრაზია“ (NEF) (2004-2017 წწ.). 2015 წლიდან არჩეულია ორგანიზაცია „ახალი ტექნოლოგიების განვითარება“-ს (NDT) პრეზიდენტად.

ა. კორტუნოვი რუსეთისა და საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საექსპერტო, სამეთვალყურეო და საზედამხედველო საბჭოების წევრია. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები და რუსეთის საგარეო პოლიტიკა.

ელენა კუზმინა

დაამთავრა ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტის რომაულ-გერმანული ფილოლოგიის ფაკულტეტი (1987 წელი), ისტორიის (1994 წელი) პოლიტიკური მეცნიერების კანდიდატია. არის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ევგენი პრიმაკოვის სახელობის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის პოსტსაბჭოთა კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი.

ე. კუზმინა არის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სექტორის ხელმძღვანელი; რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის კომიტეტის წევრი; ა. მ. გორჩაკოვის სახელობის სახალხო დიპლომატიის ფონდის (რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო), რუსეთის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს ექსპერტი. პროფესიული ინტერესების სფერო: ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება; ინტეგრაციის პროცესები დსთ-ს სივრცეში; რუსეთის ფედერაციის რეგიონული განვითარება.

აქვს 180-ზე მეტი პუბლიკაცია, მათ შორის, მრავალი მონოგრაფია და სამეცნიერო ანგარიში. მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო (EU, ESCAP) და რუსულ (RSCI; RFBR; MoED, RF; MoIT, RF) გრანტებში, დსთ-ს და ბალტიისპირეთის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით.

ტიმურ მახმუტოვი

2011 წლიდან რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოს პროგრამების დირექტორის მოადგილეა, მინიჭებული აქვს პოლიტიკის მეცნიერთა კანდიდატის ხარისხი.

2005 წელს დაამთავრა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი. 2007-2011 წლებში ეწეოდა პედაგოგიკურ საქმიანობას მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში. მისი სამეცნიერო და კვლევითი ინტერესების სფეროში შედის შემდეგი საკითხები: რუსეთის საგარეო პოლიტიკის აღმოსავლური ვექტორი, რუსეთის საგარეო პოლიტიკა პოსტ-საბჭოთა სივრცეში, რბილი ძალა და ნდობის პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობებში, საზოგადოების მარგინალიზაცია და პოლიტიკური რეჟიმების სიმყარე.

ტ. მახმუტოვი გახლავთ 30-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა და ორი მონოგრაფიის ავტორი.

ირაკლი მენაღარიშვილი

2003 წლიდან არის სტრატეგიული კვლევების ცენტრის (თბილისი, საქართველო) დირექტორი. კარიერა დაიწყო 1970 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, 1980-1982 წწ. ი. მენაღარიშვილი ხელმძღვანელობდა თბილისის ჯანდაცვის დეპარტამენტს. 1982-2003 წწ.

ი. მენაღარიშვილი იკავებდა სხვადასხვა მაღალ თანამდებობას საქართველოს / საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობაში: მინისტრის მოადგილე, ჯანდაცვის სამინისტრო (1982-1986 წწ., 1986-1991 წწ., 1992-1993 წწ.), საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე (1993-1995 წწ.). 1995-2003 წწ. ი. მენაღარიშვილი გახლდათ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

დავით მირცხულავა

ქართველი მეცნიერი-ენერგეტიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1994 წელი), პროფესორი (2002 წელი). დსთ-ს საპატიო ინჟინერი. 1976 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-ფიზიკოსი. 1977-1987 წლებში იყო ინჟინერი, უმცროსი მკვლევარი, უფროსი მკვლევარი, ენერგეტიკისა და ჰიდრავლიკური

სტრუქტურების ქართული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მკვლევარი. 1988-1990 წლებში სწავლობდა იტალიის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და იტალიის ეროვნული ენერგეტიკული კომპანიის კვლევით ცენტრში. 1986-2002 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი. 1990-1998 წლებში ეკავა ელექტროსადგურების დიაგნოსტიკის და მონიტორინგის ცენტრის დირექტორის მოადგილის და დირექტორის პოზიციები. 1998 წლიდან იყო საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე. 1999-2003 წლებში დ. მირცხულავა გახლდათ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი. 2003-2006 წლებში იყო საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი და თავმჯდომარე. 2010 წლიდან "ისრაელის ენერგეტიკული პროექტების" პარტნიორია. 2013 წლიდან არის "ტრანს ელექტრიკა ჯორჯიის" ტექნიკური დირექტორი და საქართველოს დიდი კაშხლების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე (GNCOLD). დ. მირცხულავა გახლავთ 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ენერგეტიკის სფეროში.

ვადიმ მუხანოვი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია. არის მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის კავკასიის პრობლემებისა და რეგიონული უსაფრთხოების ცენტრის უფროსი მკვლევარი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ევგენი პრიმაკოვის სახელობის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის პოსტსაბჭოთა კვლევების ცენტრის წამყვანი მკვლევარი; სამეცნიერო რედაქტორი და "კავკასიური კრებულის" სარედაქციო საბჭოს წევრი.

ვ. მუხანოვი გახლავთ მუდმივი ავტორი და კონსულტანტი სამეცნიერო გამომცემლობა "დიდი რუსული ენციკლოპედიის" კავკასიური თემატიკის საკითხებში.

იულია ნიკიტინა

მსოფლიო პოლიტიკის პროცესების კათედრის ასოცირებული პროფესორი და მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის პოსტ-საბჭოთა კვლევების ცენტრის მკვლევარი. იგი სპეციალიზებულია ევრაზიის უსაფრთხოების რეგიონული ორგანიზაციების (CSTO, SCO) და კონფლიქტების მოგვარების რუსული კონცეპტუ-

ალური მიდგომების შესწავლაზე პოსტსაბჭოთა სივრცეში და მთელ მსოფლიოში. ი. ნიკიტინა, მეცნიერის სტატუსიდან გამომდინარე, 2004 წლიდან ამზადებს ანალიტიკურ ჩანაწერებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის. იგი არის ანალიტიკური ანგარიშის "კუშო: საპასუხისმგებლო უსაფრთხოების" თანაავტორი, რომელიც წარმოდგენილია 2011 წლის იაროსლავის საერთაშორისო პოლიტიკურ ფორუმზე. მას გაკეთებული აქვს მოხსენებები CSTO-ს სამეცნიერო და ექსპერტთა საბჭოში, რუსეთის ფედერაციის საბჭოსა და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში.

ი. ნიკიტინას მონაწილეობა მიღებული აქვს ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესების რამდენიმე დიალოგში: რუსულ-ქართული დიალოგი (2012 წელი, 2014 წელი), რუსულ-უკრაინული დიალოგი (2015 წელი). არის რუსულ-პოლონური დიალოგის (2016 წელი) პროექტის განვითარების ორგანიზატორი.

ამჟამად მონაწილეობს ორ საერთაშორისო სამუშაო ჯგუფში, რუსეთთან, დასავლეთსა და "საერთო სამეზობლოს" ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით.

ლიუბოვ სოლოვიოვა

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის დეპარტამენტის უფროსი მეცნიერი. დაამთავრა მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი, ეთნოგრაფიის კათედრა; ასპირანტურა დამთავრებული აქვს სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. 1981 წლიდან არის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის განყოფილების თანამშრომელი. აქვს 250-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია. სამეცნიერო ინტერესების სფერო: სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია: ოჯახური და სოციალური ცხოვრება, ოჯახური და საზოგადოებრივი ადათ-წესები; ბავშვობის ეთნოგრაფია; სადღესასწაულო კულტურა, რელიგიური იდეები. ქართული ენიდან ნათარგმნი აქვს ქართველი ისტორიკოსის, ს. ჯანაშიას, ძირითადი ნაშრომები.

ლ. სოლოვიოვა გახლავთ რამდენიმე ტომის რედაქტორი სერიიდან "ხალხი და კულტურა", კავკასიის ხალხების შესახებ. საველე კვლევები: 30-ზე მეტი ეთნოგრაფიული ექსპედიცია სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, დაღეს-

ტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ადიღე) და ცენტრალურ აზიაში (თურქმენეთი, ტაჯიკეთი).

ივან ტიმოფეევი

2011 წლიდან ივან ტიმოფეევი არის პროგრამის დირექტორი რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოში (RIAC). ხელმძღვანელობს ორგანიზაციის პროგრამებსა და პროექტებს, ასევე ანალიტიკურ საქმიანობას. ი. ტიმოფეევი მჭიდროდ თანამშრომლობს რუს და უცხოელ დიპლომატებთან, ოფიციალურ პირებთან, ექსპერტებთან, ბიზნესმენებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებთან რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და საჯარო დიპლომატიის მიმართულებით.

RIAC-ში მოღვაწეობის დაწყებამდე ი. ტიმოფეევს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში ეკავა ანალიტიკური ცენტრის დირექტორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობები. 2006 წელს ამავე საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობისას მიენიჭა პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ი. ტიმოფეევს, აგრეთვე, მოპოვებული აქვს საზოგადოებისა და პოლიტიკის მაგისტრის ხარისხი (ლანკასტერისა და ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტები, 2003 წელი) და ბაკალავრის ხარისხი სოციოლოგიაში (სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2002 წელი).

ნინო ციხისთავი–ხუციშვილი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) დირექტორია (2017 წელი). ამავე ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა 2013 წელს. 1996 წლიდან საქმიანობს მშვიდობის მშენებლობის, კონფლიქტების არაძალადობრივი მოგვარებისა და მედიაციის მიმართულებით, აქტიურად იყენებს გენდერული თანასწორობის, ადამიანის უფლებებისა და ქალთა უფლებების ადვოკატირების მეთოდოლოგიას.

არის წიგნების ავტორი, მათ შორის: „კონფლიქტების მოგვარება, მშვიდობის მშენებლობა, საგანმანათლებლო პროგრამათა სატრენინგო მოდულები“ (2015 წელი), „გენდერული თანასწორობა, ტოლერანტული გარემო და მრავალფეროვნება, საგანმანათლებლო პროგრამათა სატრენინგო მოდულები“ (2015 წელი), „ომი, სამართალი, მშვიდობა“ (2010 წელი), „გენდერული თანასწორობა 2006–2009 წწ. საქართველოში“ (2009

წელი), „ოჯახური ძალადობის მრავალკომპონენტიანი კვლევა საქართველოში“ (2006 წელი), „ქალები საქართველოში არსებული სიტუაციის პროფილით“ (2004 წელი) და სხვ.; მონაწილეობდა კვლევებში თანაავტორად: „დევნილ ქალთა უფლებები და სპეციფიკური საჭიროებები ომის შემდეგ“ (2008 წელი), „ქალთა ტრეფიკინგი საქართველოში“ (2000 წელი), „გენდერული სტერეოტიპებისა და ფარული დისკრიმინაციის კვლევა საქართველოში“ (1999 წელი) და სხვ.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტია (2014 წელი). სადოქტორო დისერტაციის თემაა „ლიდერ ქალთა როლი კონფლიქტების მოგვარებაში საქართველოში“. მისი სამეცნიერო ინტერესის საგანია სამშვიდობო ხელშეკრულებები და მათი გენდერულად დაცალკევებული სტატისტიკური ანალიზი. დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა, მინიჭებული აქვს ბიოლოგიისა (1993 წელი) და აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი (1989 წელი).

ნათია ჭელიძე

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი 2003 წელს; ასპირანტურა - 2006 წელს და მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სადისერტაციო ნაშრომით „შრომითი მიგრაცია საქართველოდან“. 2003-2006 წლებში გაიარა ასპირანტების მხარდამჭერი საერთაშორისო სამწლიანი პროგრამა „მიგრაციის რეგულირება: თეორია, მეთოდები და პრაქტიკა“ (უნგრეთი, რუსეთის ფედერაცია). 2004 წლიდან არის თსუ-ს მიგრაციის კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, 2006 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კითხულობს ლექცია/სემინარებს: „შრომის ეკონომიკა“, „შრომის მსოფლიო ბაზარი და საერთაშორისო მიგრაცია“. მას მონაწილეობა აქვს მიღებული 14 კვლევით პროექტში შრომითი მიგრაციის, ფულადი გზავნილების, შრომის ბაზრის, დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის, მიგრანტთა შრომითი უნარებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) შესახებ. ის არის 25 ანალიტიკური ნაშრომის ავტორი, მათ შორის, ერთი მონოგრაფიისა. 2011-2013 წლებში ის წარმოადგენდა საქართველოდან მკვლევარს პროგრამაში „CARIM East - Consortium for Applied Research on International Migration”, რომელიც განხორციელდა ევროპული უნივ-

ერსიტეტის, რობერტ შუმანის ფონდისა და პოლონეთის მიგრაციული პოლიტიკის ცენტრის მიერ.

ნ. ჭელიძე აგრეთვე მუშაობს საჯარო მოხელედ 2002 წლიდან: 2002-2005 წწ. შსს, ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო საქართველოში, ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი; 2005-2006 წწ. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, შრომითი მიგრაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; 2006-2012 წწ. საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი, წამყვანი სპეციალისტი; 2012-2017 წწ. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, აპარატის უფროსი; 2017 წლიდან თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილეა.